153
ეროვნული ბიბლიოთეკა

მნათობი

114
2006

39

2006

1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

წელიწადი 82-ე **№1** **2006 წელი**
გამოდის 1924 წლიდან

მწერალთა ასოციაცია „მნათობის“
ლიტერატურული ჟურნალი

ჟურნალი გამოდის საპატრიარქოსთან არსებული
სულიერების, კულტურისა და მეცნიერების
აღორძინების ფონდის მხარდაჭერით

შინაარსი

თამაზ ჭილაძე – „მნათობი“ ისევ გამოდის! ---------- 3

პოეზია, პროზა, დრამატურგია

ანა კალანდაძე – ლექსები ---------- 5
ტარიელ ჭანტურია – ლექსები წიგნიდან: „სიყვარული ასაფრენი ზოლი“ --- 6
გიგი სულაკაური – ლექსები ---------- 16
ქეთევან შენგელია – ლექსები ---------- 19
გესო ხვედელიძე – მამა. მოთხრობა ---------- 24
დავით ქართველიშვილი – წავედი. მოთხრობა ---------- 32
ირაკლი სამსონაძე – ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი. პიესა ---------- 39

კრიტიკა, ესეისტიკა

გრიგერ ფარულავა – მაცხოვარი იღიმეგა ხანძთის სანახეგში ---------- 61
ანდრო გუაჩიძე – გზაჯვარედინზე ---------- 80
მალხაზ ხარგედია – კუდიანთმეტყველეგის შესავალი ---------- 85

თარილი

რევაზ ინანიშვილი – 80

ლამარა კიკილაშვილი – არავის უნდა მეგაღე?.. ---------- 95

(იხ. მე-2 გვ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

(გაგრძელება)

ახალი თარგმანები

მიგელ დე უნამუნო – დროისა და სივრცის მიღმა. ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტვინიძემ ---------- 103

ხელოვნება

ნოდარ გურაგანიძე – სამყარო თეატრალის თვალით ---------- 110

მეცნიერება

ზურაგ კიკნაძე – ღვთის ქმნილება და ადამიანის კულტურა ---------- 120

ინტერვიუ

ოთარ ჭილაძე – მედროვეები და დრო. ესაუბრა ლელა ოჩიაური ------- 126

ბიბლიოგრაფია

ანდრო ბუაჩიძე – მოქანდაკის მხატვრული რეალობა ---------- 136

უცხოეთის კულტურული სიახლეები. თარგმნა მანანა მიქელაძემ ---------- 138

შეიქმნა მწერალთა ასოციაცია ---------- 142

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ანდრო ბუაჩიძე

პასუხისმგებელი მდივანი
დინარა ჩაკვეტაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
შორენა ფარქოსაძე

ჟურნალი გამოდის ორ თვეში ერთხელ
იბეჭდება მხოლოდ რედაქციის მიერ შეკვეთილი მასალები

რედაქციის მისამართი:
სიონის ქ. №13/40

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მნათობი“ ისევ გამოდის!

თითქმის ორი წლის იძულებითი დუმილის შემდეგ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქმედითი დახმარებით, განახლდა ჟურნალ „მნათობის“ გამოცემა.

თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ჟურნალი იდგა ქართული კულტურული ცხოვრების, შემოქმედებითი გალაქტიკის ცენტრში. მის ფურცლებზე გამოქვეყნებულია ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები, რომლებითაც ასე ვამაყობთ დღეს და მომავალშიც ბევრჯერ ვიამაყებთ. ამ ნაწარმოებების უბრალო ჩამოთვლაც კი ნათელს ხდის ჟურნალის მნიშვნელობასა და დამსახურებას; ამავე დროს, კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ ნოვატორობა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც დიდი ტრადიციები არსებობს.

ხალხის მიერ „პატარა ეკლესიად“ სახელდებული ჟურნალი „მნათობი“ ყოველთვის ეროვნული სულიერების სამსახურში იდგა და გონივრული პრინციპულობით იგერიებდა კულტურის კრემატორიუმის – სოცრეალიზმის ემისართა აშკარა თუ ფარულ შემოტევებს.

ორასწლიანი ოკუპაციის პირობებში, მიუხედავად უსასტიკესი ცენზურისა, საქართველოში მაინც ბრწყინავდა მწერლობაც, თეატრიც, მუსიკაც, მხატვრობაც, მაინც თავის დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდა. ანტიადამიანურ ვითარებაში შექმნილი კულტურა – იგივე არალეგალური თავისუფლება – ერს ადამიანურ სახეს უნარჩუნებდა.

ყველა ხალხი თავისი წარსულიდან მოდის და ჯერ კიდევ შორეულ წარსულში გაკვალული და დადგენილი გზით მიემართება მომავლისკენ. არსებობს ტრადიციულად სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნული ღირებულებები, რომლებიც გვიმძაფრებენ საკუთარი შესაძლებლობების რწმენას და, ამდენად, ეროვნული თავისთავადობის აუცილებლობის გრძნობასაც. „დემოკრატია მართვის სისტემაზე მეტად მთავრობის შემზღუდავი სისტემაა. ეს არის ძალაუფლების შემაკავებელი სისტემა, რათა პოლიტიკა და მთავრობა მეორეხარისხოვან როლს თამაშობდნენ ცხოვრებაში ნამდვილად მნიშვნელოვან ღირებულებებთან შედარებით“, – ასე მიმართა რეიგანმა ერთერთი უნივერსიტეტის სტუდენტებს, რაც თავისთავად, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრეზიდენტი „ცხოვრებაში ნამდვილად მნიშვნელოვან ღირებულებად“ სწორედ განათლებას, სულიერებას მიიჩნევდა.

საქართველო სულიერებამ, წიგნმა გადაარჩინა, მოიყვანა დღევანდელ დღემდე. გავიხსენოთ, თუნდაც ის ფაქტი, რომ XVIII საუკუნეში, მიუხედავად უამრავი მომხდურის განუწყვეტელი თავდასხმებისა, ქართველებმა მტრისგან თავის დასაცავად, ზარბაზანი კი არ ჩამოასხეს, რაც, ერთი შეხედვით, თითქოს ლოგიკურიც კი იქნებოდა, არამედ სტამბა გახსნეს და „ვეფხისტყაოსანი“ გამოსცეს.

დღეს ჩვენი მწერლობის ერთადერთი საიმედო თავშესაფარი ჩვენი ეკლე-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სია აღმოჩნდა და ეს ალბათ ასედაც უნდა ყოფილიყო — ქართული კულტურა ხომ ანაფორიან გენიოსებსაც უჭირავთ მხრებით!

„განსაცდელით სავსე თავისუფლება“-ო, თქვა ილია ჭავჭავაძემ და ეს თითქოს ჩვენს თავისუფლებაზეცაა ნათქვამი, რამდენადაც დღესაც, ისტორიული მტრების გარემოცვაში, ეროვნული თავისუფლების, თავისთავადობის მოპოვებაზე არანაკლებ ძნელი მისი შენარჩუნებაა.

ამჟამად, როცა გლობალიზაციის სეისმოლოგიური ბიძგები ჩვენი სულიერების საქვეყნოდ აღიარებულ ტაძრებს არყევს, ყველაზე მეტად შემაშფოთებელი აგდებული, გულგრილი დამოკიდებულებაა ყველაფრისადმი, რაც კი დღემდე მნიშვნელოვანი შეგვიქმნია.

ნიჰილიზმი უმწეობის გამართლებაა და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სიმართლის გრძნობასა და ეროვნულ ღირსებას უჩლუნგებს ხალხს.

კულტურა, კერძოდ მწერლობა, თავისი არსითა და მოწოდებით ოპტიმისტურია, მომავლისკენ, თავისუფლებისკენ ხალხის ლტოლვის სტიმულია.

არ შეიძლება უმწეო იყოს ხალხი, რომელმაც ასეთი დიადი კულტურა შექმნა. ჩვენს ხალხს შენარჩუნებული აქვს ტრადიციულად მთავარი ძალა — რწმენა ღირსეული მომავლისა.

თავს უფლებას მივცემ, ჟურნალის რედაქციის, ავტორებისა და მკითხველების სახელით, დიდი მადლობა მოვახსენო უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს, საპატრიარქოსთან არსებულ კულტურის დახმარების ფონდს, მის გამგეობასა და საბჭოს ქართველთა უპირველესი ჟურნალის გადარჩენისთვის.

თამაზ ჯილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა კალანდაძე

ძმობის ლამპარი წინ წაგვძღოლოდეს!

ფიქრები სვეტიცხოველში ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვის ჟამს

თვალს სასოებით მივაჰერობთ მასა, –
წმიდათაწმიდას, მამულო, მთასა,
სადაც მარადი ნათელი იდგა,
სით დაგვეურებდა აჩრდილი წმინდა
(სიყვარულს თესდა ვინც ძმათა შორის)...
მწამს, დღესაც იგი თვალს არ გვაშორებს!
გრძნეული ხმები რა ახლოს ყღერენ...
ვუსმენ მათ, ქართველთ ერთობა მჯერა, –
შორს ძმათა შორის ღვარძლი ბოროტი,
ძმობის ლამპარი წინ წაგვძღოლოდეს!

2000 წ.

სამადლობელი

მკითხველისადმი

გზა ჩემი მხოლოდ შენით ნათობდეს, –
თანხლება შენი ზენამ ინება:
ცის ქვეშ უკეთესს ვერას ვნატრობდე,
მზის სიკაშკაშით მომეფინები!
უცხოა შენთვის შავი ეჭვები,
ცილისწამების ავი ყივილი,
სით მოუსვიდველ ქვეყნით ეშვები,
ჯეშმარიტებავ მარადიულო?
ცნობ შეუმცდარად განზრახვას მტერთა,
მათგან ლაფდასხმულ უბიწოებას...
მოხვალ ჩემს ტაძრად,
მშვიდობა შენდა,
კვლავ ხელთ გიჰერია დაფნის რტოები!
მარად სჰეტაკი მოჰყვები არილს,
მზეს ამოჰყვები, უკუნს მისხივებ:
შემოგიღია სამართლის კარი,
არაკაცთაგან ხშირად გიხსნივარ!
ჩამოწოლილა ოდეს უკუნი,
აღზევებულა ოდეს სიავე,
მამხნევებს მარად შენი გუგუნი:
– წევდიადი შენგან იქმნას იავარ! –
.....
გზა ჩემი მხოლოდ შენით ნათობდეს.

2006 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტარიელ ჭანტურია

წიგნიდან: „სიყვარული - ასაფრენი ზოლი“

ჩემი ალუბალი

თუკი მართლა მოვკვდები,
თუკი მართლა დამმარხეს,
ალუბლის ხედ ამოვალ
და ნიავი დამარხევს!

სიყვარულის ალმური
ვისაც თავგზას აუბნევს,
ივლის, იბოდიალებს -
მოადგება ალუბლებს...

ყველას ვეცოდინები -
იმ უბნელს და ამ უბნელს -
შეაქებენ ოქტომბერს,
შემიჯამენ ალუბლებს...

ინტერესით მოვისმენ
მიჯნურების საუბრებს,
ვისაც ვნება ამურის -
გზებს ჩემსავით აუბნევს...

თუკი მართლა მოვკვდი და
თუკი მართლა დამმარხეს -
ზეგ - ალუბლად ამოვალ,
მაზეგ - ქარი დამარხევს...

უგუნებო ლექსპროტი

ბევრი ჭიქა ივსება,
ბოლოს ყველა იცლება!
შენი არ დაიცალოს -
ასეც არ შეიძლება!

ასეთია ცხოვრება! -
ყველაფერი იცვლება!

ერთი დარჩე უცვლელი -
ასეც არ შეიძლება!

რას მოგცემენ ეს წლები,
ან რა მოგცეს იმ წლებმა...
მარტო შენ ერთს გჯერდეს? -
ასეც არ შეიძლება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიღალატეს, გაგწირეს
სწორედ ძმებმა – ღვიძლებმა!
ბოროტის წილ – სიკეთე? –
ასეც არ შეიძლება!

მალე ცუნამს ელიან!
ალბათ მიწაც იძრება!
სულ შენ იუო ცოცხალი –
ასეც არ შეიძლება...

ნევროზი

– გოლფი რაა – წუნარი სპორტი –
თვით ეს წუნარი გოლფიც კი –
ნერვებს მიშლის! ვერ ვთამაშობ,
გავხდი ისე გულფიცხი!

ვულფი აგერ, თომას ვულფი!
ეს კაშკაშა ვულფიც კი
ნერვებს მიშლის! ვერ ვკითხულობ,
ვარ ისეთი გულფიცხი!

თავის მოკვლა გადავწყვიტო –
სახრჩობელას ეულფიც კი
ვეღარ დამაკმაყოფილებს,
ვარ ისეთი გულფიცხი!

მაპატიოს – ბოდიშის თქმაც
აღარ მინდა უფლისთვის!
– ნევროზი გგჯერს! აბა ცოტა –
ჩვენ ყველა ვართ გულფიცხი...

ფრიალი

მინდა, მივიდ-მოვიდე!
მინდა, მივედ-მოვედო!
არ დავეშებ კანონებს,
ეთიკას და მოვე ტონს...
სად რა ფერის „შტორია“...
ვინ რა დონის შტერია...
სად – მტერივით მოუვარე,
სად – მოუვარე მტერია!
შემოდგომის ღამეები –
ტკბილსასმენი გამებო...

თუ მამშვიდებს, ისევ ის –
ცქერა წმინდა სამების...

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ◆ ◆

ვარსკვლავი მოწყდა –
მესიის მესიჯი...
აქვს აზრი მოცდას –
მე მარტო ეს ვიცი...

წეევლა და ლოცვა –
ბოეტებს ლექსი სჯის...
ვარსკვლავი მოწყდა –
მესიის მესიჯი...

ვენდეტა

ვინ – სმამ მოკლა, ვინ – დიეტამ,
ვინ – მმვინვარე ვენდეტამ!
ისეთი მაქვს ახლა გრძნობა –
ვბრუნდებოდე ვანდეადან!
გაიმეტეს: ვინ – ძმაკაცი,
ვინ – დიშვილი, ვინ – დედა!
შურისგება – გრძნობა მონის! –
ვენდეტა...
ვენდეტა...
...
თუ ვერ მოკლავ – გული მოგდის!
თუ მოგიკლეს – გული მიგდის!
...რატომ უნდა გამიკვირდეს –
როგორც შემლო, ისე მიხდის...

სიბერე

დრო მოვა, ეველა საიდუმლოსგან
ალბათ მეც ისე განვიძარცვები,
როგორც ზამთარში ფოთლებისაგან
იძარცვებიან ჩვენი ცაცხვები...
გადავიწევი, გადავიწევი
და ალუბლის ტოტს ვეღარ წავწვდები...

მე ისე მიეკვარს ქვიშნის მურაბა –
თუ არ მაჯამე, ნაღდად წაწყდები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

♦ ♦ ♦

უფლის ფეხსაცმლის ლანჩა
ახლაც ატეკია ლანდშაფტს!
მიფრინავს იქეთ მტრედი,
მოფრინავს აქეთ ეანჩა.
უსაეკარლესი სახე,
სან რომ არ ჩანს და სან ჩანს,
დღეს – გეგონება მტრედი,
ხვალ – გეგონება ეანჩა...
სატანაც ჩნდება ზოგჯერ –
რაგინდ რანაირ სახით! –
სულში უძვრება თვითმკვლელს –
ასასინსა და შაჰიდს...
ათასნაირი ჯორით,
ტეკიით, ტეუილით, მახით...
ჯვარზე გააკრავს მამებს,
შვილებს უხოცავს რახილს...

მაინც ატეკია ლანდშაფტს
უფლის ფეხსაცმლის ლანჩა! –
ჩანს ნაკვალევი უფლის,
თვითონ – რატომღაც არ ჩანს...

პარადოქსი გულის თემაზე

იეო და არა იეო რა,
იეო ერთი მწერალი –
ჯანმრთელი–ჯანმრთელი რო,
გული სად ჰქონდა, არ იცოდა.

(კაცმა თქვას, ის კაცი
მწერალი არც იეო,
თუმცა საქართველოში იოლია,
არამწერალი მწერლად გამოაცხადო.
პირიქითაც შეიძლება –
მწერალი გამოაცხადო არამწერლად –
გული დაწეკიტო,
გული ატკინო,
ან სულაც გული გაუხეთქო.
ეს იმ შემთხვევაში მოხდება,
თუ იმ მწერალმა იცის,
გული სადა აქვს...).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ, ცხოვრობდა ის ჩვენი არამწერალი მწერალი
ხალისიანად –
გულთან არაფერი მიჰქონდა!
ალბათ იმიტომ, რომ,
უბრალოდ, არ იცოდა,
გული სად ჰქონდა.

გამოხდა ხანი და
მოხდა უცნაური რამ:
არამწერალ მწერალს
სწორედ გულმა უმტეუნა.

მეგობარმა კარდიოლოგებმა ამიხსნეს:
თურმე ჯობს, ადამიანმა იცოდეს,
სადა აქვს გული
(რატომ აქვს გული. ვისზე შესტკივა გული.
ვისზე მოსდის გული. ვისთვის უცემს გული და ა.შ.)...

ს.....

აღარ სჯერა უკვე მიწის,
იმედი აქვს მხოლოდ ზეცის!
ულაპავს ათასნაირ მიცინს,
სვამს ასპირინს,
სვამს ტიზერცილს...

სიხარული ენატრება –
ამ დალეულ ამბისხელა!
გული წედება – მაწეევარმა
ბოლომდე რომ არ დაწეევლა...

ნაფტალინიანი ლექსპრომტი

ხელოვნება – გაღწევის,
ხელოვნება – მიღწევის,
ხელოვნება – დაჰერობის:
გულების და მიწების;
ხელოვნება – დარღვევის –
სიტეევების და ფიცების,
ხელოვნება – ჩაშვების:
დების, ძმების, ბიძების...

ხელოვნება – ღალატის,
ხელოვნება – დასმენის! –
ერთნაირად ეველასი –
რუსისა თუ ნაცმენის,
ხელოვნება მაღალი –
კუბოების დახუფვის,
ოსტატობა – დახვრეტის,
გამწარების, დაღუპვის...

მოაღორებ, ვისაც გსურს –
გურულს. რაჯველს. ხევსურს. სვანს:
დგას, საწეალი, პორტრეტთან
და ღიმილით ხელს უსვამს...
საცოდავი ქვეანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედს ნამდვილად ეწევა,
მისი უმაღლესობა
თუკი თბილისს ეწვევა...

დაცვას – სათვალიანებს –
ყველას – ვაჟკაცს მოტრეტილს –
მოაქვს მხსნელი მოღვაწის
ჰენსნიანი ჰორტრეტი!
კონცერტს დაესწრებიან
მხოლოდ უმაღლესები!
შეგვიქებენ ბრძენ სტუმარს

გრიშაშვილის ლექსების
მოხერხდება? ვიცოდე,
ამ ერუ კედლის გარღვევა!
ან ეინულის გულები
ბოლო-ბოლო – გალღვება?
ის წუთი და საათი
მთელ ცხოვრებას გაუვება...

...ჯირს აქედან დანახვა!
მით უმეტეს – გაგება...

ამერიკ-კავკასია

ისეთი მაქვს ახლა გრძნობა –
გარდა ბუშის, გარდა ჩეინის –
საქართველოს აღარ ჰქონდეს
აღარა გზა გადარჩენის...

მუდამ ვადანაშაულებ
რაღაც დაუდევრობაში
ყველას, ვინც დღეს ჰატრონობს და
მეთაურობს ევროკავშირს...

მე ვინ მკითხავს, და თუ მკითხავს,
ერთადერთი ეს მაქვს გეგმა:
გზას ვიპოვით! თქვენ ოღონდაც
მოგვაშორეთ რუსის ჩექმა!..

არჩევს პოეტი ფიგნისთვის სათაურებს

სიყვარული წესების გარეშე
კლასგარეშე სიყვარული
სიყვარულის გვერდითი მოვლენები
შეხორცებული სიყვარული
ჩემი და შენი სიყვარული
შენი და მისი სიყვარული
ორმაგი სიყვარული
სამმაგი სიყვარული
სიძულვილნარევი სიყვარული

სიყვარული

სიყვარული

სიყვარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ◆ ◆

გზააბნეულო, რას მერჩი, ქარო! –
ხელისბიჯად რომ გაუხდი ქარონს!
რად ებლანდები ფეხებში ყველას –
სად გეჩქარება, მუდამ რომ ჩქარობ!

რა ლამაზი ხარ, იანვრის თოვლო!
ქარიკით გინდა, ქვეყანა მოვლო!
სანამ დადნები – ხატებავ თეთრო,
როცა დადნები – ხასხასა მოლო!

...წვიმა და თოვლი... ქარი და ყინვა...
იქროლოს, რა ვქნა – მე ახლა შინ ვარ...
კარგია ბავშვის ჯანმრთელი ძილი
და გვერდით – ბებრის ბებრული ხვრინვა...

სიყვარული (გვერდითი მოვლენები)

სიყვარული – ასაფრენი ზოლი.
საყვარელი. იქნებ სულაც ცოლი.
ყავის ორთქლი. სიგარეტის ბოლი.
შეცდომები. აკრძალული ფოლი.
ზღვის ნაპირი. მოხასხასე მოლი.
გზა. კოტეჯი. მშვენიერი ჰოლი.
თეთრი მკერდი. ზედ – ცხრა შავი ხალი...

სიყვარული – ასაფრენი ზოლი...

◆ ◆ ◆

ალვების ჰანტომიმა ქარში
ყვავების საჰაერო მარში
ღრუბელი მთვარის ფარშით
მანავის წარსული – ძმარში
კაენი, შენიშნული ძმაში
ოცდაათი ვერცხლი – ხმაში
ასი ტკივილი – თმაში
ბოღმა, გაძრული სმაში –
ახლა. მომავალში. მაშინ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამაზი კოშმარი

სულ არ მადარდებს, ოხერი
როდის და როგორ მეწვევა –
რაც საფლავია ამქვეყნად,
ყველაში მხოლოდ მე ვწევარ...

თუმც გული გასიებული
ზოგჯერ მეც იქით მეწევა –
არ მეჩქარება! – ისედაც
ყველა საფლავში მე ვწევარ...

თვითონ არ ვიცი, ეს ბედი
რა ცოდნის გამო მეწერა:
სადაც კი ვნახე საფლავი –
ყველა საფლავში მე ვწევარ...

საფლავთან ზოგი – ღვინოს სვამს,
ზოგი – უაზროდ ეწევა...
სულ არ ვწუხდები, თუმცა კი
ყველა საფლავში მე ვწევარ...

... დილიდან თურმე – მთელი დღე
მეძება! სად არ მეძება!
– რა ბებნა მინდა, ბვირფასო –
ყველა საფლავში მე ვწევარ...

შენდება ჩემზე ქვეყანა
და მერე – თავზე მექცევა...
სწორად იქცევა, რაღაი
ყველა საფლავში მე ვწევარ...

ცრემლი - პოლიგლოტი...

ენების უცოდნელთა გამამხნევებელი ლექსპრომტი

შეგიძლია მოიარო ამერიკა, ესპანეთი,
იტალია, საბერძნეთი, ჰოლანდია, მექსიკა
ისე, რომ შენ, მოგ ზაურმა, არ იცოდე ერთი ენაც! –
ღიმილი და ცრემლი – აი, უმაღლესი ლექსიკა...
ხომ კარგია, უცხოელს რომ ეტევი კაი გამარჯობას!
რა ჯობს, თავის ენაზე რომ უთხრა კაი ლექსი კაცს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ – ღიმილი და ცრემლი? მაგრამ
– ცრემლი და ღიმილი? –
ესენია უმაღლესი ენაცა და ლექსიკაც!
შენ – ადამის ნაშიერო! შენ – ადამის სიხსლო, ხორცო!
თავადა ხარ ღმერთიცა და ღმერთზეც უმაღლესი ხარ!
უნდა თბილად გაუღიმო! უნდა ცრემლი მოიხოცო! –
ღიმილი და ცრემლი! – აი, სასწაული ლექსიკა!

◆ ◆ ◆

ხელის ერთ გაწოდებაზე
ჩქეფს უკვდავების წყალი!
დგას და მკერდს ჩქერით ისვენებს
კაცის ოცნების ქალი!
მე ვერ ვახერხებ მისვლას და
ჰეშვის ავსებას, თორემ
ჰეშვები უკვე აივსეს
შოთამ, შელიმ და დორემ,
ჰომ, ფიროსმანმა, ვან გოგმა,
ჰლანკმა, ენრიკო ფერმიმ...
რა შემიძლია! მე რა ვქნა! –
დაველოდები მერმისს...

რამდენიმე წუთი ამოჩემებულ თაროსთან

შინ შემოჰარულ ართრიტს
ებრძვი კამიუ-სარტრით.
ცოტცოტას ულაჰავ კიდეც
გალაკტიონის ხათრით
სერვანტესის და ლორკას
და ხიმენესის ხათრით
სამჯერ ეწვიე მცხეთის
ცით გადახურულ მადრიდს.
თან, ევედრები უფალს:
კიდევ ხუთიოდ წელი...
არა, შვიდი... ჰო, შვიდი...
ქენიო, ღმერთო, მადლი –
მოსასწრები გაქვს რაღაც!
ერთი ჰატარა საქმე!
ერთი ჰაწია წიგნი...
სანამ შეგჯამდეს მატლი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

◆ ◆ ◆

როგორც ტკივილს კუჭისას
ალმებს ენტეროლი,
ისე ტკივილს სულისას
შველის თურმე ტირილი...
ფიქრი გიმღვრევს გონებას? –
მიდი, ღეჭე დიროლი!
თვალი შენც გააყოლე
ფრთხიალს, ფრენას ტოროლის...

ხომ გაქვს შესრულებული
ოცდაცამეტი როლი!
ჰოდა, ღვარე ცრემლი და
ღეჭე ახლა დიროლი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიგი სულაკაური

◆ ◆ ◆

დღეებო,
ზღვებში ჩაკარგულო
ოქროს ბეჭდებო,
შტორმების მერე ტეივიისფერ და ცარიელ სანაპიროზე
ზღვისპირელი ბიჭებივით
დაგეძებთ და დავეხეტები,
ოღონდ
მათგან განსხვავებით
ვეღარ გპოულობთ –
ზღვა არ გაბრუნებთ და
ვწვალობ და მენატრებით.

◆ ◆ ◆

როგორც სიგიჟის ზღვარზე ცხოვრება
მიდის მაინც და, ებღაუჭები...
არ დაგკლებია არც გადაჩეხვა,
არც კლანჭები და არც კაუჭები.
კარგია მაინც? თავისას ამბობს?
ამიტომ გიყვარს მასში დინება?
მაშინ გაჰყევი, გაინავარდე,
ახლა შენ თვითონ სახიფათო ხარ –
გერიდებიან ქალები და დიდი დანები...

წარმართული ცეკვები

ზღვის თევზებს
მტკნარი წყალი სწყურიათ, –
ხანგამოშვებით ვიმეორებ და
კიბეზე
წარმართული ცეკვით ავდივარ.
ეს წუთია დავემშვიდობე
ხორცის ბულდოზერს
(ეველგან ხორცი აქვს
ამ დალოცვილს,
ლაჯებს შორისაც, ტვინის კოლოფშიც...)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომელმაც მითხრა,
სხვათაშორის შემახსენა,
რომ ნასვამი ვარ...
(და რომ მხოლოდ ძილი
მაკლია,
სხვა – არაფერი).
მე კი მთელი გზა
ზღვების ამბებს ვუყვებოდი,
სისხლით, ოფლით და ოქროთი
ამოყორილ
იალქნიან კარაველებზე და შხუნებზე,
გრიგალებზე, უცნობ მიწებსა და
მანიაკ, შავ კაპიტანზე...
ჩემს შეკითხვაზე –
რა სწეურიათ
მლაშე ზღვის თევზებს, –
ბრმნული ღიმილით დამასაჩუქრა,
ღირსების გრძნობით აღჭურვილი
დამემშვიდობა და
გულმოწყალედ მაპატია დაკარგული
დრო.
ისე წავიდა,
მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი
კომპანიისთვის, მოცილებისთვის,
რომელიც ნაღდად არ მჭირდებოდა...
საფეხურებზე
შავ-წითელი ცეცხლი ანთია
(წარმართულ ცეკვებს
ცეცხლი უხდება!),
ცეცხლის ენებს ისე ვკითხულობ,
როგორც ნაცნობ,
მაგრამ უკვე მივიწყებულ
ძველ ჩანაწერებს,
ტელეფონის გაუქმებულ ნომრებს,
წერილებს და
წიგნებში ჩატოვებულ სანიშნეებს –
ბუნდოვანი და გარდასული შემოდგომის
კიდემომსხვრეულ ყვითელ დღეებს –
გამომხმარ ფოთლებს...
ზევით, ბინაში, ივნისაკენ,
საიდანაც, – გუმანი მაქვს, –
როგორც ყოველთვის,
გაშლილი ზღვაა, ჩემი
ეზო,
მოქანდაკე სტიქიაა,

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოლო ბავშვები – დელფინებია.
ფეხებთან – ძაღლი, –
ნიჟარაში ჩახვეული ნაუტილუსი;
უკან შტორმები, –
უჩინარი დინებები და რიფები, –
ბევრი სიკვდილი,
ბევრი სიცოცხლე და ხეტიალი.
ოხერ-ტიალი...
ზაფხულში – სიცხე და
ზამთარში – გამეინვარება და
გაყიდული ნიფთების სევდა –
სიცარიელე უჯრებშიაც და თაროებზეც.
სასაცილოა, მაგრამ ასვა,
ასეთია ბინის სახე,
ეს არის ჩვენი ბინის ჰორტრეტი.
ამ სივრცეში მოძრაობენ
ჩემი ქალებიც –
დედა... რუსიკო...
გამძლებები ალკოჰოლის,
სიგიჟეების,
ჩემგან, ლაშასგან, ბიჭებისგან არეკლილი
ბლუზების და როკნ როლების
ცოცხლად მნახავნი...
გადამნახავნი...
ეს არსებობა – ობობა კი
ხელს უცებ გვიშვებს,
მოულოდნელად,
(მაშინ, როდესაც სახიფათოს არ ელოდები)
რომ გაწუეტილი შენი სხეული,
ძვლის კოლოფში ვერდატეული
ბებერი ტვინი
(საგულდაგულოდ გამოწოვილი და
ბოლომდე გამომშრალი, გამოფიტული)
სხვა ლოგინში
დააძინოს და მოასვენოს...
და შენ საბრალომ, ისიც არ იცი,
იქ მოისვენებ
თუ ძველებურად ხელს ჩაიქნევ და
წამოდგები
სიგარეტების გასაბოლებლად...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთევან შენგელია

აბარაკზე

მაინც ჩამდგარა ქარი ავეია,
მიწედა ფეხისსმაც, სუნთქვაც, ჩურჩულიც,
დაუნდობელი და ამაეია,
ეს სიმარტოვე - თეთრი ურჩხული.

იტირებს, ღრუბელს რა უნდა მეტი?!
ნისლებმა მთები ისევ დამალეს,
ვზივარ და ვფიქრობ: ვინ იცის ბედი,
როგორ გამითხრის გულში სამარეს.

დამწიფდა უნაბი

დამწიფდა უნაბი,
ვაშლი და გულაბი,
ქარვისფრად ღვივიან
ზედაზნის მახლობლად,
მადლობა შემოქმედს
ამ თბილი მიწისთვის,
მტკვრისთვის და რიწისთვის,
ბზიფისთვის მადლობა.

მადლობა უშბისთვის,
დიკლოსთვის, მუცოსთვის,
ჯვრისთვის და როკისთვის,
ცრემლისთვის მადლობა;
უსმინე ნოემბერს,
ნიავმა
ხრაშუნა ფოთლები გაფანტა
კოლხეთის დაბლობთან.

დამწიფდა უნაბი,
ვაშლი და გულაბი -
ღვივიან ტოტებზე,
მზე ჩადის, ბინდია...
მთებიდან, ფიქრებით
დაღლილი ჩამოდის,
უბელო თეთრონით,
უსანჯლო მინდია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე და ნიბლია

ჭექა-ქუხილი დაიწყო,
ნუ გეშინია, ნიბლია,
მე და შენ ხის ქვეშ გავჩერდეთ,
ტყეს შევეფაროთ წიფლიანს;

როგორ გიფეთქავს ეგ გული,
ზეცა არც ისე მკაცრია,
ღმერთიც იქიდან გვიყურებს,
ხანდახან, როცა აცლიან.

ხელთათმანი დუელისთვის

არც ცრემლებია, არც საყვედური,
აღარც უაზრო თავის მართლება,
სადღაც წავიდა ის შლეგი წლები,
როცა ვიყავი სხვებზე თავნება.

ქარმა შეშალა მსხმოიარე ხე,
ლამაზთვალა და ლამაზყურება,
რა გულგამსკდარი ქალივით იცის,
ბროწეულებმა შემობრუნება.

ირწევა ტოტი და ყვება ამბავს,
ჰირველად მივხვდი, რომ თავს ვღალატობ,
მე სუფველაფერს თავიდან ვიწყებ,
შენ - ჰასუხს მოგთხოვ, გულო-ჯალათო.

სინანულივით ნაზია ცრემლი,
ოცნებასავით ურჩი და წმინდა,
ჰოდა, ამ ცრემლით წუხელ მოვქსოვე,
ხელთათმანი და ქათქათა წინდა...

დუელში გიწვევ, დარდო, ხარივით,
ვიცვამ მოქსოვილ ლამაზ ფაჩუჩებს,
ყველა სიცრუის თავშესაფართან,
ციხეს დავლეწავ, როგორც ნაჯუჯებს.

მე ნახანძრალი და ნაჯაფარი,
ისევ გავიშლი ვარდისფერ ზეწარს,
და ვერ წამიღებს ქარი ვერსაით,
ვით მიმორხეულ ჰატარა ლერწამს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

♦ ♦ ♦

უცხოა ეს ცაც, ეს ვარსკვლავებიც,
ხალხიც უცხოა, მთვარეც და მიწაც...
თითქოს ყველაფერს უცვალეს სახე
და სიხარული მირაჟად იქცა.

ეს უშედეგო ფიქრებმა იცის,
გაცამტვერება ყველა სალბუნის...
გალობა მაინც შემომაშველეთ,
ო, „აღსავალთა“ სულის ფსალმუნი.

უცხოა ეს ცა...

♦ ♦ ♦

ცრის, ნელ-ნელა ცრის, წუნარად და ჩუმად,
უბედურიც და ბედნიერიც ერთად ვარ თითქოს,
რას ფიქრობს ხოლმე სულ არ ვიცი უიღბლო კაცი,
სამაგიეროდ, ქალი ვიცი რაზედაც ფიქრობს.
სულ უკუღმა მაქვს აწუობილი დღეც და საღამოც,
მე როცა ვტირი, დედის ნაცვლად, ხომ შვილი მკოცნის...
ვზივარ ტეის ჰირას. აგვისტოა; სურამში გრილა,
მესაუბრება შენს მაგივრად ნაძვი და ბორცვი.
ცუდად მემინა, კარგად როგორ დავიძინებდი,
მითხრეს: შენ ალბათ სიზმარშიაც ქარი შეგეყაო...
სიზმარში - ქარი, ცხადში - ლანდი, გვერდზე - ღალატი,
ცაო! ხან წვიმის მაგივრადაც შენგან - სეტყვაო...
ცრის, ნელ-ნელა ცრის, წუნარად და ჩუმად,
ბედნიერიც და უბედურიც ერთად ვარ ახლა,
ჩამოყარდნილი ვარსკვლავებიც უკვალოდ ქრება
და შენს მაგივრად გარინდული საღამო მახლავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაფკას საფლავთან

შენ მოუყევი ძალიან ადრე,
ქვეყანას, მისი მნელი ამბავი
და ძალზე ადრე, ძალზე უდროოდ,
აქ დაიმკვიდრე სახლი-საფლავი.

ოქტომბრის შვილი, შუადღე, ჰრაღა,
მზე, ხეივანი, ირგვლივ სიმშვიდე...
და ისიც ისე გაწუნარებს ახლა,
რაც ნერვებს მართლა უნდა გიშლიდეს.

წუთისოფელო!

ცრუ ხარ სოფელო,
გავეყევი ფიქრებს... ვსვამ ჩინურ ჩაის, მწამლავს წარსული,
ვაი, რომ შენთან ჭიდილი მიწევს,
რა უგულო ხარ და რა აცსული?!
ცრუ ხარ სოფელო, სხვასაც ხომ უთქვამს?
სიკეთეს თურმე კენჭის ფასი აქვს,
შენ რომელ გულქვას აღარ აუწეობ,
ხან ბედ-იღბალს და ხანაც ჰასეანსს?!
ცრუ ხარ სოფელო!
შენმა მსტოვრებმა, მაინც ვერ დასცეს ჩემი ქალაქი,
და უფლის ნებით, ტაძრის კუთხეში,
ეოველთვის მიცდის მცირე ალაგი.

ნოემბერში

სოსანისფერი ჩრდილები ბაღში,
ლალივით ვაშლი, ქარვა-ქლიავი,
ფარშევანგივით ჭრელ ფოთლებს აშლის,
ფერად სამკაულს მოკრებს ნიავი.

ძირს ჩამოყრილი ტოტები ხმელი...
ზოგან კუნძია, ზოგან მორია,
ციხკრის ზარების მომწყურდა ხმები,
ტაოსკარამდე ძალზე შორია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

♦ ♦ ♦

ღმერთო... არც ისე შორია ზეცა,
როცა ლოცვის გზით დაბლა ეშვები,
მე წუარო მინდა, მადლივით, შევსვა,
შენი კურთხევით, შენი ჰეშვებით.

შკვე ვეწამე, შკვე გაცრუვდა
ამქვეყნიური ხიბლი-იმედი,
ახლა კი მხოლოდ ადგილი მინდა,
ტაძრის ეზოსთან ახლოს, მცირედი.

მე დავძრავ ზეცის ჰატარა კუთხეს,
ჩემ სამეოფ ღრუბელს ზევით ავიტან
და ეოველ დილით, მზის ჰირველ სხივთან ერთად
დავიწუებ სუნთქვას თავიდან.

მე გზას გავიგნებ წუვდიადში, ქარში,
იქნებ არ შემხვდეს ცივი ზამთარი?!
ვეცდები მაინც, თუკი ვერ შევძლებ,
ღმერთთან და კაცთან ვიეო მართალი.

ბესო ხვედელიძე

მამა

მოთხრობა

ძველი გაზეთით თავმოხუფული, მოზრდილი კალათა უჭირავს მამას და სახლის ბოლო, ღიაფანჯრებიან სართულს თვალებმოწკურული აჰყურებს. ჟივილ-ხივილია შიდა ეზოში — აქეთ-იქით დაქრიან და გორგოლაჭებიანი ფიცრებიდან ხელისკვრით ჩამოგდებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს ბავშვები.

კალათას ძირს დგამს მამა, ჯიბიდან შავ ცხვირსახოცს იღებს, სველ შუბლს იმშრალებს. მერე იქვე მოთქრიალე ონკანთან მიდის, ხელისგულს უშვერს — ჯერ წყალს ხვრეპს, შემდეგ ცხვირსახოცს ასველებს, წურავს და კვლავ შუბლზე ისვამს.

ძველისძველ, ქუსლებდაბრეცილ, დაჭყლეტილ ფეხსაცმელებშია მამა. არც მუხლებგამობერილ შარვალს ეთქმის ახალი: — იღლიებამოსველებული, გრძელსახელოებიანი თაგვისფერი პერანგი კი საერთოდაც დიდი აქვს და უხერხულად ადგას ტანზე.

სველ ცხვირსახოცს გრაგნის მამა, კისერში იფენს, შემდეგ კიდევ ერთხელ აპარებს თვალს სახლის ბოლო სართულისკენ და კალათასთან მიბრუნებული სახელურს კიდებს ხელს, აწევას უპირებს, თუმცა ყოვნდება — უცებ გვერდიდან უცხო მზერას გრძნობს.

განზე აპარებს მამა თვალს და სახლის პირველი სართულის ღია კარში მდგომ, თმაწვერაბურძგნულ კაცს ხედავს. თეთრი, ღილებაწყვეტილი, დალაქავებული ხალათი აცვია კაცს, ხელში მაკრატელი უჭირავს და ჰაერში აკრაჭუნებს.

„დალაქი“ — კითხულობს კარის თავზე წითელ წარწერას მამა, კალათას ხელს უშვებს და წელში გამართული იყურება კაცისკენ.

ცალი თვალი ირონიულად აქვს მოჭუტული კაცს და ნიშნისმოგებით შეჰღიმის მამას.

უკან იხედება მამა, მაგრამ ვერავის ხედავს და ისევ თმაწვერაბურძგნული კაცისკენ ატრიალებს თავს — კვლავ მისკენაა მზერით კაცი.

კაცისკენ იძვრის მამა. ახლოს მისული ჯიბიდან სათვალეს იღებს, იკეთებს, კაცს აკვირდება. კარის ჩარჩოს მხრითაა მიყუდებული კაცი და ისევ მაკრატელს აკრაჭუნებს. უბრად დგანან ერთმანეთის პირისპირ კაცი და მამა.

— შენა იოსკა არა ხარ? — სცდება უცებ კაცს გაბანჯგვლული პირიდან.

— დიახ... — იბნევა მამა.

— და ვერ მიცანი, არა? — მალიმალ აფახულებს კაცი თვალებს.

დაჟინებით აკვირდება კაცს მამა და მაინც მხრებს იწურავს.

— სულ ასეთი კი არ ვიყავი — თავისუფალ ხელს ხშირ წვერზე ისვამს კაცი.

უწვერულვაშოდ ცდილობს წარმოიდგინოს თმაწვერაბურძგნული კაცი მამამ, მაგრამ არაფერი გამოსდის.

— აგერ ლუპა მაქვს და ბარემ იმითაც დამაკვირდი, ბლიად... — თავისებურად იცინის კაცი და უცებ უნათდება გონება მამას.

— ე, ვანიჩკა!! — ყვირის გაბადრული.

— ჰე — ჰე... ხვიხვინებს კაცი. — მიცნო აი, მიცნო...

— მეც არა ვთქვი, ვინაა... თან ამხელა წვერში... ვიფიქრე მამაოა...

— ჰე — ჰე...

— თეთრი ხალათი... თან მაკრატელი...

—ჰე — ჰე... მაშ...

— ...შენც გაგაპარიკმახერეს ვანიჩკა?

— სხვა რა ვქნა... აღარც გავერთო? — გულგრილად იჩეჩავს ცალ მხარს ვანიჩკა და უცებ დასერიოზულებული მარჯვენა ხელს უწვდის მამას.

— დალაქი ჯონი! — ამბობს მოწიწებით და აღარ აყოვნებს მამაც: უმალ ხელს ურტყამს გამოწვდილ ხელისგულზე და თბილად ეხუტება.

❋ ❋ ❋

სადალაქოში სხედან მამა და ვანიჩკა.

ხის სკამზე წამოსკუპებულა ვანიჩკა და თეთრ, საპარიკმახერო ზეწრებს აუთოებს. მამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალურ საპარიკმახერო სავარძელში მოკალათებულა და ხელისგულები მუხლისთავებზე უწყვია.

— გადავიდა ბევრი — როხროხებს ვანიჩკა. — აღარც ჟუჩოკაა, აღარც ბლერო... ბაბო კნეინა გახსოვს?

თავს თანხმობით უქნევს მამა.

— მოკვდა საწყალი... სამი დღის მერე გავიგეთ, სუნი რომ გამოვიდა სახლიდან... ა, ამხელაზე იყო დაპატარავებული, სამაგიეროდ ისეთი მძიმე იყო, ისეთი — რვა სულმა ძლივს ავწიეთ კუბო, კუბო რა — ფანერებისგან შეკარით... ვის ქონდა სხვანაირის თავი... ბაღში დავმარხეთ, ღამით, არავის რომ არ დაენახა. სადღაა სასაფლაოზე ადგილი, იმდენი დაიხოცა...

— ჰო... — ამბობს მამა.

— ბაჩო გახსოვს, მხეიძე? — განაგრძობს ვანიჩკა. — გაიპარა... დამწვითო დაუბარებია, ძალიან მცივაო, ვიყინებიო... რა გვექნა... ავუსრულეთ, ეგეც ღამით... პამოიმ მერე ძვლებისგან სკილეტი შეკრა, თეთრად გადაღება და სკოლას აჩუქა. ბიოლოგია უყვარდა საწყალს... ფერფლი ეზოში მოვაბნიეთ... რაჟდენმა კიდევ ცოლი გაუშვა, რაჟდენმა — თამრო ხომ გახსოვს, ვაშლის ნაქურჩალებზე რომ მკითხაობდა, თამრო?... უცებ მოკვდა საწყალი — ნაგვის მანქანამ გაიტანა ერთ თვეში... მერე ახალი მოიყვანა რაჟდენმა — ისიც თამრო და მთლად უარესი... ლუნატიკი აღმოჩნდა და ყოველღამით სამხედრო ქამრით ცემდა რაჟდენს. იმანაც ვერ გაუძლო... ვინ გაუძლებდა... — რუსეთში გაექცა. რაღაც ჰარმონიული განვითარების ცენტრში მოეწყო ლაბორანტად და კარგათ ვარო...

— ვა... — უკვირს მამას.

— დადუ და გივია კიდევ ზიან — ვალუტის ბუტკა ჰქონდათ სადგურზე, ათდოლარიანებს ნოლიანებს ახატავდნენ და ვინ შეარჩენდა...

— ალიკა? — კითხულობს მამა.

— ვინ ალიკა?... რიჟა ალიკა?... — უკვირს ვანიჩკას. — ეეე, შენ მართლა არაფერი გცოდნია... თავს უკვე უარის ნიშნად აქნევს მამა.

— რიჟა ალიკამ ომი რომ მოხდა, სამხედროს კაბინეტიდან ავტომატი მოიპარა და წავიდა: იმ თვითმფრინავში იჯდა, თავიდან რომ ააფეთქეს. — მაგის სურათებიანი ბროშკებით დავდიოდით მერე ყველანი, თან შავებში — ის კიდევ ორ წელიწადში გამოჩნდა — ერთ ვიცი- გენერალ! ეგრევე ალექსანდრე გახდა...

— ვაა...

— აბა აქ ცხოვრებას იკადრებდა?... ეგეც გადავიდა და გადავიდა. ისე, მოდის ხოლმე, დომინოს გვეთამაშება მაზიანზე, ან გარაჟში კონიაკს ვსვამთ და ისე თვრება, სულ რუმინულად მღერის... მაშოც აღარაა შვილებიანად... ჩვენი მაშო. — აჰყურებს ვანიჩკა სარკეზე მიკრული ფოტოებიდან ერთ-ერთს. ფოტოზე მკაცრი სახისა და მძლავრი ნიკაპის მქონე ქალია გამოსახული, რომელსაც გარს ბევრი ბავშვი ახვევია. — ბოლოს, მეცხრე გოგო რო ეყოლა სულ გააფრინა, თან ხომ არცერთის მამა არ იცოდა... გაყიდა ბინა, ოთხი ბავშვი ბავშვთა სახლში ჩააბარა, ხუთი წაიყვანა და იალა სამსუნში... მართლა, სადაა სამსუნი?

მხრებს იჩეჩავს მამა.

— რა მნიშვნელობა აქვს ისე... — ამბობს ვანიჩკა და სარკის ზემოთ გაკრულ ფერად პლაკატს აჰყურებს. პლაკატიდან სანახევროდ ტიტველი, ქერათმიანი ქალი იმზირება. — ჰო... ტატო პანკრაშკინი კიდევ საბერძნეთში გადასახლდა... ბოლოს რომ დარეკა, ხუთი წლის წინათ — ოპერაცია გავიკეთეო, ტატიანა პანკრაშკინიდისი გავხდიო... გააფრენ კაცი!... აი ნახე რა პლაკატი გამომიგზავნა... აზზე ხარ? სულ გადაირიენ!.. კიდევ ვინ გითხრა... მდაა... ჰო... დანარჩენები კიდევ ჩვეულებრივად მოკვდნენ... ჰო, მაგდა კიდევ, ზიარ-მაგდა ისევ აქაა... გახსოვს, ზიარ-მაგდა, ერთმანეთი რა მაგრად გიყვარდათ?

ეცინება მამას.

— ახლა ვინ ყავს?

— მაიცა რა!... ვის რაღათ უნდა... ხურმის ჩირივითაა ტანზე, ჩემი თვალით ვნახე... ერთი იშვილა — ე, ისაა... — ეზოსკენ იშვერს ხელს ვანიჩკა.

ეზოსკენ იყურება მამაც. ისევ გუნდად ირევიან ეზოში ბავშვები.

— ქერა როა. იოსკას ეძახის...

— მართლა? მთელ ტანზე ბურძგლავს მამას.

— უ, რა ჩათლახი ბავშვია!.. ამას წინებზე კინაღამ პაჟარი გამიჩინა... ისე, მე მგონი შენ პონტში დაარქვა...

ნაღვლიანდება მამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ სადღა ხარ, იოსკა, რო აღარ ხარ? — უტრიალდება მამას ვანიჩკა და ისევ ზეწრებს აუთოებს.

— სოფელში. — პაუზის შემდეგ პასუხობს მამა და სავარძლის სახელურზე თითებს ნაძალადევად ათამაშებს. — ძროხა მყავს... ბატები... ეზო. ვენახი, ხილი, ბოსტანი...

— ვა, ბოსტანი მაგრად ასწორებს!... მაიცა, მერე ვინ უვლის? — უკვირს ვანიჩკას.

— ვინ მოუვლის... მე ვარ... — უხსნის მამა.

— ი ვსო?

— მეტი ვინ გინდა...

— ვა, შენ რა გიჟი ყოფილხარ... მარტო როგორ ძლებ, ტო... ცოლი-მოლი აღარ მოგიყვანია?

— მარტო რა — მეზობლებია...

— მეზობლებს გავკარი! — ფეთქდება უცებ ვანიჩკა და იქვე წყნარდება: სადალაქოში თავს თმაგვერდზეგადავარცხნილი, წვრილულვაშა კაცი ჰყოფს.

— ბატონო ჯონი, პირის ბალანმა შეგვაწუხა...

— სამამდე პროფილაქტიკა მაქვს... — უგდებს პასუხად ვანიჩკა და საათს დასცქერის. — ხუთს რო თხუთმეტი, მაშინ მოდი...

— ბატონო ჯონი, ერთი წამით არ დავაგვიანებთ! — თვალს ეფარება კაცი.

მამას უტრიალდება ვანიჩკა.

— ახალია. შენ წინ იყიდა ბინა... მგონი პიდარასტია...

— ხომ არ მოწონხარ? — ეღიმება მამას.

განზე ზიზღით აფურთხებს ვანიჩკა.

— ა, ეგლა მაკლია!.. სულ მაღალ ქუსლებზე კი დადის... თან ტრაკსაც ისე აქანავებს...

— მერე შენც რა ტრაკზე უყურებ? — ელაზღანდარება ვანიჩკას მამა და უცებ თავში ირტყამს ხელისგულს. — რამ გამომაშტერა!...

ძველი გაზეთით თავმოხუფულ კალათას ფეხებთან იჩოჩებს მამა და გაზეთს აძრობს.

— ვაა... — აღებს პირს ვანიჩკა და თვალები უბრწყინავს. დაუთოებულ ზეწრებს უმალ კოხტად კეცავს და უჯრაში ინახავს. მერე უთოსაც თიშავს.

ნაირ-ნაირი ნუგბარითაა სავსე კალათა: ვაშლი, მსხალი, თხილი, ბრონეული, კაკალი, ქლიავი, ჩირი, ჩურჩხელა. დაცობილ ბოთლს აქვს თავი ამოყოფილი შუაგულიდან.

ბოთლს იღებს კალათიდან მამა.

— ოტკა? — იფშვნეტს ხელისგულებს ვანიჩკა.

— კარალიოკისაა... ჩემი გამოხდილი.

ფაცურობს ვანიჩკა. საიდანღაც დაბალ მაგიდას აძვრენს. ბოთლს დგამს ზედ მამა და აქეთ-იქიდან ხილს უყრის.

— ჭიქები, ჭიქები... — დაფათურობს სადალაქოში ვანიჩკა. — ვინ რას შეგარჩენს... აზზე ხარ, რა ბოქლომიც არ დავადე, ყველას აღებენ — შემოდიან, ხან რა მიაქვთ, ხან რა... დილით კიდევ ნახმარ განდონებს ვხვეტავ... საგიჟეთია ნამდვილი, ტო...

ბოლოს მაინც პოულობს ორ დაბზარულ ჭიქას ვანიჩკა. მამა ბოთლს საცობს აძრობს და არაყს ჭიქებში ასხამს.

— ვა, ეს უკვე პროფილაქტიკა კი არა, რევიზიაა... — კმაყოფილია ვანიჩკა, სადალაქოს კარს კეტავს და აბრას ატრიალებს.

„შემო“ — იუწყება შიგნითა მხრიდან მუყაოს ოთხკუთხა ნაჭერი.

— აბა, შენ ჩამოსვლას... ჩვენ დახვედრას... — წევს ჭიქას ვანიჩკა და მამას უჭახუნებს.

— კარგათ უნდა ვიყოთ... — დუდუნებს მამა.

უცებ ყლურწავს ვანიჩკა და სახე ემანჭება. მერე ვაშლს იღებს, კბეჩს და ოხშივარს ხმაურით უშვებს ფილტვებიდან.

— ეს სპიდით მკვდარს გააცოცხლებს, ტო! — იძახის აწითლებული და სკამზე ჯდება.

— ამინ... — ამბობს მშვიდად მამა და ისიც სვამს.

ცოტა ხანი უბრად სხედან. მერე ისევ ასხამს ჭიქებში მამა და ვანიჩკას შეჰყურებს.

— და ისინი როგორ არიან? — კითხულობს ხმადაბლა.

— ვინა? — ვერ ხვდება ვანიჩკა და ისევ ვაშლს კბეჩს.

საჩვენებელ თითს მაღლა სწევს მამა.

— ჩემთან... მარია... ბავშვი.

ჯერ წარბს კრავს ვანიჩკა. მერე პირს აჩერებს.

— ე, არ იცი?

— საიდან აბა?... — იჩეჩავს მხრებს მამა. — მე იქ ვარ... ეგენი აქ...

— მაიცა-მაიცა, სულ არაფერი არ იცი?

უარის ნიშნად აქნევს თავს მამა.

— ვა, მე მეგონა რეკავდი ხოლმე, კითხულობდი...

თავს ქირდავს მამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგარი ხარ აი... ეგ რანაირი მამა ხარ, ტო?... არა, ძმაო, აგერ მე, ჩემი ანჟელა ხო ლოსანჟელესში გათხოვდა — მაინც ყოველდღე ვრეკავ, ვაკონტროლებ...

— სოფელში არაა ტელეფონი... — ამბობს თავისთვის მამა და დუმდება.

— ბიჭი კარენი ლოს-ანჟელესელი გამოუჩნდა... კუტურიეა...

— ვინაა? — ვერ ხვდება მამა.

— არა, განა ეგ ცუდი სიტყვაა, ტო... ფრანგული სიტყვაა... ქალების მკერავს ნიშნავს... ვსმისლე ტანსაცმლის მკერავს. ჩემი ანჟელას ბიჭი... — დანანებით აქიცინებს თავს ვანიჩკა და ვაშლს ახრამუნებს. — შენები რამდენი ხანია არ გინახავს, ესე იგი? ლეტ სემ... ვოსემ?

— ოცდაერთი.

— ო, ბოჟე! — დგება ფეხზე ვანიჩკა და ბოლთის ნერვიულად ცემას იწყებს. — მერე რას მიზიხარ აქ!... დალევას ხომ მერეც მოვასწრებთ!... ოცდაერთი რა ამბავია?!

— და როგორ არიან?... — კითხულობს მამა.

— როგორ იქნებიან... — ვაშლის ნარჩენს ნაგვის ყუთში აგდებს ვანიჩკა და ხელებს ხალათზე იხოცავს. — ჯანმრთელად!.. ეკლესიაში დადიან. იქ მღერიან თუ რაღაცა. ჰო... მარია ლაბორატორიაშიცაა... თაგვებს ჭრის შუაზე და მიკროსკოპით უყურებს. ვა, ესე იგი გოგოც არ გინახავს?.. აბა შენა ხარ!.. ე, იცი, რა გოგო გყავს?... ბავშვიო ვინაა ბავშვი, ეგეთი მეორე არ დადის მთელ უბანში, ბიჭები ხოცავენ ერთმანეთს მაგის გულისთვის. ერთიორჯერ პერესტრელკაც იყო მურტალი... აეს ვიტრინა მაგათ ჩამიმსხვრიეს, ძლივს ვიშოვე შუშა... — ვანიჩკა ხელს სადალაქოს ფანჯრისკენ იწვდის. — თან რა კეთილი გოგოა, რა კეთილი... ვა, შენც რა მაგარი ხარ... არაფერი არ იცი. მე კიდევ მეგონა ყველაფრის აზრზეა-თქო...

— აბა საიდან? — იწურავს მხრებს მამა.

ისევ სკამზე ჯდება ვანიჩკა და ჭიქას იღებს.

— მერე რას აპირებ?

— მოვიკითხავ. — ამბობს მამა და ხილით სავსე კალათისკენ იყურება.

— უნდა მოიკითხო, აბა რა უნდა ქნა?...

— თან... დღეს ჩვენი ქორწინების ოცდახუთი წლისთავია...

— ეეე... — იქნევს ხელს ვანიჩკა, უცებ მშვიდდება, ტკბება და მაღლა სწევს ჭიქას. — მოდი, მაშინ ძმაო, დღევანდელ დღეს გაუმარჯოს!...

— ოღონდ ოცდახუთი წლის წინათ... — უჭახუნებს ჭიქას მამა და ერთდროულად სვამენ. ჩურჩხელას ტეხენ მერე.

— ეს რა დრო გასულა თურმე... — ამბობს თავისთვის ვანიჩკა და ყურიდან ყურამდე გაღიმებული ფიქრებში მიდის.

— და როზა როგორაა? — კითხულობს მამა.

— ეჰ... — სევდიანდება ვანიჩკა. — სადღაა როზა... ჩემი როზა რა ხანია პეტრე-პავლეზეა... ბიუსტიც დავუდგი შავი მარმარილოსი...

ისევ სიჩუმე ვარდება სადალაქოში. ეზოდან ოდნავ თუ აღწევს ბავშვების ჟრიამული.

— მერე რანაირად გაცვია, ტო? — ამბობს უცებ ვანიჩკა და დასერიოზულებული ფეხსაცმელებზე დაჰყურებს მამას.

ხევდება მამა. სახეზე სიწითლე დაურბის. ისიც ფეხსაცმელებზე იყურება.

— მაშინდელია ესენი... — ლუღლუღებს ჩუმად. — ქორწილში მეცვა... დაძველებულა.

— ტუფლები კ ჩორტუ! — ყვირის ვანიჩკა. — მაგრამ შარვალი დაჭმუჭნული და საროჩკა სველი?!.. კაი რა... შენ და ეგრე?

— ცხელოდა ავტობუსში... — იმართლებს თავს დარცხვენილი მამა. — თან სავსე იყო... თან...

— გაიხადე აბა, დროზე გაიხადე!... — აღარ უსმენს ვანიჩკა. — ხელად გაგიუთოებ!... სულ ახალს დაგიმსგავსებ!.. დროზე, ჰე! არ ამაყვირო.

იბნევა მამა.

ფეხზე დგება ვანიჩკა და უთოს რთავს ისევ.

— დიდხანს გელოდო? — უტრიალდება მამას. — დენი ტრიალებს... ვალუტა!

— სირცხვილია... — ლუღლუღებს მამა.

— რა არის სირცხვილი?!... ნიფხავი არ გაცვია თუ რა?...

— ვინმე რომ შემოვიდეს...

— ვინმე კი არა!... დაკეტილი ვარ, ვერა ხედავ? — ამრეზით იქნევს ნიკაპს ვანიჩკა. — თან წვერიც გასაპარსი გაქ... თმაც გასაკეთებელი. ბოლოს როდის გაიკეთე თუ გახსოვს?... ყველაფერს მოვუვლით... შენ დალაქი ჯონი არ იცი... ჰე, დროზე-მეთქი! რას მაყაყანებ?! — შამფურივით ტრიალებს ვანიჩკა და საუთოებელს აწყობს.

მორიდებით იწყებს გახდას მამა. ჯერ პერანგს იხდის და მორიდებით უწვდის ვანიჩკას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელსზევით შიშველ მამას მთელ ზურგს უზარმაზარი სვირინგი უფარავს. დიდი ეკლესია აქვს ამოსვირინგებული ზურგზე მამას.

— ეგ რა გაქ, ტო? ამბობს ვანიჩკა, ხალათის ჯიბიდან ლუპას იღებს და მამას ზურგს უთვალიერებს.

— არაფერი... ვიმაიმუნე ჩემთვის... ციხეში...

ზურგზე ისევ ლუპით დასცქერის ვანიჩკა მამას.

— არა, ძმაო, ეს მაიმუნობა კი არა, ხელოვნებაა... ვაა... — იქნევს თავს ვანიჩკა. — მართლა გიჟი ხარ აი... გამოდის, კაი ხანი იჯექი... რამდენი, ესე იგი?

— თხუთმეტი.

თვალისდახამხამებაში ჭიმავს პერანგს საუთოებელზე ვანიჩკა, სველ ტილოს აფარებს და უთოთი სწრაფად უვლის ზედ.

უცებ აუთოებს.

— სუპერ-ლაით! ხომ ვარ იური ჯორკაეფი? — თვალებგაბრწყინებული აფასებს თავის ნახელავს და სკამის საზურგეზე ფენს გაუთოებულ პერანგს.

— ვინაა? — ვერ ხვდება მამა.

— ჩვენიანია ერთი, კაი ბიჭი... ახლა შარვალი! — უტრიალდება ვანიჩკა მამას. ჯერ ქამარს, მერე ხვანჯარს იხსნის მამა. შემდეგ შარვალსაც იხდის და გრძელ ფოხანში რჩება.

— სულ არ შეცვლილხარ ისე... — ათვალიერებს ვანიჩკა მამას და შარვალს ართმევს. — ეგრევე გიცანი... იოსკაა-მეთქი. პროსტო თმა გაქ გრძელი... მაგ წვერში კიდევ ბანდიტს გავხარ. ერთიც დავარტყათ.

ცალი ხელით უცებ ასხამს ჭიქებში არაყს ვანიჩკა.

— აბა, მოგონებების იყოს!

ჭიქებს უჭახუნებენ და ერთდროულად სვამენ.

მერე შარვალს უტრიალდება ვანიჩკა. ღიღინსაც იწყებს.

გრძელ ფოხანსა და დაბრეცილ ფეხსაცმელებში ზის მამა. ეზოს გაჰყურებს. კვლავაც გორგოლაჭებიან ფიცრებზე დგანან ბავშვები და აქეთ-იქით ჟივილ-ხივილით დაქრიან.

— გახსოვს, ვანიჩკა, ჩვენი ფიცარი? — კითხულობს უცებ მამა.

ეზოსკენ იხედება ვანიჩკა და იღიმება.

— სხვა რა მახსოვს!... — ამბობს და შარვალს ატრიალებს. — ის ფიცარი ახლაც შენახული მაქვს ჩერდაკში... ერთი ბორბალი აქვ ლია... მგონი ეგეც მომპარეს... რა სალტოებს აკეთებდი!... აქ ეგეთი მაგარი ახლაც არავინაა...

კვლავ ფეხსაცმელებზე იყურება მამა.

გაუთოებულ შარვალსაც სკამის საზურგეზე ფენს ვანიჩკა, მაკრატელს სწვდება და ჰაერში აკრაჭუნებს.

— ახლა კი პური და ყველი... აბა სარკისკენ გატრიალდი!...

სავარძლიანად სარკისკენ ტრიალდება მამა და თავის ანარეკლს მორიდებით შესცქერის.

— აი ეგრე... მალადეც!

თავის გაუთოებულ, თეთრ ზეწარს აფარებს ვანიჩკა მამას და კისერთან უნასკვავს.

— ჰე, როგორ ვქნათ... კანი გამოჩნდეს?

❋ ❋ ❋

სადარბაზოს კიბეებს ნელი ნაბიჯით მიუყვება მამა. ხელში ისევ თავისი, მოზრდილი კალათა უჭირავს — მძიმე და ძველი გაზეთით თავმოხუფული. ფეხსაცმელი კვლავაც ძველისძველი, ქუსლებდაბრეცილი და დაჭყლეტილი აცვია, სამაგიეროდ შარვალი აქვს კოხტად გაუთოებული — თავვისფერი პერანგიც; თმაც მოდურად, თუმცა ოკრობოკროდ შეუჭრია, წვერიც პირწმინდად გაუპარსავს, მაინც ნერვიულობს, თითქოს გულიც აქა-იქ უცემს — ხან ხმამაღლა, ბრახუნით, ხანაც პირიქით.

სუსტად მბჟუტავი ნათურა ანათებს სადარბაზოს და ისიც ზუსტად ისეთია, როგორიც ბავშვობიდან ახსოვს მამას — გრილი და ექოიანი.

მეორე სართულზე ასულს მაინც ოფლი ასხამს, არ ჩერდება, კიდევ ერთ სართულს ადის და აყურადებს. ხმაურია სადარბაზოში. აქა-იქიდან სხვადასხვა არხებზე ჩართული ტელევიზორის ხმები ისმის:

„... მერე, ერთხელაც იმეილით გამოუცხადებ, რომ ორსულად ხარ — სულაც არაა აუცილებელი მისგან იყო...“

გზას განაგრძობს მამა. კიდევ ერთ სართულს იტოვებს უკან და მხოლოდ მერელა ისვენებს. ოფლი უკვე ღვარად ჩამოსდის სახეზე, იმშრალებს ცხვირსახოცით და მაინც...

„... მამაო, ჩემი ქმარი ხშირად თამაშობს ტოტალიზატორში, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?...“

ბოლო სართულამდე ასული უკვე მთლიანად სველია მამა — არც პერანგსა და არც შარვალს ეტყობათ რამე ცოტა ხნის წინ გაუთოებულის.

„გვახსოვდეს — ადამიანი ცხონდება (გადარჩება) არა ამა თუ იმ ნიჭით, არამედ ღვთის წყალობით და თავისუფალი არჩევანით: იყოს თუ არა ღმერთთან“.

თავისი ყოფილი ბინის კარს მაშინვე ცნობს მამა. კარი ისეთია ისევ, ხის, მქრქალნაკაწრებიანი:

„იოსკა-სოსკა“... „იოსკა პლიუს მადგა“... „1980“... „იოსკა, ვანჩკა, ალიკა, გივა = ძმებს...“ „დინამო — არარატ 4:0“...

ბავშვობისდროინდელი ნაკაწრები სულს უგუბებენ მამას — ყელთან მლაშე გორგალი ებჯინება, კალათს ძირს დგამს და კარს დაკოჟრილ ხელისგულს უსვამს. თითქოს თბება. მერე ჯიბიდან ისევ ცხვირსახოცს იღებს და სველ სახეს იმშრალებს. ხშირ-ხშირად მსუნთქავს გული ამოვარდნაზე აქვს.

„... მართალიცაა! ამ კომპიუტერებმა ხომ სულ გამოგვილენჩეს კაცები, ყავის სმამ საერთოდ მოუსპო მათ ჭეშმარიტი სიყვარულის სურვილი, სიგარეტი კიდევ — ღმერთმა უწყის რა უბედურებაა შიგნით გარეული...“

მის უკან კარი იღება ამ დროს. სწრაფად გატრიალებული მამა სპორტულ შორტებში გამოწყობილ იმ წვრილულვაშას ხედავს, ხუთისთვის რომ დაიბარა ვანჩკამ სადალაქოში.

„... მასთან ბრძოლა უპირატესად სულიერი უნდა იყოს, რაც შედის კიდეც ეკლესიის ფუნქციაში...“

ბინიდან მოხდენილი ნაბიჯით გამოდის კაცი და კარს კეტავს, თან ამრეზით ათვალიერებს მამას. მერე ტანის კოხტაპრუწა ქნევით ჩარბის კიბეებს და თვალს ეფარება.

„... ერთი შეკითხვა მაქვს, მამაო გეგა — ბავშვებს ვამზადებ ინგლისურში და ამის გასამრჯელოდ ფულს ვიღებ მათგან — ცოდვად თუ მეთვლება?...“

ისევ თავისი ყოფილი ბინის კარისკენ ტრიალდება მამა და ფიქრობს. თანდათან წყნარდება, მშვიდდება. მერე ხელს იწვდენს და ზარის ღილაკს გაუბედავად აჭერს თითს. ზარი ბავშვობისდროინდელ ხმაზე ჟღრიალებს და უცებვე წყდება.

ყუჩდება თავიდან მამა. შემდეგ ისევ იბაბუნებს. ჯიბიდან სათვალეს იღებს. იკეთებს. ისევ ბიბინის და კვლავ ჯიბეში იბრუნებს.

ცოტა ხანში ნაბიჯების ხმა ესმის მამას. ხმა ახლოვდება და უეცრად წყდება. ხვდება მამა, რომ საჭვრეტიდან უყურებენ და წითლდება.

„...ღრმულები, რომლებიც კი ბუნებაში მოიძებება — კლდის ქვაბულები, ვულკანთა კრატერები, ადამიანის ხვრელები — ყოფიერების ამოუცნობი ძალებისკენ მიმავალი იდუმალი გზებია...“ — ღაღადებს ბინაში ჩართული ტელევიზორი.

კარს ჯაჭვზე აღებენ და ვიწრო ჭრილში საოცრად ლამაზ, ცისფერთვალებიან, მზით გარუჯულ სახეს ხედავს მამა.

„...თუმცა, შენც მართალი ხარ — ვისღა ახსოვს, რომ ჩვენ სწორედ მათი გულებისთვის ვიკეთებთ ცხვირის, ტუჩების, მკერდისა და კიდევ სხვა ადგილების ოპერაციას“

ღია კარის ჭრილიდან თავიდან ფეხებამდე ათვალიერებს ენაჩავარდნილ მამას გოგო და მზერას მის დაჭყლეტილ ფეხსაცმელებზე აჩერებს.

— ერთი წამით... — იძახის მერე წკრიალა ხმით და კარის ჭრილიდან ქრება.

ვერაფერს ხვდება მამა; — აყურადებს. მხოლოდ ჩქარი ნაბიჯების ხმა ესმის, ნელ-ნელა რომ წყდება.

„...მაგ გაზეთში მაგალითად, გლდანში თუ ცხოვრობ, არ დაგბეჭდავენ...“

ცოტა ხანში კვლავ ნაბიჯების ხმა ახლოვდება, ჯაჭვის ჩხარუნიც ისმის და კარიც ბოლომდე იღება.

ისევ უსაშველოდ ლამაზი, მზით გარუჯული, ჩამოქნილი გოგო დგას ღია კარში.

„...დღეს დოლარის გაუფასურების ტენდენცია მძლავრობს მსოფლიოში. ამიტომ, ამერიკელებზე თავის შეკავება გმართებთ. გირჩევნიათ კორეელი იყოს, ან ბოსნია-ჰერცოგოვინელი, თუნდაც შვედი...“

ხელში შავი პური უჭირავს გოგოს.

— ხურდები სულ არ დამრჩენია... დედაც არაა... აი ეს გამომართვით...

თავისდაუნებურად უშვერს ხელს გოგოს სულ მთლად დამუნჯებული მამა და ისიც პურს აჩეჩებს ხელში.

— იმას ტყუილად ნუ თხოვთ, მაინც არაფერს მოგცემთ... — უთითებს მოპირდაპირე კარზე გოგო და კარს ცხვირწინ უკეტავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ნაბიჯების ხმა ესმის მამას, რომელიც მალევე წყდება.

კვლავ ხმაურია სადარბაზოში – ნაირ-ნაირი ფრაზები სხლტება სხვადასხვა არხებზე ჩართული ტელევიზორებიდან.

„...უბრალოდ, თქვენ აძლევთ, კარგად დაუკვირდით, საკუთარ ყველაზე წმინდა ნაწილებს (საიდანაც სიცოცხლე იღებს სათავეს), სასირცხო და ბინძურ მნიშვნელობას!...“

კარის წინ პურით ხელში დგას მამა და ისევ აქა-იქ უცემს გული. ტრიალდება მერე, პურს სუნავს და ნელი ნაბიჯით უყვება კიბეს.

ერთ-ერთ საფეხურზე უეცრად შეყოვნებული უკან იხედება მამა და თავის კალათას აჰყურებს, კარის წინ გაფენილ ტილოზე დგას კალათა და თავი მჭიდროდ აქვს მოხუფული ძველი გაზეთით.

„...დღეს კი, ყველაფერი ყირამალაა! ქალებმა შარვლები ჩაიცვეს და თმა მოკლედ შეიკრიჭეს. ზოგმა ფეხების პარსვასაც კი თავი მიანება – მაინც სულ შარვალი მაცვიაო“

❋ ❋ ❋

შავი პურით ხელში ნელა ჩამოდის კიბეებს მამა. მთლიანად გალუმპულს გრძელსახელოებიანი, თაგვისფერი პერანგი ისევ სასაცილოდ ადგას ტანზე. შარვალიც კვლავ მუხლებგამობერილი აცვია; – ფეხსაცმელიც ძველი, ქუსლებდაბრეცილი და დაჭყლეტილი. ისევ ისეთი, ნაცნობია სადარბაზო – გრილი და ექოიანი – კვლავაც ნათურის სუსტი შუქით განათებული. ბინის კარიც არ გამოუცვლიათ მაინდამაინც, კედლებიც არ შეუღებავთ, და ყველაფერი, მაშინდელი – იმდროინდელი ჩხაპნილები, ჭერზე აკრული ასანთის ნამწვები, ლაქები – ჯერაც ზედაა: გუშინდელივით, თუ გუშინწინდელივით.

ყოველ საფეხურს ცნობს მამა, ყოველი ნაბიჯი ზრიალით დაუდის მთელ სხეულში და ისევ ცხელა, ოფლი წურწურით ჩამოსდის სახეზე, იქიდან ყელში, მერე უფრო ქვემოთ... თან სადარბაზოდან გამოსულს გორგოლაჭებიან ფიცარზე შემდგარი ქერა ბიჭი ეჯახება და კინაღამ აქცევს.

– Извините дядя, я ненарошно!

ფიქრებიდან უმალ ერკვევა მამა, ნალვლიანად ულიმის ბიჭს და ხელისგულს უთათუნებს თავზე.

ერთ-ერთი სართულის ღია ფანჯრებიდან ჩაღღეგრძელოები და ჭიქების წკარუნის ხმა ისმის:

„...ამ ჭიქით, ამ უძირო სასმისით, მეგობრებო, მე მინდა ის უდიდესი გულისტკივილი, მწუხარება, თავზარდაცემა და რავიცი გამოვხატო, ჩვენი ძვირფასი ბიჭიკოს დიდებული სიდედრის, ტრადიციების მიმდევარი ქალის, ინტელიგენტი დედის უდროოდ წასვლისდა გამო...“

– შე რა გქვია?

– Иоска. – პასუხობს ბიჭი და წაგორიალებას აპირებს.

– დამაყენებ? – უთითებს უცებ ფიცარზე მამა.

გაკვირვებით იჩეჩავს მხრებს ბიჭი; მერე ფიცრიდან ჩამოდის, განზე დგება.

„...ამ კეთილშობილმა პიროვნებამ, დამეთანხმებით, ისეთი ნატიფი სიყვარული ჩაგვინერგა ყველას თავისი რაობითა და ვინაობით, და განსაკუთრებით კი ჩვენს დაქვრივებულ ბიჭიკოს, რომ შეხედეთ ხალხნო და ჯამაათნო, რას უგავს ჩვენ ბიჭიკოს თვალები... და არა მხოლოდ თვალები! ეს ხომ დარდის მზერაა, უთქმელი გლოვისა და ვარამის მზერაა, და რავიცი!...“

მკვირცხლად ხტება გორგოლაჭებიან ფიცარზე მამა, ცალი ფეხის წვერს მთელი ძალით ჰკრავს ასფალტს და შუა ეზოსკენ მიგორავს. ვიდრე ეზოს შუაგულამდე მიაღწევდეს, ხელში შავი პურით ხტება ჰაერში, წრიულად ბრუნავს და ფეხისგულებით ისევ ფიცარს ებჯინება.

მერე ფრთხილად ჩამოდის, ფიცარს იღებს და ბიჭისკენ მოემართება.

– როგორი იყო?

„...სიცოცხლით აღსავსე, დიდებული და ბრწყინვალე ქალბატონი წავიდა ჩვენგან... წავიდა და დაგვტოვა ყველანი მგლოვიარედ, ძაძით მოსილები, მაგრამ ვითვალისწინებთ რა, რომ სიკვდილის შვილები ვართ ჩვენ ყველანი – წესია ასეთი ბუნების და კანონია, იგი მისი, მაშინ ჩვენც იგივე გზას უნდა ვეწიოთ ადრე თუ გვიან... ჰოდა აქედან გამომდინარე, არც ისე დიდი მანძილი უზის შორის სააქაოსა და საიქიოს. იქ გააგრძელებენ სიძე-სიდედრობას ჩვენი ბიჭიკო და...“

აგდებულად ასცქერის ბიჭი მამას და ფიცარს უკმეხად ართმევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— Это что, дядя, здесь двадцать лет тому назад один Йоска жил, вы бы видели, он катался! — პასუხობს ცივად და გორგოლაჭებიან ფიცარზე შემდგარი ეზოს შუაგულისკენ მიგორავს.

თავიდან ფეხებამდე აურჟოლებს მამას და სადალაქოსკენ აპარებს მზერას.

„...ქალმა, რომელმაც სხვათა და სხვათა ლოცვა-კურთხევაში გალია მთელი თავისი წუთისოფელი — ქალი, რომელმაც დიდი ხნის წინ დაკარგა დიდებული მეუღლე, უსათნოესი ქალიშვილი, უპრესტიჟულესი თანამდებობა და მაინც არ გატყდა წელში: ჩვენს ბიჭიკოსთან ერთად ბოლომდე სწია საოჯახო ჭაპანი, არ ჩაუქრია კერა და...“

წვრილულვაშას პარსვითაა დაკავებული ვანიჩკა, ეზოში კი კვლავაც ბავშვების ჟრიამულია — ისევ აქეთ-იქით დაქრიან და ერთმანეთს გორგოლაჭებიანი ფიცრებიდან ხელისკვრით ჩამოგდებაში ეჯიბრებიან ბავშვები.

უჩუმრად ჭრის ეზოს მამა და თაღის გავლით განიერ ქუჩაში გადის.

ტრანსპორტის ხმაურია ქუჩაში და დანისლული, მტვრიანი ბულიც დგას ზაფხულის. ცხელ ნიავს მეგაფონში ნათქვამი წყვეტილი ფრაზა მოაქვს. სადღაც შორიდან მომიტინგეთ გუგუნიც ისმის. ყოვნდება მამა. მდუმარედ დასცქერის შავ პურს. შემდეგ თავს იღებს — აქეთ-იქით იყურება. მერე მძიმედ აქნევს თავს და იქვე მდებარე ლუდხანისკენ იძვრის.

❋ ❋ ❋

— ვობლა არი?

— არის.

— მაიტა აბა ერთი. — ჯიბიდან დაჭმუჭნულ ფულს იღებს მამა და დახლზე დებს. — ოღონდ კაი ამირჩიე... — გაგირჩიო ბარემ?...

— მე თვითონ... პური არ მინდა.

— პივა?

— არც პივა.

თევზს ცელოფანის თხელ პარკში დებს დახლიდარი და ისე აწვდის მამას.

მამა ართმევს. ათვალიერებს. თან ეროსავს, მერე თვალებს ხუჭავს.

— მაიცა კაცო, შენა იოსკა არა ხარ? — ესმის უეცრად დახლიდარის შეძახილი მამას და ისიც უმალ ახელს თვალს — დახლიდარს უსწორებს მზერას.

ცოტა ხანი მდუმარედ შეჰყურებენ ერთმანეთს.

„...რადიო-რეპორტაჟს გაუძღვება თქვენი ყურმოჭრილი მონა-მორჩილი...“ — დუდუნებს კედლის რადიო.

წარბს კრავს მამა.

— არა! — ამბობს იქვე. უარის ნიშნადაც აქნევს თავს და გატრიალებული სწრაფად გადის გარეთ.

❋ ❋ ❋

მდინარის მოაჯირთან დგას მამა და მოაჯირს იდაყვებით ეყრდნობა. წინ გაშლილ, თხელ ცელოფანზე განახევრებული შავი პური და დაქუცმაცებული თევზი უდევს. მისგან მოშორებით, ასევე მდინარის მოაჯირზე, ბელურები სხედან და პურის ნამცეცებს კენკავენ.

„... ბოლოსდაბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, როდესაც ძლიერ გწყურიათ, ვისი ხელისგულიდან დალევთ წყალს? ...თანაც ხომ გახსოვთ — წყალი ჭეშმარიტებაა, რადგან ის არც ტკბილია და არც მწარე!...“ — შორიდან ისევ მომიტინგეთა გუგუნი ისმის.

ნაგავი მიაქვს მდინარეს.

ყარს ყროლის სუნად.

პეწიანად ჩაცმული, გულზე წიგნმიხუტებული მამაკაცი უახლოვდება მამას.

— მაპატიეთ, მაგრამ ხომ არ ისურვებდით უფრო მეტი გაგეგოთ მარადცოცხალი ღმერთის შესახებ? — ეკითხება თავაზიანად.

ძველისძველ, ქუსლებდაბრეცილ, დაჭყლეტილ ფეხსაცმელებშია, მამა. არც მუხლებგამობერილ შარვალს ეთქმის ახალი; — იღლიებამოველებული, გრძელსახელოებიანი თაგვისფერი პერანგი კი საერთოდაც დიდი აქვს და უხერხულად ადგას ტანზე.

თევზსა და პურს შეექცევა მამა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ქართველიშვილი

წავედი

მოთხრობა

I

ზარია. ვიღაც მოვიდა. ვწევარ. საბანი მაქვს თავზე წაფარებული. ნახევრად ჯერ კიდევ მძინავს. თვალებს ვახელ და ვხედავ, რომ ბნელში ვარ. ასე თავზე წაფარებული საბნის გამოა. თვალებს ვხუჭავ და კვლავ სიბნელეში ვარ. ოღონდ ახლა დახუჭული თვალით. კვლავ ზარია. ეტყობა არც დედაა სახლში და არც ჩემი და. უცნობი ზარია. კარს იქით არც დედაჩემია და არც ჩემი და. ორივეს ზარს ვცნობ. დედას ზარი მოკლეა, მაგრამ ხშირად მეორდება, ხოლო ჩემი და ღილაკს თითს რომ მიაჭერს, კარის გაღებამდე არ იღებს. ესეიგი ვიღაც უცხოა. ადგომა მეზარება. გუშინ მამას ორმოცი იყო და დავთვერი. მაგრად დავთვერი, გამონაყოლში ვარ და ყველაფერი მეზარება. სისულელეს ვფიქრობ: მამა ხომ არ გაცოცხლდა? მე მამას ზარსაც ვცნობ, მაგრამ შეიძლება ის ორმოც დღეში ძალიან შეიცვალა და ახლა ყველაფერს ახლებურად აკეთებს, ზარსაც ახლებურად რეკს. რადგან ეს ზარი, რომელიც კვლავ მეორდება, მამას ზარი არ არის...

გუშინ ამბობდნენ, რომ სიკვდილი არ არსებობს, რომ მამა ცოცხალია. უბრალოდ სხვა სამყაროშია. მე ეს მჯერა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სიკვდილის არ მეშინია, ადამიანი ვარ და ყველაზე მეტად არარსებული რამეების მეშინია...

ზარი კვლავ მეორდება, ვდგები. ფეხებს იატაკზე ვატყაპუნებ. ვამთქნარებ, ვიზმორები და კარისკენ მივდივარ. შუა გზაზე მახსენდება, რომ ნახევრად შიშველი ვარ. ვფიქრობ: რა იცი, ვინ არის? ვბრუნდები ოთახში. ვიცვამ. ამასობაში ზარი მეორდება და მე ხმამაღლა ვამბობ:

— ახლავე. ახლავე. მოვდივარ. და აღარ ვჩქარობ. პირს ვიბან. კბილებს ვიხეხავ.

კართან მისული კვლავ სისულელეს ვფიქრობ: მართლა მამა რომ იყოს, რა მაგარი იქნება! ძალიან მაგარი იქნება. როგორც კი კარს გავაღებ, მომაყრის და მომაყრის: ან გასაღები ჩაგეყოლებინათ, ან სწრაფად იმოქმედეთ. დედაშენი და შენი და სად არიან? მე მხრებს ავიჩეჩავ. შემდეგ მამას ჩავეხუტები. ვგრძნობ, რომ ცოტაც და ავტირდები, მაგრამ როგორც ყოველთვის, ცრემლებს ვყლაპავ და ვფიქრობ, რომ ნერწყვს ვყლაპავ.

შემდეგ კარს ვაღებ.

II

ისინი ორნი არიან. დგანან; ერთი მარცხნივ, მეორე მარჯვნივ. მე მირჩევნია, რომ ერთი მაღალი იყოს, მეორე — დაბალი. ან ერთი ქერა იყოს და მეორე — შავგვრემანი. მოკლედ ადვილად გასარჩევები რომ იყვნენ, ის მინდა. მაგრამ ასე არ არის.

ისინი ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან. უფრო სწორად, მე ვერ ვანსხვავებ მათ ერთმანეთისგან. მაპატიეთ, ბატონებო.

კიდევ კარგი, რომ ერთი მარცხნივ დგას და მეორე მარჯვნივ.

მარცხნივ მდგომი საბუთს მაჩვენებს და მეუბნება:

— კაპიტანი...

არ მაინტერესებს კაპიტნის სახელი და გვარი.

შემდეგ ის მარჯვნივ მდგომზე მანიშნებს და მეუბნება:

— მაიორი...

არც მაიორის სახელი და გვარი მაინტერესებს.

ვფიქრობ: მარცხნივ რომ დგას, ის კაპიტანია. მარჯვნივ რომ დგას, ის მაიორია.

მე მათ ვუყურებ და უკვე ვამჩნევ, რითი განსხვავდება მაიორი კაპიტანისგან. ის სულ ოდნავ უფრო ამაყია კაპიტანზე და კიდევ: კაპიტანი ლაპარაკობს, მაიორი ჩუმადაა.

ჩუმად ვარ მეც.

კაპიტანი ჩემ გვარს და სახელს ამბობს და მეკითხება:

— თქვენ ხართ?

— დიახ. მე ვარ — მეც ავლაპარაკდი.

— ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ.

პირი მიშრება, მაგრამ ვცდილობ და ჩემი აზრით ვხუმრობ:

— ასე შინაურულად ჩაცმული თუ საგარეოდ გამოვეწყო?

— ჯობია საგარეოდ გამოეწყოთ — მეუბნება კაპიტანი.

მიხარია, რომ ის თქვენობით მომმართავს. ეს თქვენობით მომართვა ხავსია და მე ამ ხავსს ვეჭიდები. ნეტავ რამდენ ხანს გაძლებს ეს ხავსი? ნეტავ დიდხას გაძლოს!

— მობრძანდით — ვეპატიჟები მოლაპარაკე კაპიტანს და ჩუმ მაიორს სახლში — ჩაცმას დრო ჭირდება და აქ ხომ არ იდგებით.

ისინი შემოდიან და აქამდე ჩუმი მაიორი ამბობს:

— აქა მშვიდობა.

მე მაიორს ვულიმი. მაიორი არ მიღიმის. ვგრძნობ, რომ ხავსი სიმყარეს კარგავს. გულშეკუმშული კარს ვკეტავ.

ჯერჯერობით გარკვეული მხოლოდ ისაა, რომ სამივეს ლაპარაკი შეგვიძლია.

III

მაიორი და კაპიტანი ლოჯიაში, დივანზე სხდებიან.

— ჩავიცმევ და დაგიბრუნდებით — ვპირდები მაიორს და კაპიტანს. უფრო მაიორს, რადგან ჩინით, ის მაღლა დგას კაპიტანზე. ჩემზე ეს უნებურად მოქმედებს.

— თუ გინდათ ტანსაცმლის შერჩევაში დაგეხმარებით. ფერთა შეხამება, სოლიდარობა — კაპიტანი წამოდგომას აპირებს.

მე არ ვაცლი. ვეუბნები:

არა, არ არის საჭირო, გმადლობთ, ბრძანდებოდეთ.

— კაპიტანი სამსახურში ჩადგომამდე დიზაინერი იყო — ამბობს მაიორი და იღიმის. კაპიტანიც იღიმის. მე ვცდილობ გაღიმებას. ზუსტად არ ვიცი, კარგად გამომდის თუ არა. მგონი არ გამომდის — ვხუმრობ. რა თქმა უნდა ვხუმრობ.

მაიორი კაპიტანს მხარზე უტყაპუნებს ხელს.

მე მათ ვტოვებ. საძინებელში შევდივარ. გარდერობის კარს ვაღებ. კარი ჭრიალით იღება, გარდერობი ძველია. ბებიას და ბაბუას (მე ვერცერთს ვერ მოვესწარი. არც ვნუხვარ და არც მიხარია ეს ამბავი. რატომ უნდა ვნუხდე? რატომ უნდა მიხაროდეს?) ნაქონი.

მე არ მაქვს ლტოლვა ძველი ნივთებისადმი. ამიტომაც დიდი სიამოვნებით გავცვლიდი ამ ძველ გარდერობს ახალში. აი, ჩაივლის ეს ამბავი და გაზეთში განცხადებას გამოვაქვეყნებ: ვცვლი ძველ გარდერობს ახალ გარდერობში. ალბათ ვიღაც დამთხვეული კოლექციონერი გამომეხმაურება. შეიძლება არც გამომეხმაუროს. არ ვიცი.

საერთოდაც არაფერი არ ვიცი, არ ვიცი დამთავრდება თუ არ დამთავრდება ეს ამბავი, რა უნდათ ჩემგან მაიორს და კაპიტანს, ორივეს ერთი და იგივე რამ უნდათ ჩემგან, თუ ცალ-ცალკე სურვილები აქვთ.

ვფიქრობ: რატომ ვცხოვრობ მერვე სართულზე. მეორეზე რომ ვცხოვრობდე გადავხტებოდი და გავიქცეოდი. იქნებ გაქცევა არ არის საჭირო. თუ გაქცევა არ არის საჭირო, მაშინ გამოდის ძალიან კარგია, რომ მერვე სართულზე ვცხოვრობ, მერვე სართული ხელს მიშლის არასაჭირო რამის გაკეთებაში. არ ვიცი, არაფერი არ ვიცი.

— ხომ კარგად ხართ? ხომ მშვიდობაა? — კაპიტანის ხმაა. წუხს ჩემზე.

ვპასუხობ:

— კარგად ვარ. მშვიდობაა.

— ძალიან კარგი — ეს უკვე მაიორის შეფასებაა.

IV

საგარეო ტანსაცმლის დიდი არჩევანი არ მაქვს. ორი კოსტუმი ერთი შავი ზამთრის და ერთიც ხორბლისფერი (საგაზაფხულო). ორი პერანგი. ორი წყვილი ფეხსაცმელი. არცერთი ჰალსტუხი. ჰალსტუხებს ვერ ვიტან. ჰომოსექსუალივით ვმეტყველებ. რა ჯანდაბაა, ჰალსტუხებს ვერ ვიტან. ეტყობა, რაღაც-რაღაცეები, მართლა ურთიერთკავშირშია.

ახლა გაზაფხულია. თბილი დღე დგას გარეთ. ამიტომაც თეთრ კოსტიუმს ვიცვამ.

ვფიქრობ, რომ მშვენივრად გამოვიყურები.

მაიორთან და კაპიტანთან გავდივარ.

— მშვენივრად გამოიყურებით — მაიორი მეუბნება.

მეც ასე ვფიქრობ-თქო ხომ არ ვეტყვი. უხერხულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გმადლობთ — ვამბობ მე.

— წავედით — კაპიტანი ამბობს.

ნებართვას ვითხოვ:

— თუ შეიძლება, წერილს დავუტოვებ დედას და ჩემს დას.

— ნუ შეწუხდებით — კაპიტანი ჯიბიდან ოთხადგაკეცილ ფურცლებს იღებს და მაწვდის — აი, წერილი.

კაპიტანს ოთხადგაკეცილ ფურცელს ვართმევ.

— შეიძლება გავშალო?

— რა თქმა უნდა.

ვშლი. ფურცელზე მსხვილად ერთადერთი სიტყვა წერია: წავედი.

— სად წავედი. რატომ წავედი. დედას შეეშინდება — მრცხვენია, რომ პატარა ბიჭივით ვლაპარაკობ.

მაიორი იღიმის. უფრო სწორედ, მაიორი დამცინის.

ფურცელს ვკეცავ. ვამბობ:

— იყოს, როგორც არის. წავედით.

სახლიდან გავდივართ. კარს ვკეტავ. დაკეტილი კარის ჭრილში წერილს ვჩურთავ. წავედი.

V

ავტომობილში უკანა სავარძელში ვჯდები. კაპიტანმა მიბრძანა ასე. ორივე კარი ავტომატურად იკეტება — ტკაც. ხაფანგში ვარ.

საჭესთან კაპიტანი ზის. მაიორი მის გვერდზეა. რადიოს რთავს და ტალღიდან ტალღაზე გადადის და გადმოდის. ეტყობა, რაღაცას ეძებს.

კაპიტანი გასაღებს კლიტეში ატრიალებს და ავტომობილი იქოქება.

— წავედით — ამბობს კაპიტანი და უკუსვლით გზაზე გავდივართ. გზაზე გასულები წინსვლას ვიწყებთ.

მაიორმა სასურველი ტალღა იპოვა. ქალის ხმა მესმის: „თვითმფრინავის გამტაცებლებს ჯერჯერობით საკუთარი მოთხოვნები არ წამოუყენებიათ“.

ვფიქრობ: ეს ამბავი არ მეხება. ეს ამბავი არ მაინტერესებს. გაივსო მსოფლიო გამტაცებლებით. ყველგან ადამიანები ადამიანებს კლავენ. ტელევიზორი და რადიო სულ ამაზე ქაქანებს. მაგრამ არსებობს სარეკლამო პაუზები. ამ პაუზების დროს ცხოვრება მშვენიერია. რეკლამის შემდეგ კვლავ გატაცებები, ტალღობები. მეც ხომ არ გამიტაცეს? ვეკითხები საკუთარ თავს. იქნებ არც მაიორია მაიორი და არც კაპიტანია კაპიტანი. იქნებ ორივე გადაცმულები არიან. პირველად ცხოვრებაში ძალიან მიხარია, რომ მდიდარი ოჯახის შვილი არ ვარ. ვწყნარდები. მე ვინ გამიტაცებს. მე ვის რაში ვჭირდები. მაიორი მაიორია. კაპიტანი კაპიტანია.

მუსიკა მესმის. ეტყობა, საინფორმაციო გამოშვება დამთავრდა.

— როგორი მუსიკა მოგწონთ? — მეკითხება მაიორი.

— კარგი — ვამბობ და ვხვდები, რომ მკვახე პასუხი გამომივიდა და ვაზუსტებ — წყნარი, ჩქარი, ძველი, ახალი, ინსტრუმენტული, ელექტრონული, სულერთია. მთავარია ვიგრძნო და გავნიცადო. ავცეკვდე ან ჩავფიქრდე.

— მე ძველებური სიმღერები მომწონს — ამბობს მაიორი და თავის საყვარელ მუსიკოსებს ასახელებს.

არ მაინტერესებს ეს საუბარი. აქეთ-იქით ვიხედები. აქეთაც და იქეთაც შენობებია. დაბალი სიჩქარით ვმოძრაობთ. შენობებს მკაფიოდ ვხედავ.

დაახლოებით თხუთმეტ წუთში დანიშნულების ადგილზე ვართ. ორივე კარი ავტომატურად იღება. მხოლოდდამხოლოდ კაპიტნის ბრძანების შემდეგ გადმოვდივარ ავტომობილიდან.

ღრმად ვისუნთქავ ჰაერს...

VI

ნაცნობ ადგილზე ვარ. აქ ადრე ფაბრიკა იყო და ამ ფაბრიკაში მამა მუშაობდა. მე ხშირად მოვდიოდი მამასთან ფაბრიკაში. კარგი დრო იყო. პატარა ვიყავი. მამა ახალგაზრდა იყო. ფაბრიკის ადმინისტრაციული კორპუსის სახურავზე მერცხლებს ბუდე ჰქონდათ. მამა მიყვებოდა, როგორ ცხოვრობდნენ მერცხლები, როგორ მიფრინავდნენ თბილ ქვეყნებში, როგორ მოფრინავდნენ უკან. მომწონდა მერცხლების ცხოვრება. უფრო სწორედ მამას მოყოლილი მოთხრობილი მერცხლების ცხოვრება მომწონდა. მერცხალი მინდოდა ვყოფილიყავი.

შემდეგ, ზაფხულის ერთ ცხელ დღეს მერცხლები გაქრნენ.

— მა, სად გაქრნენ მერცხლები?

— მერცხლებიც კვდებიან — თქვა მამამ.

პატარა ვიყავი. მჯეროდა სიკვდილის არსებობა, მაგრამ სულ არ მეშინოდა სიკვდილის... შემდეგ ფაბრიკა დაანგრიეს და ეს მაღალი შენობა ააშენეს, რომლის შესასვლელთანაც ახლა ვდგავარ და მაიორს და კაპიტანს ვუცქერ. მაიორი და კაპიტანი სიგარეტს ეწევიან. ვფიქრობ: ალბათ შენობაში მოწევა აკრძალულია.

სიგარეტს არ მთავაზობენ. ეტყობა იციან, რომ არ ვეწევი. თუმცა ამათმა ყველაზე ყველაფერი იციან. მელიმება. ეს სიმწრის ღიმილია.

მაიორი სიგარეტის ნამწვს ურნაში აგდებს. კაპიტანი იგივეს აკეთებს.

— შევედით — ამბობს მაიორი.

ჩვენ შენობაში შევდივართ. ავდივართ კიბეზე. სართულებს ვითვლი. პირველი. მეორე. მესამე. მეოთხე. მეხუთე. მეექვსე. მეშვიდე.

მეშვიდე სართულზე ვჩერდებით. შიგნით შევდივართ და უზარმაზარ დერეფანს ვხედავ. დღემდე მეგონა, რომ ასეთი დერეფნები მხოლოდ ფსიქოანალიტიკოსების მიერ გამოგონილ სიზმრებში არსებობდა.

არასწორად მეგონა.

VII

საკუთარი, მაიორის და კაპიტანის ფეხისხმა მესმის. მეშვიდე სართულის უზარმაზარ დერეფანში მივდივართ.

ვფიქრობ: ნეტავ რაზე ფიქრობს მაიორი? ნეტავ რაზე ფიქრობს კაპიტანი? ნეტავ რას მიპირებენ?

დერეფანი მაშინებს და მაპატარავებს. მინდა გამოველაპარაკო მაიორს და კაპიტანს. ორივეს ერთად ან ცალ-ცალკე. სულერთია, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ. დერეფანი მაშინებს და მაპატარავებს.

მაიორი და კაპიტანი ნელა მოძრაობენ. მეც ნელა ვმოძრაობ. იძულებული ვარ. მაიორს და კაპიტანს ვერ გავასწრებ. სად გავასწრო. ნეტავ რას მიპირებენ?

თავბრუ მეხვევა. ვბარბაცებ. მარცხნიდან კაპიტანი, მარჯვნიდან მაიორი მიდგებიან მხარში. რაღა წამაქცევს? ვერაფერი.

კაპიტანს მაიორზე დიდი მხრები აქვს...

მაიორი და კაპიტანი ჩუმად არიან. მათი სიჩუმე მაშინებს. დერეფანსაც ბოლო არ უჩანს. რაც იმას არ ნიშნავს, რომ დერეფანს ბოლო არა აქვს. ნეტავ მალე გაირკვეს ყველაფერი.

ერთი, ორი, სამი, ოთხი ნაბიჯი და მაიორის და კაპიტანის მხარში დგომა აღარ მჭირდება. უკვე აზრზე ვარ! თავბრუ აღარ მეხვევა და აღარ ვბარბაცებ.

მაიორი და კაპიტანი ჩერდებიან. მეც ვჩერდები. იძულებული ვარ.

ჩვენ უზარმაზარ კართან ვდგავართ.

მაიორი მორიდებულად აკაკუნებს კარზე:

— მობრძანდით! — კაცის ხმაა.

მაიორი კარს აღებს.

რიგრიგობით შევდივართ კარს იქით.

VIII

ოთახი დიდია და ნათელი. ოთხი დიდი ფანჯარა აქვს. ერთ-ერთ ფანჯარასთან მელოტი კაცი დგას. ის ფანჯარაში იყურება.

მაიორი ამბობს:

— ბატონო გენერალო, თქვენი ბრძანება შესრულებულია.

გენერალი ტრიალდება. დაღარული სახე აქვს.

— გამარჯობა — მესალმება. ხელს მიწვდის და თვალებში მიყურებს.

— გამარჯობათ — ვესალმები. ხელს ვართმევ. მის მზერას ვერ ვუძლებ და მზერა კედლებზე გადამაქვს. ერთ-ერთ კედელზე პრეზიდენტის ფოტო კიდია. პრეზიდენტი იღიმის.

— დაგვტოვეთ — გენერალი მაიორს და კაპიტანს მიმართავს.

მაიორი და კაპიტანი ოთახიდან გადიან. ნახვამდის მაიორო. ნახვამდის კაპიტანო.

ოთახში ვრჩებით: გენერალი, მე, პრეზიდენტის ფოტო და სხვა უსულო საგნები.

— დაბრძანდით — გენერალი სავარძელზე მითითებს.

— გმადლობთ — ვჯდები. სავარძელი რბილია. ვთამამდები. ფეხს ფეხზე ვიდებ. ჩემს წინ ჟურნალების მაგიდა დგას. ფეხსაცმლის წვერით ოდნავ ვეხები მაგიდის კიდეს და ვიცი, რას მეტყვის გენერალი. ის ჯერჯერობით ჩუმადაა.

გენერალი თავისი სამუშაო მაგიდის ერთ-ერთ უჯრას აღებს, რაღაცას იღებს. უჯრას ხურავს და ჩემთან მოდის.

გენერალი მაგიდაზე ფოტოს დებს და მეკითხება:

— იცნობთ ამ პიროვნებას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიდისკენ ვიწევი. ფოტოს ვიღებ და ვუყურებ. ეს მამას ფოტოა, ოღონდ ფოტოზე მამა თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისაა.

— იცნობ ამ პიროვნებას — გენერალი შეკითხვას მიმეორებს.

— ვიცნობ — ვამბობ მე — მამაჩემია.

IX

გენერალი გვერდზე მიჯდება, ფოტოს მართმევს და მეუბნება:

— და იცი ახლა სად არის მამა? ოღონდ არ მითხრა, რომ მოკვდა. მე და შენ ხომ ვიცით და გვჯერა, რომ სიკვდილი არ არსებობს.

— თქვენ საიდან იცით?

— რა, სიკვდილი რომ არ არსებობს? თუ შენ რომ იცი და გჯერა ეს?

პირი მაქვს გამშრალი. ენას ტუჩებზე ვისვამ და ვამბობ:

— ორივე.

— სიკვდილი რომ არ არსებობს გავიგე ძალიან, ძალიან ადრე. ხოლო დავიჯერე ასორმოცდაათი წლის წინ — „ბოდავ" ვფიქრობ. გენერალი აგრძელებს — შენ გაქვს აქა-იქ მთვრალს დაყრანტალებული და ფხიზელს ნათქვამი, რომ სიკვდილი არ არსებობს. „ბოდავს!" ვიმეორებ გულში. ისე პირველად ვხედავ ასეთ ადამიანს, რომელიც თავს უფლებას აძლევს და ამბობს, რომ ასორმოცდაათი წლის წინ რაღაც დაიჯერა.

— ბატონო გენერალო, ერთი რამ შეიძლება გითხრათ?

— ბრძანე. გისმენ.

ვდგები. ვფიქრობ, რომ ასე ჯობია. ის, რის თქმასაც ვაპირებ, არ არის ინტიმური რამ, უფრო ოფიციალური განცხადებაა.

— ბატონო გენერალო! როდესაც ვამბობ, რომ სიკვდილი არ არსებობს, ვგულისხმობ სულის უკვდავებას. რაც შეეხება სხეულს, ის მოკვდავია — მძაფრ სიტყვას ვეძებ და ხრწნადი.

— ასე შეგაშინა ჩემმა ნათქვამმა, რომ ასორმოცდაათი წლის წინ...

— მე არაფრის არ მეშინია — წინადადებას ვაწყვეტინებ გენერალს და ვტყუი.

— შენ გჯერა, რომ ქალაქი, რომელშიც ცხოვრობ ათასხუთასი წლის წინ დაარსებული ქალაქია. შენ ასევე გჯერა, რომ სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც ხარ ათასწლეულების წინ შექმნილი სახელმწიფოა. შენ არ გჯერა, რომ მე ასორმოცდაათი წლის წინ დავიჯერე, რომ სიკვდილი არ არსებობს. რატომ გჯერა პირველი ორი რამ და რატომ არ გჯერა ჩემი ნათქვამი? მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, შვილო — უკანასკნელ სიტყვას არ ველოდი. გენერალი მთხოვს — ჩემს გვერდზე დაჯექი.

არ მინდა გენერალმა იფიქროს, რომ მისი მეშინია ან ვერიდები. ამიტომაც მის გვერდზე ვჯდები. თავდახრილი ვარ და ფეხსაცმელებს ვუცქერ. გენერლის ხმა მესმის:

— იფიქრე, შვილო, რატომ გჯერა რაღაცეები გადაუმოწმებლად და რატომ არ გჯერა ჩემი ნათქვამი.

ვფიქრობ: რატომ მჯერა, რომ ქალაქი, რომელშიც ვცხოვრობ ათასხუთასი წლის წინაა დაარსებული? რატომ მჯერა, რომ სახელმწიფო რომლის მოქალაქეც ვარ, ათასწლეულების წინაა შექმნილი? ორივე შეკითხვას საერთო, მარტივი პასუხი აქვს. ბავშვობაში მასწავლეს ასე. რატომ არ მჯერა გენერლის ნათქვამი, რომ ასორმოცდაათი წლის წინ მან დაიჯერა სიკვდილის არარსებობა? ამ შეკითხვასაც მარტივი პასუხი აქვს: ჩემთვის ბავშვობაში არ უსწავლებიათ, რომ ადამიანები ასწლეულებს ცხოვრობენ. ყვავებზე მასწავლეს, ადამიანებზე — არა. დავუშვათ, ესწავლებინათ ჩემთვის ბავშვობაში, რომ ადამიანები ყვავებზე ნაკლებები არ არიან და ასწლეულებს ცხოვრობენ. დავიჯერებდი თუ არ დავიჯერებდი? ალბათ დავიჯერებდი და ახლა გენერლის ნათქვამში არაფერი არაბუნებრივი არ იქნებოდა...

თავს ვწევ. გენერალს ვუცქერ. გენერალიც მიცქერს. ჩუმად ვართ. ვფიქრობ: შეიძლება გენერალი არ ბოდავს, შეიძლება მართლაც ასორმოცდაათი წლის წინ დაიჯერა, რომ სიკვდილი არ არსებობს. ყველაფერი იმის ბრალია, რომ ბავშვობაში არ მასწავლეს, არ მომაწოდეს ინფორმაცია. გაკვრითაც კი არ მითხრეს, რომ ადამიანები... მგონი ახლა მე ვბოდავ.

დუმილს ვარღვევ. გენერალს ვეკითხები:

— ბატონო გენერალო, რამდენი წლის ბრძანდებით?

— აღარ მახსოვს — გენერალი მიღიმის. შემდეგ დგება და ფანჯარასთან მიდის.

ვფიქრობ: ძალიან კარგადაც ახსოვს. განზრახ არ მეუბნება. ინტრიგას ინარჩუნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

X

გენერალი ფანჯარასთან დგას. გარეთ იცქირება. ჩუმადაა. მე ვზივარ. მეც ჩუმად ვარ და ვფიქრობ, რომ დრო გადის.

მოულოდნელად გენერალი მეუბნება:

— მოდი აქ.

ვდგები და მივდივარ. ფანჯარასთან ვდგავარ. ქალაქის ერთ-ერთ უშნო ნაწილს ვხედავ: მშენებარე კორპუსები, ქვიშის გორები. მახსოვს: ბავშვობაში ქვიშაში ბიჭებს გვირაბები გაგვყავდა. გოგოები პასკებს აკეთებდნენ. ბიჭები და გოგოები სხვადასხვა რამეში ვიყენებდით ქვიშას. მიზანი ერთი გვქონდა — გართობა. ბიჭები ვთვლიდით, რომ გოგოები შტერები იყვნენ. გოგოები თვლიდნენ, რომ ბიჭები ვიყავით შტერები. გოგოები, ბიჭები, — ვხედავ, რომ ადამიანურ რამეებზე ვფიქრობ. ვგრძნობ, აღარ მეშინია. ეს გენერლის დამსახურებაა. გენერალი კარგად მექცევა. თუმცა ჯერჯერობით არ ვიცი, რატომ ვარ აქ.

მშენებარე კორპუსებში მუშები მოძრაობენ. ლურჯი სპეცტანსაცმელი აცვიათ და ყვითელი ქუდები ახურავთ.

ვფიქრობ, ალბათ გენერალიც მშენებარე კორპუსებში მოძრავ მუშებს უყურებს. ცალი თვალით გენერალს ვუცქერ. გენერალი მშენებარე კორპუსებისკენ იცქირება. შეიძლება მე მეჩვენება ასე.

მშენებარე კორპუსებს ვაკვირდები. მშენებარე კორპუსები ტყუპებივით გვანან ერთმანეთს და მიტყუპებულები არიან.

გენერლის ხმა მესმის. ის ამბობს:

— ვერ გადავეჩვიე აზროვნებას და მეტყველებას ისეთი ცნებებით, როგორებიცაა: ხალხი, კაცობრიობა, ინტელიგენცია, პროლეტარიატი. თქვენც ამ ცნებებით აზროვნებთ და მეტყველებთ?

— სამწუხაროდ, კი.

— ცუდია. ძალიან ცუდია. აი, მშენებარე კორპუსებში მოძრავ მუშებს ვუცქერდი და ვფიქრობდი: საწყალი პროლეტარიატი. არადა ცალ-ცალკე ადამიანები არიან. ერთი მხიარულია, მეორე უჟმურია, მესამის ხასიათი ამინდზეა დამოკიდებული და ა.შ. ერთი ბედნიერია, მეორე უბედური, მესამეს ბედნიერება და უბედურება ამინდზეა დამოკიდებული. სხვადასხვა ფეხბურთის გუნდების გულშემატკივრები არიან — გენერალი ჩუმდება ერთხანს. შემდეგ ამბობს — საქმეზე გადავიდეთ, შვილო.

ვფიქრობ: როგორც იქნა. ვნატრობ: ნეტავ ცუდი არაფერი იყოს. ვიცი: ყველაფერს მალე გავიგებ. ვღელავ.

XI

გენერალი მშენებარე კორპუსებისკენ იშვერს ხელს და მე ვფიქრობ, რომ ჩემი აქ ყოფნა კორპუსებს უკავშირდება. გენერალი ამბობს:

— მშენებარე კორპუსების იქით გორას ხედავ?

არასწორად ვფიქრობდი. ჩემი აქ ყოფნის მიზეზი მშენებარე კორპუსებს იქითაა.

— ვხედავ — ვამბობ და მშენებარე კორპუსების იქით გორას ვხედავ.

— გორამდე ერთადერთი გზა მიდის — გენერალი მიხსნის. ჯერჯერობით არ ვიცი, რატომ მიხსნის. გენერალი განაგრძობს — გორაზე მამაა, ხედავ?

— ვერ ვხედავ — ვამბობ და გორაზე მამას ვერ ვხედავ.

— გორაზე მამაა — იმეორებს გენერალი. შემდეგ არჩევანის უფლებას მაძლევს. შენ შეგიძლია შეხვდე, შეგიძლია არ შეხვდე მამას.

მე მინდა ვთქვა, რომ სისულელეა ეს ყველაფერი და, რომ სახლში მივდივარ. მაგრამ არ ვამბობ. რაღაც მაკავებს. საინტერესოა, რა? შიშით არ მეშინია. საინტერესოა, რა? გენერლის ნათქვამის ხომ არ მჯერა?

— ბატონო გენერალო, თქვენ ხედავთ მამას?

— ვხედავ — გენერალი გორას უცქერს და მამას ხედავს (თუ დავუჯერებ).

— და როგორია მამა?

ფოტო ხომ განახე.

— ფოტოზე მამა შვილად მეკუთვნის. რა, მამა მამა აღარაა? რა, მამა შვილად იქცა?

— მამა შვილად იქცა, თან მამად რჩება. მომყევი.

გენერალი კარისკენ მიდის. გენერალი კარს აღებს. დერეფანში გავდივართ.

— თუ გსურს, რომ მამას შეხვდე, წინ იარე. თუ არა, უკან წადი. წინა გზა შენთვის ახალი გზაა, ამიტომაც საშიშია და იდუმალი. უკანა გზა შენთვის ნაცნობია, არასაშიშია და არა იდუმალი. საიდანაც მოხვედი, იქ მიგიყვანს.

— სახლში — ვამბობ მე და ვიძაბები.

— და რა არის სახლი მამის გარეშე? არაფერი.

ვფიქრობ: გენერალი მართალია, სახლი მამის გარეშე ცარიელია.

— რატომ უნდა მჯეროდეს თქვენი, რომ ახალი გზის არჩევის შემთხვევაში მამას ვნახავ?

— იმიტომ — მოკლედ მპასუხობს გენერალი. ოთახში შედის. კარს ხურავს. კარი ქრება. მე არ ვიცი ეს უახლესი ტექნიკური ფოკუსია თუ სასწაული. ხომ არ მელანდება ეს ყველაფერი? თითს ვიჭერ მარცხენა ხელის გულზე. მტკივა. მახსენდება, რომ სიზმარშიც მტკივა ხოლმე ხორცი უხეში შეხების შემდეგ. ხორცის ნდობა არ შეიძლება. ხორცი ცხადს და სიზმარს ვერ არჩევს. ხორცისთვის სულერთია ცხადი და სიზმარი. ხორცს ცხადშიც ტკივა და სიზმარშიც. ხორცს ცხადშიც სიამოვნებს და სიზმარშიც. რატომ?

იმიტომ. ვიმეორებ გენერლის ბოლო პასუხს. ასე მამას ვპასუხობდი ბავშვობაში, როდესაც დასმულ შეკითხვაზე ვგრძნობდი, რომ პასუხი მქონდა, მაგრამ ამ პასუხს ვერ ვაყალიბებდი. შეიძლება გენერალიც ასეა...

რატომ? იმიტომ.

XII

დერეფანში ვარ. მარტო ვარ. ვარ. თავიდან უკანა გზას ვადგები. ეს გზა ჩემთვის ნაცნობია, არა საშიში და არა იდუმალი, მივყავარ იქ, საიდანაც მოვედი — სახლში.

ამ გზაზე მარტო პირველად ვარ. რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ სახლისკენ. გენერლის ხმა ჩამესმის. რა არის სახლი მამის გარეშე? არაფერი.

აქეთ-იქით ვიხედები. მარტო ვარ. დერეფანში ვარ. ვარ. ხმა მესმის, მაგრამ ხმის პატრონს ვერ ვხედავ. მარტო ვარ. ვარ და მიხარია, რომ ვარ. ეს ფილოსოფიური სიხარულია. მარტო რომ ვარ, ეს არ მიხარია. გულის ამბავია.

ვფიქრობ: გენერალი მართალია, სახლი მამის გარეშე არაფერი არ არის. მახსენდება ორმოცი ცარიელი დღე, დაძინებები და გაღვიძებები, უაზრო წრიალი. მე ვიცი: გაივლის დრო და ამ სიცარიელეს შევეჩვევი. დაძინებას და გაღვიძებას ხომ კარგახანია შეჩვეული ვარ. ისიც ვიცი, რომ დიდი დაძინება მომელის დიდი გაღვიძების წინ, ადრე თუ გვიან. ყოველწამს, ყოველწუთს. ყოველდღე, ყოველდროს. მანამდე დაძინებას და გაღვიძებას შორის უაზროდ ვწრიალებ სიზმრებში. მანამდე გაღვიძებას და დაძინებას შორის უაზროდ ვწრიალებ ცხადში, მაგრამ გაივლის დრო და შევეჩვევი ამ სიცარიელეს და მშვიდად ვიცხოვრებ სიცარიელეში. მაგრამ არსებობს სხვა გზაც. გენერლის ხმა ჩამესმის: მამა შვილად იქცა, თან მამად რჩება. კვლავ აქეთ-იქით ვიხედები. კვლავ მარტო ვარ. კვლავ მიხარია, რომ ვარ და ეს კვლავ ფილოსოფიური სიხარულია. მარტო რომ ვარ, კვლავ არ მიხარია და ეს კვლავ გულის ამბავია.

ვფიქრობ: მამა შვილად იქცა, თან მამად რჩება. რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ უკან. საწყის წერტილზე ვბრუნდები. შემდეგ რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ წინ — მამასკენ.

ეს ჩემთვის ახალი, იდუმალი გზაა და მეშინია. მეშინია და ეჭვები მესევიან.

ვფიქრობ: რამდენ ხანს მომიწევს ამ გზაზე სიარული? რამდენ ხანში ვნახავ მამას? გენერალს ამის შესახებ არაფერი უთქვამს. მე მჭირდება გარანტიები, მე მინდა ყველაფერი წინასწარ ვიცოდე. მეშინია. მეშინია და ეჭვები მესევიან.

რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ უკან. საწყის წერტილზე ვბრუბნდები.

ვფიქრობ: დედა და ჩემი და ალბათ უკვე დაბრუნდნენ სახლში, და იციან, რომ წავედი. როგორც ყოველთვის ცრემლებს ვყლაპავ და ვფიქრობ, რომ ნერწყვს ვყლაპავ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი სამსონაძე

ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი

კომედია ორ სურათად

მოქმედი პირები:

გურამი – 36-37 წლისა
მაია – მისი მეუღლე, 28 წლისა
ლადო – 53 წლისა, მაიას მამა
მერი – 50 წლამდე, მაიას დედა
ნოშრევანი – 55-ს მიტანებული, კარგად თავშენახული ქვრივი,გურამის კარის მეზობელი
მაგდა – 30-32 წლისა. გურამის ყოფილი საყვარელი
სევდიანი უცნობი – ვისზეც ერთი შეხედვით ვერ იტყვი, რა ასაკისაა, მაგრამ, რატომღაც, მაინც გრჩება იმის შეგრძნება, რომ ნაადრევადაა შემელოტებული.

ორივე სურათი გურამის ბინის მისაღებში ვითარდება. პირველსა და მეორე სურათს შვიდი თვე აშორებს.

მისაღებ ოთახს სამი კარი აქვს, ერთი საძინებელში გადის, მეორე სამზარეულოში, მესამე შემოსასვლელში. მისაღები ლოჯიასთან გაუერთიანებიათ, ამიტომ საკმაოდ დიდი სივრცეა. ლოჯიის კუთხეში, სავარაუდო ფანჯარასთან, სხვადასხვა ზომის ქოთნებით კაკტუსები და დეკორატიული ყვავილები ჩაუმწკრივებიათ.

როგორც ჩანს, ბინა საშუალო შემლების, ბუნებით კონსერვატორ, სიმყუდროვის მოყვარულ კაცს ეკუთვნის: წიგნების კარადა, ტელევიზორი, მაგიდა, სკამები, ტახტი ორი სავარძლით, ტახტთან ტორშერი, იქვე, მომცრო კარადაზე ტელეფონი, კედელზე გურამის გარდაცვლილი მშობლების სურათებია ჩამოკიდებული.

შემოსასვლელი კარიდან გურამი გამოჩნდება მძიმე ხელჩანთით, ბარგს ჩამოდებს, სკამზე ჩამოჯდება, სულს მოითქვამს, ცოტა ხანში მაიაც შემოაბიჯებს ბინაში.

გურამი (მაიას მოხედავს, გაუღიმებს) - აი, მაიკო, ესეც ჩვენი ბინა.

მაია მისაღებს ათვალიერებს, შესაძლოა, ხელითაც ეხება კედელს, თითქოს აქაურ ატმოსფეროს ეჩვევაო.

გურამი (წამოდგება) - ჩავალ, ბარგს ამოვზიდავ.

მაია საძინებელში შეაბიჯებს, გამობრუნდება, შემდეგ სამზარეულოს კარს შეაღებს, ისევ მისაღებში გამოვა, დგას, სურათებს შესცქერის.

შემოდის გურამი, ხელჩანთები საძინებელში შეაქვს, შემდეგ მაიას უახლოვდება.

მაია – გურამ, შენი მშობლები არიან, არა?

გურამი (კმაყოფილია ყურადღებით) - დედას გავხარო, ასე ამბობდნენ...

მაია – რა საყვარლები არიან. მამასაც...

გურამი (სურათებს უყურებს) – ჰა ?

მაია – მამასაც გავხარ იერით, ნიკაპითაც.

გურამი (კმაყოფილი) – ჰო, მგონი.

მაია (ოთახს მოავლებს თვალს) – საეჭვოდაა აქაურობა მილაგებული, ბევრი ქალი მოგიყვანია, ალბათ, არა, გურამ!

გურამი (შემცბარი, თუმც, ერთგვარად, მაინც კმაყოფილი მაიას ეჭვიანობით) – კარგი რა, მაიკო!

მაია – თქვი, რა მოხდა მერე, ეს ხომ ჩემამდე იყო, გილაგებდნენ მერე ბინას? თქვი!

გურამი (კმაყოფილი ჩაცინებით) – მაია, აბა, დაფიქრდი...

მაია (მკერდზე დაუშენს მუშტებს) – რატომ იცინი, რატომ?! მაეჭვიანებ, არა? ისე მაეჭვიანებ, რომ ლამის ახლავე გადავცვალო ეს ბინა!

გურამი (მაჯებზე მიეტანება მაიას, მკერდში ჩაიკრავს) – მაიკო...

მაია თავიდან ირიდებს გურამს, შემდეგ ხანგრძლივი, ვნებიანი კოცნით პასუხობს. შემოვა ნოშრევანი. როგორც ჩანს, სადარბაზოს შემოსასვლელში დაინახა გურამის ხელჩანთა და ხელს წამოაყოლა. სათვალეების ზემოდან მიაცქერდება წყვილს. მაია გურამს გაერიდება.

ნოშრევანი – კარი იყო ღია და... (ხელჩანთაზე უთითებს) თქვენია, ხომ? მე წავალ, ნახვამდის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურამი – ნოშრე, მოდი, რა დაგემართა?! (მზერით იხმობს მეუღლეს) მაიკო, ქორწილის სუფრიდან გემახსოვრება, ნოშრევანი, კარის მეზობელი, ჩვენი...

მაია (შემცბარ ნოშრევანს მიუახლოვდება, კოცნის) – როგორ ბრძანდებით?

ნოშრევანი – ქვრივი კაცის პირობაზე არამიშავს. კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება. რა ხდებოდა ბათუმში?

ბურამი – რა უნდა ხდებოდეს ბათუმში ზამთრის პირზე. ცარიელი სანაპირო, წვიმა.

ნოშრევანი – და სულ ჩაკეტილები იყავით ნომერში, არა? (შეცბება) ჰმ... ზღვისპირზე ზაფხულობით სჯობს წასვლა. კარგი, აბა, მოვეხმარები-თქო და... წავედი მე!

ბურამი (ხელჩანთას დასწვდება, საძინებელში შეიტანს, გზად გამოსძახებს) – მადლობთ, ნოშრე, შემოგვიარე მერე! მაიკო, გააცილე!

ნოშრევანი – იყოს, ნუ წუხდები. (კარისკენ მიბრუნებული კვლავ მიუტრიალდა საძინებლიდან გამომავალ ბურამს, სათვალის ზემოდან მიაცქერდა) ბურამ, ძმისშვილო, შემთხვევით, ლადიოტანტი ხომ არ იცი რას ნიშნავს, შემთხვევით...

ბურამი (მაიას) – მაიკო, რას ნიშნავს ლადიოტანტი?

მაია – ნაცნობი სიტყვა კია, თითქოს... წინადადებაში მითხარით და გამახსენდება.

ნოშრევანი – ჩემმა გიორგიმ დამიმესიჯა ამერიკიდან, შეიძლება ლადიოტანტადაც კი მოგევლინოთო და რა ვიცი ... ვერ ვნახე ლექსიკონში.

მაია – მგონი, საჯარო სამსახური უნდა იყოს. (პაუზა) ინტენდანტში ხომ არ გეშლებათ?

ნოშრევანი – არა, გარკვევით წავიკითხე. (პაუზა) ინტენდანტი რას ნიშნავს, გენაცვალე?

მაია – თუ არ ვცდები, სამხედროების ტერმინია, მომმარაგებელი თუ რაღაც ასეთი...

ნოშრევანი – ააა...

ბურამი – ჰოდა, ასე. (მიანიშნებს, რომ საუბარი დამთავრდა)

ნოშრევანი (მხრების აჩეჩვით) – მაინც ვერ გავიგე ...

შემოსასვლელი კარიდან შოკოლადს შემოაგდებს ვიღაც. გამოჩნდება მერი, რომელიც ფანატიკოსის აღტკინებით იწერს პირჯვარს. მასში იგრძნობა შეფარული აგრესია და რაღაც, ცუდი გაგებით პედაგოგიური ...

ლადო, მისი მეუღლე, შედარებით თავდაჭერილია. ხელში შამპანურის ბოთლი უჭირავს.

მერი – მაიკო... ბურამ... მაიკო... (გადაკოცნის მათ)... კარი გაქვთ ღია, საკეტია გამოსაცვლელი, ბურამ! (შვილს ეფერება) მაიკო... რა ფიფქად მოგაგენით, რომ იცოდე!

ლადო მაგიდაზე ჩამოდგამს ბოთლს, კოლოფიდან სიგარეტს ამოიღებს, არ ეწევა, მხოლოდ სორსლავს.

ბურამი – ნოშრე, ჩემი სიდედრ-სიმამრი! სუფრიდან გემახსოვრებათ ერთმანეთი. (ნოშრევანი და ლადო ხელს ართმევენ, ერთმანეთს მოიკითხავენ: როგორ ბრძანდებით, ბატონო. მადლობთ, ასე... იცოცხლეთ! და ა.შ.)

მაია – დედა, აი, ბურამის გარდაცვლილი მშობლები! ნახე, მამამისს როგორ მიუგავს იერი, ნიკაპიც, დედა, ნახე!

მერი – კი, კი, მართლაც მიუგავს, მაგრამ, კარი მაფიქრებს, დედა, ქურდმა ხომ არ აწვალა-თქო თქვენს არყოფნაში, ძალიან მოფანფალებულია საკეტი, ერთ წამობერვაზე გაიღო, ვირთხა თუ შემოიპარა, ჩემს მტერს! ბურამ, ხომ მიხედავ კარს?

მაია – კარგი რა, ბინა არ დაგვითვალიერებია და უკვე რაღაცის გამოცვლაზე ლაპარაკობ! წამოდი, სამზარეულოს და საძინებელს გაჩვენებ! (თვალს უკრავს, სალაპარაკოდ ეპატიჟება)

მერი– ჰო, დედა, მაგრამ ვღელავ, შვილო, ვნერვიულობ, მარტო რომ იქნები ბინაში, რა ვიცი...

ლადო – მერი!.. კარგი, გეყოფა, ნუ ქოთქოთებ!

მერი – ლადიკო, შენთვის შეიძლება ქოთქოთია ჩემი ლაპარაკი, მაგრამ მე მითქვამს და კვლავაც ვიტყვი, სახლი იწყება შემოსასვლელი კარიდან! სხვათაშორის, ნალიც რომ დაგეკიდათ, დედა, არ იქნებოდა ურიგო. რამდენს აქვს ავი თვალი, რომ იცოდეთ!

ბურამი – აუცილებლად გამოვცვლი, ქალბატონო მერი.

მერი – ჰო, ჩემო კარგო, შენი იმედი მაქვს! და ნალიც, ჩემი ხათრით...

ლადო – ოოოჰჰჰ...

მერი (მაიას) – წამო, შვილო, წამო, ვაღიზიანებ, ეტყობა, მამაშენს... (საძინებელში გადიან)

ნოშრევანი (უფრო დუმილის დასარღვევად) – სხვათაშორის, ბურამს მე დედამისს უფრო ვამსგავსებ. ცხონებული, კარგი დიასახლისი იყო.

ლადო (ოთახს ათვალიერებს) – ჰა? დიახ, მეც ასე მგონია... (სიგარეტს სორსლავს)

ბურამი – თქვენ, ბატონო ლადო, დაანებეთ, მგონი, სიგარეტს თავი.

ლადო – გეყოლება ქალიშვილი, გაათხოვებ, მერე ვნახავ, მოწევ თუ არა. (სიგარეტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახედავს) თუმცა, არც ვეწევი, ვეთამაშები, ასე ვთქვათ. სამზარეულო იქითაა, არა? (მიდის, კარს აღებს, შეათვალიერებს)

ნოშრევანი – რამდენადაც ვიცი, პირველად ბრძანდებით აქ!

ლადო (საძინებლის კარს აღებს, შეიხედავს, გამობრუნდება) – მე კი არა, ჩემი ქალიშვილიც პირველადაა ამ ბინაში (ოთახს ათვალიერებს). რა ეჩქარებოდათ, რომ არ ვიცი... გაცნობიდან ორ დღეში გადაწყვიტეს შეუღლება, პურის ჭამაც არ გვადროვეს წესიერად, დაკრეს ფეხი და პირდაპირ ბათუმში ამოყვეს თავი... ედროვებინათ, სხვაგვარად გავაკეთებდით ყველაფერს, მაგრამ ჩვენ ვინ რაღას გვეკითხება, ბატონო.

ნოშრევანი – აბა, ბატონო, აბა, ჩემი ბიჭის ამბავი ავიღოთ თუნდაც! არც არაფერი უკითხავს, ისე დურთა თავი ამერიკაში. რამდენი წელია, შვილი არ მინახავს. შეიძლება ვერც კი ვიცნო. დედამისის გასვენებაშიც ვერ ჩამოვიდა, რაზეა ლაპარაკი...

ლადო – ოჰ, ძნელია... თუმცა იქ, ალბათ, უფრო დაზღვეულად გრძნობს კაცი თავს, თუკი მუშაობა არ ეზარება. სად მსახურობს?

ნოშრევანი – რა ვიცი, ყასბადაც კია, მგონი, ნამუშევარი, თან სწავლასაც აპირებდა თითქოს... სუპერმარკეტში დამლაგებელი იყო, იტაქსავა კიდეც. ახლა უკეთესი პირი უჩანს, ეტყობა, საქმეს, ლადიოტანტი გახდება ალბათ...

ლადო (ოთახის თვალიერებით იყო გართული, ნოშრევანს გამოხედავს) – ბატონო?!

ნოშრევანი – ლადიოტანტი...

ლადო – აა, ღმერთი შეგეწევათ...

ნოშრევანი (ლადოს შეჰყურებს, იმედით) – თქვენ არ იცით?

ლადო – რა, ბატონო, რა არ ვიცი?

ნოშრევანი – რას ნიშნავს ლადიოტანტი?

ლადო – ლადიოტანტი? (პაუზის შემდეგ) სამხედრო საქმეს ხომ არ მოეკიდა? შეიძლება ლეიტენანტამდე ჩინია, ან ლეიტენანტის შემდგომი ჩინია, კაპიტნამდე. ლეიტენანტს კი გავს... ინტენდანტი ხომ არ გახდა?

ნოშრევანი – ინტენდანტი რაა, ბატონო?

ლადო – ისიც რაღაც ეგეთია, გამიგია სადღაც...

ნოშრევანი (მხრების აჩეჩვით) – რა ვიცი, ლადიოტანტიო და...

ლადო (დაბეჯითებით) – კი, კი, სამხედრო სფეროდან უნდა იყოს. რაც მთავარია, მოქალაქეობა ხომ მიიღო?

ნოშრევანი – გრინკარტა აქვს.

ლადო –ჰოდა, თავი ქუდში ჰქონია (რაღაც მაინც არ ასვენებს). გურამ, შენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ლადიოტანტი?

გურამი – მეც დაახლოებით მაგდაგვარი მგონია, რაღაც...

ნოშრევანი (ინტერესით) – როგორი?

გურამი– აი, ლეიტენანტამდე, ან ლეიტენანტის ზემოთ, კაპიტნამდე...

ნოშრევანი (იმედგაცრუებით) – რა ვიცი, არ ჰქონდა, მაინცდამაინც, სამხედრო საქმისკენ მიდრეკილება. ან მე ვერ ვამჩნევდი... ისე, საჭე უყვარდა უფრო, მანქანასთან ჩხირკედელაობა. – ჰო, ჭადრაკიც უყვარდა, როგორც მახსოვს, მოჭადრაკეს ხომ არ ნიშნავს, შემთხვევით.

ლადო – ჩემმა გოგომ უნდა იცოდეს, მოგეხსენებათ არასამთავრობოების ამბავი, ყველაფერი იციან...

გურამი – ვკითხე, ბატონო ლადო, არ იცის.

ლადო (თითქოს იუკადრისაო) – შეუძლებელია! მაია! მაიკო!!!

საძინებლიდან სახეაწითლებული მერი გამოყოფს თავს.

მერი – მაია კაბას იცვლის!

ლადო – ჰკითხე, ერთი, ჩვენს გოგოს, ლადიოტანტი რას ნიშნავს-თქო!

მერი უცნაურად მიაცქერდება მეუღლეს.

ლადო – ჰკითხე, რა დაგემართა?

მერი – აბა, კარგად დაფიქრდი, უცხო კაცთან რას ამბობ! (ჩურჩულით, სახეამრეზილი) ცუდი სიტყვაა, ეგ... (კარს მოხურავს).

ლადო (შეფიქრიანებული გახედავს ნოშრევანს) – ლექსიკონში გენახათ...

ნოშრევანი (დაინტერესებული) – უკაცრავად, რაღაც მომესმა... (საუბარში თანდათან უფრო ეჩნევა აღელვება) მე ვარ, ბატონო... (გურამისკენ) გურამ, შენ ხომ იცი, როგორც მიცხოვრია! ჩემი შვილი მე გავზარდე და მე რომც არ გამეზარდა, ის არის ჩემი შვილი. ახლა რომ კვარტლებში ვცხოვრობ, იმას კი არ ნიშნავს, რომ კვარტლებში დავიბადე და გავიზარდე. სოფელი მქონდა იმერეთში, სიმონეთი, იქნებ გაგიგიათ, გაზრდით კი მთაწმინდაზე გავიზარდე. მამალო რომ იყო, მამალო, თქვენ გეცოდინებათ (ლადოსკენ)...

გურამი – ნოშრე, რატომ ღელავ?..

ნოშრევანი – გურამ, შენგან არ მიკვირს?! რას ქვია, რატომ ვღელავ (ისევ ლადოსკენ), თქვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუღლესთან დიდი ბოდიშის მოხდით, რა თქმა უნდა, მაგრამ მინდა გკითხოთ და... თქვენის ნებართვით... (გურამისკენ) გურამ, ძმისშვილო, სწორად გამიგე — შვილის ტოლი კაცი ხარ... უმცროსი ძმა... უმრწემესი... მეზობელი და რა ვიცი...

ლადო (უეცრად ისიც აღელდება) — მერი! მერი!!!

საძინებლის კარი იღება, სახეაჭარხალებული მერი გამოჩნდება.

მერი — ლადო, მადროვე რა, ჩემს შვილთან ლაპარაკი!

ლადო (მომთხოვნი ტონით) — გამოდი აქეთ!

მერი (შემცბარი)— მოხდა რამე?

ლადო — აი, კაცი კითხულობს, რა თქვი მაშინ?!

მერი (დაბნეული) — რა ვთქვი?

ნოშრევანი — მე, რასაკვირველია, ბოდიშის მოხდით, ქალბატონო მერი, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, რატომ არის ის სიტყვა ცუდი სიტყვა?!

მერი — რომელი სიტყვა?

ნოშრევანი — უკაცრავად, მაგრამ ლადიოტანტი...

მერი — ააა, ეგ ხომ იმას ნიშნავს...

პაუზა.

ნოშრევანი — რას?

მერი — თქვენ რატომ გაინტერესებთ ასე ძალიან, ბატონო?

ნოშრევანი — ჩემს ვაჟს ეხება, ქალბატონო, და იმიტომ. ამერიკაში მყავს მე ვაჟი, იქიდან მარჩენს. შეიძლება ისიც ითქვას, ქალბატონო, რომ შვილმა პენსია დამინიშნა. თუნდ ჯამაგირი თქვი, რადგან იქედან გამოგზავნილი ფულით აქ შევიძინე ნაკვეთი და ავაშენე სუპერმარკეტი ჩვენს კუთვნილ მიწაზე. ახლა მიპასუხეთ, თუ შეიძლება, რაში გაება ჩემი ვაჟი?!

მერი (შემცბარი) —რაო, რა სიტყვა ბრძანეთ?

ნოშრევანი (აღელვებული მოლოდინით) — ლადიოტანტი...

მერი — უიმე, ეგ ხო მე შემეშალა, ლეიშმანიოზი შემომესმა, ბატონო!

ნოშრევანი — ლეიშმანიოზი რაღა უბედურებაა, ქალბატონო?!

მერი — ლეიშმანიოზი სამედიცინო ტერმინია, ადამიანის და ცხოველის გადამდები დაავადებაა, რომელსაც იწვევენ ერთუჯრედიანი ორგანიზმები — ლეიშმანიები. ბატონო! სამედიცინო მაქვს დამთავრებული და ძალიან კარგად მახსოვს, რაც არის ლეიშმანიოზი.

ნოშრევანი — იცით, რას გეტყვით, ქალბატონო, მე ვარ მშენებელი კაცი. იმერული ჩახუტებაც ვიცი და არც ქალაქური ქიცი და ქიცმაცური მეშლება... ახლა, ქალბატონო, ბოდიშის მოხდით შემოგკადრებთ, რასაკვირველია, მაგრამ თქვენ მე სიმართლეს მიმალავთ. ჯერ ეს ერთი, ლეიშმანიოზი სამედიცინო ტერმინიაო ბრძანეთ და არავითარი ცუდი სიტყვა არ ყოფილა ეს ლეიშმანიოზია თუ რაღაცა ჯანდაბაა! — მეორეც — სად ლეიშმანიოზი და სად ლადიოტანტი, ბატონო?! ძალიან გთხოვთ, ნუ მატყუებთ!

ბურამი (ნოშრევანის დამშვიდებას ლამობს) — ნოშრე, ნოშრე!..

ლადო (ისიც აღელდა) — მაშ, თქვენ ამბობთ, რომ ჩემი ცოლი ცრუობს?

ნოშრევანი — არა, ბატონო, სწორად გამიგეთ, არ დამზოგოთ-თქო, ეს ვიგულისხმე, თორემ ქალბატონს უკადრებელს როგორ ვაკადრებ, მაშინ მოკვდეს ნოშრევანი...

მერი (უეცრად გაწიწმატდება) — მომხედეთ აქეთ! რა პუნქტებად ჩამოუყევით, ვერ გავიგე! ჯერ ეს ერთი, ესეც ორი... რას ნიშნავს ეს, გამაგებინეთ!

მაია (საძინებლიდან თავგამორგული) — დედა, რა ხდება?!

მერი — მაცალე, დედა! შედი ოთახში, მოვალ!

ლადო — მერი, გადი ბავშვთან!

მაია (იქიდანვე) — მამა, მოხდა რამე?!

ლადო —ახლავე მოვა, შვილო, დედაშენი — მერი!

მერი (ნოშრევანისკენ) —არა, ნამდვილად ვერ გავიგე, მოვედი ერთადერთ შვილთან, რომელიც დაბრუნდა საქორწილო მოგზაურობიდან, მოვედი ამ ბინაში პირველად, ბოლოს და ბოლოს... მხვდება მეზობელი, თუნდაც კარის მეზობელი იყოს, რომელიც პუნქტებად მიყალიბებს, როგორ ვიცრუე თურმე მე... გაგონილა?!

ლადო (მკლავზე მოეჭიდება ცოლს, საძინებლისკენ მიათრევს) — წამოდი-თქო, ვის ვეუბნები! (ნოშრევანს გამოხედავს) ბატონო ნოშრევან, ერთი წუთით დამელოდეთ!

მერი (გზად, აღშფოთებული) —არა, გაგონილა?! ხომ მოგეწონა? ჯერ ეს ერთი, ესეც ორი... დამაპუნქტირა აქ, ღმერთო, მაპატიე, თუ რაღაც ისეთს ვამბობ (პირჯვარს იწერს)! მომესმა ლეიშ-



მანიოზი, არ შეიძლება, რაღაც შემომესმას? რა ვიცი, რას ნიშნავს ლადიოტანტი, დეგენერატს ნიშნავს, ალბათ (საძინებელში გაუჩინარდნენ).

ნოშრევანი (თავის დაქნევით) – არ ჩაისიდედრო, დაიღუპები...

ბურამი – საიდან მოიტანე, ნოშრე, ეს უბედური სიტყვა, რა კაცი ხარ!

ნოშრევანი – გურამ, ძმისწულო, რა კაცი ვარ და მე ვარ მთაწმინდელი მამალოს ხელში გაზრდილი კაცი; არც კაცობა მეშლება და არც ზრდილობა, რომ იცოდე! მე, რასაკვირველია, ბოდიშის მოხდით ამ ოჯახში, მაგრამ, როგორ ფიქრობ, შენი სიმამრი რომ მექადნება, დამელოდეო, მაგის შემეშინდება?

ბურამი (სიგარეტს უკიდებს) – არ შემარცხვინო, ნოშრე, ამ ხალხთან...

ნოშრევანი – არა, ძმაო, და არა, შვილო, და არა, ძმისშვილო, და კეთილო მეზობელო, როგორ გითხრა სხვანაირად... ვერ გამიგო ქალბატონმა, ვერც ბატონმა გამიგო, როგორც ჩანს. არ დამზოგოთ-თქო, ამ გაგებით ვუთხარი. თუმცა ერთს კი გეტყვი ალალად, შენი სიდედრი არის ავი ქალი, თანაც უშნო ქალი და შენს სიდედრს შენი სიმამრი ჰყავს მუჭში მომწყვდეული; აი, ასე!.. ჩემი ცხონებული ცოლი ჩემს გვერდით ხმას არ უწევდა! შენ ხომ მიცნობ...

ბურამი (ეჭვის თვალით უყურებს ნოშრევანს) – კი, გიცნობ... ისე ნერვიული გახდი ამ ბოლო დროს, არ გეწყინოს!..

ნოშრევანი – შეიძლება, არაა გამორიცხული, თუმცა ახლა ნამდვილად მართალი ვარ!

ბურამი (ხელის აქნევით) – ეე, ისევ შენსას გაიძახი, რომ გახვიდე იქნებ აჯობოს კიდეც... მე დაველაპარაკები ამათ...

ნოშრევანი (შეურაცხყოფილი იერით) – ეგ არ მაკადრო! ნოშრევანი, ჩემო გურამ, არანაირ ლაპარაკს არ არიდებია... გამოვა ის კაცი, გავარკვევთ ამ პატარა გაუგებრობას და წავალ ჩემს გზაზე.

ბურამი – პირველად მოვიდნენ...

ნოშრევანი (მკაცრად) – მესმის! მაგრამ ჩემიც უნდა გაიგო, მოვრჩეთ ამაზე!..

ბურამი (ბედსშეგუებულად გადახედავს, პაუზის შემდეგ) – სხვა, რაო შენი ბიჭისგან?

ნოშრევანი – გიორგისგან? რაო, აი, რაო, ლადიოტანტად შეიძლება მოგევლინოო.

ბურამი – აღარ ახსენო ეგ სიტყვა!

ნოშრევანი – რას უნდა ნიშნავდეს, ნეტა! ვურეკავდი, არ პასუხობს მობილურზე. ბინაშიც გათიშული აქვს ტელეფონი. ხომ არაფერი. უჭირს მაგ შობელძაღლს. არადა, სწორედ დღეს მომივიდა ფული, მაგრამ ვესტერნიუნიონით კი არა, კაცი მოვიდა და იმან ჩამიკუჭა ჯიბეში. ქვითარზეც არ მომაწერინა ხელი. თან ტორტი მომართვა უშველებელი. ფირმა ყოფილა, იქედან შეუკვეთავ ტორტს, აქ მოაქვთ. ხომ არ დაიჭირეს, ბიჭო, გურამ, პატიმარს ხომ არ ნიშნავს ლადიოტანტი?

ბურამი – პატიმარი რატომ გამოგიგზავნიდა ტორტს, დაფიქრდი!..

ნოშრევანი – ეგეც მართალია, მაგრამ რაღაც რომ ვერაა წესრიგში, ესეც ხომ ცხადია?! (თვალზე ცრემლით) დავიღუპე, გურამ?!

ბურამი – ლოგიკურად იმსჯელე, რაც მთავარია, ცოცხალია, სხვა რა გაღელვებს?

ნოშრევანი (აღელვებული) – ტორტი მაღელვებს, ტორტი! გაურკვევლობა... ლადიოტანტიო, მოუკვდეს მამა, ვერც ერთ ლექსიკონში ვერ ვნახე.

ბურამი – მე და მაიკო მოგიძებნით ინტერნეტით, პირობას გაძლევ.

ნოშრევანი (იმედით) – ეგ არ მიცდია, ხომ იცი, არ მესმის, თორემ ვცდიდი...

ბურამი – დამშვიდდი, ყველაფერი წესრიგში იქნება. (საძინებლისკენ გააპარებს თვალს) მომისმინე, ნოშრე, ის არ გამოჩენილა?

ნოშრევანი – ვინ, ის?

ბურამი (დამფრთხალი მზერით) – ის...

ნოშრევანი – მაგდა?

ბურამი – ცოტა ჩუმად!..

ნოშრევანი – აკი დავშორდითო?

ბურამი – დავშორდით, კი, მაგრამ... აქ თუ დამადგა, იცოდე, ვითომ დისშვილია შენი.

ნოშრევანი – ვინ, კაცო, მაგდა?!

ბურამი – ჩუ, ნუ ახსენებ!..

ნოშრევანი – საერთოდ არ მყავს, გურამ, და, რამ მოგაფიქრა?

ბურამი – ვითომ-თქო, ვითომ, რა დაგემართა?! ვერ ვიტან სკანდალს, თანაც მაიკო...

ნოშრევანი – ეჭვიანია?

ბურამი – უჰ... აღმოჩნდა...

ნოშრევანი – გადასარევი ამბავია, პირდაპირ! მე და ჩემი ცხონებული ცოლი ერთი წელი დავდიოდით, სანამ ოჯახის შექმნას გადავწყვეტდით.

ბურამი – იმას გავექცევი-თქო, ამან მაფიქრებინა ასე უცებ.

ნოშრევანი – ვის, მაგდას?

ბურამი (მფრთხალი მზერა საძინებლისკენ) – ნუ ჩააცივდი სახელს!..

ნოშრევანი — ბოდიში...

საძინებლიდან ლადო გამოვა

ლადო — ძალიან კარგი, რომ დამელოდეთ!

ნოშრევანი (მზადყოფნით) — გასაქცევი რა მჭირდა, ბატონო?!

გურამი (შემრიგებლურად უყურებს ხან ერთს, ხან მეორეს) — მოდით, შამპანური გავხსნათ და საერთოდ ნუ ვილაპარაკებთ ამ სისულელეზე, დავილოცოთ, უბრალოდ გაუგებრობაა, მეტი არაფერი...

ლადო — არა, გენაცვალე, ქალაქელობას მიხსენებენ, მაშინ ახსნან კიდეც, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი, მე პასუხს ვითხოვ!

ნოშრევანი — ახლავე გაახლებთ პასუხს, ბატონო ლადიკო!

ლადო — მე ლადო მქვია; ან ვლადიმერი, თქვენთვის ასეა!

ნოშრევანი — კეთილი, ბატონო, გავითვალისწინებ, მოდით, გავიაზროთ, რაზე გვქონდა, საერთოდ, საუბარი! სიტყვა — ლადიოტანტი რას ნიშნავს-თქო, ეს ვიკითხე, არა (ლადიკოს შეჰყურებს)?!

ლადო — დავუშვათ...

ნოშრევანი — თქვენ, ჩემო ბატონო, ამ სიტყვის მნიშვნელობა დაეკითხეთ ქალიშვილს, მაგრამ თქვენმა პატივცემულმა მეუღლემ ბრძანა, რომ თქვენი ქალიშვილი იმჟამად იცვლიდა სამოსს, ხოლო, როდესაც სიტყვა ლადიოტანტი წარმოთქვით, მან, ესეიგი, თქვენმა პატივცემულმა მეუღლემ ირიბად გადმოგხედათ და ეგ ცუდი სიტყვაა მოგახსენათ.

ლადო — რას ნიშნავს ირიბად გადმომხედა! ჩემი მეუღლე მე არც ირიბად მიცქერის და არც ცერად, სხვათაშორის...

ნოშრევანი — არა, ბატონო, არა, მზად ვარ, ამაზეც ბოდიში მოვიხადო! უცხოები ხომ არ ვართ, ყველა სიტყვაზე ეკლები გამოვუჩინოთ ერთმანეთს! რაც მე ამ ოჯახში პური მიჭამია, ბატონო, რაც მე აქ ურთიერთობები მქონია, აგერ, გურამიც დამემოწმება!

გურამი — კარგით რა, მართლაც! ბატონო ლადო, ნოშრე, აი, შამპანურით დავილოცოთ, რა სალაპარაკოა.

ნოშრევანი — რატომ უნდა დარჩეს ჩემს მოკეთეს და მოყვარეს გულში რაღაც ხინჯად, ვერ გავიგე! ეს ჩემთვის, არც იმ ტკბილ იმერეთში უსწავლებიათ, ჩემო ბატონო, და არც აქ, ქალაქში. არადა, არ მიკადრებია უკადრებელი! ძალიან გთხოვთ, ბატონო ვლადიმერ, ერთი წამით დავიოკოთ თავი, დავდუმდეთ უბრალოდ, მომხდარი აღვადგინოთ გონებაში და თავად დარწმუნდებით ჩემს უდანაშაულობაში. დავდუმდეთ, ბატონო ვლადიმერ!

ლადო — მე კარგა ხანია ვდუმვარ, თუმცა ისედაც ცხადია ყველაფერი...

ნოშრევანი (უცნაური აღტკინებით) — მაშ, ვდუმვართ, არა, ვიხსენებთ?!

ლადო მხრებს იჩეჩავს, სახეზე უკმაყოფილება აღბეჭდვია, თუმცა უტყვადაა. გურამი შამპანურის ბოთლს მისწვდება. ნოშრევანი ლადოსაა მიჩერებული. ხანგრძლივი პაუზა. უცბად შემოსასვლელის კარიდან მრავლისმეტყველად გამოაშუქებს ქალის მოშიშვლებული ბარძაყი, ნოშრევანი და გურამი ვერ ამჩნევენ მას, სამაგიეროდ ლადო მიაქცევს ამ სურათს ყურადღებას.

გურამი (როგორც იქნა წააძრო ბოთლს თავსახური) — შამპანური გავხსნათ ამასობაში, ყველაფერს ეს აჯობებს!

— ხმა შემოსასვლელიდან — გავხსნათ! გავხსნათ! შამპანური ძალიან მიყვარს!..

გურამი (ნოშრევანს გადახედავს. ხმაწართმეული) — მაგდა...

ნოშრევანი (შეშინებული მზერით) — ვინ მაგდა?

გურამი — შენი დისშვილი, მაგდა...

ნოშრევანი — აა, მაგდა!..

შემოსასვლელში მაგდა გამოჩნდება.

ნოშრევანი (მაგდასკენ დაიძრა) — მაგდა, გენაცვალე, როგორ არის ჩემი ოლიკო, ჩემი საყვარელი და? შინ რომ არ დაგიხვდი, გურამთან იქნებაო, იფიქრე, არა, მაგდა, შვილო?! (მიუახლოვდება, შემდეგ ლადოსკენ მიაცილებს) ეს ბატონი, გურამის სიმამრია, იქით, საძინებელში, გურამის ცოლი და სიდედრი ბაასობენ, აქ ოჯახური ზეიმია, შამპანურს ვსვამთ, უფრო სწორედ ვაპირებთ...

მაგდა (სიტუაცია შეაფასა, ლადოს უყურებს) — ოლიკო კარგადაა, შენ მშვიდად იყავი!

ნოშრევანი — ჰა?

მაგდა (ერთგვარი ირონიით) — ოლიკო კარგადაა-თქო, შენი და, რამ დაგაბნია?

ნოშრევანი — ოჰ, ჩემი ოლიკო, ჩემი და... იცნობდეთ, ჩემი დისშვილი, ბატონი ვლადიმერი...

ლადო (ძლივს მოთოკილი აგრესიით) — უცნაური შემოსვლა კი გცოდნიათ...

მაგდა — რატომ უცნაური? შამპანური მართლაც მიყვარს.

ლადო — სხვა რამ ვიგულისხმე...

მაგდა (მხრების აჩეჩვით) — სხვა რა უნდა გეგულისხმათ? თმის სარჭი დამივარდა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსასვლელში; ავიღე, ამ დროს გურამის ხმა შემომესმა, შამპანური გავხსნათო. გურამ, გილოცავ!

გურამი — მადლობთ, მაგდა...

მაგდა — ეს იყო და ეს, ჰოდა, ბიძაჩემმაც შემომიპატიჟა. გურამ, კარი რატომ დაგრჩენია ღია, გურამ?! ისე უბერავს, ისე ძალიან უბერავს...

ლადო (თავის შეკავებას ლამობს) - ერთ რამეს გთხოვთ ყველას! ვინც მე სულელად ჩამთვალა, თვითონ გასულელდა ბოლოს (კბილებში ცრის)! ახლა ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან (ნოშრესკენ გადააქნევს თავს), დისწული თქვენს ბინაში გაისტუმრეთ!

მაგდა — ეტყობა, ეს ბატონი რაღაცით ძალიან გავაბრაზე, მე კი ისე მინდოდა ერთი ჭიქა შამპანურით დამელოცა ახალდაქორწინებულები.

ნოშრევანი (ხელს მოხვევს მაგდას) — შამპანური მერე იყოს, წამოდი ახლა ჩემთან, ტორტს გაჭმევ.

მაგდა — აქ რომ ვჭამოთ ტორტი, არ შეიძლება, ბიძია?

ლადო (კვლავაც კბილებში ცრის) — ქალბატონო,ძალიან გთხოვთ!

მაგდა (ნათამაშევი შიშით) — ვაიმე, რა ბრაზიანია!

გურამი — მაგდა!

მაგდა (მზადყოფნით)— ჰო, გურამ, ყურადღებით გისმენ!

გურამი (მკლავზე მოეჭიდება, მიათრევს) — წადი, რა, ნოშრესთან ტორტი მიირთვი, წადი-თქო, მაგდა, წადი!

მაგდა (გზად) — ტორტს შამპანური უხდება... ტორტს შამპანური უხდება...

ნოშრევანი (მათ ადევნებული) — იქნება, შამპანურიც იქნება და კონიაკიც, მენდე! (ლადოს გამოხედავს) უკაცრავად, ბატონო ვლადიმერ, დისშვილი მესტუმრა და... მერე ვილაპარაკოთ, სხვა დროს.

გავლენ თუ არა, საძინებლიდან მერი გამოყოფს თავს.

მერი — ლადო, რა ხმაურია?!

ლადო — ისეთი არაფერი.... ჩვენი ქალიშვილი ძალიან დიდხანს იცვლის კაბას.

მერი — ვლაპარაკობთ, ადამიანო!

ლადო — ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ, (გამოჩნდება გურამი) მე და გურამსაც გვაქვს სალაპარაკო.

მერი — ის, ის ვიღაც, სატანის მოციქული გაეთრა?

ლადო (გურამს შეჰყურებს) — გაბრძანდა.

მერი (პირჯვარს გადაიწერს) — ბრა-ბრა-ბრა... შემოგვიგდო აქ, ნაღმივით. ლადიოტანტიო... სექსოპათოლოგიაა უეჭველად... თუ არადა, სექტა რომელიმე. ან რას გავდა, ფუჰ... (კარს მიხურავს, გაუჩინარდება)

გურამი — ბატონო ლადო, თქვენ, მგონი, არასწორად გაიგეთ...

ლადო (სიგარეტს სორსლავს) — გურამ, მომხედე, რომ იცოდე, რამდენ სიამოვნებაზე მაქვს უარი ნათქვამი. ჭკუას კი არ გარიგებ, მაგრამ... სანამ ოჯახს შექმნი, სიტუაცია როგორ უნდა მოასუფთავო, იცი? კერძს რომ მოასუფთავებს თეფშზე მოშიებული კაცი, ისე. მეც ვიყავი ახალგაზრდა...

გურამი — დიახ, მაგრამ...

ლადო (აწყვეტინებს) — გურამ, შინაგან საქმეთა სამინისტროში ვარ ნამუშევარი, ჯერ კიდე მაშინ! აი, წელან რო ბრძანდებოდა აქ, კაპარჩხანას ერთი, ასეთების გამო დავტოვე სამსახური და მერე შევედი ტაქსების წილში. ჰო, მაგრამ წილში ვარ, ბიჭო, ტაქსისტი კი არა ვარ! რა მეწყინა იცი, იმ გომბიომ ეს როგორ გაგიბედა. კაცურად მეწყინა. გურამ, ოჯახი სუფთა უნდა იყოს! ახლა პირდაპირ მიპასუხე, წავიყვანო მაია, თუ დავტოვო? იმ ქალის ადგილია ამ ოჯახში, თუ მაიასი?!

გურამი — ბატონო ლადო, მაგას რა კითხვა უნდა! ყველაფერი რიგზეა, თქვენ, უბრალოდ ვერ...

ლადო (ისევ აწყვეტინებს) — კარგი, ჯერ-ჯერობით ამაზე შევჩერდეთ, მინდოდა, ადამიანურად დამელოცეთ, მაგრამ ხასიათი გამიფუჭდა. მერი! მერი!

მერი (საძინებლის კარს აღებს) — არ შემჭამა ამ კაცმა, ლადო, კარგი რა, ლადიკო!

ლადო — ტაქსოპარკიდან დამირეკეს, სასწრაფო საქმე გამომიჩნდა, უნდა წავიდეთ!

მერი (მისაღებში გამოაბიჯებს) — აკი, მერე რესტორანშიო?

ლადო — მერი, წავედით!

მერი — იმის ბრალია უეჭველად, იმ დამთხვეულის, თავიდანვე არ მომეწონა მაგისი თვალები. გურამ, იცოდე, ნალი არ დაგავიწყდეს კართან, აუცილებლად ჩამოკიდე! (გამოჩნდება მაია)

მაია — სად გეჩქარებათ?! მამა, დედა მაინც დატოვე!

ლადო — მერე მოვალთ მე და დედაშენი. მოდი, გაკოცო (შვილს გადაკოცნის, გურამს გადაულაპარაკებს). გურამ, თეფშის მოსუფთავება არ დაგავიწყდეს.

მერი (ყურს მოკრავს ქმრის სიტყვებს, მაიასკენ) — შვილო, თეფშები გაქვთ დასარეცხი? ის ხსნარი იხმარე, რეკლამა რომაა, დედა ჭკუას რომ არიგებს თავის ქალიშვილს, ამასწინათ ერთად ვუყურეთ.

ლადო (მკლავში მოეჭიდება მერის) — წამოდითქო, თეფში ველარ გაურეცხიათ უშენოდ.

მერი (უკვე შემოსასვლელთან) — გურამ, კარი, გურამ, კარი არ დაგავიწყდეს!

გურამი (შემოსასვლელის კარამდე მიაცილებს) — დიახ, არ დამავიწყდება, აუცილებლად! (შემოტრიალდება, მაიას მიაცქერდება)

მაია — ეგ, ნოშრე თუ ვიღაც, ხომ არ უბერავს?!

გურამი — ჰო, ალბათ... მაია!

მაია — არ დამიფრთხო მშობლები?! იდიოტი...

გურამი — მაია, ჩვენ ბავშვები აღარ ვართ, შენ ოცდარვის, მე...

მაია (აწყვეტინებს) — რა უცნაური მინიშნებაა ჩემს ასაკზე, ვერ გავიგე...

გურამი — არა, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ რაღაც წინაისტორია ორივეს გვქონდა და ეს ბუნებრივიცაა...

მაია (გაღიზიანებით) — გურამ, ჩემი წინაისტორია ძალიან შორს დასრულდა აქედან, და თანაც, დასრულდა სამუდამოდ. შენ ყველაფერი იცოდი, რა ლაპარაკია ოცდამეერთე საუკუნეში...

გურამი — არა, მე ჩემს თავზე ვამბობ...

მაია — ცოლი გყავდა და დამიმალე?

გურამი — არა, არა, ცოლი არა...

მაია — შვილი გყავს ვინმესთან?

გურამი — არა, მაიკო!

მაია — გყავს, ვგრძნობ, ყველაფერი ისე კარგად დაიწყო, შეუძლებელია, ასევე გაგრძელებულიყო... შვილი გყავს, ხომ ასეა?!

გურამი — მადროვებ ერთი წუთი?!

მაია — ბრძანე, გისმენ!

გურამი — ჰოდა, მომისმინე. გთხოვ... მართალია, ჩემი მშობლებივით კონსერვატორი არა ვარ, მაინც, მაიკო, გულის სიღრმეში ტრადიციულ ურთიერთობას ვანიჭებ უპირატესობას. აი, შეხედე სურათებს! დედა დიასახლისი, მამა ინჟინერი — განა სახეზევე არ აწერიათ, ვინც იყვნენ?! კეთილი, მოსიყვარულე ადამიანები. თავისი სამყარო ჰქონდათ...

მაია — გურამ, მგონი, ძალიან შორიდან იწყებ!

გურამი — ჰო, იქნებ. უბრალოდ მინდა, უკეთ გამიცნო (მოულოდნელი აღტკინებით). მე არ მიყვარს რევოლუციები! არ მიყვარს ბრძოლა, სკანდალი, არ მიყვარს ხმაურიანი რეკლამა და თვითრეკლამა, საერთოდ, ხმაურიც არ მიყვარს, მაიკო! მე მთელი ჩემი არსებით სტაბილურობისკენ მივისწრაფვი. სიმშვიდისკენ! აი, ნახავ, დილაობით წყალს ვუსხამ ყვავილებს, ბიოლოგი ვარ განათლებით, მაგრამ ამ არეულ დროში გამომცემელი გავხდი. წიგნებს ვბეჭდავ. მხატვრულ ლიტერატურას, ტექნიკურსაც... მოულოდნელად გამიმართლა, ისე, საშუალო, საარსებო დონეზე... მეტს არც ვეძებ, მაიკო! იმდენიც კი მოვახერხე, რომ ზარალზე წავედი და რამდენიმე კარგი პოეტის წიგნი დავბეჭდე. თითქოს ყვავილისთვის დამესხა წყალი, ისე დავმშვიდდი — სული თუ სინდისი დამიამდა. ანდა, იქნებ, იმის ილუზია შევიქმენი, რომ ოდესღაც არსებული ქვეყანა დავიბრუნე. ჩემი ბავშვობის სამშობლო! შფოთისა და პოლიტიკის გარეშე. ტრადიციული ურთიერთობები, ტრადიციული მელოდიკა... ხომ გესმის, მაიკო, დედას ისე უყვარდა პოეზია...

მაია —ახლა კი, მართლაც მაშინებ! რა შუაშია პოეზია, რა შუაშია დედა და შენი საგამომცემლო მოღვაწეობა! პოეზია მეც მიყვარს...

გურამი — ვიცი, მჯერა, სხვაგვარად ჩვენი ამბავიც არ მოხდებოდა ამგვარი ყმაწვილური სულსწრაფობით... მაიკო, მაგრამ მამაშენი მართალია, ცოლს სუფთა თეფში უნდა შესთავაზო!..

მაია (გაღიზიანებით) — გურამ, პირი შეკარით შენ და დედაჩემმა?! რა სუფთა თეფში და „ფეირის“ ხსნარი აგიტყდათ, ვერ გავიგე! პირდაპირ მითხარი სათქმელი!

შემოდის შემთვრალი მაგდა თეფშზე ტორტის ნაჭრით.

მაგდა — ამ ლამაზი თეფშით ტორტი უნდა მოგართვათ! მაიკო?!

მაია — მაგდა?!

გურამი დაბნეული ჩანს, ხან ერთს გახედავს, ხან მეორეს...

მაგდა — შენ და გურამი?! (თეფშს მიაჩეჩებს გურამს, მაიას მიუახლოვდება) გილოცავ, (კოცნის) გილოცავ...

მაია — მადლობთ, შენ საიდან?

მაგდა — მე ხომ თქვენი კარის მეზობლის, ნოშრეს დისშვილი ვარ. აი, ბიძაჩემიც! (შემოეხეტება ნოშრევანი, გურამს უახლოვდება დამნაშავე იერით)

ნოშრევანი (გურამს) — სწორად გამიგე, ძმისშვილო, დალია ორი ჭიქა კონიაკი და აიჩემა...

ბურამი (თეფშს მიაწვდის, გაღიზიანებით) — თეფში დაიჭირე!

ნოშრევანი (ჩამოართმევს თეფშს, დახედავს) — რა შუაშია თეფში?..

მაგდა (მაიას) — ბიძაჩემმა მითხრა, ორ-სამ დღეში გადაწყვიტეს შეუღლებაო, მართალია?

მაია — ჰო, ასე მოხდა...

ბურამი (ქალებს შეჰყურებს) — ისე, ჩემთვისაც საინტერესოა, საიდან იცნობთ ერთმანეთს?

მაია — ჩვენ თანამშრომლები ვართ.

მაგდა (გურამს) — იცი, გურამ, მივლინებაშიც ვიყავით ერთად, გრანტი მოვიპოვეთ და სვანეთში ვიცავდით ქალთა უფლებებს. შეიძლება ითქვას, რომ ფემინისტებიც კი ვართ მე და მაიკო, აქამდე ვერ შეგვამჩნიე?

ბურამი — როგორღაც ვერა...

ნოშრევანი (ტორტიანი თეფშით ხელში, ინტერესით) — რაო, გურამ, ვინ ვართო?

ბურამი (შეფარული გაღიზიანებით) — ფემინისტებიო... სამსახურია ასეთი.

ნოშრევანი — ფემინისტები... ფემინისტები... (გახსენებას ლამობს, შემდეგ მიაგნო თითქოს თავისთვის პასუხს) ეს ის ხომ არაა, გურამ, ქალი ქალი რომაა და კაციც რომაა?

ბურამი (ქალებს შეჰყურებს) — დაახლოებით...

მაგდა — ნოშრე ბიძია, ჩემო კეთილო, რაც შენ ბრძანე, ჰერმაფროდიტი უფროა, ვიდრე ფემინისტი. ასე არაა, მაიკო?

მაია (უფრო გურამის გასაგონად) — მე სულაც არ ვთვლი ჩემს თავს ფემინისტად, უბრალოდ ვმუშაობ.

მაგდა (ხალისით) — დიახ! სწორედაც რომ ვმუშაობთ! ჩვენი იდეაც და მისწრაფებაც არის გრანტი და არა ფემინიზმი!

ნოშრევანი (ძალიან აღშფოთებული) — გინდა მისწრაფება იყოს, ბატონო, და გინდა იდეა, მაგრამ გამახსენეთ რაა ეს ფემინიზმი, გავიტანჯე ამდენი უცხო სიტყვით!

მაგდა (ნიშნისმოგებით) — აი, როგორ ჩამოვრჩით! (პედაგოგიური ტონით) — ფემინისტი, ნოშრე ბიძია, ქალთა და მამაკაცთა უფლებების თანასწორობისთვის მებრძოლს ნიშნავს.

ნოშრევანი — ჰო, ენაზე მადგა... საშინელი გრძნობაა, როცა იცი და ვერ იხსენებ. (მაგდას დააკვირდება იმედით) იქნებ ლადიოტანტიც გამაგებინო რას ნიშნავს! (თეფშს მაგიდაზე ჩამოდგამს)

ბურამი (გულიდან ამოძახილი) — ოოო...

მაგდა (ინტერესით) — ლადიოტანტი? (შემდეგ მაიასკენ) მაიკო, რას ნიშნავს?

ბურამი (გაღიზიანებით) — არ ეცინოს ბიჭებს, უცოდინარია! (ნოშრეს მიუტრიალდება, გაცარცვილი) ნოშრე, გამეცალე ცოტა ხნით! (შემკრთალი ნოშრევანი სცენის უკანა პლანზე გადაინაცვლებს, გურამი მაიასკენ მიტრიალდება) მიდი, მაიკო, რამე გაგვიკეთე! ძალიან გთხოვ...

მაია (დაბნეული) — რა უნდა გავაკეთო?

ბურამი — ყავა გაგვიკეთე, თუნდაც; აი, გვესტუმრნენ ძვირფასი სტუმრები!

მაია — რომ არ ვიცი, სად რა დევს.

მაგდა — ყავა კარადის ქვედა უჯრაშია ჯეზვესთან ერთად; შაქარი მაღლა, მარცხენა კუთხეში, მარჯვენაში ყავის ფინჯნები.

მაია (დაბნეული) — მადლობთ! (თავისთვის) ფინჯნები მარჯვნივ, მაღლა... (სამზარეულოსკენ გადადგამს ნაბიჯს, შემოტრიალდება, მაგდას) შენ საიდან იცი?

მაგდა (იცინის) — მაიკო, ხომ არ ეჭვიანობ? საიდან უნდა ვიცოდე, ბიძაჩემს ვაკითხავდი ხშირად, გურამთან ყავას შევექცეოდით, ამათ კარგი მეზობლობა აქვთ ძალიან, სამაგალითო.

მაია — აა...

მაია სამზარეულოში შევა. როგორც კი ცოლს გაიგულებს, გურამი მკლავზე მოეჭიდება მაგდას, დაძაბული ჩურჩულით მიმართავს.

ბურამი — სკანდალს მიგორებ? თვითონ ვეტყოდი ყველაფერს, ვეტყვი კიდეც, როცა გახვალ.

მაგდა — ნურაფერს ეტყვი.

ბურამი — რატომ? მუდმივად რომ მტანჯო, არა?! არ გამოვა! შენი სიგიჟეები ყელში ამოვიდა უკვე. ჩვენ დავშორდით, მორჩა!

მაგდა (მაცდური ღიმილით) — ხომ ისევ გინდივარ? გულწრფელად მითხარი! კაცებს მოსწონთ ქალის სიგიჟეები.

ბურამი (შეფარული ვნებით) — ჰო, შენ ისე იზიდავ კაცებს, როგორც ტელესტუდია იზიდავს შეშლილებს... ძალიან ავხორცი ხარ ფემინისტისთვის, მაგრამ მე არაბუნებრივი არაფერი ჩამიდენია და დასამალიც არაფერი მაქვს. ხმაურს ვერიდები, წვრილმან კინკლაობას... არ ჩათვალო, რომ რაღაცაში გამომიჭირე, გახვალ თუ არა, ვეტყვი, ამით დამთავრდება ეს ყველაფერი!

მაგდა — არ არის საჭირო, შენზე მეტად მე არ მინდა, გაიგოს. სხვა რომ ყოფილიყო, ისე, გულის მოსაფხანად, იქნებ მართლაც ამეგორებინა პატარა სკანდალი, მაიკოსთან არ მინდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურამი — აბა, რა ლაპარაკია, არ მესმის, ჯეზვე ქვედა უჯრაში, ფინჯნები მარჯვნივ, შაქარი მარცხნივ, ბარემ ისიც უთხარი, რა ფერის ზეწრები მაქვს, ბალიშისპირებიც არ დაგავიწყდეს!

მაგდა — ეგ, ჰო, ზედმეტი წამომცდა, ნოშრესთან ცოტა კონიაკი დავლიე და...

ბურამი — ასე, შენ, კიდევ ბევრი რამ შეიძლება წამოგცდეს!

მაგდა — არა-თქო, დამშვიდდი! შენს გამო თანამშრომლებს არ ვაჩურჩულებ, ამად არ ღირხარ. სხვათაშორის, ქმარსაც ვერ დავწყვეტ გულს.

ბურამი — ვინ ქმარს?

მაგდა — რომელიც ჩემთან ერთად მუშაობს ფემინიზმის პრობლემებზე საქართველოს მაღალმთიანეთში. მახარე ჰქვია, ძველი ქართული სახელი. რა, არ მითქვამს შენთვის, რომ ქმარი მყავს?

ბურამი — პირველად მესმის, ნაღდად გყავს?

მაგდა — ჰო, მყავს, ასე ვთქვათ.

ბურამი — მერე რას მიმალავდი! რა, ქულებს იწერდი ჩემთან, თუ პერსპექტივაში მხედავდი ქმრად, თუ რა ბავშვობაა, არ მესმის...

მაგდა — არც არის საჭირო. მოკლედ, დამშვიდდი და ზედმეტად ნუ ტოკავ, ძალიან გთხოვ!

ბურამი — რა ბითური ვარ!

მაგდა — ახალი ამბავი.

ბურამი — არ გამოვა, მამამისმა იეჭვიანა, ეტყვის...

მაგდა — ვინ არის მამამისი?

ბურამი — რა ვიცი, ვინ არის! მამამისია...

მაგდა — სად მუშაობს-თქო, სულელო!

ბურამი — წილი აქვს ტაქსებში.

მაგდა — ნოლ, ნოლ, რვა?

ბურამი — მგონი, ჰო...

მაგდა — მამამისს მე მივხედავ.

ბურამი (ძალიან დაკვირვებული მზერით) — ვინა ხარ, ე?

მაგდა — ვინ უნდა ვიყო, შენ არ შემასახელე ნოშრეს დისშვილად? ჰოდა, ბოლომდე ვითამაშოთ, რასაც ვთამაშობთ. (ხმამაღლა გასძახებს) ნოშრე ბიძია, რა სიტყვა მკითხე მაშინ?

ნოშრევანი (იმედიანად გამოეშურება მაგდასკენ) — ლადიოტანტი, მაგდა, გენაცვალე!

მაგდა — ინტენდანტში ხომ არ შეეშალა-თქო, ეს ვიფიქრე!

ნოშრევანი (იმედგაცრუებით) — შენც ინტენდანტს მჩრი? არ შემჭამეს ამ ინტენდანტით?! არა, ბატონო, არა, გარკვევით ვარ კითხე, ლადიოტანტად შეიძლება მოგევლინოო და რა ვიცი, ეს ოხერი!..

შემოსასვლელში გამოჩნდება სევდიანი იერის უცნობი.

სევდიანი უცნობი — შეიძლება?

ნოშრევანი — აი, ეს კაცი!

ბურამი (დაბნეული) — ვინ კაცი?

ნოშრევანი — ტორტი ვინც მომიტანა, ტორტი და ფული. მაშინაც ვიფიქრე, ქვითარზე არ მომაწერინა ხელი-თქო. (უცნობს მიუახლოვდება) მოდი, მოგიწერო!

სევდიანი უცნობი (მაგიდაზე შემოდებულ ტორტს მიჩერებული) — გაჭრილი ტორტიდან უფრო იგრძნობა ვანილის არომატი, არა?

ნოშრევანი (დაბნეული) — რა ბრძანე?

სევდიანი უცნობი (ისეთივე სახით) — და სევდაც... (შემდეგ გახედავს ნოშრევანს) ხომ არის რაღაც ღრმა, შეფარული სევდა გაჭრილ ტორტში? ვერ გრძნობთ?

ნოშრევანი — არ მიფიქრია, რატომღაც...

სევდიანი უცნობი — ჩემი ფსიქოანალიტიკოსი კი მეთანხმებოდა.

ნოშრევანი (მრავლისმეტყველი მზერით გურამისკენ) — ფსიქოანალიტიკოსი ესე იგი...

სევდიანი უცნობი (ისევ ტორტის ნაჭერს უყურებს) — ჰო, ფსიქოანალიტიკოსი. მეცხრე და ოცდამეშვიდე ქუჩების გადაკვეთაზე, ძველი აგურით ნაგებ, მოსაწყენ სახლში, მესამე სართულამდე აუყვები მაღალ, ცივ კიბეს და მიადგები კარს, რომელსაც მძიმე ჭრიალით გიღებენ. შენს წინ გრძელი დერეფანია, იატაკზე კი გაცვეთილი, ნაცნობი ხალიჩაა გაგებული. და მიდიხარ ხალიჩაზე, მიდიხარ, მიდიხარ, (მაგიდისკენ მიდის, რაღაცნაირად შეპყრობილი, თითქოსდა ვიღაცის პირით, თუ ნებით ამეტყველებული. რობოტივით მართულს ჰგავს; იქნებ ამიტომაც სევდიანს, მომნუსხველსაც, თავისი მორთულობით.. სამზარეულოდან მაია გამოჩნდება ლანგარზე შემოდგმული ყავის ფინჯნებით, უცნობის დანახვისთანავე იქვე, სკამზე ჩამოჯდება, მას მიაცქერდება, უცნობი კი ტორტის ნაჭერსაა მიჩერებული და მაგიდას უახლოვდება) მიდიხარ, და ჰაერი, სადაც შენ მიაბიჯებ გათელილი, მტვრიანი ხალიჩის უსასოობითაა სავსე. ეს ბოლო გაჩერების უსასოობაა. რაღაცა ხრჩოლავს მარცხივით, ხრჩოლავს, პირდაპირ სულში ხრჩოლავს — მტვრიანი, უღონო, გულისჩამწყვეტი. შენს წინ კი ისევ კარია — თეთრი, ოდნავ შეყვითლებული, თითქმის კრემისფერი. სად არის ჩემი სიყვარული, სად, სად დავკარგე ჩემი სიყვარული, რად ვერ ვიხსენებ! მე ისე მცივა

ხალიჩიდან, იატაკიდან, შეყვითლებულ კარიდან, და იმ დაბალი, მელოტი კაციდან, ობიანი ღიმილით რომ მიყურებს. აჰ, ეს თქვენა ხართ? დიახ, ბატონო, შეიძლება?რა თქმა უნდა, მყუდროდ მოთავსდით, დავიწყოთ! და იწყებ, რადგან ეს შენთვის განკუთვნილი დროა. და იწყებ ყველაზე არსებითით და ამბობ: იცით, სიყვარულთან ერთად თავიც დავკარგე, იცით! შევეცადოთ, იქნებ გავიხსენოთ! - ჰოო, ჰოო, გავიხსენოთ, ძალიან მინდა, მაგრამ რა გავიხსენო? — კითხულობ შემდეგ — გაიხსენეთ ნებისმიერი რამ, რაც პირველად მოგადგებათ ენაზე, სიმღერა, ზღაპარი, ანდაზა, მხოლოდ მთავარია, გაიხსენეთ რამე! რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. ეს ანდაზაა - გეკითხება. ჰო, მგონი! რა საინტერესოა! მართლაც საინტერესოა, რადგან მე თავი დამაკარგინა სიყვარულმა, ბატონო! ოჰ, სიყვარული! და გახსენდება შენი ბავშვობის მძაფრი შეგრძნება და მერე ყვები — იტალიური ეზო, დახვეული კიბეებით შუშაბანდიანი ბინისკენ — დედა იქა დგას, შუშაბანდში, კრემს დღვებს ტორტისთვის და სულ ერთიანად არის გახვეული ამ მოტკბო, მოტკბო, სევდიან არომატში. შენ კი გინდა, ხელები აულოკო მას ძაღლივით. არ შეიძლება — იცინის დედა, შვილო, შეიშალე? და მიდიხარ, მიიძურწები, რაღაცნაირად გალახული და ნაცნობ კარადას აღებ, რომლის ჩამდგარი, ჩაბუდებული წიაღიდან ვანილის სუნი კრთება, და ისუნთქავ ამ არომატს, და სევდაში იტრუნები... ჰოო, ამბობს დაბალი და მელოტი, და ისევ ამბობს — ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ძალიან, ძალიან, ეს უკვე ბევრს ნიშნავს, თქვენ შეგიძლიათ ამ მოგონებაზე ააგოთ თქვენი ახალი ეგო, დაირქვით რამე სახელი, ჯეკი, აბდულა, თუ იური და აშენეთ, აშენეთ!.. მაგრამ მე არც ჯეკი ვარ, არც აბდულა, და არც იური! მე სხვა ვიყავ ვიღაც, აშკარად სხვა, და სიყვარულმა თავი დამაკარგვინა. მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ნუ იქნებით ნურც ჯეკი და ნურც იური. იყავით თუნდაც ლადიოტანტი, მთავარია, ახლიდან აშენეთ...

ᲜᲝᲨᲠᲔᲕᲐᲜᲘ — შვილო, ჩემო შვილო, გიორგი!

ᲚᲐᲓᲘᲝᲢᲐᲜᲢᲘ (ერთგვარი სიცივით) — მე გიორგი არ მქვია, მამა! გურამ, გამარჯობა!

ᲒᲣᲠᲐᲛᲘ (დაბნეული, მონუსხული) — ... როდის ჩამოხვედი?

ᲚᲐᲓᲘᲝᲢᲐᲜᲢᲘ (გურამს შეჰყურებს) — ჰა? რა უსუსური კითხვაა. მნიშვნელობა აქვს როდის ჩამოვიდა ის, როცა უფრო არსებითია, ვინ ჩამოვიდა.მე ვერ მიცნეს, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ უკვე სხვა ვარ. მე მჭირდება ახალი სიმღერები, ზღაპრები და ანდაზები,მაგრამ, ამავე დროს, მე გახსენებაც მჭირდება. გურამ, არა გაქვს ანდაზების წიგნი?

ᲒᲣᲠᲐᲛᲘ — არ ვიცი, ალბათ...

ᲜᲝᲨᲠᲔᲕᲐᲜᲘ — შვილო, არ შემშალო, რა დაგემართა,შვილო! გურამ, დავიღუპე, გურამ?! (შვილისკენ დაიძრა)

ᲚᲐᲓᲘᲝᲢᲐᲜᲢᲘ (ხელის მოძრაობით აჩერებს ნოშრევანს, თავად კი ტორტს მიაჩერდება კვლავაც) — შეიძლება, ეს ტორტი ავიღო?

ᲜᲝᲨᲠᲔᲕᲐᲜᲘ — ტორტის მეტი რა მაქვს, ბიჭო, შინ, შენი მოტანილი!

ᲚᲐᲓᲘᲝᲢᲐᲜᲢᲘ (კვლავაც ტორტს უყურებს, თავის გადაქნევით) - ... არა,სწორედ ეს მინდა! შეიძლება?

ᲜᲝᲨᲠᲔᲕᲐᲜᲘ — რაც გინდა, მამა, როგორც გინდა! (კვლავ გურამისკენ) დავიღუპე, ხომ?

ᲚᲐᲓᲘᲝᲢᲐᲜᲢᲘ (დასწვდება თეფშს) — თქვენის ნებართვით, ამას ცალკე შევჭამ, განმარტოებით. საშინელებაა, როცა ტორტის ჭამისას ვიღაც გიყურებს; თითქოს ინტიმი გერღვევა შენს ბავშვობასთან. მე კი რაღაც მთავარი მაქვს გასახსენებელი, რაღაც ძალიან მთავარი! (თეფშით ხელში მიდის კარისკენ, მოიხედავს გასვლისას) მე ხომ ისეთი სუსტი ეგო მაქვს ჯერ, შეიძლება მოვკდე კიდეც, თუ არ გავიხსენე... არ გეწყინოთ! (ოთახიდან გადის)

ᲜᲝᲨᲠᲔᲕᲐᲜᲘ (ჯერ შვილს გაადევნებს თვალს, შემდეგ ოთახში მყოფთ გამოხედავს, ხელის სასოწარკვეთილი მოძრაობით გამოხატავს თავის შინაგან მდგომარეობას, ისევ შვილს გახედავს) - ბოდიში, შვილი მესტუმრა და... ბოდიში... (გაყვება ლადიოტანტს)

ᲛᲐᲒᲓᲐ (როგორც კი მამა-შვილი გავლენ, სახეს წამოსწევს, თვალზე ცრემლი უბრჭყვიალებს) — რა სიცრუეში ვცხოვრობთ, ღმერთო ჩემო, რა შეუბრალებელ სიცრუეში... რატომ დამრია ხელი სევდამ? (წამოდგება, გზადაგზა ლაპარაკით მიდის კარისკენ) რატომ, რატომ დამრია სევდამ ხელი, რატომ ასე, რატომ... (კარიდან გავა)

მაგდას გასვლისთანავე გურამი მიზანდასახული, ენერგიული ნაბიჯით მიაშურებს კარს და ზურგით მიეყრდნობა, თითქოს სხეულით ჩარაზაო შემოსასვლელი.

ᲒᲣᲠᲐᲛᲘ (სკამზე გარინდებით მჯდარი მაიასკენ) — მორჩა ეს სიგიჟე, მორჩა, ჩავკეტე, ახლა დამთავრდა, მორჩა!

მაია უტყვად მისჩერებია გურამს.



ბურამი — რა დაგემართა?

პაუზას უეცრად მკვეთრი, მკაფიო ფხაჭუნი დაარღვევს.

მაია — ... ვირთხა.

ბურამი (დამფრთხალი მზერით) — ... ჰა? (სკამს მიწვდება, ოთახს ათვალიერებს სკამმომარჯვებული) რა ვირთხა?!

მაია (გაუცხოებული მზერით) — ვირთხა... ბინაში ვირთხა... ვირთხა ბინაში...

ქრება შუქი.

სურათი მეორე

(შვიდი თვის შემდეგ)

იგივე გარემო. მერი ქოთნებთან ჩაჩოქილა ცოცხით ხელში, საძინებლიდან გურამი გამოვა, ფრთხილად გამოხურავს კარს.

ბურამი — რა ბედნიერებაა, მშვიდად როცა ჩაიძინებს ხოლმე.

მერი (გამოხედავს) — დედა ენაცვალოს, როგორ გაწამდა გოგო!

ბურამი — ბატონი ლადო წავიდა?

მერი — მოვა სადაცაა. რამეს ვუყიდი, გულს გავუხარებო...

ბურამი — ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ასე მძიმე თუ იქნებოდა ფეხმძიმობა.

მერი (ნიშნისმოგებით) — კაცებს, საერთოდ, ზერელე წარმოდგენა აქვთ ქალის ტვირთზე.

ბურამი — დიახ, ეტყობა... თუმცა, რაღა დაგიმალოთ და მეც გავიტანჯე... (შორს წასული მზერით) ტირის და ტირის... დამაძინეო, ხანდახან ისე მეტყვის, გული მიკვდება მაგის საცოდაობით. ვეფერები, ვამშვიდებ, ამ დროს, უცებ შეიცვლის ხასიათს, აუტანელი სუნი გდისო, თავიდან მიშორებს... მერე ისევ ტირის... ერთხელ დანასაც წამოავლო ხელი, უნდა მოგკლაო — უცნაური გამომეტყველება დაედო სახეზე, სრულიად შეიცვალა. ერთ დღეს ისე აურია, ჩემს ჩანთაში ჩავყარე ტანისამოსი და გაგეცლები-თქო დროებით, შევთავაზე. თუ ახლა წახვალ, თავს არ ვიცოცხლებო, დამეშუქრა. დავრჩი. უშფოთველი, წყნარი საღამო გავატარეთ ტელევიზორთან. მეორე დღეს თავიდან დაიწყო... ახლა ძალიან რომ აურევს, ისევ ჩანთას წამოვავლებ ხოლმე ხელს, მშვიდდება რაღაცნაირად...

მერი (ცოცხით ხელში უსმენდა) — ...გრცხვენოდეს, გურამ!

ბურამი — სწორად ვერ გამიგეთ... მე ზუსტად წესიერი გამოვდექი საიმისოდ, რომ ფეხმძიმე ცოლი მივატოვო... წესიერი თუ რა ვიცი, რა დავარქვა... ვერ შევძლებ უბრალოდ... ის რაღაც წამიერი იყო... უეცარი იმპულსი... დავინახე, რომ სასიკეთოდ იმოქმედა და ამიტომაც ვეშმაკობ...

მერი — მე ხომ შემოგთავაზეთ, თუ გინდა ჩვენთან გადმოდით-თქო... ყოველ შემთხვევაში, მაიკო მაინც...

ბურამი — ვერ მოისვენებს თქვენთან... რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის, ასე მგონია, აქ, ამ კედლებში დავიბადეო...თან ჯერ ადრეა... ბათუმიდან თუ ჩავთვლით, ექვსი თვე და სამი კვირა გავიდა, აქ ჩამოსვლის დღიდან, შვიდ თვეს სამი დღით გადაცდა.

მერი (აქანდაზზე შეაქუჩებს მოხვეტილ მტვერს) — ჰოდა, დროა კიდეც, რა იცი, რა ხდება... მოთმინება კი გმართებს, ასეა, რას იზამ... (სამზარეულოსკენ წავა)

ბურამი — დიახ... რა თქმა უნდა...

ტელეფონის ზარი. გურამი ყურმილს იღებს.

ბურამი — დიახ! ჰო... თურაშაული ვაშლის ჯიშია... კი... პანტა ხომ გახსოვს, რაც არის... მაგას ნიშნავს სწორედ... რა არის, იცი, მაიკომ ძლივს ჩაიძინა, კითხვები ერთად დააგროვე და მერე ვისაუბროთ. მეშინია, ზარის ხმამ არ დაუფრთხოს ძილი... არაფრის... (ყურმილს ჩამოკიდებს. სამზარეულოდან მერი გამოვა)

მერი — ვინ იყო?

ბურამი — ნოშრეს ბიჭი... საცოდავმა ძალიან აურია, ანდაზების აზრს მეკითხება...

მერი — საცოდავი კი არა, გენაცვალე, ეგ არის მაგარი გარეკილი... ჯერ მარტო თვალებზე დააკვირდი, სერიული მკვლელის თვალები აქვს, კინოებში მინახავს მასეთები... ხომ ვაფრთხილებდი საცოდავ მამამისს, ლადიოტანტი ცუდი სიტყვაა-თქო, არ ვყოფილვარ მართალი? ამხელა კაცი დამდგარა და ხან ტორტს აცხობს თურმე, ხანაც ვანილს ყნოსავს. არ არის სექსოპათოლოგია, მიპასუხე!

ბურამი — მე მგონი, რაღაც სხვა ჭირს მაგ ბიჭს...

მერი — სხვა კი არა, სწორედ ეგ ჭირს... ღმერთო, მაპატიე, თუ რამეს გცოდავ... (პირჯვარს გადაიწერს) მე რომ ნალი მოვიტანე, არ ჩამოკიდეთ კიდევ კარზე, არა?! (თავს გადაქნევს) არ გჯერათ ჩემი და . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურამი (იქნებ პასუხისგან თავის ასარიდებლადაც) — ყავა ხომ არ დაგველია? მე მოვადულებ.

მერი — იჯექი შენ, დაისვენე... (სამზარეულოსკენ გაეშურება)

ბურამი — მაიკო მშვიდად რომ ჩაიძინებს ხოლმე, ბედნიერებით ვთვრები თითქოს, იდიოტივით მინდა ვილაპარაკო და ვილაპარაკო...

მერის ხმა სამზარეულოდან — ილაპარაკე მერე, ყველაფერი მესმის!

ბურამი (ფეხს ფეხზე გადაიდებს) — არა, მაგიტომ კი არა... (ვერ ისვენებს მაინც, სალაპარაკოდ აღერღილა) მოთმინება გმართებსო, ასე მითხარით, არა?

მერის ხმა — ჰო, შენც გმართებს მოთმინება და მაიკოსაც, ბავშვი იოლად არ ჩნდება, გენაცვალე, მოთმინება უნდა...

ბურამი — იცით, თუ რამე არ მესწავლება, მოთმინებაა სწორედ; იმიტომ, რომ გამოუსწორებელი იდეალისტი ვარ... ბუნება მაქვს ასეთი... ცხოვრებას ცოტათი რომ შეეწყო ხელი, იქნებ კარგი მეცნიერი დამდგარიყო ჩემგან... ან შემოქმედი... ისინიც ასე არიან... მიუწვდომელისკენ მუდმივ სწრაფვაში... თანაც რა არის იცით, საინტერესო? მიუწვდომლისკენ სწრაფვას, როგორც წესი, სამზარეულოს ოპოზიციამდე მიყავს ადამიანი... უცნაურია, არა?... ეს ერთგვარი სტატუსია... სულის მდგომარეობა... დიდ მოთმინებას ითხოვს, სხვათაშორის, იყო ოპოზიციონერი და ამავე დროს, ვერ იტანდე რევოლუციებს... ხშირად ვფიქრობ ხოლმე ჩემს თავზე, ვინ ვარ, რას წარმოვადგენ ამ აწყვეტილ სამყაროში...

მერის ხმა — როგორ სამყაროშიო?

ბურამი —აწყვეტილში... აღვირახსნილში... ძალიან ცვალებადში... უაღრესად პრაგმატულში, ამავე დროს... მაგრამ ეს რაღაც სხვა პრაგმატიზმია... მეკუბოვის თუ მესაფლავის პრაგმატიზმი...

მერი (სამზარეულოდან გამოდის ჭიქით ხელში) —კუბო და მესაფლავე არ მიხსენო, შენი ჭირიმე, ფეხმძიმე ქალია ოჯახში. (ჭიქას მიაწვდის)

ბურამი (ჩამოართმევს ჭიქას) — მადლობთ.

მერი — ბოლო კოვზი იყო... ყავაა საყიდელი.

ბურამი (მოსვამს) — გამომცემლობაში უნდა მივიდე, გზად წამოვიყოლებ... (ქოთნებისკენ გაიხედავს) იცით, ეს ქოთნები და ყვავილები სწორედ ასე მახსოვს ჩემი ბავშვობიდან... დილაობით წყალს ვუსხამ ხოლმე და ვმშვიდდები... იქნებ ჩემი ილუზიაც ისაა, რომ იქ მინდა დაბრუნება, საიდანაც ერთხელ უკვე წამოვედი და სადაც დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობს... მე კი მაინც, ჯიუტად ვცდილობ, უკან დაბრუნებას... იდეალიზმი, ალბათ, ყველაზე დიდი ილუზიაა, მაგრამ, ამავე დროს თავშესაფარიც არის... თუმცა ილუზია და თავშესაფარი, კაცმა რომ თქვას, ძალიან მახლობელი ცნებებია... (ეცინება) მართლაც რომ იდიოტივით ავლაპარაკდი — ჭკვიანურად და გაუგებრად... მაიკოს ბრალია... (ყავას მოსვამს. მის შემყურე მერის) თვალი გაგიცივდათ?

მერი — ვფიქრობ...

ბურამი (ცოტათი ნასიამოვნები) — ისეთი არაფერი მითქვამს... ყავის სმაში წავილაყფე, ესაა და ეს...

მერი — გურამ, მგონი, ქოთნების უკან აქვს ვირთხას სორო... (პაუზა) ჰა? კი... უეჭველად... წამოდი, ის ქოთანი გადამიადგილე, მძიმეა...

ბურამი (ჭიქას ჩამოდგამს) —ეგ იოლი სამსახურია, მაგრამ...

მერი (უკვე ქოთანთანაა) —მიდი, მიდი!

გურამი ქოთანს გადადგამს.

მერი — ერთი ესეც... (მეორე ქოთანზე უთითებს)

ბურამი — ეს საით?

მერი — აქ... (ადგილს მიანიშნებს, გურამი კვლავ გადააადგილებს)

მერი — გურამ, ესეც, შენი ჭირიმე!

ბურამი —კი, ბატონო! (კვლავ გადააადგილებს)

მერი — სად ჯანდაბაში აქვს სორო, შვიდი თვეა ფხაჭუნი ისმის ოჯახში... გაწამდა გოგო...

ბურამი — იცით, რა მგონია? ვირთხა საერთოდ არ არსებობს... ალბათ მილიდან ისმის ის ხმა...

მერი (უნდობელი მზერით) — რისი მილი, გურამ, რა მილი... არ იცი შენ, რა ეშმაკი და ჭკვიანი ცხოველია ვირთხა...

ბურამი (ჩაცინებით) — როგორი ეშმაკიც არ უნდა იყოს, დავიჯერო, მხოლოდ სოროში ცურცლავს? ცურცლი ხომ არ გვინახავს ბინაში... ასეთი ჭკვიანი და მოწესრიგებული ვირთხა, ქალბატონო მერი, მერწმუნეთ, ბუნებაში არ არსებობს, ბიოლოგი ვარ განათლებით და ვიცი...

მერი — ჰო, ჩემო გურამ, ჰო, თქვენ ყველაფერი იცით, მე არაფერი... გეუბნებოდი თუ არა, კარია გამოსაცვლელი-თქო?

ბურამი — მერე, ხომ გამოვცვალე?!.

მერი — მერე კი... იქამდე უნდა კარს გამოცვლა, ცოლს სანამ მოიყვან, გენაცვალე...

ახლა, მე რომ მკითხოს კაცმა, კი არ უნდა ვკეტავდეთ, პირიქით, პირთამდე უნდა ვაღებდეთ კარს; როგორც შემოძვრა , იქნებ ისე გაძვრეს ბინიდან...არ მეთანხმები?

ბურამი – არ ვიცი, სიმართლე გითხრათ.

მერი – აი, ხომ ხედავ... თქვენ იმაშიც არ მეთანხმებოდით, ლადიოტანტი ცუდი სიტყვაა-თქო, რომ ვამბობდი... მე, რატომღაც, არავინ არაფერში არ მეთანხმება, რატომ, ეს ვერ გავიგე... (სამზარეულოსკენ დემონსტრაციული ნაბიჯით გაემართება)

ბურამი – ქოთნებს ძველ ადგილას დაგაბრუნებ!

მერი (გზად) – იყოს, გამოსაგველია ის კუთხე!

ბურამი – კარგით მაშინ, მერე, რომ მოვალ...

პაუზა. სამზარეულოდან ხმა არ ისმის.

ბურამი – მე წავედი, დროებით!

სამზარეულოდან ისევ არ ისმის ხმა. გურამი საძინებლის კარს გამოაღებს, შემდეგ შემოსასვლელისკენ გაემართება. როგორც კი გავა, სახეამრეზილი, ცოცხმმარჯვებული მერი გამოვა სამზარეულოდან. შემოსასვლელი კარისკენ ზურგშექცევით დგას. აქანდაზზე მტვერს ხვეტს. კარზე კაკუნი.

მერი – ლადი, ჩამოწიე სახელური, არაა გასაღებზე!

შემოდის ლადიოტანტი. მორიდებით ჩადგება კარში. მერის შეჰყურებს.

მერი (ქოთნებთან ჩაჩოქილი) – რა უყიდე?!

სიჩუმე. მერი გამოხედავს. აშკარად ეტყობა შიში.

მერი – გურამ გურამ! (შემდეგ ლადიოტანტს) გურამია აქ... აბაზანაში!..

ლადიოტანტი – გურამი ფანჯრიდან დავინახე, მიდიოდა...

მერი – ლადი! ლადიკო!

ლადიოტანტი – თქვენი მეუღლეც დავინახე, ისიც მიდიოდა...

მერი (შეშინებული) – რა გინდა?..

ლადიოტანტი – „კაცი კაცითაო, ღობე ქაცვითაო", ანუ, როგორც მე გავიგე, ადამიანი ადამიანს უნდა მიეხმაროსო, არა?

მერი – უკითხავად რატომ შემოხვედი?

ლადიოტანტი – უკაცრავად... დავაზუსტებდი ფორმულირებას...მე უკითხავად არ შემოვსულვარ, რადგან ვიცი, რომ კერძო საკუთრება კონსტიტუციითაა დაცული და არავის ეპატიება ამ ფუნდამენტური უფლების ხელყოფა... მე დავაკაკუნე, რაზეც მივიღე შემდეგი პასუხი: – ლადი, ჩამოსწიე სახელური, არაა გასაღებზე!.. წინაალმდეგ შემთხვევაში, მე ისევ კართან ვიდგებოდი...

მერი – მერე, შენ ლადი ხარ? ლადი ჩემი მეუღლეა, ლადიკო...

ლადიოტანტი – აი, რაში ყოფილა საქმე... მე კი ჩავთვალე, რომ ლადიოტანტის კნინობითი ფორმით მიხმეთ. თუმცა, კვლავ დავაზუსტებდი ფორმულირებას: ეს გაუგებრობაა და არა კანონდარღვევა. ახლა მე თქვენ მოგიხდით ბოდიშს და გავბრუნდები ბინაში, რომელშიც ვარ ჩაწერილი მამაჩემთან ერთად, ანუ, ვფლობ არსებული ფართის ნახევარს!..

მერი – წადი, გენაცვალე, წადი, მერე მოდი, თუ გინდა, სხვებიც რომ მოვლენ, ახლა წადი!..

ლადიოტანტი – „წავალ-წავალა, სტუმარი სახლისა ამომგდებიაო"... რა მიკვირს, იცით, რაღაცნაირად რთულადაა აზრი მოწვდილი... ისიც მაკვირვებს, დაახლოებით იგივე შინაარსის სხვა ანდაზაც რომ არსებობს, აი, მაგალითად: „წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისაო" – ესეიგი, დროზე წადიო, რა, ამას გვასწავლის ერთიც და მეორეც... ხომ შეიძლებოდა მარტივად თქმულიყო: – წადი, თორემ პატრულს გამოვუძახებ!..

მერი (თითქოს ინტერესი გაუჩნდა) – ანდაზებით რატომ ლაპარაკობ?

ლადიოტანტი – უფლებას მაძლევთ, გიპასუხოთ?

მერი – კი...მხოლოდ, მერე წადი!..

ლადიოტანტი – მე უნდა ვიყო ძალიან დაკვირვებული და ბევრისმცოდნე... იცით, რა რთულ პერიოდს გავდივარ ახლა? ძალიან რთულს და საპასუხისმგებლოს, რადგან თავადაც ვგრძნობ, დასრულებული კი არა ვარ, არამედ ვარ გარდამავალი და რადგან გარდამავალი ვარ, ესეიგი ტრაგიკულიც... მე ჯერ ისეთი სუსტი ვარ, ქალბატონო, ისეთი სუსტი, მე ბოლო გაჩერების უსასოობა ვიგრძენი... ყოფილხართ ბოლო გაჩერებაზე? (სადღაც წასული მზერით)

მერი – რის ბოლო გაჩერებაზე, გააჩნია?

ლადიოტანტი – მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ქალბატონო, როცა სულში მარცხი ხრჩოლავს... იმედგაცრუება... სიცარიელე... იცით, როგორ ხრჩოლავს სიცარიელე? საზარლად... გულისჩამწყვეტად... მერე კი ტვინში გაიწკაპუნებს რაღაც, წკაპ, და ამის მერე სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წკაპუნობს და წკაპუნობს...რატომ ვარ?... სადა ვარ? ვინ ვარ?.. გარემო კი ისეთი უცხოა, ისეთი ცივი... მე ვმუშაობდი, ვმუშაობდი, მე ძალიან ბევრს ვმუშაობდი, ვესტერნიუნიონით ვაგზავნიდი ფულს, და თან, სულ მენატრებოდა, სულ, მუდამ, განუწყვეტლივ, სანამ იმ გოგოს არ გადავაწყდი შემთხვევით... ის იყო ჩემი... ის ნატრული იყო და ვანილის არომატს, როგორც საქორწინო ფატას, ისე მოხდენილად დაატარებდა... ჰო, მას თან სდევდა ვანილის სურნელი და რა გასაკვირია, რომ ტორტის გამოცხობა შევთავაზე... ჩვენ გამოვაცხვეთ უშველებელი, ორმოცკვერცხიანი ტორტი და ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი; მერე კი მე, ვთხოვე ჩემს სიყვარულს, ნება დაერთო, რომ მისი ხელები ამელოკა... ძაღლივით, ძაღლივით ვლოკავდი ხავერდოვან, ფაფუკ ხელებს, სულში სითბო მეღვრებოდა და ვგრძნობდი, როგორ ასხდებოდა მის სხეულს ნეტარების პაწია ხორკლები... ეს ძალიან სევდიანი ამბავია, ქალბატონო, რადგან მან მიმატოვა... მე ველოდი, დიდხანს ველოდი, მერე კი, ერთ დღეს ვიფიქრე, ის სადღაც აქაა, საკმარისია შინიდან გავიდე და გადავაწყდები-თქო კიდეც... არ იყო კარს მიღმა... არც სადარბაზოსთან იდგა... ვერც ქუჩაში შევნიშნე... მაშინ ჩავჯექი ორსართულიან ავტობუსში, მეორე სართულზე, ვიღაც წითელცხვირა მოხუცთან ერთად, რომელიც სულ ქშუტუნებდა და ქშუტუნებდა, მე კი ვუყურებდი ქუჩას და ვფიქრობდი, აი, ახლა მოვკრავ თვალს, აი, ახლა, ახლა დავინახავ ჩემს მოტკბო, მოტკბო, სურნელოვან სევდას... მაგრამ ავტობუსი გაჩერდა და მითხრეს, რომ ბოლო გაჩერებაზე ვარ... ჩამოვედი მაღლიდან დაბლა, სადაც იყო ღამე და ციოდა და მაშინ ვიფიქრე, ქალბატონო, რომ ბოლო გაჩერება ცივი უდაბნოა, სადაც შენ სრულიად მარტო ხარ, და,აი, წკაპ, გაწკაპუნდა კიდეც რაღაცა თავში...

მერი (თითქოს სახეცვლილიც კი) — რატომ დამრია ხელი სევდამ, ასე ძალიან რატომ დამრია ხელი სევდამ, რატომ, რატომ... მე ვბერდები... მე ისე უშელავათოდ ვბერდები... და ვგრძნობ, რომ ქმარი მღალატობს... ამ ბოლო დროს ის მამაკაცის სუნამოებს იშხურებს, იშხურებს, და უცნაური კვესით უელავს თვალები, მე კი სადაცაა ბებია გავხდები... რატომ დამრია ხელი...

ლადიოტანტი — ქართულ ფოლკლორში ბებიაზე არსებობს შემდეგი ანდაზა: „ბებია, ბებია. წირპლიან თვალში იმიტომ გაკოცებ, რომ კვერი გამომიცხოო“...

მერი (დაბნეული) — ჰა?

ლადიოტანტი (რობოტივით) — ახლა ანდაზადაა თქმული: ბებია აკვანთანო, ბაბუა კი სხვა ქალთანო... რაც, დაახლოებით ნიშნავს...

მერი (საბოლოოდ გამოერკვევა, აგრესიით) — ახლა აქედან....წადი ახლა!.. წაბრძანდი! წადი, წადი, მამა გელოდება ალბათ...

ლადიოტანტი — მე აქამდეც წავიდოდი, ქალბატონო, მაგრამ თავადვე შემაყოვნეთ... ძალიან გთხოვთ, არ ჩათვალოთ, რომ თქვენი დრო გავფლანგე, მე კარგად მახსოვს, დრო — ფულია! მე არ ვაპირებ, დისკომფორტი შეგიქმნათ, და არც იმას ვაპირებ, გაზარალოთ; უბრალოდ, თვალში მომხვდა მცირეოდენი გადაადგილებები ამ ოჯახში, ქოთნებს ვგულისხმობ, ქალბატონო, და იცით რა შეგრძნება მეწვია უეცრად? ცვლილებების სუნი დატრიალდა, თქვენ ვერ გრძნობთ ცვლილებების სუნს?

მერი (დაბნეული, ცოტა შეშინებულიც) — რომელი ცვლილებების?

ლადიოტანტი — რა მნიშვნელობა აქვს რომელი თუ რანაირი ცვლილებების, მთავარია, რა სუნი ასდის ცვლილებას...

მერი — რა სუნი ასდის?..

ლადიოტანტი — ბენზინის მძაფრი სუნი... კი... ოღონდ, ქალბატონო, ბენზინსაც გააჩნია... აი, ბოლო გაჩერებაზე რომ ავტობუსი დგას და სუსხსა და სიცივეში გამოკრთება ავზიდან, იმ ბენზინის სუნი ასდის ცვლილებებს... შენ ჩაიარე, ბენზინის სუნი გეფეთა ცხვირში და უეცრად ისევ სუსხში აღმოჩნდი... ეს არის ძალიან ხანმოკლე, წამისმიერი, ოღონდ მძაფრი და ყოვლისმომცველ სუსხში გამკრთალი სუნი... მე ისე მძაფრად შევიგრძნობ სუნებს... აი, თქვენ, მაგალითად, ქალბატონო..

მერი (მთელი ხმით) — წადი! წადი! წადი-თქო, სანამ პატრულს გამოვუძახე... ანუ პოლიციას... თავისი ანდაზებით არ ამალაპარაკა, ამ...

კარზე კაკუნი.

მერი (თითქოს შვებანაგრძნობი) — ლადიკო, მოდი!..

შემოდის ნოშრევანი.

ნოშრევანი — ...შვილო, სადა ხარ, შვილო, შეიძლება ასე?! გამარჯობა, ქალბატონო მერი! წამოდი, გიორგი, ჰე!..

ლადიოტანტი (მკვეთრი გაღიზიანებით) — მამა, მე შენ რამდენჯერმე მიგითითე, რომ ახალ ეგოს ვაშენებ ჩემს თავში და გიორგი

კი არა, ლადიოტანტი მქვია სახელად... ძალიან გთხოვ, პატივი სცე ჩემს უფლებას, ავირჩიო რელიგიური აღმსარებლობა და ავირჩიო საკუთარი სახელიც, რადგან კანონმდებლობა ამას არ მიკრძალავს!.. წინააღმდეგ შემთხვევაში, მამა, ჩვენს კამათს სასამართლო გადაწყვეტს... პოსტფაქტუმ, — რადგან ჩვენს შორის ახლო ნათესაური კავშირია, ადამიანურად გაფრთხილებთ,საქმეს ადვოკატებამდე ნუ მივიყვანთ, რადგან აუცილებლად დამარცხდები და მე გული დამწყდება...

ნოშრევანი — კი, კი, როგორც იტყვი, წავიდეთ ახლა შენს კუთვნილ ტერიტორიაზე, ჩვენს ბინაში...

ლადიოტანტი (ისტერიულად) — ძალიან გთხოვთ!.. (პაუზის შემდეგ ისევ ისტერიულად) მოვითხოვ, ბოლოს და ბოლოს, ანგარიში გაუწიოთ ჩემს ახალ ეგოს!!! ის გარდამავალია და ადვილად შესაძლებელია, ძალიან ტრაგიკულიც კი იყოს. თქვენი ქვის ხანის დროინდელი, ზემამობრივი მზრუნველობა კი ხელს უშლის იყოს კონცენტრირებული და მიზანდასახული... გაიგეთ, ერთხელ და სამუდამოდ, რომ ის, ჩემი ახალი ეგო, თავის თავში ეძებს... (უეცრად თავზე შემოიჭდობს ხელებს) თავი... რატომ მტკივა ასე თავი... მე თავი მტკივა... საწყალი ჩემი თავი... (გადის)

ნოშრევანი — ... ბოდიში, ქალბატონო, შვილი თავს იტკიებს და... ბოდიში...

შეტრიალდება თუ არა, მერი პირჯვარს გადაიწერს; თუმცა, სანამ ნოშრე ბინიდან გავა, კარის გაჯახუნების ხმა ისმის.

ნოშრევანი (ბრუნდება) — აი, ისევ ჩაიკეტა... შეიძლება ტელეფონით ვისარგებლო? თუ არადა, გადაძრომა მომიწევს ფანჯრიდან... მეშინია, თავს რამე არ მოსწიოს მაგ... ბოდიში...

მერი — დარეკეთ, რა კითხვა უნდა...

ნოშრევანი — მადლობთ... (ნომერს კრეფს, აღელვება ემჩნევა) ალო, შვილო, გამიღებ კარს? გამიღე, რა!.. უხერხულია აქ... (პაუზის შემდეგ) შვილო... რა გითხარი ახლა ისეთი, რომ ისტერიკაში ვარდები... გელაპარაკები მორიდებით და იურიდიულად გამართული ენით... (თავადაც ისტერიული ნოტით ხმაში) ჩვენი ბინის ნახევარი თუ შენი კუთვნილი ტერიტორიაა, მეორე ნახევარი მე არ მეკუთვნის? ერთი კარი გვაქვს, შე... ერთი! პოსტფაქტუმ მაშინ და ფანჯრიდან გადმოვძვრები! გინდა?! გამიღე, ბიჭო, კარი, ჩემს კუთვნილ ტერიტორიაზე ვთხოულობ შემოსვლას, შე... არა! არაფერი მე არ მიკადრებია! არაფერი! მოწმე... მოწმე... ყავს აქ!.. იცოდე, მოვძვრები ახლა ფან... (ყურმილს ჩამოდებს. მერის) დამიკიდა ამ... ბოდიში, ქალბატონო, ახლავე გადავძვრები ფანჯრიდან...

მერი — რას ბრძანებთ, ბატონო, მესამე სართულია...

ნოშრევანი — უჰ, ეგ არაფერი... (მიიხედ — მოიხედავს, ღრმად ამოისუნთქავს) ერთი ჭიქა წყალი, შეიძლება?!

მერი (სამზარეულოსკენ მიმავალი) — ვალერიანის წვეთებიც ხომ არ გნებავთ?

ნოშრევანი — არა, წამალს ვერიდები, ასე მგონია, დავლევ თუ არა, მოვკვდები.

მერი (სამზარეულოდან ჭიქით ხელში) — ვალერიანი მცენარეულია, ამშვიდებს მხოლოდ...

ნოშრევანი (ჭიქას ჩამოართმევს) — მაინც... რა ვიცი... (მოსვამს) მადლობთ... (ჭიქას ჩამოდგამს) ისე, რა თქმა უნდა, ცრურწმენაა, მაგრამ თავისებურად მამაგრებს... ვვარჯიშობ სამაგიეროდ... ზომიერად ვსვამ... ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ თქვენი თვალით იხილეთ, რა დღეში ჩამაგდო ამ... ბოდიში...

მერი — კვეთებულის ლოცვა არ გიცდიათ? ძალიან ჭრის...

ნოშრევანი — ვიფიქრე, კი... მაგრამ ჩემი რელიგიური მრწამსისა, მე ვიციო...

მერი — რომელიმე სექტამ ხომ არ ჩაითრია?....

ნოშრევანი — არა, ბატონო, რა სექტა, სექტანტს გავიჩერებ ოჯახში? გინდ შვილი იყოს და ვინც გინდა ის იყოს... თავისებური ბიჭია, უბრალოდ, ეგ... ბოდიში... ისე, ეს ასაკოვანი კაცი, იურისპრუდენციაში გავერკვიე ძალაუნებურად, სხვანაირად ვერ დაელაპარაკები, აბა...რა ვიცი, ქალბატონო მერი, მე ჩემებურად ვაზროვნებ... სოფელი გვქონდა იმერეთში... იქაური ჩახუტება, მოგეხსენებათ... ქალაქში გავიზარდე... მთაწმინდაზე... მამალო რომ იყო, ქალაქის კოლორიტი, ჩვენს ეზოში ცხოვრობდა, ამას პოსტფაქტუმ მოგახსენებთ... აუჰ... ავურიე ახლა მეც... ვისარგებლებ თქვენი ფანჯრით, თუ შეიძლება?

მერი — არა, ბატონო, გული გამისკდება ნამდვილად. ბინიდან ბინაში, მესამე სართულზე...

ნოშრევანი (უკვე სავარაუდო ფანჯარასთან არის) —არაფერია, ქალბატონო, თქვენს არყოფნაში რამდენჯერ გადავმძვრალვარ... პირველად კი არ მიწევს...

მერი (ხელს დაუჭერს) - უიმე, არა, თქვენი ჭირიმე, არა... ტელეფონზე დაუკავშირდით ისევ... კარიდან სცადეთ ბოლოს და ბოლოს, როგორ-

ღაც სხვანაირად შეაღწიეთ თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე თქვენს ბინაში, ოღონდ ფანჯრიდან არა... სიმაღლის შიში მაქვს...

ნოშრევანი (ყურადღებით აკვირდება მერის) - სიმაღლის შიში?

მერი — დიახ, რა მოხდა?

ნოშრევანი — ... არაფერი ისეთი. ჩემს ცხონებულ მეუღლესაც იგივე სჭირდა... (პაუზის შემდეგ) — დამიდგა ახლა ყველაფერი თვალწინ... რა ბედნიერი კაცი ვყოფილვარ, თურმე, ერთ დროს... გავიტანჯე, ქალბატონო მერი, მარტოობით, რაღა დაგიმალოთ და... არც ისე ბებერი ვარ, კაცმა რომ თქვას...

მერი (ცოტათი შეცბუნებული) — არა, ბატონო, ძალიან ყოჩაღად გამოიყურებით, რა დროს თქვენი სიბერეა...

ნოშრევანი (ხმაურიანი ნერწყვი გადაიცდინა) — კი... ყოჩაღად, კი... ვალერიანის წვეთები, თუ შეიძლება...

მერი (ნოშრევანს შეჰყურებს) — ახლავე, ბატონო... ნაყინითაც გაისველებთ, ალბათ, პირს...

ნოშრევანი (მერის შეჰყურებს) — ჰა? კი... ძალით გასტუმრებინეთ თავი და... კეთილ სიტყვას დავენატრე, ქალბატონო... ძნელია მარტოობა ძალიან...

მერი — მარტოობა ძნელია... ვიცი...

ნოშრევანი — თქვენ საიდან უნდა იცოდეთ... მეუღლე, ოჯახი...

მერი (ღრმად ამოისუნთქავს) — ეეჰ... ეკლესიურად უნდა იცხოვროს ადამიანმა, ჩვენი ხსნა ამაშია... (თითქოს გამოფხიზლდაო, გაერიდება ნოშრევანს) უკაცრავად, ხილი უნდა მოგართვათ?

ნოშრევანი — ... დიახ! ხილი...

მერი სამზარეულოსკენ გაემართება. ნოშრევანი თვალს გააყოლებს. ტელეფონის ზარი.

მერი (გამოხედავს ნოშრევანს) — თუ არ შეწუხდებით, აიღეთ ყურმილი, ბატონო ნოშრე, ჩაის გავამზადებ, მურაბით...

ნოშრევანი — ... ჰო.

მერი სამზარეულოში გაუჩინარდება. ნოშრევანი გამოფხიზლდება თითქოს, ყურმილს დასწვდება.

ნოშრევანი (სტუმრისთვის ზედმეტად გაშინაურებული ტონალობით ხმაში) — გისმენთ! ჩაგეკეტა ესე იგი!.. აბა, ასე რომ ოჯახუნებდი კარს, რა გეგონა? ახლა არ მცალია... სტუმრად ვარ... დიახ, ბატონო, სტუმრად... მაქვს თუ არა მე, კონსტიტუციურად, პირადი ცხოვრების უფლება? მაქვს?! აბა, დროებით მაშინ... (ყურმილს დაკიდებს)

სამზარეულოდან მერი გამოჩნდება ლანგარზე შემოდგმული არყის ბოთლითა და მსუბუქი ნაუზეთით.

მერი — მოხდა რამე, ბატონო ნოშრე?

ნოშრევანი — გაიჯახუნა და ჩაეკეტა კიდეც ვაჟბატონს...

მერი — რა ბრძანეთ, რა ჩაეკეტაო?

ნოშრევანი — კარი... ოჯდეს ახლა ბაიყუშივით და იზუთხოს ანდაზები... ასე მოუხდება... სტუმრად ვარ... მეც ხომ მაქვს, ბოლოს და ბოლოს, პირადი ცხოვრების უფლება!

მერი — დიახ, დიახ, რაღა თქმა უნდა, ხაჭაპური ინებეთ, ახლახან შევაფიცხე... ჭანჭურის არაყია... გესიამოვნებათ... (თვითონ შეუვსებს ჭიქას)

ნოშრევანი — ... პირდაპირ რომ ვთქვა, ქალბატონო მერი, ვისვენებ თქვენს საზოგადოებაში... მორალურად... გაგიმარჯოთ!

მერი — იცოცხლეთ, ბატონო...

ნოშრევანი (ჭიქა ტუჩთან ჰქონდა. ჩაცინებით) — იმ დღეს გავიხსენებ ხოლმე ხშირად, კინაღამ დანასისხლად რომ წავეკიდეთ რაღაც სისულელის გამო, მეცინება მერე ჩემს თავზე...

მერი — ... მართლაც, დიახ...

ნოშრევანი (თვალს შეავლებს მერის, სულმოუთქმელად გადაჰკრავს, ჭიქას მაგიდაზე დადგამს) — ...რაღაც ძალიან შეიცვალა. ვერ გრძნობთ?

მერი — ... რა უცნაურია, ცვლილებები თქვენმა ვაჟმაც მიხსენა.

ნოშრევანი — ჩემი ვაჟი რა შუაშია, ქალბატონო მერი, მე სხვა ცვლილებას მოგახსენებთ... პირდაპირ რომ ვთქვა, აი, პირდაპირ რომ ვთქვა...

მერი (ერთგვარი კეკლუცობითაც) —დიახ... ცვლილებები მართლაც არის... თუნდაც ქოთნები... ბატონო ნოშრე, როგორ ფიქრობთ, ასე უფრო არ უხდება? ადრე ერთი მეორესთან იყო მიკუჭულად... ახლა გაშლილია... სივრცეს უფრო გრძნობს ადამიანი... ეგზოტიკას...

ნოშრევანი — დიახ... სივრცეს რაც შეეხება, კი... იშვიათი გემოვნება გაქვთ, ქალბატონო მერი...

მერი — ვინ გიჯერებს, თორემ... (ქოთნებს აკვირდება) არა, აშკარად ასე უფრო უკეთესია... მხოლოდ ტახტი ვერ დგას სათანადო ადგილას...

ნოშრევანი — ... ტახტი?

მერი — არ მეთანხმებით?

ნოშრევანი — კი... დიახ...

მერი — არადა, არც მომაფიქრდებოდა ქოთნების გადაადგილება, რომ არა ვირთხა...

ნოშრევანი — რომელი ვირთხა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერი — უიმე, თქვენ არ იცით ვირთხის ამბავი? შვიდი თვეა ფხაჭუნობს და ფხაჭუნობს... ვირთხის წამალსაც არ ჭამს, ის შეჩვენებული...

ნოშრევანი — ვირთხა ძალიან ეშმაკი ცხოველია, ქალბატონო...

მერი — თქვენს პირს შაქარი, მეც მაგას არ ვამბობ, მაგრამ ვინ გიჯერებს, შენი ჭირიმე...

ნოშრევანი (მერისკენ გადაიხრება) — მე გიჯერებთ, ქალბატონო...

მკვეთრი, მკაფიო ფხაჭუნის ხმა. თვალმბინდულ მერის სახე ეცვალა.

მერი — ... ვირთხა!

ნოშრევანი (დაბნეული) —ვირთხა?

საძინებლიდან მუცელწამოზრდილი მაია გამოჩნდება.

მაია — ... ისევ ფხაჭუნობს.

მერი (გაგულისებული, გააქტიურებული) — საძინებლიდან ისმოდა იმ სასიკვდილეს ფხაჭუნი, არა?

ნოშრევანი — თითქოს არა, პირიქით...

მერი — რას ნიშნავს, ნოშრე ბატონო, პირიქით?

ნოშრევანი — სამზარეულოდან, მგონი...

მაია — არა, აქედან ისმოდა... გამარჯობა, ნოშრე ბიძია!

ნოშრევანი — გამარჯობა, შვილო!

მერი — არა, არა, უნდა გავაღო კარი, როგორც შემოძვრა, ისე გაძვრება... ჰე, ვირთხუნია, გაფხაჭუნდი და გაძვერი ახლა აქედან!.. ... (შემოსასვლელის კარს აღებს) გაფხაჭუნდი, გაფხაჭუნდი და დაგვანებე თავი, თორემ, ბატონი ნოშრევანი თავს გაგიჩეჩქვავს ჯოხით ან „მანტიროვკით“...

ნოშრევანი — „მანტიროვკა“ გვაქვს, ქალბატონო მერი?

მერი — ... ოჰ, „მანტიროვკა“ რამ გამახსენა... ჰო, ლადიკო, ჩემი ქმარი, წილი აქვს ტაქსომოტორებში... მძღოლები „მანტიროვკით“ ჩხუბობენ სულ... რა არის ეს ქვეცნობიერი... საიდან სად წავედი... სად არის ახლა ამდენ ხანს, სად? საჩუქარს კი არა, რას არ იყიდდა ადამიანი... ბავშვი რა ღღეშია...

მაია (მუცელზე შემოიდებს ხელებს, გაუცხოებული მზერით) — ბავშვი... აი, გატოკდა ბავშვი... (ოთახში მიდი–მოდის) ის ცოცხალია და ჩემშია და მირტყამს პატარა ფეხუკებსა და ხელუკებს... ის ჩემი წიაღიდან იკვებება, რა უცნაურია ბუნება... (შემოსასვლელისკენ გამოემართა, ლამის გვერდით ჩაუარა მერეს, ძერი მაღლიდან მოეჭიდება)

მერი — სად მიდიხარ, გოგო?

მაია გაუცხოებული მზერით მოხედავს!

მერი — მაია, რა გჭირს...

მაია — მე მივდივარ ქალთა კონსულტაციაში, დედა, იმიტომ რომ, მე უნდა ვიყო მიზანდასახული და ვიზრუნო ბავშვზე, რომელიც ჩემშია... ამავე დროს, მე ვალდებული ვარ, მუდამ თბილი ნიფხავი მეცვას და ვჭამო ბევრი ხილი, რადგან ექიმმა მირჩია, ბევრი ხილი ჭამეო... ნახვამდის, დედა... (გაიწევს)

მერი — რამ გაგასულელა, გოგო, როგორ მიდიხარ?

მაია (გაუცხოებული მზერით) — როგორ მივდივარ?

მერი — როგორ მიდიხარ და ფლოსტებით მიდიხარ!..

მაია (დაიხედავს ფეხებზე) — აა, ფლოსტები... (ოთახის სიღრმისკენ გამოემართება და სკამზე ჩამოჯდება) ნოშრე ბიძია, თუ არ შეწუხდები, გამომიტანე საძინებლის კარადიდან ჩემი საზაფხულო, რბილლანჩიანი ფეხსაცმელები, ნოშრე ბიძია, რადგან მე მიჭირს დახრა და ამავე დროს ფეხები დამისივდა და მირჩევნია, ჩავიცვა ხალვათად, და დედა რომ არა, სულაც ფლოსტებით წავიდოდი ქალთა კონსულტაციაში, ნოშრე ბიძია...

ნოშრევანი (შეშინებული, მფრთხალი მზერით შეჰყურებს მაიას) —კი, შვილო, კი, ახლავე...

საძინებლისკენ გაემართება, მოიხედავს გზად, საძინებელში შედის.

მერი (მაიას უახლოვდება) — მაიკო, ცუდად ხომ არა ხარ?

მაია (მერის შეჰყურებს) —არა, დედა, მე არა ვარ ცუდად, უბრალოდ, მე ვარ ფეხმძიმე ქალი; ფეხმძიმე ქალი კი ასე ყოფილა ბუნებისგან მოწყობილი, იგი თავის სხეულში ზრდის ნაყოფს და ცხრა თვის თავზე მძიმე ტანჯვით შობს პატარა, მჩხავანა არსებას, რომელიც, თავის მხრივ, ძალიან ხშირად სვრის პამპერსებს, და იცი, დედა, რომ არ დამავიწყდეს, ახლავე გკითხავ, შენ ხომ ერთხელ უკვე იმშობიარე, არა, დედა?..

მერი — ... მაიკო, მაშინებ!..

მაია (გაუცხოებული მზერით) — არა, დედა, ნუ გეშინია, უბრალოდ, მაინტერესებს, რა დაგეხმარა მშობიარობის დროს, დედა?

მერი — რა დამეხმარებოდა, შვილო, შენი სიყვარული დამეხმარა, კიდე, ჭინთვების დროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრაზდებოდი უცებ, გაბრაზდებოდი, დედა, და ისიც მეხმარებოდა...

მაია – მაშ, სიძულვილიც დაგეხმარა, არა, დედა?

მერი – რა ვიცი, თუ გინდა სიძულვილი დაარქვი, მთავარია, გაბრაზდე...

მაია – რევოლუციასავით ყოფილა მშობიარობა, დედა, სიყვარულიც უნდა და სიძულვილიც... ქოთნები რატომ გადაადგილე?

მერი – თუ არ მოგწონს, ახლავე დავალაგებ თავის ადგილას, შვილო!

მაია – არა, დედა, იყოს, უბრალოდ ბენზინის სუნი ვიგრძენი... (წამოდგება)

მერი – ... რა შუაშია ბენზინი?

მაია – ბენზინის და სუსხის... სუსხში ბენზინის ანდა... (საძინებლისკენ გაემართება)

ნოშრევანი (საძინებლიდან გამოვა, ხელში ფეხსაცმელები უჭირავს) – ეს გინდოდა, ხომ, შვილო?..

მაია (ნოშრევანს) – ეს რა არის?

ნოშრევანი – შენი საზაფხულო, რბილლანჩიანი ფეხსაცმელები... კონსულტაციაშიო და...

მაია – არა, კონსულტაციაში აღარ წავალ... მე წავალ ჩემს საძინებელში, დავწვები ლოგინზე და მკვდარივით ჩამეძინება. (ჩაუვლის)

ნოშრევანი (დაბნეული) – .... ეს?!

მაია (შეჩერდება, მოიხედავს, ფეხსაცმელებს ჩამოართმევს) – ა, ჰო, ფეხსაცმელები... (საძინებელში გავა)

ნოშრევანი (მერის) – რთული ფეხმძიმობა აქვს, ეტყობა...

მერი – ნუ იტყვით... მომკლა მაგის დარდმა... (ტახტზე ჩამოჯდება. ოთახს მოავლებს თვალს) ბატონო ნოშრევან, ძალიან კი მერიდება, მაგრამ სათხოვარი მაქვს თქვენთან...

ნოშრევანი – ბრძანეთ, ქალბატონო... ძალიან დამავალებთ... პირიქით...

მერი – თუ არ შეწუხდებით, ტახტი უნდა გადამაადგილებინოთ... ქოთნები დაიკარგა ტახტიდან...

ნოშრევანი – კი, ბატონო, ტახტს როგორ არ... (უახლოვდება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სხვაგვარად გაიგო მერის თხოვნა)

მერი – არა... თქვენ იქიდან მოუდექით, მე აქედან დავუდგები და აი, ცოტა აქეთ გავწიოთ...

ნოშრევანი – მე უკეთესს მოგახსენებთ, ქალბატონო... თქვენ დაბრძანდით ტახტზე და მე, გაგაჩოჩიალებთ და გამოგაჩოჩიალებთ სათანადოდ, სადაც მოისურვებთ შეჩერებას, ბრძანეთ... სდექ-თქო!

მერი (მართლა ვერ გაიგო) –ბატონო?

ნოშრევანი – ტახტრევანივით, ქალბატონო მერი, და მე მოგაწვებით და... (შეცბუნდება) მენდეთ, დაბრძანდით, გორგოლაჭებზეა ეს ტახტი, იოლია ამის გაჩოჩება...

მერი (ტახტზე ჩამოჯდება) – ასე? (გამოხედავს) ძალიან მძიმე იქნება!

ნოშრევანი – რას ამბობთ, ქალბატონო მერი, ოცკილოგრამიან გირებს ვათამაშებ ყოველ დილით... (მთელი ძალით მიაწვება ტახტს)

მერი – უიმე, უიმე, ცოტა ნელა, ბატონო ნოშრევან... ავცდით, ავცდით!

ნოშრევანი (მეორე მხრიდან დაუდგება ტახტს) – ახლა აღარ ავცდებით, ქალბატონო...

მერი – როგორი შეგრძნება იყო, გეგონება, საქანელაზე მარწევენო, როგორც ბავშვობაში... (გადაიკისკისებს. შემოდის ნასვამი ლადო.მათ შესცქერის)

ნოშრევანი – აბა, აქედან მივაწვეთ, ახლა აღარ უნდა ავცდეთ, ქალბატონო მერი...

მერი – არა, არა, ნამდვილად აღარ უნდა ავცდეთ... (გადაიკისკისებს)

ლადო – კატაობთ?

მერი (სახეშეცვლილი წამისმიერად)- სდექ! კარგია, ბატონო ნოშრევან, აქ გავაჩეროთ...ქოთნებიც კარგად ჩანს, მგონი... ლადო, რატომ დაგაგვიანდა? (ტახტიდან წამოდგება)

ნოშრევანი – დიახ, სათანადოდ... მოგესალმებით, ბატონო ლადო... ვლადიმერ...

ლადო (უფრო ხმამაღლა) – ...კატაობთ?!

მერი – რა გაყვირებს, ლადიკო, ავეჯი გადავაადგილეთ, ადამიანო!..

ლადო – კატაობთ, ესე იგი!..

ნოშრევანი – იცი, ბატონო ვლადიმერ!.. ჩვენ...

მერი (აღშფოთებული) – რა მინიშნებაა ამ კატაობაზე, ვერ გავიგე! მეგონა, მაიკოსთვის საჩუქარს იყიდის-თქო, ეს გალეწილა... (დემონსტრაციულად გააბიჯებს სამზარეულოში და კარსაც გაიჯახუნებს)

ლადო (თვალს გააყოლებს მერის) – სულელი ქალი ეს... (ნოშრევანს გამოხედავს შუშის თვალებით. უახლოვდება თანდათან) ესე იგი, გეკატავებათ თქვენ...

ნოშრევანი (შემცბარი) – ... ავეჯიო და!..

ლადო (გზად სკამს გაკრავს ფეხს, გადაატრიალებს) – რომელი ავეჯი,ეს ავეჯი?.. ეს ავეჯი ესე იგი... (მაგიდას დაეჭიდება, შეატრიალებს) ესეც, აბა, ეს ტორშერიც აქედან... (ტორშერსაც შეუცვლის ადგილს. ისევ ნოშრევანისკენ გააბიჯებს. ნოშრევანი თავდაცვისთვისაც ემზადება თითქოს, ერთიანად დაიძაბება) თქვენ გეკატავებათ, ესე იგი არა,

ქართული ბიბლიოთეკა

თქვენ გეკატავებათ, მე კი უბედური კაცი ვარ... (მკერდში ჩაეკვრება შემკრთალ, დაბნეულ ნოშრევანს)

ნოშრევანი — ... ბატონო ვლადიმერ!..

ლადო — არ ვარ მე შენთვის ბატონი ვლადიმერი, ლადიკო ვარ მე, შენი უბედური მოკეთე... რა ისმის ჰოლანდიიდან?

ნოშრევანი (დაბნეული) — რომელი ჰოლანდიიდან?

ლადო — იმ ჰოლანდიიდან, ქალბატონი ოლიკო რომ გაემგზავრა?

ნოშრევანი — ... ვერ გავიგე, ბოდიში!..

ლადო (ჩამოშორდება ნოშრევანს, მიაცქერდება) — მაგდამ, ქალბატონი ოლიკო ჰოლანდიაში წავიდაო და... თუ ბელგიაში?...

ნოშრევანი — აა, ოლიკო, ჩემი და... კი... კარგად... ჰოლანდიაში, იცოცხლე, ძალიან კარგად...

ლადო — ტელეფონის ნომერი გააქვს?

ნოშრევანი — ვისი ტელეფონის ნომერი?

ლადო — ქალბატონი ოლიკოსი... ჰოლანდიაში?

ნოშრევანი — რატომ...

ლადო — მიტომ... მოვიკითხოთ უბრალოდ... ადამიანურად...

ნოშრევანი (ძალიან დაბნეული) — რა ვიცი... მქონდა თითქოს სადღაც და დამეკარგა...

ლადო — ძალიან ცუდი, ძალიან ცუდი... (პაუზა) მაგდა არ შეგხმიანებიათ დღეს?

ნოშრევანი — მაგდა?

იღება სამზარეულოს კარი. მერი გამოხედავს.

მერი — ლადიკო, ვინ არის მაგდა?

ლადო (ნიშნისმოგებით) — მერიკო, მაგდა არის ნოშრევანის დისშვილი, ჩვენი მაიკოს თანამშრომელი, რომელიც ჩემს სისტემაში ატარებდა სოციოლოგიურ გამოკითხვას! მადროვე რა, ცხოვრება... ნუ შემჭამე, რა... და საერთოდ, კაცთან ვლაპარაკობ...

მერი (ისევ გაიჯახუნებს კარს) — დეგენერატი ხარ, რა უნდა გელაპარაკო!..

ლადო (თითქმის ჩურჩულით მიმართავს ნოშრევანს) — ეს ქალი კუდიანია...

ნოშრევანი — რას ბრძანებთ, ბატონო... ამისთანა ღვთისნიერი ქალბატონი...

ლადო — დამიჯერე... ამან ჩემი სიცოცხლე გამოწურა... ლიმონივით... მაგდაზე ვილაპარაკოთ... რატომ არ მოვიდა დღეს... მე ისე ვიტანჯები... მე ვეჭვიანობ... მე... მითხარი, რატომ არ მოვიდა... ქმარს ხომ გაშორდა, არა... მკაცრად მოვთხოვე, იმიტომ, რომ ის ვიღაც მახარე, აღმოჩნდა არაკაცი... ქმარი რომ ცოლს გრანტს წაართმევს — აბა, ის კაცია...

ნოშრევანი (შემკრთალი) — ჰო, რაღაც მეც არ მომწონდა ის ბიჭი...

ლადო — მაგდა ისე იტანჯებოდა... მთელი დღე ვრეკავ და ვრეკავ... დარდიან გულზე ვსვამ... ის არ მოვიდა, ჩვენ კი დღეს... საჩუქარი... როგორც კი ბავშვი დაიბადება,იმ დღესვე, ნოშრე, იმ დღესვე... (თვალს უკრავს) მე და მაგდა არ შეგარცხვენთ, პირობას გაძლევ... (მობილურზე რეკავს) — აი, ისევ არ პასუხობს... იქნებ ნახო სადმე ქალბატონი ოლიკოს ნომერი... იქნებ იმან იცის... იქნებ...

ნოშრევანი (წამოიწევა) — კი, კი, სახლში მოვიძიებ და თუ ვნახე,აუცილებლად გამოგიტან... კი...

ლადო (ხელს დაუჭერს) — ჰო, თორემ ჭკუიდან შევიშლები. (მობილურს ყურთან მიიტანს) ამ მობილურს არ გამოვრთავ, სანამ ყურმილს არ აიღებს... შენ ქალბატონი ოლიკო მომიძიე!..

ნოშრევანი (ლადოს ხელს ჩამოიშორებს) — კი... ოლიკო... ჩემი და... (როგორც კი გაშორდება ლადოს, შვებით ამოისუნთქავს. ლადოს მობილური მიუდევს ყურთან, შემოდის მაგდა)

მაგდა — ჩემთან რეკავ?

ლადო — მაგდა!

ნოშრევანი — მე ვითომ არ ვყოფილვარ... კარგად გნახეთ... (თუმცა ნოშრევანი ბოლო წამს გადაიფიქრებს ბინიდან გასვლას და შემოსასვლელის კართან აიტუზება)

ლადო (ნაჩქარევად წამოიმართა, მკლავზე მოეჭიდა მაგდას) — წამო, წავიდეთ აქედან...

მაგდა — დაიცა, საჩუქარი. არ გაინტერესებს? ამან შემაგვიანა...

ლადო — რა საჩუქარი, ახლა რაღას მატყუებ?

მაგდა — აი, ბავშვისთვის... (აჩვენებს ცელოფანში გახვეულ საჩუქარს) სულ ცისფერები... ნახე, ამას ახლა ბავშვიღა აკლია, დანარჩენი ყველაფერია, დათუნიებით...

ლადო (გატანჯული სახით, უნდობლად) — ეს სიყალბე თვალებში და ხმაში... ეს სიყალბე... გავსულელდი... მე გავსულელდი... რატომ არ დამირეკე, მობილურზე რატომ არ მპასუხობდი?..

მაგდა — რაღაც ჭირს ჩემს მობილურს... (ხელჩანთას ხსნის)

ლადო — ო, ეს სიყალბე... როგორ ვგრძნობ... (უეცრად ხელუკუღმა გასცხებს სახეში) შენი არასამთავრობო ბოზი...

მაგდა — ოჰ, შენი ნაძაღლარი... (სახეში აფურთხებს ლადოს, ბინიდან გაქცევას შეეცდება. ლადო ხელს დაუჭერს.მკერდში ჩაიკრავს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო — მაპატიე... მაპატიე... მაპატიე... ჩემო სიცოცხლევ, მაპატიე... მაგდა!.. მე ისე მიყვარს შენი სიგიჟეები... მე შენი სიყალბეც მიყვარს... (სამზარეულოდან მერი გამოდის)

მერი (თითმიშვერილი) — ... მე ხომ ვგრძნობდი, მაგრამ ასე, ჩემს ცხვირწინ?! გარყვნილები!!! გათახსირებულები!!! მაია! მაიკო, შვილო!!! ცვლილებებია ჩვენს ოჯახში, აი, თახსირი მამაშენი, აი, მისი კახპა!!! მშობიარობაც კი არ გადროვეს, შვილო!!!

იღება საძინებლის კარი, გამოჩნდება მაია.

მაია (ძალიან უმეტყველო, გაუცხოებული მზერით) — მადროვეთ რა, მშობიარობა, მე ვგრძნობ, ყველაფერი ძალიან მალე აღსრულდება... (ისევ საძინებელში გაუჩინარდება)

მერი — აი, აი, რა დამართე ბავშვს, აი! ნერვიული სტრესი აქვს, აღარაფერზე რეაგირებს, შე გარყვნილო!

ლადო (გაღიზიანებით) — ბავშვი და ბავშვი, მთელი ცხოვრება მაგ ბავშვით მიჭერ, მე კი სიცოცხლე მწყურია, მე ერთხელ დავიბადე! ეგ ბავშვი კი იარაღი იყო შენთვის ყოველთვის, ბასრი დანა, მაკაროვი, კალაშნიკოვი!..

მერი (გაცოფებული თავისი უსუსურობით) მიშველეთ ვინმემ, რომ ამათ თვალები ამოვჩიჩქნო!.. ამ... ნოშრევან, მიშველე! (სკამზე მიესვენება)

ნოშრევანი (ლადოს) — ძალიან გთხოვთ, ქალბატონ მერის ჯეროვანი პატივით მოეპყრათ! მე მოვითხოვ!..

მაგდა — ...ვაიმე, რა საინტერესოდ დატრიალდა ჩვენი ამბავი, არა, ლადიკო! მგონი ახალი სინამდვილე იბადება, იცი!

ლადო (ნოშრევანს უყურებს) — რაღაც ვერ გავიგე, ჩემს ცოლზე შენ მთხოვ პასუხს?

ნოშრევანი — რასაც მე აქ შევესწარი, აღარაა მერი თქვენი ცოლი, მე ვიღებ მასზე პასუხისმგებლობას... გინდა, მუშტი-კრივით, გინდა იურიდიულად, არც ეგ მეშლება... გავიდეთ ქუჩაში.!..

ლადო — გავიდეთ, ბატონო...

ნოშრევანი — ჰოდა, გამიძეხი!..

ლადო — ა, გენაცვალე!.. (გადის)

ნოშრევანი მრავალმნიშვნელოვნად გადახედავს მერის. ლადოს გაყვება.

მაგდა — ლადიკო, ნასვამი ხარ!.. (ისიც გადის)

მერი — ... ნოშრევან, იარაღი აქვს მაგას, ძველი, სატაბელო! ნოშრე!..

მერიც ნაჩქარევად ტოვებს ბინას. საძინებლიდან მაია გამოჩნდება. ხალათი აჩაჩულად აცვია, მუცელი თითქოს თვალსა და ხელს შუა გაეზარდაო, უპეები ჩამავალ მოკლედ, საკმაოდ შიშისმომგვრელად გამოიყურება. სამზარეულოში გააბიჯებს, იქიდან სიგარეტით ხელში გამოვა, სიგარეტს უკიდებს, აქეთ-იქეთ იცქირება, ცოტა შარიანადაც, შეიძლება ითქვას.შემოდის გურამი. აყირავებულ, სახეცვლილ ოთახს მოავლებს თვალს, შემდეგ სიგარეტმომარჯვებულ, გამომწვევად მოცქერილ მაიას მიაჩერდება.

გურამი — რა მოხდა?! სად არიან?!.

მაია ღრმა ნაფაზს არტყამს, უტყვად უყურებს ქმარს.

გურამი — მაია, რამდენჯერ გთხოვე... არ შეიძლება, მაია, სადაცაა...

მაია გამომწვევად არტყამს ნაფაზს.

გურამი აყირავებულ სკამს ფეხზე დააყენებს, ქოთნებისკენ გაემართება.

მაია — ...ხელი არ ახლო!

გურამი (დაბნეული) — რატომ?

მაია — ასე მომწონს! უფრო ავანგარდულია... უფრო მომხიბვლელად ქამიტური... უფრო რევოლუციური, თუ გინდა. ასე უფრო ვსუნთქავ...

გურამი — ...იყოს, კარგი, მხოლოდ ნუ ეწევი.

მაია ღრმა ნაფაზს არტყამს.

გურამი — გინდა, რომ წავიდე? (პაუზის შემდეგ) წავიდე, ესე იგი!..

მაია გამომწვევად უყურებს.

გურამი — ჰოდა, წავალ! (საძინებლიდან ხელჩანთა გამოაქვს, მაიას მიაჩერდება) — მივდივარ!..

მაია (მთელი ხმით, ისტერიულად) — წადი! წაეთრიე! წადი!

გურამი (ცოტა დაბნეული) — სად წავიდე?

მაია — სადაც გინდა, იქ წადი! წაეთრიეთქო, ისე მძულხარ, რომ წყალი დავლვარე და სიძულვილში უნდა ვშობო, მაგრამ სიყვარულიც მჭირდება,შე დამპალო, შე წიგნის ჭიავ, ტრადიციულო მძორო, აი, ეხლა დამეწყო და ეხლა ვშობ და!..

გურამი ჯერ მაიას მიეჭრება, ტახტზე მიასვენებს, შემდეგ დაფეთებული მიაწყდება სავარაუდო ფანჯარას, საიდანაც ლადიოტანტი მოძვრება.

გურამი (ფანჯარაში) — მიშველეთ! ნოშრე, მაიას დაეწყო, სადა ხართ, მიშველეთ, დაიწყო!!!

ლადიოტანტი (ფანჯრიდან ძვრება) — დაიწყო! დაიწყო, არა!!! მე გავიხსენე! სიყვარულო, ეს ხომ შენ იყავ!!! (მაიკოსკენ მიაბიჯებს)

მაია – გამიხსენე, არა?! ხომ გამიხსენე, ბოლოს და ბოლოს! სიძულვილიც მაქვს და სიყვარულიც და ახლა, ნაყოფის ჩასახვიდან წელიწადნახევრის თავზე ვშობ...

გურამი სკამზე ჩამოჯდება და გაოგნებული შესცქერის ლადიოტანტსა და მაიას.

ლადიოტანტი (მაიას ხელი უჭირავს) – მე აქ ვიქნები,შენთან ერთად, როგორც იქაა მიღებული, სადაც ჩვენი სიყვარული ჩაისახა, თითქოს მეც შენთან ერთად ვმშობიარობო, შენ ხომ ეს გშველის, ხომ გეხმარება?..

მაია – მე მეხმარება სიყვარული და სიძულვილი, მე მძულს და მიყვარს და მერე ისევ მძულს, ეს წიგნის ჭია! შეხედე, შეხედე, სულიერების საცოდავ ნაშთებს,ნაწიბურებს, სამზარეულოს ათასწლოვან მხვიარებში გახლართულ უნიათობას!.. როგორ ყარს, როგორ, ო, როგორ ყარს სამზარეულოს კატაკომბები, ისიც როგორ ყარს, მათი მუდმივი ბინადარი, და როგორ მძულს, როგორ, როგორ, ო, ისე მძულს, რომ ჩემმა შვილმა ჩასახვიდან მთელი წელიწადნახევრის შემდეგ ჩემი საშო უნდა გააპოს... სიყვარული მჭირდება ახლა, როგორ გამოითქმება იურისპრუდენციის ენაზე სიყვარული, თქვი, მომეხმარე, თორემ მოვკვდი!

ლადიოტანტი – შენ არ მოკვდები, არა, არა, უფლება არ გაქვს, ჯერ უნდა შობო, მას ექნება სრული ეგო და არ იქნება გარდამავალი, როგორც საბრალო მამამისი...

შემორბიან დაფეთებული მერი, ნოშრევანი, ლადო და მაგდა. გურამი სკამიდან დგება, ჩანთას დასწვდება, მშობლების სურათებს მიუახლოვდება, კედლიდან ხსნის!..

მერი (შეშინებული) – მაგდა, გენაცვალე, ტაშტი, ჩქარა! წყალი აადულეთ! ნოშრე, დარეკე! შვილო, გამაგრდი, მე აქა ვარ!..

მაია – არა, შენ არა, შენ არა! ჩემი სიძულვილი და ჩემი სიყვარული მომეხმარება!..

მერი – ჰო, დედა, ჰო, გაბრაზდი, შვილო, გაბრაზდი და წამოვა!

მაია – გაათრიე ეგ სურათები! წაათრიე შენს სამზარეულოში! პოეზია ყვარებია დედამისს!!! იდიოტები! იდიოტები! იდიოტები! მამა – ინჟინერი! დედა – დიასახლისი! ტრადიციულები! მოუსვლელში წათრეულხართ თქვენი ტრადიციებით, თქვენი პოეზიით და თქვენი... ვაიმე, მგონი გავსკდი, ისე მძულს!!! (ღრმად სუნთქავს) ახლა სიყვარული... ახლა სიყვარული... ახლა სიყვარული, თორემ მოვკვდი...

ლადიოტანტი – ხელებს გილოკავ, ისევ ძაღლივით გილოკავ ხელებს, ჩემო ერთადერთო, ჩემო მოტკბო, მოტკბო, სევდიანო სულისთქმავ...

მაია – ვანილი! ვანილი! ვანილი! სად არის ვანილი, მე ვკვდები!

მერი – ერთიც გაიჭინთე, შვილო, გაბრაზდი, დედა, ხელში მიჭირავს უკვე, წამოვიდა, წამოვიდა, ბიჭია!

მაია – ყვავილებს უსხამს წყალს, დამპალი, ის დამპალი, ვაიმე, მოვკვდი!..

ლადიოტანტი –აი, ხვედრი გარდამავალის, მეც შენთან ერთად, ჩემო სევდავ... (დადუმებული მაიას მკერდზე ჩამოდებს თავს... მოქმედების დასასრულამდე ასე რჩებიან)

მერი და მაგდა ბავშვს გაბანენ.

მაგდა – აი, ჩვენი თანხმობის ბავშვი... როგორ უხდება ეს სამოსი... (მერის) გილოცავ, ძვირფასო!..

მერი – მეც გილოცავთ... ის დაიბადა ორას ხუთი წლის შემდეგ ჩვენი მომდევნო იმედგაცრუებიდან!

ლადო (ღიმილით შეჰყურებს ბავშვს) – გოლიათია...

მაგდა (გაცისკროვნებული სახით) – ის დაიბადა და უკვე რაღაცის პატრონია, არა? ტაქსოპარკის წილში ზის... სუპერმარკეტის წილშიც... ჩვენი თანხმობის ბავშვი იშვა, რა ლამაზია!..

მერი (ნოშრევანს უახლოვდება ბავშვით ხელში) – აჰა, ნოშრე!...

ნოშრევანი (საფენებში გახვეულ ბავშვს დაიჭერს, ტუჩებს მოუპრუწავს)| – იმხელაა, ლამის უკვე თქვას, აღუ, ამ მამაძაღლმა ლადიოტანტმა, ამან... თქვი, ბაბუ, აღუ...

გურამი სამზარეულოს კართან იდგა ხელჩანთით, ქოთნით და მშობლების სურათებით, სამზარეულოში შევა, კარს გაიხურავს.

ნოშრევანი (ბავშვს დაჰყურებს სიყვარულით) – თქვი, ბაბუ, აღუ!. აღუ, ბაბუ, აღუ...

თანდათან ქრება შუქი, ზეაწეული განწყობილებაა, არავის აწუხებს ფხაჭუნის ხმა, ბავშვს დასცქერიან.

ფარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრივერ ფარულავა

მაცხოვარი ილიმეგა ხანძთის სანახეგში

„რომ შემეკითხონ, რომელ ნაწარმოებში უფრო ვგრძნობ ქართველობას, ვიტყვი: გიორგი მერჩულეს აღწერა-გადმოშლაში გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა. „უფრო" – ვინათგან აქ ჰაეროვნულ იფინება ზემიწიერი ქართულ მიწაზე".

გრიგოლ რობაქიძე

იდგა 2003 წლის მაისი. სარფის სასაზღვრო ზოლი გადავკვეთეთ და ორი მიკროავტობუსით გეზი ქალაქ ხოფისაკენ ავიღეთ. არაფერი, რაც ღვთის ხელითაა შექმნილი და ბუნება ჰქვია, არ მიგვანიშნებს, რომ ერთი ქვეყნიდან მეორეში გადავედით. მარჯვნივ შავი ზღვის ოდნავ დატალღული ზედაპირი ისარკება, ხოლო მარცხნიდან მიგვაცილებენ პონტოს მთაგრეხილის კალთები, რომელთათვისაც შუაგულ მაისს სქელი ზურმუხტისფერი სამოსელი ჩაუცმევია. სამაგიეროდ, ის, რაც ადამიანის ხელითა და გარჯით გაკეთებულა, გვაფხიზლებს და ჯიუტად შეგვახსენებს, რომ სხვა სახელმწიფოში ვართ. გზატკეცილი, რომელსაც მივუყვებით, უხინჯოდაა მოასფალტებული, ახალი დროის საგზაო-საინჟინრო ტექნიკის მიხედვითაა გამართული. ზღვის აზვირთებამ რომ სანაპირო არ დაანგრიოს და დაამახინჯოს, ქვის უზარმაზარი მონოლითები საკმაოდ ფართო ზოლად ისე ოსტატურად ჩაულაგებიათ პლაჟსა და გზატკეცილს შორის, რომ ეს ზოლიც ბუნებრივის იერით მისდევს წყლით მოხაზულ კონტურს.

თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით ძველი საქართველოს ისტორიული პროვინციებისაკენ – ტაო-კლარჯეთისა და შავშეთისაკენ მიეშურება უნივერსიტეტის სწავლულთა ჯგუფი: ისტორიკოსები, ფილოლოგები, ხელოვნებათმცოდნენი. ეს არის ექსპედიცია-მოხილვა, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული კულტურის ერთობ მნიშვნელოვანი კერების დღევანდელი მდგომარეობის შესწავლა-დაფიქსირებას, იმ აზრის შემუშავებას, რით და როგორ შეიძლება შევეშველოთ ამ ძეგლების გადარჩენას, მეცნიერულად შესწავლას.

17 მაისს ვტოვებთ ხოფას და ლაზიკის პროვინციაზე გავლით ტაო-კლარჯეთისა და შავშეთისაკენ მივემართებით. გზა პონტოს მთაგრეხილის აღმართს მიუყვება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. თვალს იტაცებს გეოგრაფიული გარემოს, მცენარეული საფარის კარგად ნაცნობი შტრიხები, რბილი და ნაზი კონტურებით მოხაზული მთები, ხეობები, წყლისპირა ჭალები, ისეთი, აჭარასა და მთიან გურიაში რომ გვინახავს. ძველებური ოდასახლები, ნალიები და წყლის წისქვილებიც მოგტაცებენ მზერას.

ერთგან, სადაც მშფოთვარე ჭოროხის ხეობა ერთობ გველამაზებოდა, ავტობუსიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოვედით. აქ მოგვიახლოვდა და გაგვეცნო ერთი ქართველი ახალგაზრდა კაცი, მესხი რიდვან გათენაძე, სოფელ ბორჩხას მკვიდრი; თავისი სოფლისაკენ მიეშურებოდა. ქართული რომ გავიგონე, გულმა არ მომითმინა, არ მოვსულიყავიო. დიარბექისის უნივერსიტეტი დაუმთავრებია და ფიზიკის მასწავლებლად მუშაობს თურმე. დედა ლაზი ჰყოლია. ქართულად კი საუბრობდა, მაგრამ უჭირდა. საქართველოს ამბავს ცოტას ვიგებთ, ჩვენს სოფელში ყოველ საღამოს ვუყურებთ ქართულ ტელევიზიას „რუსთავ-2-სო". გვინდა ქართული ფილმების ნახვა, ქართული ხალხური სიმღერების მოსმენა, მაგრამ არ გადმოსცემენო. ეგებ თქვენ შეატყობინოთ იქ ჩვენი ეს სათხოვარიო. რა კარგი იქნებოდა, რომ ჰამლეტ გონაშვილის სიმღერები და „ვეფხისტყაოსანი" წამოგეღოთო. ქართულ რადიოს კი უკვე კარგა ხანია ვეღარ ვუსმენთო. ვკითხეთ: სოფელში ქართული როგორ იციან-თქო. გვიპასუხა: დროულმა კაცებმა — კარგად, ჩემმა ტოლებმა — ჩემებრ ფინთად, ფუცუცვნებმა ქართული არ იციანო. ამ „ფუცუცვნებმა" და რიდვან გათენაძის მეტყველების სტილმა და ინტონაციამ შეგვძრა. თითქოს სამი თუ ოთხი საუკუნის კედელი ერთბაშად მოირღვაო, თითქოს იმ სიშორიდან გადმოსული კაცი გვესიტყვებოდა. ზოგიერთი ჩვენგანი თვალშენამული იდგა და ისე შესცქეროდა ლაზი დედისა და მესხი მამის ჯანსაღ ნაშიერს, რომლის არსებაში ჯიშის ყივილი იმ მხარის მრავალსაუკუნოვან უბედობასაც ვერ გაენელებინა, მშობლიური სიმღერისა და სიტყვის წყურვილზე შემოგვჩიოდა ეს კაცი. გამოვესალმეთ ბორჩხელ ქართველს. თავად დაბნეული იდგა. მზე მისდგომოდა შავგრემან პირსახეზე, მაგრამ ვერც მზის სხივები ფანტავდნენ მისი ფართო თვალების უპეებში გაწოლილი სევდის ჩრდილს.

მოვინახულეთ: დოლისყანა და პარხალი, ტბეთი და ოთხთა, იშხანი, ხახული, ოშკი და ბანა, ოპიზა. გაჭაღარავებულნი, ლობიანები, შუბლჩამოღარულები დაგვხვდნენ ქართული კულტურის კერები, მაგრამ ბალავერს ჩაფრენილები, თითქოს რკინის ბურჯებს შედუღებულნი, ხოლო მიწის ზევით ყვავილებად ამოზრდილნი. ყველა მათგანზე ვავრცელდებოდა პოეტის ეს სიტყვები: „მზერა ქართულია სივრცის დაუნჯებით". ყვავილებად გამოიმზირებიან, რომელთა თავზე ავეამიანობის ქარიშხლებს კი უთარეშიათ, კი დაუთრთვილავთ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მაინც ვერ დაუზრიათ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის თორთუმ-ისპირის მთის ტაფობზე ტანკენარად აზიდულ იშხანსა და შეფაქლოს მთის კალთიდან დაშვებულ ვაკისზე გაშენებულ ხახულის მონასტერზე. წმინდა გრიგოლსა და საბას იშხნის მიდამოებში გამოეცხადათ ღმერთი და უბრძანა უფლის სახლის აღმართვა. საბა იშხნელისა და ხუროთმოძღვარ მორჩაისძის ხელისგულების ანაბეჭდსა და სითბოს ინახავენ იშხნის ტაძრის კედლებისა და სვეტნარის უხინჯოდ გათლილი ლოდები. როცა ხახულისა და იმავე იშხნის ჩუქურთმების წნულს შესცქერი, ხავერდის სილბოს განიცდი, ხოლო ფასადის კომპოზიცია და ბარელიეფები „სიზმრის გეგონება". დიდი გიორგი ათონელის ახალგაზრდობა ახსოვს ხახულის ტაძარსა და დღესაც ნატიფად გამომზირალ ეზოს. ამ ეზოს მზიან-ჩრდილიან გარემოში და ბერის ენაკის სიმყუდროვეში ალბათ უკვე ისახებოდა კონტურები ბიბლიის ახალი ქართული თარგმანისა, მერე რომ ხორცს ათონსა და შავ მთაზე შეისხამს და XI საუკუნიდან დღემდე შეუცვლელად დევს ქართული ეკლესიის კათედრაზე, ძუძუს აწოვებს ეროვნულ კულტურას.

უფრო დაზიანებული დაგხვდა ოშკის ვრანდიოზული ლავრა, 958-961 წლებში აშენებული ადარნასე მესამისა და ძეთა მისთა მიერ, რომელთა ღვაწლს მემატიანე ასე აღნიშნავს: „უშურველ ყვნენ საფასენი წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავალნი წარუვალისა მისთუის". აქ მოღვაწეობდა დიდი ქართველი პოეტი მიქაელ მოდრეკილი. აქ შეიქმნა მთლიანი ქართული ბიბლიის უძველესი (978წ.) ნუსხა. ერთ-ერთ სვეტზე გადარჩენილა წმინდა ნინოს რელიეფური (ერთადერთი) გამოსახულება. XVIII საუკუნის მიწურულს ოშკის ტაძრიდან ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით, თორთუმის წყლის ხეობაში, ისეთი მიწისძვრა მოხდა, რომ მთის წვერი მდინარეში ჩაიქცა და გადაკეტა. ნათლისცემლის სახელზე აგებულ ტაძარს ერთი ბზარიც არ მიმატებია.

ყოვლისმმუსვრელი ხელი ჟამთასვლისა კიდევ უფრო აჩნია დიდებულ ტაძარს — ოთხთას. იგი მდებარეობს ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, იქ, სადაც ჭოროხს ერთვის ოთხთა ეკლესიის წყალი. მაღალი მთის ფერდობის სამკუთხოვან გავაკებაზე, კაკლისა და კომშის უზარმაზარ ხეებს რომ გადაუჩრდილავს, გაზიდულია ეს მონუმენტური სამნავიანი ბაზილიკა. გარედან ბაზილიკის უმთავრესი სამკაულია კამარნარი. ტაძრის შიგნით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ განლაგებულ პილონებს შორის მოქცეული კამარები თანდათანობით მაღლდებიან, რაც საკურთხევლისკენ გატყორცნილ მზერას დიდი სიმაღლისა და დიდი სივრცის განცდით ავსებს. ამ ტაძარს მიაშურა, აქ აღიკვეცა ბერად დავით კურაპალატის მხედართმთავარი თორნიკე, იოანე რომ უწოდეს, მამა დიდი ქართველი მწერლებისა — ექვთიმე ათონელისა და მიქაელ მოდრეკილისა. ხმლით სამსახური მამულისა ჯვრით სამსახურზე გაიცვალა და შემონაზვნებულმა მთავარსარდალმა მონასტრის ჯორების მოვლა „ახოვნად თავს იდვაო",- გვაუწყებს მისი „ცხოვრების" აღმწერი.

გულსაკლავად გამოიმზირება ბანას ტაძრის ნანგრევები. რაც უპატრონობამ დააკლო არქიტექტურული ხელოვნების ამ შედევრს, უგნურებას, კაცთა სიავეს გაუსრულებია. გერმანელი მეცნიერი ა. კოხი ერთი საუკუნის წინათ ამბობდა: ბანაზე უფრო მშვენიერი ტაძარი მთელ აღმოსავლეთში არ მეგულება, აია-სოფიის გარდაო.

არც ქართული მწერლობის ერთობ ნაყოფიერი კერა — ტბეთი დაგვხვედრია ისეთი, როგორიც იგი გასული საუკუნის გარიჟრაჟზე იხილეს ნიკო მარმა და ექვთიმე თაყაიშვილმა. გუმბათი ჩამოქცეულა, აღმოსავლეთის ფასადის შუბლი გაპობილია. მაგრამ ტაძარი მცხრალი ვარსკვლავივით მაინც ციმციმებს შავშეთის ამ ულამაზესი სანახების ფონზე. როცა ეს სოფელი — თიბათი — ექვთიმე თაყაიშვილმა მოინახულა, აქაურმა ქართველებმა — ქადაგიძეებმა, თულაძეებმა, ლერწამიძეებმა — ქართული ენა იცოდნენ, დღეს აღარ იციან. ორიოდე მათგანს თავისი გვარის ძირის (ქადაგიძე, ლერწამიძე) მკრთალი ცოდნა მაინც შეუნახავს. ასევე მკრთალი ცნობიერება შემორჩენიათ იმისა, რომ ქართველები არიან. თიბათელებს გაეგოთ, რომ თბილისიდან სტუმრები უნდა ჩასულიყვნენ, საგანგებოდ გამოწყობილიყო ქალი და კაცი. კარგა ხანს უჩუმრად შემოგვცქეროდნენ, გვზომავდნენ, ხოლო როცა წამოსვლა დავაპირეთ, მაშინ კი მოგვეახლნენ და გვითხრეს: გვსურს მცირე მასპინძლობა გაგიწიოთ, გვეწვიეთო. სკოლის ეზოში გამოდგმულ მაგიდებთან მიგვიყვანეს, ნამცხვრით, მოტკბო-მომჟავო გრილი სასმელითა და ოდნავ შეკავებული ალერსიანი ღიმილით გაგვიმასპინძლდნენ, მერე სევდიანად დაგვემშვიდობნენ.

სულის შემძვრელ ტკივილს აღძრავს ბექა და ბეშქენ ოპიზარების სამოღვაწეო სავანის — ოპიზის ხილვა. ამ მონასტრის დაფუძნების თარიღს ვახტანგ გორგასლის ეპოქაში სდებენ მკვლევარნი. სწორედ აქ დამკვიდრდა პირველად წმინდა გრიგოლი. ორი წლის შემდეგ კი გადავიდა ხანძთას, ოპიზიდან 6-7 კმ-ზე რომ მდებარეობს.

ამ დღეებისა და გზების მთელ სიგრძეზე, როცა ჩვენ ტაო-კლარჯეთისა და შავშეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სივრცეებს ვსერავდით, ჩვენი „საუკეთესო და ყველაზე განათლებული ბედეკერი, — ნიკო მარს რომ დავესესხოთ, — იყო გიორგი მერჩულე", ხოლო „თანამდევი უკვდავი სული" (ილიას ფრაზის რ. სირაძისეული ინტერპრეტაციით) — ქართველთა დიდი განმანათლებელი წმინდა გრიგოლ ხანძთელი. დიდად სამწუხაროდ დაგვრჩა, რომ მაშინ ხანძთის სავანე ვერ მოვინახულეთ.

და აი, დგას 2006 წლის 23 აპრილი. აღდგომა დღის გარიჟრაჟზე „მაღნართა ურიცხვი სიმრავლე" რომ ამოვათავეთ, ცადაზიდული მთების თვალწარმტაც უბეში შეყუჟული ხანძთა ამოისვეტა. ტაძრამდე სამოციოდე ნაბიჯი რომ დარჩა, შემოგვღიმა, თავი დაგვიკრა ორთვალა წყარომ, „შუენიერმა, გრილმა და ჰამომ" (გიორგი მერჩულე). ტაძარი ერთობ დაზიანებულია, ჩანგრეულია ოთხივე მკლავის კამარები, ზოგან — კედლების ზედა ნაწილებიც. საოცარია, მაგრამ გუმბათი კვლავ დგას, თუმცა მისი საყრდენი ოთხი ბურჯიდან ორი მონგრეულია. რა თქმა უნდა, მშენებლობის ერთობ მაღალ ტექნიკურ დონეს და დუღაბის აღმატებულ ხარისხს უნდა ვუმადლოდეთ ამას, მაგრამ ყველაზე უფრო — იმას, რაც სიყვარულსა და სარწმუნოებას ძალუძს.

ორმა მღვდელმა, თან რომ გვახლდნენ, სააღდგომო წირვა დააყენა. ოთხასი წელია, რაც აქ ღვთისმსახურება არ აღსრულებულა. გულის კარი გაგვიღო ხანძთის ბებერმა მიწამ, ჭრილობებით დასერილმა ტაძარმა, ცას მიგვადგმევინა კიბე. თურმე როგორ გველოდა, როგორ გველის?!

I

მკითხველს ვთხოვ, ყურადღება მიაპყროს ამ ნარკვევის ეპიგრაფს, ხოლო მერე ისიც გაითვალისწინოს, რომ წმინდა გრიგოლ ხანძთელს თანამედროვენი „ზეცისა კაცს და ქუეყანისა ანგელოზს" უწოდებდნენ. ორივე ერთსა და იმავე ადამიანს მიემართება — წმინდა გრიგოლ ხანძთელს. პირველი მეცხრე-მეათე საუკუნის თვალთახედვას აფიქსირებს და გიორგი მერჩულის წიგნმა შემოგვინახა, მეორე — მეოცე საუკუნის დიდი ქართველი მწერლისეული შეფასებაა. პირველი ქართული ქრისტიანული კულტურის ზეობის ხანის დაუნჯებული სულიერების ანარეკლია, მეორე — რევოლუციების, ურწმუნოების, ტექნოკრატიული პათოსით სულშეხუთულ შუაგულ ევროპაში დაიწერა სამოციან წლებში გასული საუკუნისა. საყურადღებო ისაა, რომ ზუსტად ათასწლიან მდინარებას ავჟამიანობისა ხიბლი ვერ გაუხუნებია ქართულ კულტურაში დასაბამიდანვე ბუნებრიობითა და ორგანული სიცხადით გამოკვეთილი შეზავება-მთლიანობის ტენდენციისათვის ზეციურისა და მიწიერისა, სარწმუნოებრივისა და ეროვნულისა.

ადამიანური ბუნების ღვთაებრივთან გაერთიანების მაცხოვრისეული მაგალითით შთაგონებული წმ. გრიგოლ ხანძთელი ოთხმოცი წლის სიგრძეზე იმავე გზა-სავალს უკაფავდა ქართველობას; თავისი ცხოვრების წესით უთვალსაჩინოებდა, რომ ღვთის ხატად შობილს ძალუძს მიწა დაძრას ზეცისაკენ და ცა „მოდრიკოს" ქვეყნისაკენ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წყლულებს ზნეობრიობის მალამოთი უწამლოს, მოკვდავად დაბადებული უკვდავებას ეზიაროს. წმ. გრიგოლის ღვაწლის მეშვეობით ამგვარი ჰარმონიის სურნელებით იყო გაჯერებული იმჟამინდელი ტაო-კლარჯეთის კულტურული კლიმატი, არა მხოლოდ ღვთისმსახურნი, ერისკაცნიც მიეზიდა ამ ხიბლს. ტაოელი „აზნაური დიდებული" გაბრიელ დაფანჩული ასე მიმართავს წმ. გრიგოლს: „აწ ჩუენ თანა არს ჯორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესე შევზავნეთ ურთიერთას". აქ ერთი სურათი მოვიხმოთ ამგვარი „შეზავებისა".

„წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა" ხანძთას რომ პირველად მოიწია გრიგოლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მას დახვდა მარტოდ მყოფი ბერი ხუედიოსი. უფლისაგან იყო ეს შეხვედრა მოსწავებული. „ვითარცა მრავალ ჟამთა მეგობარნი საყუარელნი მოიკითხნეს ურთიერთას და სიხარულითა დასხდეს", ისაუბრეს იმ საქმეთა შესახებ, რაც ამ უდაბნოში უნდა გაკეთებულიყო ღვთის ნებითა და შეწევნით, ხოლო გრიგოლ ბერის ღვაწლით. საუბრის ბოლოს ხუედიოსი იტყვის: „ჯორცთა საღუაწი უკმს წერილისაებრ, რომელმან მოსცა საზრდელი ყოველსა ჯორციელსა, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი". მაშინ გაჰმზადა (ხუედიოსმა) ტაბლაჲ მსგავსად ჩუეულებისა სიხარულით, რომელი დახუდა დიდსა მას უპოვარებასა მისსა, და აკურთხეს მადლობით და იწყეს ჭამად, მარადის მეტყუელთა სულისა საზრდელსა მას სიტყუასა: „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგჯწყალენ ჩუენ". და კნინითა მით საშუებლითა ფრიად იშუებდეს, ვითარცა დიდძალითა სანოვაგითა, რამეთუ ღმერთი იყო შორის წმიდათა მათ, სიხარული დაუსრულებელი და კეთილი მოუკლებელი, რომლისთჯსცა იტყოდეს: „არა ნაკლულევან ვართ, არამედ აღსავსე მადლითა საუნჯეთა მათგან მოუკლებელთა, უხილავთა და განუპარველთა". და ვითარცა მიიღეს საზრდელი, კუალად იწყეს სულისა ცხორებისა ზრახვასა. და იყო განგრძობილად სიტყუაჲ მათ შორის, რამეთუ დღეცჱ იგი დამწუხრდა და ღამეცჱ განთენა უძილობით ლოცვასა შინა და გალობასა ღმრთისასა. და განთიად მოახილვა ყოველი სანახები ხანძთისა, და ფრიად შეუყუარდა წმიდასა გრიგოლს" (სამგზის ფიგურირებს სიტყვა „სიხარული").

როგორ არ შეუყვარდებოდა?! ჯერ კიდევ როდის, თითქმის 100 წლის წინათ (1911 წ.), აკადემიკოსი ნიკო მარი, გიორგი მერჩულის წიგნის სამზეოზე გამომტანი, აღტაცებული კილოთი მიუთითებდა იმის შესახებ, რომ გრიგოლი და მისი თანამოღვაწე ბერები „ცოცხლად, ზოგჯერ თვალწარმტაცად არიან დახატულნი და ჩასმულნი ჩარჩოში ადგილობრივი ბუნებისაო". აი, ჰაგიოგრაფის კალმით გამოძერწილი ეს „ჩარჩო" თუ ფონი, სადაც ახალგაზრდა სტუმარს და მხცოვან მასპინძელს ტაბლა გაუშლიათ: „კეთილ არს (მშვენიერია, საამოა) უდაბნოჲ იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით კერძო და აქუს მას წყაროჲ მდიდრად გამომდინარჱ, შუენიერი, გრილი და ჰამოჲ, და მაღნართა სიმრავლჱ ურიცხჯ". ხანძთის ბუნების ეს ნატიფი სილამაზე ბუნებრივადვე ექსოვება მიმყუდროებულ ტაბლასთან მიმსხდარი სტუმარ-მასპინძლის ხორციელსა და სულიერ სიხარულს. ღმერთი საიდუმლო იეროგლიფებით აღიბეჭდება შექმნილში, უფალი თავის ტვიფარს ავლენს ბუნებაში და ქრისტიანული რწმენა მხოლოდ კითხულობს იმას, რაც უფლისაგან ჩაწერილია ბუნების სილამაზის სიღრმეში. წმ. გრიგოლ ნოსელი ამბობდა: ბუნება და მთელი სამყარო – „ესაა ყოვლისშემძლე ძალის სადიდებლად უცხოდ შეთხზული საგალობელი" („ფსალმუნთა ზედწარწერლის შესახებ"). ასეთ „საგალობლად" აღიქვამენ ხანძთის მიდამოების უხინჯო სილამაზეს გრიგოლი და ხუედიოსი. იგივე წმ. მამა ბუნების სილამაზესაც გულისხმობდა, როცა ამბობდა: „შუენიერებაჲ ერთი რამე არს, რომლითა მოგუეთხრობის ღმერთი".

წმ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი თვით უფალს მოიხსენიებს „მშვენიერებად" და „სიკეთედ". იგი განმარტავს: „მშვენიერება" და „სიკეთე" ერთი და იგივეა და ამიტომ ყველაფერი მიელტვის მშვენიერებას და სიკეთეს, როგორც მიზეზს ყოველი არსებულისა, და არაფერში, რაც არსებობს, არაფერია, რაც წილნაყარი არ იყოს მშვენიერთან და კეთილთან". უფლისეული მშვენიერება და სიკეთე „მოეფინება" ყველა არსებულს", „აერთიანებს ყველა არსებულს". ღმერთი არის სავსება სიკეთისა და მშვენიერებისა და ეს სავსება გადმოიღვრება ყველა ქმნილებაზე

და „ყველაფერს აღმატებული სისრულის ძალით „უზრუნველყოფს“ ყოველთა ერთობას როგორც ყოველთან, ასევე თავის თავთან“ („საღმრთოთა სახელთათჳის“).

იმ დროსა და იმ სივრცეში, რომელზედაც გიორგი მერჩულე მოხმობილ ეპიზოდში მოგვითხრობს, ყოვლის ერთობის ამ გვირისტითაა ერთმანეთს შექსოვილი ღმერთი, ადამიანები და ბუნება. „ამ ამოურწყავი ძლევამოსილების (ღვთისა) ზემოქმედება ვრცელდება ადამიანებზეც, ცხოველებზეც, მცენარეებზეც და, საერთოდ, მთელ ბუნებაზე ერთიანად; გაერთიანებულთ იგი განამტკიცებს ურთიერთსიყვარულში და ერთმანეთთან ურთიერთობაში“ (იქვე). ასე რომ, მერჩულისეულ სურათში ყველაფერში ყველაფერი ღმერთია და ამიტომაა, რომ სხეულისათვის საჭირო „ჸნინითა საშუებელითა“ (მცირეოდენი საკვებით) თანამეინახენი ისე „იშუებენ (ხარობენ), ვითარცა დიდძალითა სანოვაგითა“, ვინაიდან მიწიერი საზრდელი და ყოფნა განზავებულია სულიერით, „უხილავით და განუპარველით“. შევკრათ სურათი: წმ. გრიგოლი და ხუედიოსი ღვთისავე მადლით მიწიდან ბოძებულ საზრდელს მიირთმევენ, „მაღნართა სიმრავლეს ურიცხვს“ უცქერენ, „ჰაერისა შეზავებითა“ ტკბებიან, ღამე კი ცისკრისაკენ გადაიხარა „ლოცვასა შინა და გალობასა...“ საღვთო მშვიდობა, „ყოვლის ერთმყოფელი“ ძალი და მადლი დაღვრილა მიწაზე, უფალიც თითქოს იქვე ბრძანდება ტაბლასთან, თითქოს ამ ლამაზი სერობის თანამეინახეა, „ღმერთი იყო შორის წმიდათა მათთაო“, – იტყვის მერჩულე. კიდევ ერთი შტრიხი კი მთლად აცისკროვნებს, უკვდავების საუფლოდ წარმოგვისახავს მერჩულისეულ სურათს: „...და აქუს მას წყაროჲ მდიდრად გამომდინარჱ, შუენიერი, გრილი და ჰამოჲ“.

ხოლო როცა მეოცე საუკუნის ქართველი პოეტი მოისურვებს ზეცისა და მიწის, ღვთაებრივის და ადამიანურის შეზავების მშვენიერებას გვაზიაროს, იგი მაცხოვრის, ღვთისმშობელსა და წმინდა ნინოს ჩახატავს ატენის სიონის სანახების პოეტურ სურათში:

ვით უკვდავება, წყარო ანკარა
აცისკროვნებდა ირმების ფერდობს,
ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა
და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს...
ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები
ჰგავდნენ სისხამზე მოკრეფილ იებს.

(ნიკო სამადაშვილი, „ატენის სიონი“)

„ელვარე მთვარის“ ვერცხლისფერ ბლონდშია გახვეული ტანას ხეობა, „ხანშესული ქალდეველების“ სიდარბაისლით „ჯილა ცაცხვები იდგნენ ყორესთან“, „ჩუქურთმებს ტაძრის ბანი აეპყროთ“, „გარეთ გალობდნენ მწირი ბერები“, „ზევით ლეგენდა მიჰქონდათ მთიებს...“ აქაც ყველაფერი შეერთხმებულა. აქაც ზედროულ-ზესივრცული დრო-სივრცეში შემოსულა. გურამიშვილი ამაზე იტყოდა: „მან უცნაურმან (იგულისხმება ღმერთი) საცნობლად თავისა ჩენა ინება“. წარმავალში მარადიულის ამ „თავის ჩენაზე“ პირდაპირ მიუთითებს „ატენის სიონის“ ავტორი, როცა იტყვის: „ვით უკვდავება, წყარო ანკარა აცისკროვნებდა ირმების ფერდობსო“ (ხანძთის სანახებსაც ხომ „აცისკროვნებს“ „შუენიერი, გრილი და ჰამო“ წყარო). ქრისტეს ბავშვობის და ღვთისმშობლის ნაკვალევიც თურმე ატენის სიონის მიდამოებში იპოვება, ხოლო წმინდა ნინოს „ნაფეხ ურები“ სულ ახალია, „სისხამ დილაზე მოკრეფილი იებივით“ ცინცხალი.

სრულიად არაფერია უცნაური იმაში, რომ საუკუნეებით დაშორებული ორი პოეტი (მერჩულე პოეტიც იყო) შემსგავსებულად ხედავს და გაიაზრებს ერთსა და იმავეს – რეალურისა და იდეალურის, მიწიერისა და ღვთაებრივის შეზავებას. ორივე ქართული ქრისტიანული კულტურის ღვიძლი შვილია, წმინდა წერილის მზით გაჯერებული კლიმა-

ტის მსუნთქავი თაობების ნაშიერნი. განა ჯიშის ამ გაუნელებლად მფეთქავმა მაჯისცემამ არ აგრძნობინა გრიგოლ რობაქიძს თავისი ქართველობის საუკეთესო გამოვლენა ათასი წლის წინათ დაწერილ წიგნში მერჩულისა.

წმ. გრიგოლ ხანძთელისა და ხუედიოსის სერობის აქტში, ავთანდილის გალობაში შვიდთა მნათობთადმი, ვაჟა-ფშაველას მრავალ ლირიკულ შედევრში და ატენის სიონის ნიკო სამადაშვილისეულ ნახატში რეალიზებულია უნივერსუმის შინაგანი ჰარმონია ღმერთსა, კაცსა და ბუნებას შორის, ის ურთიერთგანჭოლვა, რაც წმინდა წერილით ასე იკურთხება: „ღმერთი სიყუარული არს" (1 იოანე, IV, 8); „ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი, მხოლოდშობილი, მოსცა მას" (იოანე III, 16). „მოსცა" მის წინაშე შეცოდებულ კაცობრიობას „მალხინებელად ცოდვათა" მისთა, „რათა ცხონდნენ მის (ქრისტეს) მიერ" (1 იოანე, IV, 9-10). თურმე მიწიერში, ქმნილში დევს ისე დიდი მადლი, რომ მან შეიძლება იტვირთოს ზეციური. „მშვენიერის (უფლის) წყალობით ყველაფერი ერთდება" (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, „საღმრთოთა სახელთათჳს", 4, 7). „მთელი სამყარო უნდა გაერთიანდეს ყოვლის მომკრებ ტაძარში ღვთისა, ყველა ქმნილმა უნდა მოიყაროს აქ თავი" (ევ. ტრუბეცკოი, „სიცოცხლის საზრისი").

ამ ასი წლის წინათ დიდი რუსი რელიგიური ფილოსოფოსი ვლადიმერ სალავიოვი გულისტკივილით ამბობდა: „დღეს ადამიანებს ზერელე დამოკიდებულება აქვთ ღმერთთან, ბუნებასთან, ერთმანეთთან, ურთიერთგარდამქმნელი სიყვარულისაგან, სითბოსა და სინათლისაგან გაძრცვნილი დამოკიდებულება. ხელოვნების დანიშნულება, ჩემი აზრით, ამბობდა იგი, იმაშია, რომ გარდაქმნას არსებული სინამდვილე. ღვთაებრივ, ადამიანურ და ბუნებრივ ელემენტთა შორის დღეს გამეფებულ გარეგნულ მიმართებათა ნაცვლად დაამყაროს შინაგანი ორგანული ურთიერთმიმართება ამ სამ საწყისს შორის" („ღმერთკაცობრივის შესახებ"). ხსენებულ გარდაქმნას შემსგავსებული პრინციპით ეპასუხება დროით ერთობ დაშორებული, ხოლო კულტურული სულისკვეთებით ერთმანეთის ნათესავი ორი ქართველი ხელოვანი სიტყვისა.

წმინდა გრიგოლისა და ხუედიოსის სერობის ეპიზოდში გადალახულია ყოვლის დამაშორებელი მდინარება დროისა და ზეიმობს „ყოვლის ერთმყოფელი", ჰარმონიულად შემზავებელი მადლი საღმრთო სიყვარულისა; ერთად ილხენენ დაახლოებით ოცი წლის სტუმარი და ღრმად მოხუცებული მასპინძელი, „ყრმაჲ მოხუცებულობითა შემკული და ჭაბუკი, სიბერითა განშუენებული" (როგორც იტყოდა გიორგი ათონელის „ცხოვრების" აღმწერი). ქრისტიანული თვალთახედვით, „ყველა ყრმა უნდა იყოს მოხუცებული სიბრძნის, სერიოზულობის, გულისხმიერების მიხედვით" (ს. ავერინცევი, „ადრებიზანტიური ლიტერატურის პოეტიკა"). მეორეს მხრივ, მაცხოვარი ასწავლის მოწაფეებს: „უკეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა" (მათე, 18, 3). აქ იგულისხმება სიწმინდე სულისა, სიწრფელე და უმანკოება გულისა, ყველაზე საიმედო მასპინძელი ღვთისა ადამიანში, ჩვეულებრივ, ბავშვთათვის ნიშნეული მადლი. ურთიერთგამჭოლ, გულმხურვალე სიყვარულს ზეცისა და მიწისა ასაკობრივი ზღვარი გადაულახავს და გაუბზარავ, სანატრელ ჰარმონიად უქცევია ჭაბუკისა და მოხუცებულის ერთად პურობა და ლოცვა.

როგორც ვხედავთ, ნიკო სამადაშვილის მხატვრული წარმოსახვა ერთობ გაბედულად იჭრება ისტორიული და გეოგრაფიული სინამდვილის წყობაში და გადაალაგებს როგორც დროით, ისე სივრცით პლანებს: ერთ დროდ წარმოდგება მეოთხე და მეოცე

საუკუნე, ერთ სივრცედ – წმინდა მიწა და ტანას ხეობა. საამისო ბიძგს პოეტს, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიური მსოფლშეგრძნება, „ყოვლისა ერთმყოფელი“ ღმერთის იდეა აძლევს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რენესანსის დროიდან მოყოლებული მხატვრულ ფანტაზიას დიდი ნდობა გამოუცხადეს, დიდი თავისუფლება მიანიჭეს ხელოვნების ყველა დარგში. „ფაუსტის“ ავტორი თავის გრეთჰენს ღვთისმშობლის ფერხთით ათავსებს, ხოლო „ღვთაებრივ კომედიაში“ ბეატრიჩეს ბიბლიური რაქელის გვერდით ვხედავთ. „წარმავლობა მარადისობის მკერდით სუნთქავს, როცა მას ეხება დანტეს შთაგონებული მზერაო“, – ამბობდა ამ ფაქტთან დაკავშირებით სტეფან ცვაიგი.

კიდევ ერთი ეპიზოდი მოვიხმოთ დასტურად იმისა, რომ მერჩულის წიგნში ერთმანეთისკენაა მიქცეული, ერთმანეთს განწონის და არეკლავს ღვთაებრივი, ადამიანური და ბუნებრივი. წმ. გრიგოლი მასპინძელს დაემშვიდობა, ოპიზას მივიდა და მოწაფეებითურთ (საბა, თეოდორე, ქრისტეფორე) ხანძთას დაბრუნდა, რათა აქ დამკვიდრებულიყვნენ და მონასტრის დაფუძნებას შესდგომოდნენ. „ხოლო მან (ხუედიოსმა) **განიხარა** ხილვაჲ ნეტართა მათ და ჰრქუა მათ: „თქუენ ხართ სიწმიდისა ნაყოფი, მცენარენი სულნელნი, ვარდნი შუენიერნი, ფინიკნი კეთილნი და ზეთისხილნი ნაყოფსავსენი, ზეთითა მით სიწმიდისაჲთა პოხილნი, რომელთა ხილვითა განიპოხა სიბერწ ჩემი და ამაღლდა **სიხარული** ჩემი, ვითარცა რქაჲ მარტორქისაჲ. ამიერითგან **იხარებდინ** უდაბნოჲ ესე თქუენ, ქრისტეს ნებისმყოფელთა, ამას შორის დანერგვითა“ (აქაც სამგზის ფიგურირებს სიტყვა „**სიხარული**“. ამაზე საგანგებოდ ვისაუბრებთ ნარკვევის ბოლოს).

ფერწერული სინატიფით შეკრული ეს თაიგული ბუნების სურათად არაა ჩაფიქრებული, მაგრამ ბუნებრივ სიტურფეთადმი ცხადი სიყვარულით, ნდობით კი არის კომპონირებული. „მცენარეთა სულნელება“, „ვარდთა შუენიერება“, „ფინიკთა კეთილობა“ ერთიანად სიმბოლური შინაარსისაა, წმ. გრიგოლისა და მისი მოწაფეების – „ქრისტეს ნებისმყოფელთა“ – ღვთაებრივ მშვენიერებაზე ღაღადებენ. ხოლო ასეთნი არიან ახლად მოსულნი იმიტომ, რომ „ქრისტეს ნება“ უნდა დანერგონ ამ ნებისაგან „უქმ“ უდაბნოში. ქრისტეს მშვენიერებასთან წილნაყარობიდან ეფინება მათ „შუენიერება ვარდისა“ თუ „სულნელება მცენარეთა“. „უდაბნო ხარობს“ („ამიერიდან იხარებდინ უდაბნოჲ ესე“), რომ მის წიაღში მკვიდრდება მადლი უფლისა, თვით ქრისტე მკვიდრდება (დავით გურამიშვილი ქრისტეს „სოფლის სიხარულს“ უწოდებს. იხ. მისი „უკვდავების წყაროს იგავი“). მაცხოვარი ილიმება ხანძთის სანახებში. ეს ღიმილი კი ადამიანთა სიწმინდესა და ბუნებისეულ სიტურფესთან „შენათხზ-შეერთებულად“ (აკაკი, „ქებათა ქება“) პროექცირდება მარტოდ მყოფი ხუედიოსის სულის სარკეზე. ამიტომაა ხუედიოსის ღაღადისი ასე გრძნობამორეული და წყაროსთვალივით ანკარა. თითქოს სამი დიდებული სარკე დგას ამ წუთებში და ამ სივრცეში: უფლისეული, ადამიანისმიერი და ბუნებისეული მშვენიერება და მადლი აირეკლებიან ერთმანეთში, განწონიან ერთიმეორეს. ასე გარდაქმნილი სინამდვილის საუფლოში გვიწვევს დიდი ქართველი ხელოვანი სიტყვისა.

II

ღვთაებრივისა და კაცობრივის ელემენტარულად თვალსაჩინო შეზავებაზე საუბრით დავიწყეთ ეს ნარკვევი, ხოლო შემდგომ ვცდილობდით, ამ ტენდენციის სიღრმისეულ გამოვლინებებზე გვესაუბრა, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ წმ. გრიგოლ ხანძთელი, როგორც იგი გიორგი მერჩულის წიგნის ფურცლებზე წარმოგვიდგება, ამ ტენდენციის თვალსაწიერიდან ჰვრეტდა სინამდვილეს და აფასებდა ადამიანის არსებობის საზრისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დასაწყისში რომ სერობის ეპიზოდია, მისი მსგავსი შინაარსის სურათი არის აგრეთვე ნაწარმოების ბოლოს. ამჯერად პურად სხდებიან ოპიზის მონასტრის ვენახში.

ოპიზა ხანძთიდან დაახლოებით შვიდიოდე კილომეტრზე მდებარეობს. ქართლიდან კლარჯეთში სამ მოწაფესთან ერთად მოსულმა ახალგაზრდა გრიგოლმა სწორედ ოპიზის ძველისძველ სავანეს მიაშურა, აქედან წავიდა ხანძთას. 1904 წელს კლარჯეთის მაღალი მთების ფრიალო კალთებით შემოსაზღვრულ ულამაზეს ხეობაში შეყუჟული ოპიზა მოიხილა, შეისწავლა და აღწერა ნიკო მარმა. როცა უკან ვეშვებოდი, – იგონებდა მერე დიდი მეცნიერი, – დაღმართის იმ მოსახვევთან, რომელსაც გაცილებული მონასტერს და მის ლამაზ შემოგარენს ველარ დაინახავ, მეგზურმა მასპინძელმა (მაჰმადიანმა) თვითონ შემომთავაზა, გამოვთხოვებოდი ეკლესიას. მე სიამოვნებით და იმავდროულად ნაღვლიანად მივაპყარ უკანასკნელი მზერა მონუმენტურ ნაგებობებს, იქაურობის სილამაზეს.

როგორც ჩანს, ოპიზის მიდამოებში ვაზი კარგად ხარობდა. ნიკო მარს ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის, ყურძნის ათი ჯიში დაუფიქსირებია: შავი ორჯოხული, საფერავი, ჯღე, ხალთური, ცხენის ძუძუ, შავროპი, მელისკუდა, ხევარდული, გორგოული და სხვა. ვთქვით, რომ 2003 წლის მაისში ტაო-კლარჯეთს ეწვია ქართველ სწავლულთა ჯგუფი. ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძზე კონსტრუირებული სატრაპეზოს სამხრეთი ნაწილის ნანგრევებში (ოპიზა 1965 წელს აუფეთქებიათ გზის გაყვანის დროს), უზარმაზარი საკედლე მონოლითებისა და ეკალ-ბარდების პირქუშ გარემოცვაში სანთლებივით ყელყელაობდნენ მომწვანო-მოყვითალო ლორთქო ლერწები გატყიურებული ვაზისა, ეგებ შორეული მემკვიდრეები იმ „კეთილად ნაყოფიერი“ ვენახებისა, სადაც ერთ დღეს, „ჟამსა სთულისასა, ჩასვლა და ხორციელ და სულიერ სიხარულთა შეზავება მოსურვებია უკვე ერთობ მხცოვან გრიგოლ ხანძთელს. მერჩულე გვითხრობს: „ამისა შემდგომად უბრძანა დიდსა ზენონსა: „ძმაო, შთავიდეთ ვენაჯად, რომელ არს გზასა თანა ოპიზისასა“, რამეთუ ჟამი იყო სთულისაჲ (რთველისა). და შთავიდეს ორნივე ზოგად ვენაჯსა მას შენებულსა მისსა კეთილად ნაყოფიერსა (ლამაზად მტევნებ დახუნძლულ ვენახში). და ჟამსა მას შინა მოვიდა სანატრელი მამაჲ მაკარი ოპიზელი ხილვად მოძღურისა თჳსისა, მამისა გრიგოლისა. და ვითარცა-იგი ფრიად განიხარეს და სურვიელად მოიკითხნეს ურთიერთას, და რამეთუ იყო ჟამი პურისა ჭამისა, პურად ხოლო დასხდეს. და შემდგომად პურისა ჭამისა, განიზრახეს მუნ დადგრომა ვიდრე ხვალისადმდე... და ვითარცა შემწუხრდა, ერთსა შინა სახლსა იყენეს სამნივე იგი ღმრთისა კაცნი და წართქუნეს წესისაებრ ფსალმუნნი, ხოლო მაკარის ჰრუოლოდა და სარეცელსა ზედა მიეძინა. მაშინ ნეტარი იგი მამაჲ გრიგოლ და ზენონ სიტყჳთა მდაბლითა ფსალმუნებდეს. და მადლმან საღმრთომან განაბრწყინვნა იგინი ნათლითა დიდებისაჲთა, და სახლი იგი ბნელი, ვითარცა მზისა მცხინვარებამან განანათლა, და ვითარცა განეღჳძა მამასა მაკარის, თქუა: „ვითარ საკჳრველად იხილვებიან წმიდანი ესე“. ჰრქუა მას მამამან გრიგოლ: „ძმაო მაკარი, რაჲსა გიკჳრს ხილვაჲ ესე, არა გასმიესა წერილისაჲ „საკჳრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა?“. და ესრეთ იხარებდეს სამნივე იგი სამებისა წმიდისა მადიდებელნი და წართქუნეს ცისკრისა საგალობელნი“ (ამ ეპიზოდში კი სიტყვა „სიხარული“ ორგზის ფიგურირებს).

იმის კვალობაზე, რომ ადამიანური (მიწიერი) ცხოვრების სიხარული უფლისგანვეა „სანქცირებული“ აღთქმის კონტექსტში (მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორე სჯული, 28. 3-8; იერ. 33. 11), ეკლესიის მამათა ერთი ნაწილი, ისეთი დიდი ასკეტებიც, როგორებიც იყვნენ – ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ პალამა – თვით ასკეტური მოღვაწეობის სარბიელსაც არ თიშავდნენ ყრუ კედლით მიწიერი სიხარულის განცდისაგან. ის აზრი, რომ „ღვინო ახარებს გულსა კაცისასა" (ფსალმუნი 103, 15), სრულიად გარკვეული საზომით, მონაზვნურ ყოფასაც შეეწყნარებოდა, ღვინო სამონასტრო ტრაპეზზეც იდგმებოდა. მსაჯულთა წიგნიც განმარტავს, რომ ღვინო არის „გამხარებელი ღვთისა და კაცისა" (9. 13). ამის გამო რთველიც ღვთისაგან კურთხეულ სიხარულადაა მიჩნეული (ესაია, 16. 10).

სწორედ „ჟამსა სთულისასა" შეიყრებიან ოპიზის მონასტრის ვენახში სულიერი ძმები: გრიგოლ და ზენონ ხანძთელები, მაკარი ოპიზელი. მეგობრული გულითადობით („სურვიელად") მოიკითხეს ერთმანეთი, ლამაზად მტევნებდახუნძლული ვენახის ცქერით დატკბნენ და მერე „პურად დასხდეს". ისე შეალერსებიან ერთმანეთს, რომ გაყრა მეორე დღისთვის გადაუდვიათ. ასე შეზავებული ხორციელი და სულიერი სიხარული „შემწუხრებიდან" ცისკრამდე ფსალმუნება – გალობაში გადაიზრდება. ასე რომ, სიხარულის ყველა წყაროდან სვამენ სიხარულს (ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები რომ გავიმეოროთ) ეს ადამიანები. ასე წარმართული ფსალმუნება-გალობის აქტში დრო და მარადისობა ერთმანეთს გადაჰკვეთენ, დრო, მიწა და მიწიერნი აქ არ გამოიყურებიან ვითარცა არარაობა, არამედ ვითარცა მლტოლველნი თავიანთი მარადიული ჰიპოსტასისაკენ, ხოლო, თავის მხრივ, უფალი მიემართება აღმამფრენ სულთაკენ. ამიტომ იხილვებიან წმ. გრიგოლი და ზენონი „ნათლითა დიდებისაჲთა გაბრწყინვებულნი". აქაც, ამჯერად ოპიზის სანახებშიც (ისევე, როგორც 80 წლის წინათ ხანძთის მიდამოებში), იხილვება „ღმერთი წმიდათა შორის მისთა", როგორც ამას ბრძანებს მეორეჯერ ფერმკრთალდება ზღვარი საკრალურ და სეკულარულ სფეროთა შორის. „სამყარო ტაძარია ღვთისა. შრომის ყველა დღე – უფლის დღეა, ყველა ვახშამი – უფლისმიერი სერობა, ყველა გარჯა – ღვთაებრივი დანიშნულების აღსრულება. ყველა სიხარული – სიხარული ღმერთთან თანაყოფნისა" (პაულ ტილიხი, „კულტურის თეოლოგია").

აქ ყველაფერი პირველქმნილი, სამოთხისეული მშვენიერების იერითაა აღბეჭდილი, „გულუბრყვილოდ ესთეტიკურია" (მ. ბახტინი, „სიტყვიერი შემოქმედების ესთეტიკა"). ასეთ „ხელოვნებას სურს გახდეს არა მხოლოდ მანუგეშებელი, არამედ მოქმედი, არა სიმბოლური, არამედ გარდამქმნელი". ასეთი შემოქმედებითი აქტი ესწრაფვის, რათა „სამყაროს შესაქმე განახორციელოს სილამაზედ, მისით დაამარცხოს ქაოსი" (ს. ბულგაკოვი, „ნათელი დაუღამებელი"). ხოლო თუ ამ სურათს შემდგომი საუკუნეების კულტურულ ძიებათა თვალსაწიერიდან შემოვხედავთ, უნდა გავიზიაროთ ის აზრი, რომ „აქ უკვე ილანდება ამირან დარეჯანისძისა და მისი ძმადნაფიცების, ან კიდევ ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის შეყრის სურათები" (რ. თვარაძე, „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა").

როგორც ვხედავთ, ერთობ ალღოიანმა ჭვრეტამ და ინტუიციამ ხვალინდელი დღე „დალანდა" გუშინდელში. როცა შემსგავსებულ განცდა-განწყობილებას გადმოსცემს, „ვეფხისტყაოსნის" ავტორი იტყვის: „ჰგავს, თუ ცა მოდრკა ქვეყანად, შეყრილან ოთხნი მზენია"; ან: „სახლ-საყოფი არა ჰმართებს, ცამცა გაიდარბაზესა". ერთობ ძალუმად ფეთქავს ის სისხლძარღვი, რომლითაც რუსთაველის პოემაში „ქვეყანა" შეექსოვება „ცას". ძაფები ამ ქსოვილისათვის, ერთის მხრივ, ქართული მიწიდან, ამ მიწის მკვიდრთა ბუნებიდანაა ამოკრებილი, ხოლო, მეორეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ, წმინდა წერილიდან და ქართული ქრისტიანული კულტურის წიაღიდან.

მივუბრუნდეთ ოპიზის ვენახში სერად სხდომის ეპიზოდს. ამ დროს წმ. გრიგოლი დაახლოებით ასი წლისაა, საკმაოდ ხანდაზმულნი არიან ზენონი და მაკარი. მათი ერთად ყოფნა კი სულიერი ახალგაზრდობის პათოსითაა გამთბარი, ხალისითაა გაჯერებული. გულის სიჩვილე და დიდი, ერთმანეთთან გადაწნულ-განუყოფელი სიყვარული ღვთისა, მიწისა და მიწიერთადმი, უპირველესი ნიშანი სულიერი უბერებლობისა, წმ. გრიგოლმა დღეგრძელი სიცოცხლის მიმწუხრამდე შეინარჩუნა, ისევე როგორც სხეულის ძალა და სიმრთელე, გონების სინათლე.

ასე რომ, დროითი სამანები საუკუნეს მიტანებული წმინდანის პიროვნებაში გადალახულია. აქ უკვე ცალკეული პიროვნების, კონკრეტულად – 100 წლის გრიგოლ ხანძთელის პიროვნებაში, ჰარმონიისათვის უწვდიან ხელს ერთმანეთს სიბერე და ახალგაზრდობა, როგორც ოთხმოცი წლის წინათ მოხდა ეს, როცა ხანძთის მიდამოებში პურად ისხდნენ ახალგაზრდა გრიგოლი და მოხუცებული ხუედიოსი.

ახალგაზრდის მოხუცებულობისა და მხცოვნის სიჭაბუკის ქრისტოლოგიურ იდეალს (რაზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ) აკაკი წერეთელი ასე გამოთქვამდა:

... და საამქვეყნოდ გულგრილ მოხუცი,
დღესაც თაყვანს ვცემ, როგორც
პირველად,
თითქოს ჭაბუკი ვიყო მე ახლა
და ვყოფილიყავ მოხუცი ძველად.

(„ქებათა-ქება“)

ჭაბუკისათვის ნიშნეული სიწრფელით, გულჩვილობითა და გატაცებით, – ამბობს პოეტი, – მოხუცი დღესაც ვეთაყვანები უფალს, როგორი სიბრძნითა და გულმოდგინებითაც ვეტრფოდი მას, როცა ახალგაზრდა ვიყავი, ვეტრფი დღესაც.

ახლა ისიც გავიხსენოთ, როგორ გამოიყურებოდა ახალგაზრდა გრიგოლი გარეგნულად: „ხოლო იყო ხილვითა დიდ, ჯორციითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოლად კეთილ სრულიად, გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“. ნიკო მარისეული რუსული თარგმანი: „Видом он был величественен, плотью худ, ростом статен, во всех отношениях прекрасен до совершенства, здоров телом и безпорочен душою“.

ჩვენს წინაშე წარმოდგება როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად უხინჯო არსება, „ყოველმხრივ მშვენიერი“. ისიც ხომ ცხადია, რომ მწერალი შეფრფინვით შესცქერის თავისი გმირის ხორციელ სილამაზესაც.

ასე გამოიყურება ჭაბუკი გრიგოლი. მრავალმა წყალმა ჩაიარა ამის შემდგომ, საუკუნეზე მეტი დაჰყო ამ სამზეოში წმინდანმა. და კიდევ ერთხელ შეაჩერებს მერჩულე ჩვენს ყურადღებას წმ. გრიგოლ ხანძთელის პორტრეტზე: „ას და ორისა წლისა ჟამთა მიიწია, ხოლო ფერი პირისა მისისა არა იცვალა, არცა შეემთხჳა თუალთა მისთა მრუმედ მხედველობაჲ და ჯორციითა ძლიერ იყო და რაჲთურთით უძლურებაჲ სიკუდილადმდე არა იპოვა მის თანა, რამეთუ განძლიერებულ იყო იგი ძალითა ქრისტესითა და აქუნდა მას სიქადულად სანთელი ქალწულებისაჲ და ზეთი მოწყალებისაჲ და სიყუარული ღმრთისაჲ და ძმათაჲ. ხოლო შრომაჲ დიდად უყუარდა არა ხოლო ლოცვისა და მარხვისა ოდენ, არამედ დღე და ღამე ჯელითა თჳსითა იქმოდა. და იყო იგი მხიარულად მესტუმრე და გლახაკთ მოღუაწე...“

დავაკვირდეთ! საუკუნეს გადაბიჯებულ წმინდანს ახალგაზრდობის ბეჭედი არ წაშლია: „ფერი პირისა მისისა“ ადრინდებურად სხივოსანია, თვალის ჩინს ბინდი არ მიჰკარებია, ხოლო სხეულს ძალა და სიმრთელე არ მოჰკლებია. საგულისხმოა, რომ მოხმობილი

ტექსტის მეორე ნახევარი (სიტყვიდან – „რამეთუ“ – ვინაიდან) იმის განმარტებას ეძღვნება, რა გზითა და საშუალებით დაიჯაბნა ასეთი წარმატებით ეამთასვლის ბუნება. რა თქმა უნდა, ყველაფერი „ქრისტეს ძალით“ მოხდა. ხოლო ღვთის თანადგომას სამი უმთავრესი სადინარი მისცა წმინდა მამამ: „სანთელი ქალწულებისა“, „ზეთი მოწყალებისა“, „სიყუარული ღმრთისა და ძმათა“. გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის სარბიელი არც ამ სამი უმთავრესი სათნოებით შემოფარგლულა. მათ კიდევ სამი სიკეთე ერთვოდა: ხელით შრომა-გარჯა (უპირველესად, აქ ვენახში მუშაობა იგულისხმება), „კუნთების სიხარულს“ რომ უწოდებენ დღეს; სიხარული და სიცოცხლის ხალისი შეჰქონდა ყველგან, სადაც „სტუმრად“ შებრძანდებოდაო; გლახაკთა, უპოვართა წყალობა-განკითხვა სიხარულით ავსებდა თურმე. სტუმარს რომ სიხარული შეაქვს მასპინძლის სახლში, ეს, უპირველეს ყოვლისა, ტკბილ და გამამხნევებელ სიტყვას გულისხმობს. მერჩულე ერთგან იტყვის, რომ „სიტყუაჲ მისი შეზავებულ იყო მარილითა მადლისაჲთა“, ხოლო მეორეგან თავისი თხზულების მთავარი გმირის ამ ნიჭს ასე გადმოგვცემს: „... და აქუნდა ხმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შუენიერებაჲ, ხოლო განსაკვირვებელ იყო ჴსოვანება მისი“. წმინდა წერილი კი გვმოძღვრავს: „ბრძენთა ენა კურნებაა“; კაცს „კეთილი სიტყვა გაახარებს“ (იგავნი, 12. 18,25).

ახლა კი დროა „სიხარულზე“ საგანგებოდ ვისაუბროთ. შეიძლება, ითქვას, რომ წმ. გრიგოლ ხანძთელი ამ სიტყვისათვის ნიშნეული მაღალი შინაარსის სამყაროში ცხოვრობს. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ წმ. გრიგოლ ხანძთელის ღვაწლის განსაცვიფრებელი და თვალშეუდგამი ბრწყინვალება განპირობებული იყო იმით, რომ იგი ქრისტიანული მსოფლგანცდის ფუნდამენტურ პრინციპს, – „ღმერთი სიყვარული არს“ – ხორცს ასხამდა სრულად, იმ ნიუანსის ფორმით - εὐαγγέλιον, რომელსაც გამოხატავს ოთხთავის ძველი ბერძნული სახელდება , და რაც სიტყვა-სიტყვით ქართული ასლით ნიშნავს: სასიხარულო უწყებულობა (ამბავი), რუსულად – радостная (благая) весть. აქ იგულისხმება მარადიულ სიცოცხლესთან (უკვდავებასთან) კაცთა მოდგმის ზიარების სიხარული, სიკეთე, ღვთის ძის განკაცებით რომ ეუწყათ ადამიანებს. ამგვარი სიცოცხლე ქმნის უზენაესი სიხარულის მთელ შინაარსს, ისინი (სიცოცხლე და სიხარული) განუყრელნი, შენივთებულნი არიან ერთმანეთთან. ამგვარი სიცოცხლის სიხარული თუ სიხარულის სიცოცხლისეული ფეთქვა მოიტანა ამ სოფლად ქრისტემ (იგი „მაცხოვარია“; გავიმეორებთ: „სოფლის სიხარულს“ უწოდებს მას დავით გურამიშვილი). ჭეშმარიტი **სიცოცხლე-სიხარულის მაუწყებელია** ოთხთავი. „სიცოცხლე-სიხარული“ და „უწყება“ (მბობა) სულიწმინდის მადლით რომ არის ინსპირირებული ძველ ბერძნულ εὐαγγέλιον-ში, აქ ისინი შეხორცებულია, შენივთებულია, ვითარცა აზრობრივ-სიტყვიერი მონოლითი, ვითარცა ხედვა-თქმა. ვფიქრობთ, ამ შეხორცებულობის, მონოლითად ჭვრეტის ღრმა აზრს უფრთხილდებოდნენ, როცა ოთხთავს თარგმნიდნენ სხვადასხვა ენაზე და ძველ ბერძნულ სახელდებას წიგნისა ძალაში ტოვებდნენ. ხოლო ქართულ რელიგიურ-ფილოსოფიურ მსოფლგანცდას აღმოაჩნდა ბერძნული εὐαγγέλιον-ის, ვითარცა აზრობრივ-სიტყვიერი მონოლითის, ტოლფასი (ორის ერთად შემნივთებელი) ჭვრეტა-თქმა: „ხარება“ – „სახარება“.

ყოფნის, სიცოცხლის სიხარულის ორიგინალურ ქართულ განცდა-შეფასებას, ქართულ ენაში აკუმულირებულს, ყურადღება მიაქცია გრიგოლ რობაქიძემ: „ვის არ ეხალისება ყოფნა?! არა, მე განსაკუთრებულ ხალისს ვსაზრობ. ხომ შეიძლებოდა, რომ მე – „მე“ მაგალითისთვის – სრულიად არ მოვლენილიყავ ამ სოფლად არაობისაგან! და თუ „ვარ“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ საჩუქარი გამჩენისაგან ჩემი თავის მომართ!.. ქართველს სწორედ ეს ახარებს, რომ არის, არის საერთოდ. ეს სიხარული ჩვენში ისეა გამჯდარი, რომ ჩვენ ხშირად ყვავილზე თუ საერთოდ მცენარეზე მაგიერ ამისა: „იზრდება", ვამბობთ: „ხარობს" („ქართული გენია როკვით განფენილი"). დიახ, ნაცვლად ამისა: „ცოცხლობს" – „გაცოცხლდა", ქართველი ამბობს: „ხარობს" – „გაიხარა". ჭვრეტა – ინტუიცია იმისა, რომ მიწიერ-წარმავალ ყოფნაშივეა დვრიტა ზეციურ-წარუვალი სიცოცხლისა, ქართულ მსოფლგანცდაში ოდითგანვე (წინარექრისტიანულ ხანაშიც) თავჩენილ ცნობიერებას ძუძუ აწოვა სახარებამ, რომლის ფურცლებიდან თვით მაცხოვარი გვმოძღვრავს: მოვედი, „რაადთა აქუნდეს მათ (კაცთა) სიხარული ჩემი სავსებით" (იოვანე, 17,13). უფლის ხორცშესხმულ ძეში „სასუფეველი ღმრთისაა" ჩვენ, ხორციელთ, უკვე გვინათებს (მარკ., 1,15) და სიხარულით გვავსებს.

წმ. გრიგოლ ხანძთელი ასეთ სიხარულს თესავს და აღმოაცენებს ყველგან. ამიტომ მიაჩნდათ იგი თანამედროვეთ მოციქულთა სწორად: „აქუნდა ყოველთა, ვითარცა წმიდათა მოციქულთაგანი შუვამდგომელად ღმრთისა და კაცთა". კაცთმოყვარეობის დიდი მადლი, სიწმინდის თვალშეუდგამი სინათლე დგას ყველა ეპიზოდში, სადაც „შუამდგომელი ღმრთისა და კაცთა" გამოჩნდება ხოლმე. ამ ნარკვევის დასაწყისში რომ ორი პატარა ეპიზოდია გაანალიზებული (ხუედიოსისა და გრიგოლის პირველი შეხვედრისა და მეორე, როცა ხუედიოსი მიმართავს სტუმრებს: „თქუენ ხართ სიწმიდისა ნაყოფი, მცენარენი სულნელნი..."), იქ ექვსგზის ფიგურირებს სიტყვა „სიხარული". ორჯერ მოიხმობა ეს სიტყვა ოპიზის ვენახში სულიერ ძმათა შეხვედრაზე. რა თქმა უნდა, სიტყვათა რაოდენობა არაა მთავარი. მთავარია ქმედებათა, ჟესტთა, ეპიზოდთა, დიალოგურ სიტუაციათა ფსიქოლოგიური „კლიმატი", განწყობილება, პათოსი. აბსოლუტური უმრავლესობა იმ ეპიზოდებისა, სადაც ჩნდება წმ. გრიგოლი, სიხარულის, ღვთისა და კაცის სიყვარულის, არსებობის საზრისისა და იმედის შუქითაა ამოვსებული. „სიხარულითა სავსე ვარ", – აცხადებს აშოტ კურაპალატის წინაშე წმინდანი და ყველას უშურველად მიუწილადებს ჭეშმარიტი სიცოცხლის სიხარულით სავსე თასიდან უტკბილეს სასმელს, „სუმიდეთ სიხარულსაო". სვამენ და თასს არათუ აკლდება, უფრო ივსება. ასე რომ, როცა ბერი ხუედიოსი „მიახლებულა ჯორცთაგან განსლვად", მისი უკანასკნელი სურვილი და ნატვრა, მიმართული წმინდა გრიგოლისა და მისი მოწაფეებისადმი, ესაა: „ჯელთა ღმრთისათა შევჰვედრებ სულსა ჩემსა და ჯელთა თქუენთა – ჯორცთა ჩემთა, ხოლო ნებითა ღმრთისაადთა ერთად იყოს სიხარული ჩუენი საუკუნოდ". სასუფევლის სიტკბოებაც წმ. გრიგოლ ხანძთელისეული სიხარულის მადლის სიახლოვეს ეოცნებება ხუედიოსს.

წრფელი სიხარული, სიბრძნითა და სიყვარულით ნასაზრდოები, მაშინაც იბადება წმინდა მამის გულიდან, როცა სიხარულის განცდის აღმოცენებისათვის ნიადაგი თითქოს არც არსებობს. წმ. გრიგოლმა რომ ხანძთის მონასტერში ბავშვები – არსენი და ეფრემი – მიიყვანა, „დრტვინვაა იყო" წმ. მამის მოწაფეთა შორის; დიდი მოკრძალებითა და მობოდიშებით შეახსენეს წინამძღვარს: „წესი შენგან დამტკიცებული" შენგანვე ირღვევა „უწვერულთა" მონასტერში დამკვიდრებითო. „ვითარცა ესმა კეთილი იგი გულისსიტყუაა, **ცხადად განიხარა** ნეტარმან მამამან გრიგოლ", – ამბობს მერჩულე. თუმცა შენიშვნა მკაცრი იყო, მტკივნეულ საკითხს ეხებოდა, „კეთილი გულის-სიტყუად" კი ითქვა და „ცხადად განიხარა" ხანძთელთა წინამძღვარმა. შენიშვნის მიზეზის, ძირისძირის კეთილგონივრულმა განჭვრეტამ წყენა კი არა, სიხარული, მოწაფეთადმი ნდობა

და იმედი რომ განამტკიცა და გადმოადინა კიდეც მოძღვრის გულიდან, თავის მხრივ, მოწაფეებში შვა სიხარული, განამტკიცა სიყვარული მოძღვრისა და რწმენა უზენაესთან მისი სიახლოვისა („ქრისტემან ღმერთმან წმიდისა ანგელოზისა პირითა მაუწყა", — ბრძანა წმ. გრიგოლმა, — არსენისა და ეფრემის მოყვანა და აქ სიყრმითგანვე ჩვენთან „აღზრდა უბიწოდო").

ისეთი დიდი ასკეტი, როგორიც იყო წმ. გრიგოლ ხანძთელი, მატერიალური სინამდვილის სილამაზესა და მიმზიდველობაში ეშმაურსა და მოსაძაგებელს კი არ ჭვრეტდა, არამედ უმშვენიერესისა და უზენაესი სიკეთის ანარეკლს და ნაყოფს, უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით რომ გვიბოძა უფალმა, გონიერ კაცს სიყვარულითვე რომ მიაქცევს მბოძებელისადმი. ამ სულისკვეთებითაც ზრდიდა და ახარებდა წმ. გრიგოლი თანამედროვეთ. გიორგი მერჩულის თხზულების მრავალ ეპიზოდს მსჭვალავს ასეთი მსოფლშეგრძნება, ხოლო ერთგან იგი დეკლარაციული ფორმითაც ცხადდება. აფხაზეთიდან ტაო-კლარჯეთს რომ ბრუნდებოდა, „გამოჰკითხა მეფემან დიმიტრი მამასა გრიგოლს გულს-მოდგინედ კლარჯეთისა უდაბნოთა" ბუნების შესახებ. „და მამამან გრიგოლ ჰრქუა მას: „ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანა უდაბნოთაჲ მათ და **კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა**, რამეთუ არცა ფრიადი სიცხჱ შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებითა დგას თჳსსა საზღვარსა უნოტიოჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ (არა ტალახიანი), მზუარჱ, რამეთუ კაცთა ნახჭნი ფერჯთანი არა ოდეს თიჯიან ექმნებიან სლვასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შეშაჲ ნებისაებრ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქჳშათა მათ შინა, ურიცხჳ მაღნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ, **ბუნებით მხიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთისაგან...** და ესრეთ მრავლითა მშჳდობითა მყუდროებით არიან ყოლადვე და ქრისტესა ადიდებენ".

ბუნების მშვენიერების განცდას ასკეტის ამ სიტყვებში ცხადად ეზავება ბუნებისგანვე მოძღვნილ ხორციელ სიამოვნებათა სიხარული, ხოლო პასაჟს კრავს ერთობ საგულისხმო ჰუმანისტური შინაარსით გაჯერებული თვალთახედვა, რომ აქ არაფერია გასაკვირი, რომ ადამიანებისათვის „ბუნებით მხიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთისაგან". ერთობ საგულისხმო და მრავლისმეტყველი ის არის, რომ ამას ღაღადებს ბერი, ასკეტი. აქედან ხომ მხოლოდ ერთი ნაბიჯია რუსთაველის ამ ფრაზამდე: უფალმა „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა".

როგორც გრიგოლ ხანძთელის, ისე რუსთველისეული მსოფლგანცდა, რა თქმა უნდა, წმინდა წერილის წიაღიდან მოედინება. ნეტარი ავგუსტინე განმარტავს: ღვთისაგან „არსებობს ყველაფერი, რაც არსებობს, ვინაიდან ყველაფერი, რაც არსებობს, რამდენადაც იგი არსებობს, არის სიკეთე" („ჭეშმარიტი რელიგიის შესახებ"). ერთობ საგლისხმოდ გვმოძღვრავს წმინდა გრიგოლ ნოსელი: „იქმნა ქუეყანაჲ სავსე ყუავილთაგან შუენიერთა, რომელნი გამოკჳრტჳდ პირველ ნაყოფსა, და რაჟამს აღმოჯდის ქუეყანით, აღერდეს და მოისწრაფინ სრულებად. და **არნ ყოველი დაბადებული მხიარულ ბრძანებითა ღმრთისაჲთა**" („კაცისა შესაქმისათჳს").

გრიგოლ ხანძთელი მახარებელთა კვალზე მიდიოდა და იმდროინდელ ქართველობას სამყაროს მთლიანობის, მიწიერისა და ზეციერის (ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების) შეზავება-შეჯვარედინების ცნობიერებას უღვიძებდა. როცა ვფიქრობთ, რომ ქრისტიანობის არსი „მიღმური სამყაროს ქადაგებით ამოიწურება, ეს ნიშნავს, რომ არ გაგვეგება ყველაზე მთავარი თავისებურება მისი, — რომ ამ სარწმუნოებით მთლიანად გადალახულია დაპირისპირება მიღმურისა და

ამქვეყნიურისა. „კეთილი უწყება“ („სახარება“) „ხორცშესხმული სიტყვისა“ მოასწავებს, რომ ყველაზე შორეული გახდა ახლობელი, მთლიანსამყაროულმა საზრისმა ერთიანად განწონა მთელი მიწიერი ცხოვრება. და ამის შესაბამისად, ქრისტიანული მსოფლშეგრძნების ცენტრს ქმნის არა ღვთისაგან მიტოვებულობის სამყაროული ნაღველი, არამედ სწორედ ის სიხარული, რადაც გადაიქცევა ეს ჯვარცმისეული ტანჯვა, – აღდგომის სიხარული. სიხარული უბრუნდება სრულიად განსხვავებულ ცხოვრებისეულ უბნებს, სამყაროული არსებობის ყველა სფეროს უმდაბლესიდან უმაღლესამდე. და ამ სიხარულში ორივე ხაზი – ჰორიზონტალური და ვერტიკალური – შეერწყმიან ერთმანეთს, ერთ ცოცხალ, განუყოფელ მთლიანობად“ (ე. ტრუბეცკოი, „სიცოცხლის საზრისი“).

ბუნების სახით, განმარტავენ წმინდა გრიგოლ ხანძთელი და შოთა რუსთაველი, ღმერთმა ხორციელ-მიწიერი სიამოვნების „უთვალავი“ წყარო აღმოაცენა ქვეყანაზე და ისინი „ჩვენ, კაცთა“ მოგვცა მოსახმარად, სიხარულისთვის. ის, რასაც გრიგოლ ხანძთელი ღაღადებს, რა თქმა უნდა, არის საზოგადოების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის, ერისკაცთა ცხოვრების წესის დასაკვალიანებლად გამიზნული განჩინება, კაცთმოყვარეობის უაღრესად საგულისხმო და უადრესი მანიფესტაცია, ჩვენი აზრით, არა მხოლოდ ქართული კულტურის მასშტაბით. ბერმონაზვნობის ინსტიტუტი კი არსებობდა იმისთვის, რათა ერისკაცთათვის გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ მიწიერი სიამოვნება ცდუნება-შეცოდების, ვნებათა გაღვიძების ერთობ საშიშ წყაროდაც შეიძლება გვექცეს, პოტენციასაც იმარხავს თავის თავში. თავისუფალი ნების (ღვთის ხატობის უპირველესი დვრიტა რომაა კაცში) საჭურველით ამქვეყნიურ სიამოვნებათა სიმრავლეზე ბატონობის შთამბეჭდავ პრაქტიკულ გაკვეთილებს წარმოუჩენენ გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები თანამედროვეთ, უკვდავებასთან მიახლების ხელოვნებას ისწავლებიან (საკუთარი ცხოვრების წესით) ხელოვნებათა – ხელოვნებაში საგანგებოდ გაწვრთნილნი, დაწინაურებულნი. ასე რომ, ამქვეყნიურ სიამოვნებათაგან განრიდებული ასკეტები ამქვეყნიური სწორი ცხოვრების მაღალ საზრისს ამკვიდრებენ ერისკაცთა ცნობიერებაში. უფლის დიდი სიყვარულით შთაგონებული ადამიანი მონასტერში მოჰყავს არა მხოლოდ საკუთარი სულის გადარჩენის სურვილს, მას სხვათა, კაცთა შველა-გამოხსნის ძლიერი იმპულსიც ამოძრავებს, ჩვეულებრივ.

აკი უდარაჯებს თვალმოუხუჭველად, დაუცადებლად წმ. გრიგოლი VIII-IX საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივი (როგორც საეკლესიო, ისე საერო) ცხოვრების ყველა უბანს. ათეულ და ასეულ კილომეტრებს ფეხითა და სახედრით გადასერავს ხოლმე (ღრმად მოხუცებულიც), რათა ქართველის ქართველად და ქრისტიანად ყოფნას უსაშველოს. ამის საგულისხმო ფაქტები ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში საკმაოდაა გამოვლენილი. დამაჯერებლადაა არგუმენტირებული ის თვალსაზრისი, რომ გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების ღვაწლით შემზადდა ბალავერი ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველოსათვის, მეათე საუკუნის ბოლოს რომ წამოიმართა (რ. სირაძე, გიორგი მერჩულეს ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალთახედვა). ეროვნული მთლიანობის იდეაც ამ ღვაწლის ნაყოფად შემუშავებულა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. ნიშნავს: საქართველოა ყველგან, მიწის მთელი ის სივრცე უნდა შეირაცხოს საქართველოდ, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე აღსრულდება, კულტურის ენა ქართულია. ერთის შეხედვით, ამ მარტივ ფორმულირებაში

ერთობ ღრმა, ბერძნული აზრი და ხედვაა აკუმულირებული (დღესაც რომ ნაჭედი ლოგიკით გამოკვეთილ იურიდიულ არგუმენტად გამოდგება). მაგრამ ამ ფორმულირების შინაარსის კომენტირებისას, ჩვეულებრივ, მხოლოდ ენის ფენომენს მიაპყრობენ ყურადღებას ხოლმე. სინამდვილეში ქართველობის, ვითარცა ერის, საქართველოს, ვითარცა სახელმწიფოს, სივრცე და ხორციელ-სულიერი მთლიანობა აქ წარმოიდგინება ორ ბოძზე დაყრდნობილ-დაშენებულად: ქართული ენა და ქრისტიანული სარწმუნოება-კულტურა. საბოლოოდ ვღებულობთ ერთობა-განუყოფლობას სამისა: მამული, ენა, სარწმუნოება. ეს თვალთახედვა, წმ. გრიგოლ ხანძთელის ღვაწლით უკვე რომ გამოკვეთილია IX-X საუკუნეების საქართველოში, საუკუნეების განმავლობაში იდეოლოგიურ ხერხემლად ემსახურებოდა ჩვენს ქვეყანას, ხოლო XIX საუკუნეში კვლავ დროშად აღმართა წმ. ილია მართალმა (იხ. მისი „ორიოდე სიტყვა...“). დაჩნდება იგი აკაკის „თორნიკე ერისთავის“ ბოლო თავშიც (ვერც ილია და ვერც აკაკი ვერ დაემყარებოდნენ 1911 წ. პირველად გამოქვეყნებულ მერჩულის ტექსტს).

მეორეს მხრივ, მერჩულის თხზულების წაკითხვა იმასაც გვითვალისწინებს, რომ წმ. გრიგოლისა და მის თანამოაზრეთა ღვწა ქართული ენის დახვეწა-განვითარებასაც ეძღვნებოდა თურმე. მერჩულე გვაუწყებს, რომ წმ. მამამ ხანძთის მონასტერში „განაწესა წესი სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით გაბრწყინვებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა (მაგალითად, ბიზანტიიდან, იერუსალიმიდან) გამორჩევით შეკრებული“. მერე ჩამოთვლილია უმთავრესნი ამ წესთაგან, რომელთა დაცვა-ერთგულება ქმნიდა „ნეტართა მათ ცხორების“ შინაარსს. ერთი ნაწილი გამორჩეულ საზრუნავთა ასეთი იყო: „მოთმინებაჲ სიმდაბლით და სიმშჯდით, მარხვაჲ ლოცვით შეზღუდვილი, სიწმიდჱ გულისაჲ და ჰეშმარიტებაჲ ენისაჲ“. თუ ყურადღებას მივაპყრობთ იმ ფაქტს, რომ „ენის ჰეშმარიტება“ მოქცეულია მაღალ სულიერებათაკენ გზის გამკვლევ ასკეტურ სათნოებათა მწკრივში, ერთობ დაძაბულღვწის ნაყოფად რომ მოიპოვებიან, ნაკლებ სავარაუდოა, რომ აქ ენის გამართული, კარგი ცოდნა იგულისხმება ან საიმისოდ წვრთნა (ბერძნული სიტყვა – ἄσκησις – „ვარჯიშს“ ნიშნავს), რომ მონაზონს ტყუილი არ ეთქვა.

„ჰეშმარიტება ენისა“ ამ კონტექსტში ქართული ენის წიაღში მთვლემარე სულიერ-ინტელექტუალური ენერგიის გაღვიძებას, დამუშავება-დახვეწას უნდა გულისხმობდეს, რაც ქრისტიანობის მიღებით, ქართულად წმინდა წერილის გადმოღებით, ქართულ ენაზე ღვთისმსახურების დაწესებით აღსრულდა. ამ უაღრესად საყურადღებო ფაქტს პირველად ყურადღება მიაქცია და გააანალიზა რ. სირაძემ წმ. ნინოს ღვაწლის კვლევასთან დაკავშირებით. იგი ამბობს: „ერის საბოლოო გაქრისტიანება იწყება მაშინ, როცა გაქრისტიანდება მისი „ენა“, ე. ი. მისი ცნობიერება და მისი სული... ენას დაეკისრა სრულიად ახალი რამ: სიღრმისეულად გამოეხატა ქრისტიანული სამყარო, რასაც თვით ენა უნდა ზიარებოდა. ე. ი. ენას უნდა წარმოეჩინა ისეთი შესაძლებლობანი, რაც მას მანამდე არ გამოემჟღავნებინა... ამიტომაც იოანე-ზოსიმემ ქართული ენის ქების კონტექსტში წმ. ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანება წარმოგვიდგინა მისი უმაღლესი რაობით – ქართული ენის მოქცევით“ („ქართული კულტურის საფუძვლები“).

რომ „ჰეშმარიტებაჲ ენისაჲ“ სწორედ ასეთი ღრმა შინაარსითაა გასააზრებელი, ამას ექვთიმე ათონელის შესახებ გიორგი ათონელის მიერ ნათქვამი ფრაზაც გვიდასტურებს: ექვთიმემ „განანათლაო ქართველთა ენაჲ და ქუეყანაჲ“. „თვით „ენაც“, ვითარცა ტერმინი, ფართო შინაარსის შემცველი უნდა

ყოფილიყო და ნიშნავდა „ენა-აზროვნებას“, „ენა-ლოგოსს“ ისევე, როგორც „სიტყუაჲ“ (იოანე, 1.1.) გულისხმობდა „სიტყვა-აზრს“, „სიტყვა-საზრისს“, „სიტყვა-ლოგოსს“ (რ. სირაძე, „ქართული აგიოგრაფია“).

რომ წმ. გრიგოლ ხანძთელი ენასთან, სიტყვასთან, ვითარცა „სიტყვა-ლოგოსთან“, არაორდინალური, ფრიად ამაღლებული მიმართების მოძღვარიც იქნებოდა, გვაფიქრებინებს ისიც, რომ მას ჰიმნებიც შეუთხზავს. მერჩულე გვაუწყებს: „აწ არს ხანძთას ჯელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწადოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“. სულიწმინდით შთაგონებულობაზე მითითება საეჭვოდ არ უნდა ხდიდეს, რომ აქ ორიგინალურ პოეტურ ღვაწლზეა საუბარი, მაგრამ „ჯელითა მისითა დაწერილი“ თითქოს მხოლოდ გადამწერის პატივს უნდა ნიშნავდეს. მაგრამ უყურადღებოდ რჩებათ მერჩულისეული ცნობის დასასრული: „რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“. წმინდა წერილის ფურცლებზე, ეკლესიის მამათა წიგნებში, ქართულ ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ თხზულებებში სიტყვას „კეთილი“ ძალიან ხშირად აქვს მნიშვნელობა მშვენიერისა, ლამაზისა, მომხიბვლელისა, საამოსი. ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „კეთილი“ ასე განიმარტება: „ქველი“, „შუენიერი“, „სულნელი“, „კარგი“, „საამო“ და ა.შ. ხოლო ფსევდოდიონისე არეოპაგელი გვასწავლის: ამ „სიკეთეს“ (უფალს) წმ. მამები უგალობენ ვითარცა „მშვენიერებასაც“, ვითარცა თვით „სილამაზესაც“, ვითარცა სიყვარულის საგანსაც და ვითარცა თვით „სიყვარულსაც“ („საღმრთოთა სახელთათვის“, 4. 7). ასე რომ, მერჩულისეული მითითება, – დღესაც ხელთ გვაქვს გრიგოლ ხანძთელის „ხელით დაწერილი“ ჰიმნები, „საწელიწდო იადგარად“ წოდებულ კრებულს (მთელი წლის საგალობელთა მთლიანობას) რომ ქმნიანო, გულისხმობს ორიგინალურ პოეტურ ნაწარმოებებს. მხოლოდ ასეთ კონტექსტშია გასაგები თუ გამართლებული მითითება, რომ ეს ნაწარმოებები ერთობ („ფრიად“) მშვენიერ („კეთილ“) სიტყვათა კაზმულობით გამოირჩევიანო. გადამწერს ხომ სწორედ დედნის ერთგულება, ზუსტად გადმოღება ეთვლებოდა წარმატებად. ვფიქრობთ, ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ის, რომ გრიგოლ ხანძთელი პოეტიც იყო. ეგებ მერჩულის მითითება, – რომ ხანძთელთა წინამძღვრის სიტყვა „შემკულ იყო მარილითა მადლისაჲთა“, – არ იყოს უმნიშვნელო ამგზობის (ასე რომ, წმ. გრიგოლ ხანძთელი ხელოვნების ორმაგი მადლით ყოფილა ცხებული. უკვე ხომ ვსაუბრობდით იმის შესახებ, რომ იგი იყო თავისი საუკეთესო „მეს“ მხატვარი).

ასე რომ, წმინდა გრიგოლ ხანძთელი წარმოგვიდგება ჭეშმარიტ ნაყოფად იმისა, თუ როგორ ითესება მიწაზე წყალობა და მადლი ღვთისა. მან განსაცვიფრებელი სისრულით შეასხა ხორცი სახარებისეულ იდეალს, ღვთის ხატის ადამიანში რეალიზაციის იმ საქმეს, რომელიც ყოველთვის იყო და არის იდეალი ქრისტიანული ეკლესიისა. წმინდანის თანამედროვენიც უკვე გრძნობდნენ ამას, როცა „შუვამდგომელად ღმრთისა და კაცთა“, მოციქულთა სწორად სახავდნენ მას. „მაღალნი და მაღლად მხედნი“ იყვნენ მაშინდელი საქართველოს ხელისუფალნი. აშოტ ბაგრატიონი ამ სიტყვებით მიეგება წმ. მამას: „მეფეთა ისრაჱლისათა ჟამად-ჟამად წინასწარმეტყუელი აღუდგინის ღმერთმან სიქადულად მათა და ზღუდედ შჯულისა... ეგრეთვე ჟამთა ჩუენთა შენ გამოგაჩინა ღმერთმან ქრისტეანეთა სიქადულად“. „ბედმა უბედომ“ (წმ. ილია მართალი) ერთხანობით შთამომავლთა ცნობიერებაში გაამკრთალა მისი ხატი. მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, ნიკო მარის ღვაწლით, იგი კვლავ შეიცნო ქართველობამ (თვით წმინდანს ისინი არასოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიწყებია). შეიცნო და გრიგოლ რობაქიძის პირით განაცხადა: „გრიგოლ ხანძთელი ისე დადის დედამიწაზე, თითქო უკანასკნელი სიმინდის ჯავარი იყოს, რომელიც დატაროებას ელის. მიწა მისთვის არ არის „ბერწი". პირიქით: მისი ყოველი ნაყოფი „წყაროს თვალია", რომელსაც მოაქვს ბუნების მადლი" („საქართველოს ხერხემალი").

წმ. გრიგოლის მუხლჩაუხრელი გარჯის საფასურად სიხარული და სიცოცხლის შუქი უბრუნდება VIII-IX საუკუნეების საქართველოს ცხოვრების სულ სხვადასხვა უბანს. ორივე ხაზი, ჰორიზონტალური და ვერტიკალური, ერთმანეთს ეწნება ისე, რომ ამქვეყნიურის, მიწიერის დამკვიდრებაში იგრძნობა ამაღლება ზეციურისაკენ. აი, „მშრალი" და ერთობ მოკლე ჩამონათვალი იმ საქმეებისა, რომელთა აღსრულებისას ყრუ კედელი აღარ იგრძნობა მიწიერსა და ზეციურ სინამდვილეთა შორის: წმ. გრიგოლ ხანძთელი განათლება-მწიგნობრობის ხუთ კერას აფუძნებს, საამისოდ წვრთნის და ეხმარება მოწაფეებს; დაუცადებლად იღვწის ქართველთა სულიერ-ზნეობრივი გაჯანსაღებისათვის, რითაც ბალავერს ამზადებს ერთიანი და თავისუფალი ქვეყნის ასაშენებლად; ეროვნული ეკლესიის მართვა-გამგეობის საქმეებში მონაწილეობს; საბერმონაზვნო კოლონიებს მიუძღვის და წეს-განგებას დაუდგენს; მეფეთა ზნეობრივ ცხოვრებაში ერევა, ქვეყნის საჭეთმპყრობელთა მორალურ სიჯანსაღეს გუშაგობს; უცხოეთში მიდის კულტურულ ურთიერთობათა დასამყარებლად; სამონასტრო-სამეურნეო საქმეებში მონაწილეობს; საგალობელთა კრებულს ქმნის და ასე შემდეგ...

ამგვარი ღვაწლია ქრისტიანობის ნამდვილი სვეტიცხოველი. „მხოლოდ დღევანდელი დღიდან, „აქედან" და „ამ დროიდან" შეიძლება ადამიანი მიემართებოდეს მარადისობისაკენ და შეიძლება დროში აღასრულოს რაღაცა, რასაც მნიშვნელობა აქვს მარადისობისათვის" (დიაკონი ანდრეი [illegible] ამიანი ხატის წინ").

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ წმ. გრიგოლ ხანძთელი იყო არა მხოლოდ დიდი კულტურული მოღვაწე, არამედ ბრძენი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოაზროვნე, რომლის ამგვარი ნააზრევი, როგორც უკვე ითქვა, ბალავერად ემსახურა იმ მონუმენტურ შენობას, რომელიც ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველოს სახით წამოიმართა მეათე საუკუნის დასასრულს. სწორედ „იქედან" (იმ სივრციდან) და „იმ დროიდან" გრიგოლ ხანძთელის სული საუკუნეებზე გამოვლით მოემართება ჩვენკენ და გვმოძღვრავს, რომ თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყანას აშენებენ *თავის უფალი* ადამიანები, ჭეშმარიტად უფალნი, ბატონნი თავიანთი მიწიერ-საპირადო ინტერესებისა; უბირი, გაუნათლებელი კაცი სისხლს კი არა, ოფლსაც არ დაღვრის სამშობლოსთვის. აი, რატომ აფუძნებდნენ წმ. მამა, მისი მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები ასეთი თავგამოდებით ეკლესიებსა და მონასტრებს (იმჟამინდელ უნივერსიტეტებსა და აკადემიებს). აი, რატომ იყო, რომ სწორედ მაშინ და სწორედ ტაო-კლარჯეთიდან დაიწყო ჩვენი ქვეყნის გაერთიანებისა და თვითმყოფობის საქმე. ეს იყო საპროგრამო თვალთახედვა, თეორიულადაც ღრმად რომ ჰქონდათ გაცნობიერებული წმ. მამას და მის თანამოაზრეთ. დასტურად მოვიხმობთ ერთ ეპიზოდს მერჩულის წიგნიდან (ეპიზოდს ყურადღება მიაქცია ვ. მაღლაფერიძემ). ბაგრატ მეფე და მისი ძმები მონასტრებს მოიხილავენ. ღვაწლმოსილ ბერთა სიმრავლეს რომ თვალს მოავლებს, მეფე იტყვის: „წმიდანო მამანო, ვინაჲთგან გიხილენით თქუენ, დაგუავიწყდა მებრ, თუ ქუეყანასა ზედა ვართ, არამედ ვჰგონებთ, ვითარმედ ზეცას წმიდათა ბანაკსა დამკჳდრებულ ვართ, რამეთუ თქუენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულითა მარად წინაშე ღმრთისა მდგომარე ხართ.“ კულტურისა და განათლების მსახურნი და მსახურება სახელმწიფოს საჭეთმპყობელთ ადამიანური ღირსების სანატრელ სიმაღლედ დაუსახავთ. წმ. გრიგოლი და მისი თანამებრძოლნი ბაგრატიონთა აღტაცებას ასე ეპასუხებიან: „ესე უწყოდეთ, რამეთუ სულიერად განწყობილნი ლაშქარნი თქუენნი ესე წმიდანი, უდაბნოთა მამანი, არიან ჯორციელად განწესებულთა ლაშქართა თქუენთა სიმტკიცენი და საჭურველნი ყოველთა მორწმუნეთა მეფეთანი მწყობრთა შინა წყობისათა“. ეს ნიშნავს: სულიერების მსახურთა, ბერ-მონაზონთა, ეს ლაშქარი, მეფენო, არის ხორციელად, მატერიალურად, ძლიერი მკლავითა და ფარ-ხმლით შეიარაღებული თქვენი მხედრობის სიმტკიცის თავმდები და უცილობელი საჭურველი, როცა მეფეთ ბრძოლის ველზე გამოგყავთ თქვენი ლაშქარი. ამრიგად, სრულიად გარკვევითაა ნათქვამი, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური თუ სამხედრო ძლიერების უპირველესი გარანტი არის ჭეშმარიტი იდეოლოგია, ღვთისა და მამულის სიყვარულზე, ადამიანში ადამიანობის ორ ყველაზე ბუნებრივ წყაროზე, დამყარებული იდეოლოგია. აი, ეს იყო წმინდა გრიგოლ ხანძთელის და მის თანამოაზრეთა სამოღვაწეო პროგრამის ქვაკუთხედი. მეცხრამეტე საუკუნეში ამგვარი თვალთახედვის გზაზე უძღვებოდნენ ქართველობას წმინდა ილია მართალი და მისი თანამოაზრენი, მეოცე საუკუნეში – ივანე ჯავახიშვილის თაობა, მართლმადიდებლობა, უნივერსიტეტი და ქართული მწერლობა.

ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო-კულტურული სკოლის, რომლის მესაძირკვლე სწორედ წმ. გრიგოლ ხანძთელი გახლდათ, უშუალო „ამონაყარი“ და მემკვიდრე იყო ათონის ივერთა მონასტერი (კ. კეკელიძე). ხოლო ათონის ივერთა დიდი კულტურული კერის ნაყოფიერება „ღალიან-ბარაქიან ძუძუს“ აწოვებდა ქართული რენესანსის შობასა და ძალმოსილებას.

ხოლო თუ შინაარსს ცნებისა – „ინტელიგენტი“ – ცოტა გავაფართოვებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ პირველი ინტელიგენტი, ქართული მწერლობის ფოლიანტებზე დავანებული, გრიგოლ ხანძთელი გახლავთ. იგი მართლაც რომ ყველა უმაღლეს მოთხოვნას აკმაყოფილებს, რაც კი შეიძლება ჭეშმარიტ ინტელიგენტს წაუყენოს საზოგადოებამ. ღვთივმომადლებული სულიერება, ზნეობრივი სისპეტაკე, კოლო სალური ინტელექტი და განათლება, მამულისათვის დაუცადებელი ღვწა, უკომ პრომისობა, ჰუმანიზმი. არ ვიცი, კიდევ რამდენი თვისება უნდა ჩამოთვალოს კაცმა, გრიგოლ ხანძთელს რომ ამკობს“ (თ. მაღლაფერიძე, „მარადი აწმყო“).

წმ. გრიგოლ ხანძთელი ღვთისადმი ერთ მიმართვაში თავად ბრძანებს წმინდანთა შესახებ: „უწოდე ეკლესიად წმიდათა ყოველთა, რაჲთა შემდგომად სიკუდილისა მათისა ნაცვლად მათა ეკლესიანი აქუნდენ სიმტკიცედ და სიქადულად“.

წმინდა გრიგოლ ხანძთელი თავადაა ეკლესია ქართველთა.

ანდრო ბუაჩიძე

გზაჯვარედინზე

ელიას კანეტის წიგნში „მასა და ძალაუფლება“ ავტორი საკმაოდ ვრცლად საუბრობს ბუშმენთა ერთი ტომის იშვიათ უნარზე, — ისინი სხეულის სხვადასხვა ნაწილებით ახლობელთა ადგილმონაცვლეობას გრძნობენ. ვთქვათ, ოჯახის თავკაცი გრძნობს, შორი მანძილიდან როგორ ჩაიარა და უახლოვდება სახლს მისი მეუღლე. ეს წინათგრძნობაა, მხოლოდ არა გონებაჭვრეტითი ანდა ინტუიციით ნაკარნახევი, არამედ სხეულით აღქმული.

რაც საქართველოში უკანასკნელი თექვსმეტი წლის განმავლობაში დატრიალდა, იმას ადამიანური წინათგრძნობის ვერანაირი „ორგანო“ ვერ მოიხელთებდა. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანს არ გააჩნია ტვინის ის ნახევარსფერო, ის ყოვლისმომცველი ინტუიცია ან სხეულის ზემგრძნობიარე ნაწილი, რომელიც ხსენებულ მოვლენათა სიმრავლეს და მასშტაბს იწინასწარმეტყველებდა.

არ დარჩენილა ცხოვრების მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი უბანი, რომელსაც სასტიკი ქარბორბალა არ შეხებოდა. ეს მოვლენები თავისი სტიქიური ხასიათით ბუნების წიაღში წარმოშობილს ჰგავდა, მაგრამ მისი ნამდვილი შემოქმედი ადამიანი იყო. ანუ იმ ირაციონალურ ძალას, რომელმაც რუსეთის იმპერიას სული ამოართვა, თავის ლოგიკური, რეალური დასაყრდენი ჰქონდა. საბჭოთა იმპერია ძალიან ჰგავდა ზღაპრულ გველეშაპს, რადგან მისმა აგონიურმა კრუნჩხვებმა და კუდის მოქნევამ ჩვენი სამშობლოსთვის საბედისწერო შედეგი გამოიღო და აქაც ადამიანთა ნება განხორციელდა. აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომებში გაღებული მსხვერპლი, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, და ქვეყნის შიგნით: ხელისუფლებათა დამხობა და შესაბამისად, ღირებულებათა გადაფასება, დამხობილთა მხილება და იავარქმნა, განკიცხვა და განდევნა, დაჭერა და დატუსაღება. შემრისხველნი და შერისხულნი. ამ შავ-თეთრმა კინოკადრებმა ცნობიერების უსასრულო ნაკადივით თითოეული ჩვენგანის სულის ეკრანზე გაირბინა.

XXI საუკუნის დასაწყისში ნავთქურებთან ჩამუხლულებს არამარტო სითბო და სინათლე გვწყუროდა, არამედ მართალი სიტყვაც და პურის ნატეხი... და ისიც — სხვა „პური ჩვენი არსობისა“, რომელიც არაერთხელ შევთხოვეთ ღმერთს („მოგვეც ჩვენ“) და დიდსულოვნად გამოიმეტა ჩვენთვის. ეს გახლდათ სულიერი საზრდო — ჩვენი მხნეობის და ჩუმი სიხარულის უხილავი, უშრეტი წყარო, აი ისიც — ღვთის მადლით ცხებული სიტყვები, რომელსაც პირადად მე ხშირად ვიმეორებდი ოთახის წყვდიადში:

ღამის ნათელში, მტვერში, მთვარეში
მიყვარდა სულის შეხება შენი,
თბილისის დაღლილ ქარის თარეშში,
კოშკები ძველად ნაგებ-ნაშენი.

მაშინ, როცა მიუსაფარი ბავშვებივით ვიყავით შეყუჟულნი და ხშირად ამაოდ ველოდით სინათლის მოსვლას, ხოლო გაუვალ სიბნელეს ავტომატის ჯერი კვეთდა, ალბათ სხვაც ჩემსავით იმეორებდა იმავე გალაკტიონის სიტყვებს:

ამ ბნელი ღამით ვიღაცა დადის
საქართველოში,
ამ ბნელი ღამით ვიღაცა კვნესის,
ვახსენოთ ჩვენ ის უკანასკნელ
სადღეგრძელოში,
უკანასკნელად ვახსენოთ ჩვენ ის.

ეს არ არის ომახიანი ლირიკა, საბრძოლო ჟინს რომ აღუძრავს ადამიანს, მაგრამ სწორედ აქ არის დაფარული ლირიზმი, რომელიც სულის ყველაზე ფაქიზ და ინტიმურ შრეს ეხება, სწორედ ეს ლირიკა იყო ჩვენი პური არსობისა, რომელიც ერთდროულად გვიცავდა კიდეც ამ სინამდვილისგან და უპირატესობასაც გვანიჭებდა მის წინაშე. საქართველოში ბევრი რამ მოხდა ისეთი, რაც არ უნდა მომხდარიყო, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუკითხაობის წლებში ავს არავინ განარჩევდა კარგისგან. და როცა სული კბილით გვეჭირა ან სიცივე გვიზრობდა ძვლებს, მაშინაც სიტყვას ვიშველიებდით, რომელიც არა მხოლოდ გვათბობდა და გვამხნევებდა, არამედ სამართლიანობის მაღალ გრძნობასაც გვიღვივებდა და ზნეობრივ საყრდენს გვიმაგრებდა, ვინაიდან სხვა ღირსებებთან ერთად ეს სიტყვა ორლესულივით პირბასრიც იყო და მჭრელიც.

ონისეს ვნებათაღელვა, ალუდას ტანჯვა, ოთარაანთ ქვრივის მგლოვიარე ხმა თუ განდეგილის ღვთისადმი აღვლენილი ვედრება იმ ნიშნით გახლდათ სასურველი, რა ნიშნითაც ჩვენ თანადროულ ყოფას ეხმაურებოდა. ქართული კლასიკური მწერლობა იმიტომაც არის კლასიკური, რომ თავისი მრავლისმომცველი გონიერებით და კეთილშობილებით არამხოლოდ ერის უკურნებელ ჭრილობებს, არამედ ქართველი ადამიანის გულისნადებსაც პასუხობდა და პასუხობს.

ალბათ ასე უნდა იყოს და ასეცაა: ქართველი კაცი თავისი მწერლობიდან იმას შეისისხლხორცებს, რაც მისთვის სულიერად მონათესავეა და ახლობელი, ღვიძლია და ეჭვშეუვალი, მის ბედისწერასთან წილნაყარია და მისი გულისწადილის გამომპასუხებელი. ყოველივე უცხოს კი, რაც არ უნდა მშვენიერი და ღრმაზროვანი იყოს, თუნდაც ქართულ ენაზე დაწერილი ლექსი იქნება ეს თუ მოთხრობა, ასე იოლად ვერ მიიკარებს გულთან. რა არის ეს საკუთრივ ქართული, რაც მაგნიტივით იზიდავს ქართველ კაცს, ერთი სიტყვით არც გამოითქმება, ქართველი კაცი არა მხოლოდ გულით და გონებით, არამედ მეექვსე გრძნობით გრძნობს ამას.

ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებში განსხეულებული ეროვნული სული, ეს უხილავი მუხტის მქონე ძალა, ცალკეულ, ჩვენს მახსოვრობაში ვერცხლისწყალივით გაბნეულ ფრაზებს შორისაც კი გამოსჭვივის: „ნურას ფიცხელსა სიტყუასა ეტყვი, რამეთუ დედათა ბუნება იწრო არს", „ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად", „მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს", „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვია, შვილნი სოფლისა", „ღმერთო, არ მისცე ყვავილთ ზიანი!", „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია", „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო", „არ დაგავიწყდეს ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისათვის არის გაჩენილი", „ცხოვარულოდ მზე არ სუფევს ციხ ვაჟარაზე", „დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო", „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს" და სხვა მრავალი ფრაზა ჩვენი მახსოვრობის, ჩვენი სულიერი ცხოვრების უხილავ დაფაზე წერია და ასევე უჩინრად ქმნის იმ ნიადაგს, საიდანაც ჩვენივე ესთეტიკური მგრძნობელობა და მსოფლმხედველობა უნდა აღმოცენდეს. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ძალზე ადრეული ასაკიდან იწყება, ალბათ მაშინ, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას" გადავშლით პირველად და „აი იას" გავაყოლებთ თითს. მერე იგივე იაკობის „იავნანამ რა ჰქმნას" ან უიარაღოს „მამელუქს" წავიკითხავთ და პირველად შევიგრძნობთ საქართველოს ტკბილმწარე იღბალს, მის ნაღვლიან ისტორიას და თავისუფლებისმოყვარე სწრაფვას. ისე კი, თუ რა თქმა უნდა, სათავეებს ჩავეძიებით, ყველაფერი იმ ენიდან იწყება, რომლის „ქებაი და დიდებაი" იოანე ზოსიმემ შეთხზა და „რომელსა შინა მრავალი საიდუმლო დაფარულ არს". ეს საიდუმლო ენის ღრმა წიაღიდან იშვიათი მადლივით მწერლობაზეც გადმოვიდა. ცალკეული ფრაზები, ზემოთ რომ მოვიტანე, ქართველთა დროში და სივრცეში მოგზაურობის სიმბოლოები და ნიშანსვეტებია, არა მარტო აზრით მოსილი, არამედ ევფონიურად ჩამოქნილი. ყოველი ეს ფრაზა მხოლოდ კონკრეტული ნაწარმოების მთლიან კონტექსტს როდი აღადგენს ქართველი კაცის წარმოდგენაში, ის მრავალ საფიქრალს თუ საწუხარსაც აღძრავს. და, აქედან გამომდინარე, სახარებისეული მცნებებივით აქტუალურია და ცხოვრებისეული, ქართველი კაცის ბედისწერასთან წილნაყარობის გამოისობით.

მახსოვს, კომუნისტობის ზეობის ჟამს ყაზბეგში, სტეფანწმინდაში მთის ფერდობზე უზარმაზარი წარწერა შევნიშნე: — „სტუმარი ღვთისაა". ამ შინაარსის წარწერა, რაღა თქმა უნდა, გააკვირვებდა კომუნისტური ლოზუნგების ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანს. ჩემი გაკვირვება ნამდვილად არ ყოფილა უმიზეზო: ვინც კომუნისტური ყბადაღებული ლოზუნგების ნაცვლად ამ წარწერის ნება დართო სტეფანწმინდელებს, იმან ერთი რამ ვერ გაითვალისწინა — სტუმრის და საერთოდ, პიროვნების პატივისცემა, რომელიც ამ წარწერას დაედო საფუძვლად, მოხევეთა თავისთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად წარმოშობილი წეს-ჩვეულება კი არ იყო, არამედ ქრისტიანული მოძღვრებიდან იღებდა დასაბამს. ეს ქრისტიანული ფორმულა ძველთაგანვე ისე იოლად დამკვიდრდა ქართველთა ყოფაში და საუბარში, რომ ყოველდღიური ურთიერთობების განუყოფელ ნაწილად იქცა. „სტუმარი ღვთისაა", „სალამი ღვთისაა" — ამ გამონათქვამებმა ქართული ენის მეშვეობით ქართულ მწერლობაშიც იმთავითვე მოიკიდა ფეხი. ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება ენაში აღბეჭდილი ამგვარი მსოფლმხედველობის გარეშე წარმოუდგენელია. ამ უბრალო მაგალითიდანაც ჩანს, რომ ენა, მამული, სარწმუნოება, ჩვენივე ზეპირსიტყვიერება და მწერლობა, არ შეიძლება, ოდნავ მაინც დავაშოროთ ერთმანეთს. ეს ერთი განუყოფელი მთლიანობაა.

ამ მთლიანობას საბჭოთა ტოტალიტარიზმის დამკვიდრებისთანავე ცეცხლით და მახვილით ებრძოდნენ. აკი საქართველოს ანექსიას, სასულიერო პირების დაჭერა, ხატების დაწვა და ეკლესიების ნგრევა მოჰყვა. საბედისწერო ოცდაჩვიდმეტ წელს ქართველი მწერლები დააპატიმრეს ან პირდაპირ დახვრიტეს, რაც იმხანად მწერლობის განადგურების ტოლფასი გახლდათ. რუსიფიკაციის პოლიტიკა, რაღა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ენის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. ასე რომ, მზაკვარმა არაკეთილმოსურნემ იცოდა, რა უნდა ამოეღო მიზანში და ყველაფერთან ერთად მწერლობაც იყო მისი უპირველესი სამიზნე. ტიციან ტაბიძის და მიხეილ ჯავახიშვილის სახელები წამებული ქართველი მწერლების სახელებად იქცა. მიხეილი კი, არა მხოლოდ თვითონ იქცა სიმბოლოდ, არამედ მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა სიმბოლური ჟღერა შეიძინა — მას უთქვამს, ისეთი მუხა დავრგე, რომ ვერაფერი ამოძირკვავსო.

დღეს საქართველო სხვა გზაჯვარედინზე, სხვა პრობლემების წინაშე დგას. დღესაც არსებობს ძალა, რომელიც ქართულ თვითმყოფადობას, სულიერებას, სიტყვიერებას, სიტყვაკაზმულ მწერლობას ემუქრება. მხოლოდ ეს ძალა არ არის გარეგანი და უხეში, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამ ძალის არსებობის საფრთხე თვითონ ქართველი ადამიანის არსებაშია დაბუდებული. უფრო მკაფიოდ რომ ვთქვათ, ქართველმა კაცმა დღეს თვითონვე უნდა გააკეთოს არჩევანი ნამდვილ სულიერ ღირებულებას და ფსევდოღირებულებას შორის, ნამდვილ მწერლობას და ფსევდომწერლობას შორის. მხოლოდ წუთითაც არ უნდა დაავიწყდეს ერთი რამ: მისი ზნეობრივი არსებობის (რაც საერთოდ არსებობის ტოლფასია) ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი სწორედ ეს სულიერებაა, სწორედ ეს მწერლობაა. ყოველივე კი თანაბრად ეხება მწერალს და მკითხველსაც. კაცი, რომელიც თავისი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მდგარი ქვეყნის ბედისწერაზე კი არ ფიქრობს, არამედ იაფფასიან ბესტსელერს თხზავს, რათა პოპულარობა მოიხვეჭოს, ცხადია, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, არც არის მწერალი. და მკითხველიც, რომლისთვისაც ლიტერატურა მხოლოდ თავშესაქცევია, ვერ იქნება მკითხველი, ვინაიდან ასეთ თავშესაქცევს ძალზე იოლად ჩაენაცვლება კომპიუტერული თამაშები ან ათასი ჯურის ვიდეოფილმი. ასეც ხდება და ეს ხდება ჩვენში, თუმცა არც არის გასაკვირი, ვინაიდან სულბერწობა გლობალური მოვლენაა და მოსალოდნელი იყო ამ სახით საქართველოშიც ეჩინა თავი, უბრალოდ გულსატკენია — ქვეყანა, რომელსაც მართლაც ყოფნა-არყოფის დრო დაუდგა, თავშექცევაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე რეალურ გადარჩენაზე, ქვეყანა, რომელსაც რეალური თავისუფლების პერსპექტივა აქვს, ყველაზე უფრო ნიჰილისტური ტენდენციების ამთვისებლად იქცა, ყოფაშიც და კულტურაშიც.

ამ ნიჰილიზმის სარეველას სხვადასხვა გამოხატულებები აქვს. ერთ-ერთი მათგანი გარკვეული ტიპის სნობიზმია, რომელმაც უფრო კულუარებში იჩინა თავი, ვიდრე საჯარო თავყრილობებზე. „თავისუფლად მოაზროვნე" სნობს (თუმცა ეს ორი ცნება ურთიერთგამომრიცხავია) შეუძლია განაცხადოს, რომ კლასიკური ქართული მწერლობა ნაკლოვანია. მე პირადად შორს ვარ იმ აზრისგან, თითქოს ამქვეყნად უნაკლო რამ არსებობდეს, მაგრამ ნებისმიერი სნობის არგუმენტები ისეთი უსიცოცხლო და უსაფუძვლოა, რომ ძნელია დაეთანხმო მას. ისევ და ისევ კულუარებში გავრცელებული აზრის თანახმად ქართველი სნობი ამბობს, რომ ჩვენი მწერლობა დამთრგუნველად მძიმეა, ქართველი ადამიანის ფსიქიკა ლაბილურია და ვერ უძლებს ასეთ უხეშ ზეწოლას. განსაკუთრებით საცოდავია ბავშვი, რომელსაც ამ მწერლობის

ტრაგიკული ფურცლები წარუშლელ დაღს დაასვამს. რა გვეშველება?

არა მგონია ამ საკმაოდ ფეხმოკიდებული აზრის უტრირებას ვახდენდე, რადგან არაერთი ადამიანისგან მსმენია მსგავსი რამ, საბედნიეროდ, უმრავლესობა ალბათ ასე არ ფიქრობს, მაგრამ რადგან ამ აზრმა ასე თუ ისე ფეხი მოიკიდა, გარკვეული საყრდენი გააჩნია. საყრდენი კი იმ ადამიანების სნობიზმია, რომლებიც ხეირიანად არ იცნობენ ქართულ ლიტერატურას და ამავე დროს ელემენტარული ლოგიკური აზროვნების უნარი არ გააჩნიათ. საქმე ისაა, რომ კლასიკური ქართული ლიტერატურა საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია. და თუ იმისთვის ვიბრძოდით, რომ საშუალო სკოლაში საბჭოთა კავშირის ისტორიის ნაცვლად საქართველოს ისტორია, — სწორედაც მძიმე და ტრაგიკული ისტორია — გვესწავლებინა, ჩვენს მწერლობაზეც ჩვენივე ნებით არ უნდა ვთქვათ უარი. ქართული მწერლობა არც მეტად და არც ნაკლებად, სწორედ იმდენადვეა ტრაგიკული, რამდენადაც საქართველოს ისტორია. იგივე ჩვენს მიერ უკვე ხსენებული უიარაღოს „მამელუქი" მოგვითხრობს ჩვენს სამშობლოში ადამიანის გატაცების ამბავს და გადამთიელთა უცხოთა ბაზარზე გაყიდვის ფაქტს. დაახლოებით იგივეა მოთხრობილი იმავე იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნაშიც".

ეს ჩვენი ისტორიაა, ამეტყველებული მხატვრული ლიტერატურის ენაზე. ამგვარი ამეტყველება კი იმისთვის არის აუცილებელი, რომ უფრო ღრმად ჩაგვახედოს ისტორიულ წარსულში, უფრო მძაფრად გვაგრძნობინოს მთელი ერის ანუ თითოეული ჩვენგანის ბედისწერა. და განა შეიძლება ამაზე უარი ვთქვათ? მითუმეტეს, რომ ჩვენს დროშიც ზუსტად ამგვარადვე იტაცებენ ადამიანებს. ასე, რომ ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა ერთნაირი რიტმით მფეთქავი გულის ორი კედელია.

საქართველო დღეს არა მხოლოდ აგრძელებს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, არამედ ამ ბრძოლის გადამწყვეტ ფაზაშიც შევიდა. ეს კი ყველაფერთან ერთად დრომ და ვითარებამ მოიტანა. ასეთ დღეში მყოფი ქვეყნის ახალთაობა სწორედ მძიმე და ტრაგიკული წარსულის გამოცდილებას უნდა ეზიაროს, ვინაიდან საქართველოს მთელი ისტორია და მასთან ერთად ქართული მწერლობა სხვა არაფერია, თუ არა დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისკენ. აქედან გამომდინარე ტრაგიზმი რაღაც ერთმნიშვნელოვანი და სწორხაზოვნად ნეგატიური ცნება კი არ არის — უარყოფითი შთაბეჭდილებების მომგვრელი, არამედ პირიქით, ავ-კარგის შეჯახების ასპარეზია, კეთილის და ბოროტის ბრძოლის არენაა. საქართველოს ისტორია და მასთან ქართული მწერლობა, ტრაგიკულთან ერთად, ჰეროიკულიც იყო. ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტრაგიზმის ფონზე იკვეთებოდა ჯერ ცხოვრებაში და მერე მატიანეებში და მხატვრულ ქმნილებებში ადამიანების გმირობა და თავდადება, მოყვრისათვის უანგარო თვითგაღება და თავგანწირვა. სწორედ ეს ზნეობრივი მაგალითები სჭირდება ჰაერივით ჩვენს ახალთაობას. „ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერადო" — ამბობდა რუსთაველი და მადლობა ღმერთს, რომ თვისტომისთვის ამ თავგანწირვის მაგალითი მრავლად იყო აფხაზეთის ომში. თავგანწირვამდე მისული სილაღე ჭარბი ეროვნული ენერგიის ნიშანია.

და თუ გუშინ ჯერ კიდევ „სისხლი გვედგა ძარღვში", დღეს რაღა დაგვემართა? იქნებ სწორედ დღეს დავკარგეთ იმ საკუთრივ ქართულის შეგრძნება, რომლის მადლითაც არის ცხებული ჩვენი კლასიკური მწერლობის ნაწარმოებები? იქნებ ჩვენ თვითონვე გავუცხოვდით იმ ფენომენის მიმართ, რომელსაც „ქართული" ჰქვია და სხვა ეროვნულ ფენომენთა შორის განუმეორებლობის ძალზე მკაფიო ნიშანი ატყვია?

საბჭოთა პერიოდში ინერციით ჩვენში ჯერ კიდევ არსებობდა ამ ფენომენის შეგრძნება. და არამარტო შეგრძნება, არამედ მოთხოვნილებაც. მწერალი, მხატვარი თუ მუსიკოსი სწორედ ამ ნიშნით სინჯავდა თავის ნაწარმოებს. მთავარი ის გახლავთ, რომ არსებობდა მკაფიოდ გამოკვეთილი ჩვენეული ცხოვრების წესი, რომელიც უპირველეს ყოვლისა ადამიანთა ურთიერთპატივისცემის ნიშნით გამოიხატებოდა.

დღეს კი თითქოს ნიველირება მოხდა ამ ადამიანური მიმართებების, თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ თავის ყოვლისუარმყოფელი ხაზი გადაუსვა ამ ზნეობრივ ღირებულებებს.

ძნელია ნაუცბათევად არსებულ ვითარებაში გარკვევა. უბრალოდ ხედავ, რომ თითქოს

ადამიანის ზნეობრივი კონტურები წაიშალა, ადამიანი საერთო მასაში გაითქვიფა და დაკარგა უნიკალური პიროვნული ნიშნები, ის თითქოს აღარ არის საინტერესო, როგორც ერთადერთი და განუმეორებელი, და თვითონაც არ იჩენს სხვის მიმართ ამგვარ ინტერესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პიროვნებათა ურთიერთობამ, ინდივიდუალობის დაკარგვასთან ერთად, თავისი ნამდვილი შინაარსი დაკარგა.

ბუნებრივია, კრიტიკულად განწყობილი ადამიანები ცდილობენ, „გზა ხსნისა" ანუ ზნეობრივი ორიენტირი ტრადიციული ქართული ყოფითი და სულიერი კულტურისაკენ მიბრუნებაში ეძებონ. გლობალიზაციის პერიოდში საქართველო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს თვითმყოფადი ქვეყნის სახელს თუ, უპირველეს ყოვლისა, თავის კულტურას წარმოაჩენს. ეს კულტურა მრავალწახნაგოვანია, ჯერ ადამიანთა ურთიერთობით, ცხოვრების წესით, ზნე-ჩვეულებით და მერე პოეზიით, ცეკვით, სიმღერით, თეატრალური და კინოხელოვნებით გამოხატული.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გამორიცხავს ე.წ. „კომერციული ხელოვნების" მასობრივ და სერიულ ნიმუშებს, ვინაიდან ნამდვილ ადამიანურ გრძნობებზეა დაფუძნებული. ჩვენდა სამწუხაროდ, ვთქვათ, ჩვენი ტელესივრცე უცხოური მასობრივი ხელოვნების ნიმუშებმა დაიკავა. რაღა თქმა უნდა, მათ მაყურებელიც ჰყავს. ალბათ ტელემესვეურები ფიქრობენ, რომ უნდა აჩვენონ ის, რაც მაყურებლებს მოსწონთ. მაყურებლებში კი ნებსით თუ უნებლიეთ არა გემოვნებადახვეწილ, არამედ უგემოვნო ადამიანებს გულისხმობენ. როგორც თევზი ვერ მიხვდება ვერასოდეს ანკესის „საიდუმლოებას" და ვერ დააღწევს მას თავს, ისე ვერ მიხვდება ამ სერიალების მაყურებელი, იმ მარტივ ეშმაკობას, რომელიც ამავე ფილმებშია ჩადებული. ეშმაკობა კი მართლაც საკმაოდ მარტივია: რეჟისორს, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოსვლია პერსონაჟთა სახეებისთვის ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა მიენიჭებინა. უბრალოდ, მან პერსონაჟებს სასურველი იარლიყები დააკრა. ეს პერსონაჟები ზუსტად ამ იარლიყების თარგზე არიან გამოჭრილები და ოდნავადაც არ სცილდებიან მას. რაც მთავარია მთელი ეს „გალერეა" ორ სწორხაზოვან ტიპთა ბანაკად იყოფა: ესენი არიან „კეთილები" და „ბოროტები". სწორხაზოვანი „ბოროტი" ებრძვის სწორხაზოვან, სქემატურად წარმოდგენილ „კეთილს". მაყურებელი ქვეცნობიერად იხსენებს თავის ცხოვრებას და საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ე.წ. „კეთილ", „პოზიტიური ნიშნით" აღბეჭდილ პერსონაჟთან ახდენს, რომელიც ცხადია, მანეკენს უფრო ჰგავს, ვიდრე ცოცხალ ადამიანს.

სერიალები ფსიქოთერაპიული სეანსებია, სასიამოვნო ტყუილია, რომლის დაჯერებაც სურს მაყურებელს და იჯერებს. რა თქმა უნდა, მე არა ვარ მომხრე ეს სუროგატი გაქრეს ეკრანებიდან, ვინაიდან მრავალი ნევროტული ადამიანი იღებს ამ „ტაზეპამს", მაგრამ ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს თვალს გვიხვევს და გვაბრმავებს, რათა ჩვენი ძნელად დასანახი სინამდვილე ვეღარ დავინახოთ. მაღალმხატვრული ხელოვნება, სწორედ სინამდვილის დამნახველი ხელოვნებაა, და ამგვარი სუროგატების გვერდით ისეთი ტელესპექტაკლები უნდა არსებობდეს, რომლებიც ცხოვრების სიღრმისეული ხედვით იქნება აღბეჭდილი.

ოთხმოციანი წლებიდან დღემდე მთელი ეპოქაა, მხოლოდ არა დროისმიერი, არამედ კატაკლიზმების სიმრავლის თვალსაზრისით. ხელოვანის და მწერლის თვალით რომ შევხედოთ ამ ეპოქას, შევნიშნავთ — უამრავი ცხოვრებისეული მასალა დაგვიგროვდა. ხელოვნება და მწერლობა სინამდვილის მხატვრული ანალიზია, და კიდევ ერთხელ დავძენთ, ჩვენს გორდიასის კვანძივით ჩახლართულ დღევანდელობას მხოლოდ მწერლის, ხელოვანის, ზოგადად მხატვრის გამჭრიახი თვალი თუ მოჰფენს ნათელს. მწერალს შეუძლია, მიმდინარე მოვლენები წარმოსახვის მეშვეობით მარადისობის კონტექსტში განჭვრიტოს. და ეს არის სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანი, ვინაიდან გამოჩნდება თუ ვინ ვართ, საიდან მოვედით და საით მივდივართ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მალხაზ ხარბედია

კუდიანთმეტყველების შესავალი

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართველი სიბილები (სულხან-საბასეული განმარტებით, „ქალწული წინასწარმეტყველები") ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში არასოდეს ქცეულა სპეციალური ანალიზის თემად და სხვადასხვა ხანის ქართულ მწერლობაში უხვად მიმოფანტული „უწმინდური" „კუდიანი" დედაკაცების მდიდარი გალერეაც ელის თავის აღმწერელსა და მკვლევარს. სამწუხაროა, რომ დღემდე ამ თემატიკისადმი არავის უძღვნია არათუ მონოგრაფია, არამედ რამდენადმე საყურადღებო სტატიაც კი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ქართულ კუდიანთმეტყველებას" ჯერ კიდევ ყველაფერი წინა აქვს. წარმოდგენილ ნარკვევში კი მე მხოლოდ იმას შევეცდები, რომ მკითხველს გავაცნო მცირე ნაწილი იმ მდიდარი მასალისა, რომელიც მალე, იმედია, ჩემზე ყურადღებიან და დაკვირვებულ მკვლევარს ჰპოვებს.

წერილში თავს უფლება მივეცი ერთიანობაში წარმომედგინა ეს, ერთი შეხედვით, განსხვავებული კომპლექსები, „მკითხავი ქალების" და „კუდიანი ქალებისა", თუმცა აქ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ერთიც და მეორეც, ხალხურმა ცნობიერებამ, ასევე ეკლესიამ და ოფიციალურმა კულტურამ, მსგავსი ნიშნებით დაახასიათა და არსებითად ერთიანი კომპლექსი შექმნა მისგან, და ყველაფერი ეს, შეიძლება ითქვას, ზოგადად ქალთა ბუნებასაც დაუკავშირა. სანიმუშოდ მარტო ვაჟა-ფშაველას მიერ დამოწმებული მაგალითიც იკმარებდა, ვინც წერილში „ფშაველთა ამაოდმორწმუნეობა" მთაში გავრცელებული კოსმოგონიური მითი წარმოგვიდგინა ქალის ეშმაკეულობის შესახებ[1], თავისი 1889 წელს დაწერილი სტატია კი ძველისძველი დროიდან ნაანდერძევი ფშაური იმპერატივით დაიწყო - **„დედაკაცი ეშმაკის გაჩენილიაო"** - რის შემდეგაც ქალის მდაბიური, ხალხური ეტიმოლოგიაც კი წარმოგვიდგინა: „სიტყვას ქალი და ალი ერთმანეთში ახლო ნათესაობა აქვსთ, ერთის თვისება მეორეზეა გადატანილი, უფრო კი პირველისა მეორეზე"-ო. ვაჟას სიტყვით **„შევიწროებულის ცხოვრებისა და ყოფნისა**, თუ მოცლის, ან მეტისმეტი მგრძნობიერობისა და ფანტაზიის აყოლისა გამო, დედაკაცს ძველთაგანვე დაუწყია ჩხირკედელაობა: ქადაგ-მკითხაობა, შელოცვა, ანუ ექიმბაშობა ლოცვით და სხვა მრავალი ხრიკები, რითაც **გაუეჭვიანებია** მამაკაცი. ამიტომ მამაკაცმა არც აცივა, არც აცხელა და **ხელობა „კუდიანობისა" თითქმის მხოლოდ დედაკაცს დაულოცა"**[2].

რა თქმა უნდა, ზემოთჩამოთვლილი შეფასებები სწორედ ამ „გაეჭვიანებულ" მამაკაცებს ეკუთვნით და ის ინსტიტუტებიც (ხალხური, საეკლესიო თუ ოფიციალური კულტურები) სწორედ მამაკაცთა ერთობას წარმოადგენენ. ამ მხრივ ვაჟასეული შეფასება („შევიწროებულის ცხოვრებისა და ყოფნის გამო"), ძალზე ახლოს დგას ჟიულ მიშლეს თეორიასთან, რომელიც კუდიანებს „ანტისაზოგადოებას" უწოდებდა და იგი შუასაუკუნეების შევიწროებული, დაჩაგრული ქალების ერთგვარ ამბოხად მიაჩნდა მამაკაცის ძალადობის წინააღმდეგ (ამ შემთხვევაში მამაკაცს სოფლის კიურე და ფეოდალი განასახიერებენ)[3].

დასავლურ ტრადიციაში, ევადან მოყოლებული - გვიანი შუასაუკუნეების ალქაჯებით დამთავრებული, ქალის სხეული ეშმას საყვარელ სამყოფლად ითვლებოდა. ევროპაში

[1] ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. თბ., 1964, ტ. 9, გვ. 65.

[2] იქვე, ტ. 9, გვ. 98.

[3] Гуревич А.Я. Средневековый мир: культура безмолствующего большинства. М., Искусство, 1990, С. 309.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზარმაზარი დემონოლოგიური ტრაქტატები იქმნებოდა და აუარება სასამართლო ოქმი იწერებოდა ქალის უწმინდურობის შესახებ, საქართველოში კი არც ინკვიზიცია ყოფილა და არც საერო თუ საეკლესიო დემონოლოგია, რომელიც დეტალურად აღადგენდა (ან, უფრო სწორად, გამოიგონებდა, შეთხზავდა) ალქაჯების ე.წ. შაბაშებს. ევროპაში ალქაჯების იდეა, რაღაც თვალსაზრისით პოლიტიკურ შეთქმულებას წარმოადგენდა გარკვეული ჯგუფების წინააღმდეგ (მაგალითად, ებრაელების წინააღმდეგ და ა.შ.) და ყველაფერ ამას, ისტორიკოსები იმ საშინელ ფსიქოლოგიურ ტრავმას უკავშირებდნენ, რომლებიც საბოლოოდ ჭირის ეპიდემიაზე და მსხვერპლის, დანაშაულის ძიებამდე დაჰყავდათ. ყველაფერი ეს კი, ისტორიკოსების აზრით, ხალხში დაგროვილი შიშის, ზიზღისა თუ დაძაბულობის მოხსნის საშუალებას იძლეოდა.

თანამედროვე მედიევისტიკაში ბატონობს აზრი იმის შესახებ, რომ კუდიანების წინააღმდეგ ბრძოლა, არსებითად კულტურათა ბრძოლას წარმოადგენდა, ბრძოლას, ერთი მხრივ, გაბატონებული საერო თუ სასულიერო და მეორე მხრივ, სახალხო კულტურებს შორის. ამასთან დაკავშირებით, ჟაკ ლე გოფი თავის წიგნში „შუასაუკუნეების წარმოსახვითი სამყარო" ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ზებუნებრივის, სასწაულის კატეგორია ქრისტიანობამ წინამორბედი კულტურებისგან მიიღო მემკვიდრეობად. იმ სასწაულებს, რომლებსაც ჩვენ აპოლოგეტებთან და აგიოგრაფიაში ვპოულობთ, ქრისტიანობამდელი ძირები აქვთ. მართალია, თავიდან ეს „სასწაული" ესთეტიზირდა, იგი გარკვეულ ლიტერატურულ-მხატვრულ ხერხად, სტილისტურ დანამატად იქცა, თუმცა საბოლოო ჯამში მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ქრისტიანობის ოფიციალურ იდეოლოგიასთან დაპირისპირება აღმოჩნდა"[4]. ნელ-ნელა ამ ე.წ. „სასწაულის კულტურის" მარგინალიზაცია მოხდა, ის ხალხური გახდა, ხალხში კი ძირითადად ზეპირსიტყვიერი კულტურა ბატონობდა, რაც ხელს უწყობდა ცრურწმენების, ჭორებისა და კოლექტიური პანიკის გავრცელებას. ერთი სიტყვით, გვიანი შუასაუკუნეების წიაღშივე მოხდა მკვეთრი გამიჯვნა ზემდგომ და დამოკიდებულ კულტურებს შორის, სადაც სახალხო კულტურა მორჩილებს, ექსპლუატირდება ოფიციალური კულტურის მიერ და შემდეგ, როცა სახალხო კულტურა კარგავს პროტესტის უნარს და მძინარე მზეთუნახავს ემსგავსება, გაბატონებული კულტურა (მნიშვნელობა არა აქვს, საეკლესიო იქნება ის, არისტოკრატიული თუ ბურჟუაზიული) მის ესთეტიკურ პოტენციალს იყენებს[5].

ესთეტიკური პოტენციალი კი „ხალხურ კულტურაში", მართლაც რომ, ამოუწურავია, რადგანაც წიგნიერი კულტურისგან განსხვავებით, ზეპირსიტყვიერებას მეტი არტისტიზმი ახასიათებს, მეტია ხმის მოდულაცია, ჟესტიკულაცია[6] და ქალიც, ევროპული ისტორიის მანძილზე, უფრო მეტად იმიტომ იდევნებოდა, რომ იგი მთავარი საცავი იყო ზეპირი, არქაული კულტურული ღირებულებებისა[7].

როგორც ვხედავთ, ევროპაში წიგნიერი კულტურა და ეკლესია ცდილობდა სახალხო კულტურის გარკვეული ელემენტების დემონოლოგიის ენაზე გადატანას (ზოგის აზრით, ამ დროს მთლიანად სახალხო კულტურის დემონიზება ხდებოდა), ჩვენში კი თეოლოგებს დემონიზებისთვის არ ეცალათ, საქართველოში ასე მკვეთრად არავის გაუმიჯნავს მკითხაობის, კუდიანობის ხალხური, ყოფითი გაგება და მისი სასამართლო-თეოლოგიური, დემონ-

[4] Ле Гофф Ж. Средневековый мир воображаемого. М., 2001, С. 44-49.

[5] იქვე, C. 138. ამასთან დაკავშირებით ჟაკ ლე გოფი იმოწმებს, მისი სიტყვით ბრწყინვალე სტატიას: M. de Certeau, D. Julia, J. Revel. La beauté du mort: le concept de culture populaire//Politique aujourd'hui, déc. 1970, pp. 3-23.

[6] მკითხავი ვარდოს შესახებ დანიელ ჭონქაძე თავის „სურამის ციხეში" წერს: „მართლა ტიროდა თუ ტყუილად, არ ვიცი, ოცდაერთ წელიწადში ისწავლა ისეთი აქტიორობა, რო ღმერთმა შეარცხვინოს ამასთან ეხლანდელი განთქმული აქტიორები".

[7] Гуревич А.Я. Средневековый мир: культура безмолствующего большинства. М., Искусство, 1990, С. 374. აქ გურევიჩს მოყავს რ. მიუშემბლეს თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ევროპაში კუდიანებზე ნადირობა სწორედ ტრადიციული, ხალხური კულტურის განადგურების შემდეგ შეწყდა.

ოლოგიური ვარიანტი. ამის გამო, ქართულ ტრადიციაში ცხადია, მინიმუმამდეა დასული იმ ტექსტების რაოდენობაც, სადაც ასეთი დაპირისპირება დოკუმენტურადაა დადასტურებული, არადა სწორედ დოკუმენტები (თუნდაც შეთხზული, ნარატივიზებული) იძლევა საშუალებას უკეთ წარმოვიდგინოთ მენტალური ნიადაგი, სადაც წარმოიშვა ეს ცრურწმენები და გამოვიძიოთ მასთან დაპირისპირების მოტივები, რადგან სოციალური ფსიქოლოგიის საკვლევად მხოლოდ ლიტერატურაში გაფანტული ნიმუშები არ კმარა.

როგორც უკვე ითქვა, ასეთი დოკუმენტები თითზე ჩამოსათვლელია და მიუხედავად იმისა, რომ წერილი კუდიანებისა და მკითხავების მხატვრულ სახეებს ეძღვნება, ვამჯობინე, ქართულ კუდიანთმეტყველების პროლეგომენად, შესავალ სიტყვად თუ ეპიგრაფად, სწორედ დოკუმენტი შემომეთავაზებინა.

1886 წელს ჟურნალ „მწყემსში" „თბილელის" ფსევდონიმით გამოქვეყნდა წერილი, სადაც ავტორი წერდა:

„ამას წინეთ გაზეთ „მწყემს"-ში მოვიხსენიე, რომ ჩვენი საქართველოის ყველა სოფლებში და დიდ ქალაქებშიაც მეტად გამრავლდნენ მკითხავები და შეუბრალებლად ყველფენ უსწავლელ ხალხსა-თქო. ვამბობდი აგრეთვე, რომ ამ მკითხავების წინააღმდეგ დღეს ჩვენი სამღვდელოება არავითარ ზომებს არ ხმარობს. დღეს მე მინდა უჩვენო მკითხველს თუ უწინდელი ჩვენი სამღვდელოება რა ზომებს ხმარობდა ამ სენის წინააღმდეგ. მეთვრამეტე საუკუნეში ჩვენს სამღვდელოებას სასტიკი ყურადღება ჰქონებია მიქცეული მკითხავებზე და დიდი ზომები უხმარია მათ წინააღმდეგ. [...] ერთ დღეს, საღამოზედ სამღვდელოება შეკრებილა ანჩხატის მახლობლად, [...] დიდი მსჯელობის შემდეგ სამღვდელოებას გაუდგენია, რომ ამ სენის აღმოფხვრა პირდაპირ ჩვენი ვალიაო. ეს აზრი სიხარულით მიუღია მთელ სამღვდელოებას და ამ განაჩენის აღსრულების შესახებ ქაღალდიც შეუდგენიათ. ამ ქაღალდში კათალიკოზი სთხოვს საქართველოს ყველა ეპისკოპოსებს, რომ მათ სასტიკი ყურადღება მიაქციონ მკითხავებს და ეცადნენ ცრუ-მორწმუნეობათა მოსპობას ხალხში. კათალიკოზისაგან მიწერილ ქაღალდს ეპისკოპოსებისადმი ბრძანებითი კილო ჰქონებია და ბოლოზე კათალიკოზის ბეჭედი სმია. [...] ეს კრება ყოფილა 1788 წელში. [...] კათალიკოზის ამგვარი ერთი მიწერილობა დაბეჭდილია ბ.დ. ფურცელაძისაგან გამოცემულს რუსულს გუჯრებში (გამოცემა 1882 წ.). ეს მიწერილობა მიმართულია ნეკრესის ეპისკოპოსისადმი და სასტიკი განკარგულებით არის შედგენილი. ამ მიწერილობით მღვდელ-მთავარს ავალებენ, რომ მან უეჭველად შეიტყოს მკითხავის ვინაობა, ადგილი, სადაც ისინი ბინადრობენ და მათი სარწმუნოება. დასჯა ამ მკითხავებისა შემდეგ უნდა მომხდარიყო საკათალიკოსო გამგეობათა თანხმობით. კათალიკოზის მიწერილობაში დიდი მუქარაა მოხსენებული მკითხავების წინააღმდეგ და დიდი შეჩვენება ეცხადებათ მათ კათალიკოზისაგან. ამისთანა მიწერილობა, რასაკვირველია, დიდ შთაბეჭდილებასა და გავლენას მოახდენდა მაშინდელ მორწმუნე ხალხზე. [...] სხვა მღვდელთ-მთავრების მიწერილობანი კათალიკოზისადმი არა სჩანან ჩვენს ძველს მწერლობაში".[8]

როგორც ხედავთ, მასალის სიმცირეს ავტორიც უჩივის, თუმცა ახლა ეს არ გახლავთ მთავარი, და არც მკითხავთა დევნა ან მათი უფლებების დაცვაა ჩემი მიზანი. ამ ციტატით მხოლოდ ფაქტი მინდა დავადასტურო, რომ საქართველოში ნამდვილად იდევნებოდა ეს საქმიანობა, მართალია განსხვავებული მოტივით, ვიდრე ევროპაში, მაგრამ ერთი რამ მაინც ხაზგასასმელია, კერძოდ კი ის, რომ სამღვდელოება ცრუმორწმუნეობასაც ებრძოდა და წმინდა კრიმინალურთან ერთად, კულტურული მსჯავრიც გამოჰქონდა.

XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურის ის ნიმუშები, სადაც კუდიანები (თუ ცრუკუდიანები) და მკითხავები მნიშვნელოვან სახეებად ჩანან, სწორედ ასეთ სამსჯავროს წარმოადგენენ, რადგან, ერთი მხრივ ამ ქალბატონთა ბრალეულობა თუ „ტყუილუბრალოდ შეწამება" იქცევა ნაწარმოების თხრობითი სტრუქტურის განმსაზღვრელ ქმედებად, მეორე მხრივ კი, ვხედავთ საკითხის სოციო-კულტურულ, გნებავთ ფემინისტურ გადაწყვეტასაც. ორივე ამ შემთხვევაში ქალი, როგორც პასიური გმირი, მხოლოდ მამაკაცთან დაპირისპირებაში ახორციელებს თავს და ამის შესაბამისად აქტიურდება მისი არამხ-

[8] ჟურნალი „მწყემსი", 1886, 21, გვ. 7-8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლოდ ნარატიული, არამედ კულტურული როლიც.

კუდიანებისა და მკითხავების ნარატიული როლის გასარკვევად კი ერთი მცირე ექსკურსი დაგვჭირდება. საუბარია ფრიულელ benandanti-ზე[9], ადამიანებზე, რომლებსაც 1570 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჯადოქრობაში დასდო ბრალი და რომელთაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა იტალიელმა მედიევისტმა კარლო გინზბურგმა.[10] benandanti ინკვიზიტორებს მოუთხრობდნენ (ამას როგორც წესი, მამაკაცები ჰყვებოდნენ), თუ როგორ მიემგზავრებოდნენ ისინი (ან მათი სულები) შორეულ ველებზე კუდიანებთან საბრძოლველად, რათა თავიანთი მიწები უნაყოფობისგან დაეცვათ.[11] კუდიანებში კი, გინზბურგის აზრით, უპატრონო თუ დაუმარხავ მიცვალებულთა სულები მოიაზრებოდნენ, ანუ, არსებითად benandanti პროფესიონალ შუამავლებს წარმოადგენდნენ თემსა და მიცვალებულთა საუფლოს, სულეთსა და სამზეოს შორის.

ამასთან დაკავშირებით კარლო გინზბურგი პროპის „ზღაპრის მორფოლოგიას" იმოწმებს, სადაც ავტორი, „მცირე სანიმუშო პარალელს ავლებს ზღაპრებსა და რელიგიურ წარმოდგენებს შორის"[12] და ბოლოს აღნიშნავს: „Таким образом, можно предположить, что одна из первых основ композиции сказки, а именно странствование, отражает собой представление о странствовании души в загробном мире"[13].

გინზბურგის მიხედვით, ამ სიტყვებში პროპის მომდევნო ნაშრომის, „ჯადოსნური ზღაპრის ისტორიული ფესვების" ძირითადი აზრია გატარებული, ეს „ძირითადი აზრი" კი ავტორს ძალზე საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევს. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ კუდიანთა ამ „შაბაშების"[14] კვლევა გვაჩვენებს, რომ „მოგზაურის სახეს, რომელიც ექსტატიურ მდგომარეობაში მიცვალებულთა საუფლოში გადადის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (და ეს ყველაფერი მთელ რიგ კულტურულ ფენებში აისახება) თხრობითი სტრუქტურის წარმოშობისა და გადმოცემისთვის. ეს სტრუქტურა კი უძველესია და ყველაზე სიცოცხლისუნარიანი კაცობრიობის ისტორიაში".[15]

როგორც ვხედავთ, კუდიანებისა და მკითხავების სახე ისტორიისა და ლიტერატურის ყველაზე არქაულ პლასტებს მიეკუთვნება და ქართული ნიმუშების განხილვისასაც არ უნდა დაგვავიწყდეს ეს. მთავარი კი პირველ რიგში ის გახლავთ, რომ კუდიან ქალებსა თუ მკითხავებს სწორედ მამაკაცი უპირისპირდება და ეს დაპირისპირება, ანუ განწმენდა, ზოგჯერ კიდევ ერთ ნარატი-

---

[9] ჩრდილო იტალიაში ასე უწოდებდნენ ე.წ. კეთილ ჯადოქრებს (benandanti - სიტყვა-სიტყვით „კეთილად მავალნი").

[10] Carlo Ginzburg. The Night Battles: Witchcraft and Agrarian Cults in the Sixteenth and Seventeenth Century. The Johns Hopkins University Press. 1992.

[11] Карло Гинзбург. Образ шабаша ведьм и его истоки // Одиссей. Человек в истории. 1990, С. 134-135. მათ „გამგზავრებას" წინ ლეთარგიული მდგომარეობა უსწრებდა, სული თაგვის ან პეპლის აღით (სახით) გადადიოდა სულეთში, ზოგჯერ კურდღელზე, ძაღლზე ან ღორზე ამხედრებული.

[12] "Сказочный герой Иван отправляется в свои воздушные путешествия на одном из трех основных средств передвижения: летучем коне, птицах или летучем корабле. Но именно они и уносят души мертвых: конь преимущественно у народов, занимающихся скотоводством и земледелием; орел у охотничьих народов и корабль у жителей побережий моря".// Пропп В. Я. Морфология сказки. М., 1998, С. 81.

[13] იქვე

[14] ფშაურ ტრადიციაში მას ალბათ „კუდიანთ წუხრა" შეესაბამება: გაზაფხულზე არის კუდიანთ წუხრაი. ყველას ჯვარ უნდა დასწერო: თივას, ჩალას, ცხვარს, საქონს, პურებს. ნახშირს შაისრევ და იტყვი: „ჯვარიმც გწერავავ, ჯვარდაუწერიმც ნურა დასჩებითავ". სასმინაოდ მიდიან ხიდზე ან სხვაგან სადმე. ეშმაკებ ამბობენ ყველა ადამიანის ბედის შესახებ".

[15] Карло Гинзбург. Образ шабаша ведьм и его истоки.//Одиссей. Человек в истории. 1990, С. 141.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ ფუნქციას, ინტერპრეტირებას უკავშირდება. ერთი სიტყვით, კუდიანებს როგორც რაღაც დაუნაწევრებელს, პირველადს, შეუცნობს, მამაკაცი ანიჭებს საზრისს და მისი „იდუმალთმეტყველება“ მხოლოდ მამაკაცის თარგმანებით, ჰერმენევტიკით გაცხადდება.

გარეგნობა

ქართველ კუდიანებზე საუბარს მათი გარეგნობით დავიწყებ, პირველ რიგში კი ფეფენას კლასიკური სახით დავით კლდიაშვილის მოთხრობიდან „მსხვერპლი“. შარაგზაზე დამდგარი, ჯოხზე დაბჯენილი, მაღალი ტანის დედაკაცი შესაძლოა ბევრისთვის ძალზე გამჭვირვალე მინიშნებასაც წარმოადგენდეს კიდევ ერთ კლასიკურ პერსონაჟზე ქართული ლიტერატურიდან:

> „ფეფენას მოხვეულ შალქვეშ, რომლის ერთი ყურით ყბა ჰქონდა ამოკრული[16], უჩანდა მხოლოდ ცხვირი და მკაცრად გამომზირალი თვალები. ამ ცოტათი წელში მოხრილ დედაკაცში რაღაც ძალა იყო დამალული, ამას გრძნობდა ყოველი ადამიანი მისი დანახვისთანავე. მისი შეხედულება გაგრძნობინებდათ, რომ იგი სხვა დედაკაცს არ წააგავდა, რომ მასში სულ სხვანაირი ხასიათი იყო დაფარული; მისი კუშტი გამოხედულება სხვანაირად მოქმედებდა ყველაზე, ვინც მას მიუახლოვდებოდა. ამას ზედ ერთვოდა მისი განმარტოებულად ყოფნა, მეზობლებთან მიუკარებლობა და ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ სოფლად კუდიანობას სწამებდნენ, - ყველას მისი ეშინოდა და ყველა მას ერიდებოდა“.

სოფლის თვალში, ფეფენას „კუდიანობის“ მსხვერპლი შეიქნება მისი რძალი მარინე, რომელიც მუმიას დაემსგავსება, სახე ჩაუყვითლდება, გახდება, თვალები ჩაუქრება და მკვდარს დაემსგავსება. ასევე უნდა აღინიშნოს ეფროსინე, მის მოსაკლავად მივარდნილი მაზლის, ომანის წინაშე რომ გამოვა „მიწისფერ გადაკრული“ („მუშაძის გაჭირვება“).

ლუარსაბისა და დარეჯანის „აქიმი დედაკაცი“ ერთი პატარა, ტანში მოხრილი, დალმეჭილი, მოკუნტული, ბებერი ვინმეა, ხოლო ვაჟა-ფშაველას „მუცელაში“ მკითხავი პირმოკუმული ბებერი ქალია, „ცარიელი ძვალი და ტყავი იყო, ყაღად გამხმარს ძვალსა ჰგავდა; წვრილს შავს თვალებს გველივით აციმციმებდა“. ქაჯს, ანუ ალს ვაჟა ცბიერი თვალებით, გაწეწილი, მქისე, საძაგელი შეხედულებით გამოარჩევს („მოჩვენება“), ხოლო მატიაანთ ბარბარე კი, ვასილ ბარნოვის „მარგალიტის ცრემლებიდან“ ხმელი ქალია, მაღალ-მაღალი, ნაცრისფერი სახითა და მოელვარე მბჟუტავი თვალით[17].

დანიელ ჭონქაძეს თავის გულისვარდზე წამოსცდება, „საშინელი ყვითელი ვარდო ჰგავდა წუხილის სტატუას და იყო მშვენიერი“-ო, ხოლო ნიკო ლომოური ასე ახასიათებს ალს:

> „ალი, ბიჭო, ბატარა გოგო კი არ არი, [...] ალი ეშმაკების დედაკაცია... ისეთი ლამაზია, ისეთი, რომ მზეთუნახავსა ჰგავს. შვენიერი წაბლის ფერი დალალები აყრია ზურგზედა... ჩაჯდება ხოლმე ტყის წყლებში, გაიშლის თმასა, დაისველებს წყლითა და ოქროს სავარცხლით დაიწყებს ხოლმე ბარცხნასა. თუ ამ დროს ადამიანს თვალი შეასწრო, მაშინვე წამოხტება, ეცემა და დაახრჩობს“.
>
> *ნიკო ლომოური, „ალი“*

სიტყვა და საძმე

ვიდრე უშუალოდ კუდიან-მკითხავთა მეტყველებისა და ქმედებათა თავისებურებებზე გადავიდოდე, კუდიანის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს გაგაცნობთ, სინონიმთა მწკრივს, რომლითაც საკმაოდ მდიდარია ჩვენი ლიტერატურა. მე მხოლოდ ნაწილს ჩამოვთვლი:

კუდიანი, მკითხავი,[18] არაწმინდა, შეჩვენებული, კუდიანი დედაკაცი, წყეული, წუნკლიანი,

---

[16] როგორც შემდგომში დავინახავთ, „მთქნარებით გახეული ყბა“ ერთგვარ ტოპოსს, კლიშეს წარმოადგენს მკითხავის დასახასიათებლად.

[17] მის მიერ დამზადებული წამლით გაუწმინდურებულ ქალზე ავტორი ამბობს: „მგლის თვალები აცეცხლებული, ალმასივით კბილებს აკაპუნებდა“-ო.

[18] ამ ორი ცნების შესახებ: „ეხლანდელი დღით შენ ეყრები ქვეყანას. ამის შემდეგ გახდები კუდიანი, მკითხავი, არა ადამიანი, არამედ როგორც რამე კაცსა და ეშმაკს შუა“ (დანიელ ჭონქაძე, „სურამის ციხე“).

პილწი დედაბერი, ურჯულო, გაბოროტიანებული, მავნებელი, უწმინდური, ღმერთგამწყრალი, სულწაწყმედილი, უღვთო, დაწყევლილი, კერპი, ქაჯი, გაუტეხელი[19], ეშმაკების დედაკაცი, ალი,[20] ალქაჯი, ავი სული, მწამლველი, ბერიქალა, უწამებელი, ურწმუნო, ქვაქალა, ალქალა, სულაყეფებული, ჩაქოლვილი, წუპაკი, ქვეყნის მატყუარა, გულთმისანი,[21] აქიმი, მტყობელი, მცნობელი, თვალთმაქცი და ა.შ.

რაც შეეხება კუდიანებისა თუ მკითხავების მეტყველებას, ისევე, როგორც თითქმის ყველა ტრადიციაში, აქაც, ქართულ ლიტერატურაშიც წამყვანი ხდება გარკვეული ენაბრგვილობა, კვაზისიტყვა, გნებავთ ზემოხსენებული „იდუმალთმეტყველება". ეს „ნარატიული მინიმუმები", პოეზიის ეს ჩანასახები თითქმის არ შეიცავდა ინფორმაციას, იგი მხოლოდ სახელდებით ფორმდებოდა, ან თხოვნის სახით, ანდა ადრესატის მთელი რიგი ეპითეტებით. მე უკვე ვისაუბრე ხალხურ ტრადიციაში ჟესტებისა და ხმის მოდულაციის მნიშვნელობაზე, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ასეთი „ქმედებანი" სძენდა ამ სიტყვებს „მნიშვნელობას" და ეს „მნიშვნელობა" უფრო მეტად შიშველი სემანტიკა იყო, ვიდრე სიცხადე და აზრის დასრულებულობა.[22]

როგორც ითქვა, ეს სიტყვიერი და ქმედითი მხარე აუცილებელია ერთიანობაში განვიხილოთ, თუმცა მოდით ჯერ ორ მიკროტექსტს გავეცნოთ ქართული ლიტერატურის მდიდარი მასალიდან, ანუ ე.წ. „პრამითებს", რომლებსაც ქადაგად დავარდნილი ქალები წარმოთქვამენ. ერთი ნიმუში კლასიკურია, მეორე წინა (სადაც ანაც ციტატა ავიღეთ), რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, 2005 წელსაა გამოცემული.

„ქალი აბუტბუტდა თბილი წყლით სავსე კარდალაზე: „სახელითა მღვთისათა, მამისა და ძისათა, და წმინდისა სულისათა; ლოცვა ნაკბენისა, გველის ასპიტისა, სანთე, რონთე, კანთე, როქაფთეს, ასმათეს; ამ ლოცვით გველი ასპიტი მოკვდეს და ნაკბენი მისი მორჩეს..."

ნიკო ლორთქიფანიძე,

„შელოცვა რადიოთი"

„ახალ სახელო ღვთისაო, მამისაო და ძისაო! შაგილოცავ თვალისასა, თვალშურისასა, ავგულისასა, მეშურნე-დამნატრებლისასა, კაცისასა, დედაკაცისასა, მიმავლისასა, მომავლისასა, მეზობლისასა, შორი გზისასა, შურის მეავთვალისასა. ვინ შენი მთვალავი, თვალჭრელი იყო, თვალშავი, თვალში ნაცარი, გულში ლახვარი, კრულ მეავთვალეს საკმისას მეხი, კარისას ცეცხლი, გულში დანა აფთარი. შენ ქრისტემ დაგწეროს ჯვარი. გამოდი ავის ავთვალო, თორემ გამოგიყვან. გამოიდა, გამოიშალა, შავი კლდე, შიგ გამოვიდა შავი რაში, ზედ ოჯდა შავი მხედარი, ტანზე ეცვა შავი ჩოხა, წელზე ერტყა შავი ხმალი, თან შამოყვა შავი გველი, შემოუქნია შავი ხმალი, გაწყდა გველი, გასკდა იმის თავ-გულიო, ვინც შენ ავის თვალ-გულით გაგსინჯოსო. გაქრა ქარივითა, გაიარა წყალივითა, შენ ჯვარი გეწეროსო".

ბესიკ ხარანაული, „ეპიგრაფები დაკიწყებულ სიზმრებისათვის"

ხშირად, მკითხავები ტექსტში შემოსვლისთანავე რაღაც უცნაურ ფრაზებს წამოისვრიან ხოლმე. მაგალითად „კაცია-ადამიანის?!" მკითხავი ცოლ-ქმარს ოჯახში შემოსვლისთანავე ეტყვის: „ძერას ჰკითხეს: შვილები გირჩევნია, თუ ორი თვის წყლის უსმელობაო? - წყლის უსმელობაო. ჯორსა ჰკითხეს: - შენ რაღაო? - უშვილობაო. თქვენთვის არავის

[19] ვაჟა-ფშაველასთან პირიქით, გაუტეხლობა წმინდობისა და ღვთისკაცობის ნიშანია და მამაკაცს, ხევისბერს მიემართება (იხ. მისი მოთხრობა „ბერიძე-გაუტეხელი").

[20] შდრ. „ტყუილად კი არ არი, ძმაო, ნათქვამი: დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრაუღელი კამეჩიც ვერ შეიმაგრებსო! ჩაგრამ მა დედაკაცში, ძმაო, სწორედ ალი ზის!.. თავი გამიტეხა მა ოჯახდაქცეულის გამოცემულმა!" (ნიკო ლომოური, „ალი").

[21] სულხან-საბასთან, „გონებით შემტყობი გლეხურად".

[22] შდრ. ძველ საბერძნეთში საკულტო ტრადიციამ ამგვარი სიტყვიერი აქტები დაუკანონა პითიას, აპოლონის მისანს (ეს აქტები მოგვიანებით უკვე ექსტატიურ ენაბლუობად გაიგება), რამაც ბევრ მეცნიერს აფიქრებინა, რომ ძირითადი აზრის მატარებელი ფრაზის სემანტიკა იყო და არა მისი ფაქტობრივი შინაარსი. ეს კი საფუძველს აძლევდათ ამ მეცნიერებს, დაეხასიათებინათ მითი, როგორც „წინარემეტყველება", „კვაზი სიტყვა". ამასთან დაკავშირებით იხ. მალხაზ ხარბედია, „მეთოდური" მითოსი და უძველესი ნარატიული ფორმები. „ენა და კულტურა", №2, 2001. ასევე სტატიაში დამოწმებული ლიტერატურა, რომელიც ამ პრობლემას ეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკითხავს და რატომ შვილი არა გყავთ?". შემდეგ მოატანინებს ჯამით წმინდა წყალს, შავტარიან დანას, ნახშირსა და ახალ ხორბალს. ჩაჯდება, ჩააგდებს ჯამში ხორბლის მარცვალს, აიღებს დანას, ნახშირს და ტუჩების ცმაცუნის („მითამ-და ულოცავს") შემდეგ თვალს გაუშტერებს წყალს (საინტერესოა, რომ მანამდე, სხვა მკითხავმა ბაღდადზე უმკითხავა საბრალო ცოლ-ქმარს, თანაც დაუსწრებლად).

ძალიან მდიდარია ასეთი დეტალებით ვასილ ბარნოვის პროზა. მისი ათტომეულიდან მთელი ლექსიკონი გამოდნებოდა მკითხაობისა. რომელ ბალახ-ბულახს არ შეხვდებით აქ, რომელ გალესილ თუ ჩაფხეკილ წამლეულს, „მგლის ქონს შელოცვილს და სათუთად შეზავებულს", ნაირ-ნაირ შელოცვას, სათვალ-ღვრინჭილს, შანის შებმასა და ზვარას დაყენებას, ფთილის ჩამოსხმას და ა.შ. „თებერას დანიშნულში" ერთი ძალიან „მტყობელი" დედაკაცია, ვაშლოვნელი მარჩიელი:

„ძალიან თავის ნება ადამიანი იყო ვაშლოვანელი მკითხავი და თავისწვერა! იმასთან ყოველთვის შიშით და კრძალვით მიდიოდა ხალხი. თუ გუნებაზე არ იყო, არ უკითხავდა, კიდეც შეუტევდა ან დაითხოვდა თავის კარიდან. ხალხს ეშინოდა მისი, თანაც უფრთხილდებოდა, პატივსა სცემდა. ძალიან მკითხავი კი იყო! რომ დაიდგამდა წყლით სავსე ვერცხლის თასს და ალმასის ბეჭედს ჩააგდებდა შიგ, დაწვრილებით ამოიკითხავდა კამკამ წყალში ყოველსავე გარდასრულს თუ გარდასავალს. მე ვიცი სახელი შეეშლებოდა შენი ან დაფარულ აზრს ვერ გაიგებდა! [...] შეუდგა მკითხაობას. ოხრავდა, ამთქნარებდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტს ამბობდა".

მთქნარებით ყბა ეხევა მთაწმინდელი ზეინკლის ცოლს, წყაროს უბნიდან („სული მთვლემარე"), რომელიც ბევრ რამეს წამლობდა: დამიზეზებულები რჩებოდნენ, დაბმული ბედი აიხსნებოდა ხოლმე, დაჟამებული ქალები კი თხოვდებოდნენ.

ახლა კი მოდით, ბავშვობის მოგონებებს დავუბრუნდეთ და გავიხსენოთ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „ხატის მიზეზი?". გახსოვთ ის ამბავი, პატარა კაკოს (თავად ავტორს) რომ შეემთხვა ქალაქთან შეყრისას? ზოგიერთმა ვინძლო იმ მკითხავის სახელიც გაიხსენოს, თვალნაკრავ ბავშვს რომ წამლობდა. რა თქმა უნდა, ეს ქალი ქიტესაანთ ბაბალეა, ფთილის დამსხმელი და მიზეზის გამომცნობი. ბამბას, ჯამს, წყალსა და წინდის ჩხირებს რომ ითხოვს შელოცვისთვის. გავიხსენოთ ეს რიტუალი, ეგებ ჯადო ამეხსნას და ასეთი ბელეტრისტული გადახვევაც მეპატიოს:

„ბამბისაგან გააკეთა სამი ფთილა და წინდის ჩხირებს გარს შემოახვია. ჯამი ნახევრად აავსო წყლითა და ზედ გადასდო გარდიგარდმო სამივე ფთილა; შემდეგ ჯამს ზემოდან დააფარა სარკე, პირქვე მოქცეული, და სტოლზე დასდგა. პირველი ფთილა იყო ვარიანი ღვთის მშობლის სახელობაზე, მეორე - გორიჯვრის წმინდა გიორგისა და მესამე - გერის წმინდა გიორგის სახელობაზე. ქალები სიჩუმეს მიეცნენ და უცდიდნენ, თუ რომელი ხატი იჩენდა თავსა. გავიდა თხუთმეტიოდე წამი. ბაბალემ ახადა სარკე ჯამსა და პირველი ფთილა გამოხსნილი დახვდა და წყალში ჩაშვებული. „აი, ვენაცვალე ვარიანის ღვთისმშობელსა! იმისი მიზეზი ჰქონია ამ ბავშვს", - წარმოსთქვა ბაბალემ და პირჯვარი გამოისახა".

რადგან ქიტესაანთ ბაბალე ვახსენეთ, იქ ჩვენი ვარდუასიც უნდა ვთქვათ, დურმიშხანის სიყვარულის მსხვერპლისა, თავის ქერის გაშლითა და გორიჯვრის, არბოს წმინდა გიორგის, სპარს-ანგელოზის, ლომისას თუ ლაშარის ჯვრის მოლოცვით. ანდა ფუფალამ რაღა დააშავა და მისმა აფთიაქმა. რას არ ნახავდით იქ, ვირისგვერდასა და ღელაღუნტის ძირს, ტირიფის არაყსა და აქლემის ძვალს, ჯოჯოხეთის ქვას, ეშმაკის კიტრანასა და კრაზანა-ბალახს. მისი დარიგებები ხომ ყველას ახსოვს: „ყვავი მოხარშე ისე, რომ ორთქლი არ გამოვიდეს, იმის წვენი დალიე. მორიელის სისხლი გაახმე და მიიღე. მუხის ხის წყალი, მიმინოს ქონი აურიე ირმის ქონში, მტრედის გული ვარდის წყალში ჩააგდე...".

დაბოლოს, ვიდრე კუდიან ქალთა და მკითხავთა რისხვაზე თუ განმწმენდელზე, მამაკაცზე გადავიდოდე, კიდევ ერთხელ მინდა გაგახსენოთ XX საუკუნის 40-იან წლებში „მოღვაწე" ერთი აქიმი ქალი, თიანელი ბებერი, ვისი ვრცელი შელოცვაც ზემოთ მოვიყვანე, ბესიკ ხარანაულის ახალთახალი წიგნიდან. ამ შეხსენებას ერთი მიზეზი აქვს, მიზეზი კი წუხილია იმის გამო, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ცრურწმენებით აღსავსე თანამედროვე ქართულ რეალობასვე აღწერს,ერთ ქალსაც ვერ იპოვი (თითო-ოროლა პერსონაჟის გამოკლებით), ცოტათი მაინც რომ

შეედრებოდეს თავისი იდუმალებით გარდასულ დროთა ფეფენებსა და ეფროსინეებს, ‘წუნკლიან’ და „უწამებელ“ თუ პირიქით, ღრმადმორწმუნე ქალწულებს, „ვისი მზერაც სამუდამოდ მიუტაცნია და ცხოვრების გადაღმა მიუქცევია ღმერთს“ (ვასილ ბარნოვი).

ᲒᲐᲛᲝᲛᲢᲔᲮᲔᲚᲔᲑᲘ

ავსული ან მკითხავი ქალისა და მამაკაცის (ეს მამაკაცი სიწმინდის გარკვეული ნიშნებითაც ხასიათდება) დაპირისპირება, შეიძლება ითქვას ტოპოსს, გარკვეულ კლიშეს წარმოადგენს ქართულ ლიტერატურაში და ამ დაპირისპირების თუ ბინარულობის საფუძვლები იმ ორმაგ სტანდარტშია საძიებელი, რომელიც საზოგადოებისა და მკითხავ-კუდიანების ურთიერთობას გამოარჩევს.[23] საინტერესოა, რომ კუდიანი ძალზე საშიში არსებაა, მაგრამ ამავე დროს მან შესაძლოა სარგებელიც მოიტანოს. სწორედ აქედან მოდის მისდამი ამბივალენტური დამოკიდებულება, ორმაგი აღქმა, და აქვე იჩენს თავს ზემოხსენებული არქაული თხრობითი სტრუქტურაც, რომელიც მოგზაურობას უკავშირდება. საქმე ისაა, რომ ხშირად მკითხავების მეზობლებს ეშინიათ, თუმცა კი შორეული სოფლების მოსახლეობაში ისინი დიდი პატივით სარგებლობენ, ხოლო მათთან სტუმრობა, სიმბოლურ პლანში, საიქიოს თუ ჯოჯოხეთის მოხილვასაც შეიძლება გაუტოლდეს[24]. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ სივრცისა და მოგზაურობის კონცეპტს თავად მკითხავებიც ძალიან უფრთხილდებიან. ისინი ყოველთვის ცდილობენ, რაც შეიძლება შორს გაისტუმრონ მოსალოცად თავიანთი მუშტარი, რაც პროფესიული იმშავკობის გარდა, გარკვეულ სიმბოლურ ქმედებასაც გულისხმობს[25].

როგორც ზემოთ ვთქვი, კუდიანს თითქმის ყოველთვის მამაკაცი უპირისპირდება და მას ხან თავის სამსახურში აბამს ხოლმე, ხანაც გამოტეხვის, ანდა სულაც მოკვლით ცდილობს მის განწმენდასა თუ დამორჩილებას. მაგალითად, ეროდიონ ევდოშვილის მოთხრობაში „ქაჯის ბაწარი“ პაპა-სოსია ჯერ შელოცვით „დახუთავს“ ქაჯს, შემდეგ კი ფრჩხილებს დააჭრის ცულით და ისე დაიმორჩილებს:

> „კაი ათ-თუმნიან მოჯამაგირეს სჯობდა. გეშინოდა ღამე საქონელი გაგეშვა გარეთ თუ? შენ არ მომიკვდე! ბეწვი არ შეუტოკდებოდათ. ნადირის კბილის შეკვრაც იცოდა თურმე იმ ვერანამ. ბებია-ჩემი ხომ იმავე დღეს საღსალამათი ააყენა ქვეშაგებიდან. თურმე სურდოს წამალიც სცოდნია: წაუსვწამოუსვა თურმე ბებიას ცხვირზე და, თხის ქონით დაუზილა გული და წამოაყენა. აბა იმ დღიდან ხომ ბებიასაც შეუყვარდა. ეშმაკი რამ-კი ყოფილა ძაან თურმე ის ტიალი: მკვდარი რომ წინ გდებოდა, გაგაცინებდაო, - იტყოდნენ ხოლმე ჩვენები“.

თანაც მნიშვნელოვანია, რომ ქაჯს „უკულმართას“ ეძახიან, ანუ ყველაფერი უკულმა ესმის („თუ გინდოდა ეზო დაეგავა - უნდა გეთქვა: „უკულმართა, ეზო მოთხარეო“, და დააკრიალებდა ეზოს“).

კუდიანი ქალების განწმენდა-რჯულზე მოყვანის ქრესტომათიული მაგალითებია დავით კლდიაშვილთან. „მსხვერპლში“ ფეფენას რამდენიმე მამაკაცი უპირისპირდება. პირველ რიგში ესაა ონისიმე, ფეფენას მაზლი, ვისი სიტყვითაც, ფეფენას კუდიანობას მასზე „გასავალი არა აქვს“ და იმუქრება, „კაცი არ ვიქნები თუ შენისთანა ურჯულო და არაწმინდა რჯულზე არ მოვიყვანეო“[26]. ამ თვალსაზრისით,

---

[23] აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკში“, თელავში მცხოვრები ტერტერას ქვრივი, ჭკუითა და მოხერხებით განთქმული თიმსალ მაკო „ავშიც გამოსადეგი იყო და კარგშიც“.

[24] ეს ტოპონიმების დონეზეც ჩანს. მაგალითად, ნიკო ლომოურის „ალში“ მკითხავის სოფელს ეშმაკეულა ჰქვია.

[25] „ცოტა შორს უნდა გაგეგზავნა, უნდა გეთქო სპარს-ანგელოზი, ან ლომისა, ან ლაშარის ჯვარი, ისე რო ასრულება გაძნელებულიყო“ (დანიელ ჭონქაძე, „სურამის ციხე“).

[26] ცალკე თემაა თუ რა დამოკიდებულება აქვთ მკითხავ-კუდიანებთან თავად ქალებს, როგორ აფასებენ ისინი მათ. მაგალითად, ონისიმეს ცოლს, სოფიოს ეშინია ფეფენასი, ასე ეუბნება ხან ქმარს, ხან კი ფეფენას რძალს, მარინეს, „ნუ შეებმები ლაპარაკში... ვინ გიშველის... ვინ დაგიფარავს შენზე ჯავრის ამოყრა რომ მოინდომოს... ამოგვწყვეტს, ამოგვბუგავს... აღარ დაგვინდობს... ათას უბედურებას შეგვყრის მაგ შავდღეზე გაჩენილი... ოღონდ მაგას ჩვენზე ნუ გაახელებ...“. მეორე პერსონაჟს, ნატალიას, ფეფენასთან წამოსცდება: „შენ ვინ გაგიბედავს გაწყენიოს რამეო“. თავად ონისიმე კი ცოლის საქციელს ასე შეაფასებს: „მაგისთანა კუდიანების შენისთანა დედაკაცებს ეშინოდეთ“-ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა უმნიშვნელოვანესი მოქმედი პირია ვასილ კარიკაძე, ვინაც უნდა უსაშველოს ფეფენას მიერ „ახლადგაკუდიანებულ“ მარინეს. იგი **საიქოში ნამყოფი კაცია** და ახლადგაკუდიანებულის გამოტეხა შეუძლია. მხოლოდ მას ხელეწიფება კუდიანობიდან ფეხი ამოადგმევინოს ქალს, გამოაბრუნოს ბოროტი ადამიანი. მას **„ანგელოზთან ნამუსაიფებ კაცსაც“** უწოდებენ და ყველას იმედი აქვს, რომ მისი წყალობით გოგო „წმინდად გეიწმინდება“ და სოფელს სამადლო საქმეს უზამს. ერთგან კი ვასილ კარიკაძე იმასაც ამბობს: „ღმერთს ჩემთვის ეს ძალა ფულის საბოჭავად კი არ მოუნიჭებია“-ო.[27]

„გამწმენდელთა“ ამ სამებაში მთავარი როლი მაინც მარინეს მამას, მარკოზას უჭირავს. ყველაზე ტრაგიკული მოვლენები, სწორედ მისი **ჩამოსვლის** შემდეგ ვითარდება. ანუ, მას, ერთი მხრივ ბოლომდე მიჰყავს თავისი ორი წინამორბედის საქმე, მეორე მხრივ კი კომპოზიციურად კრავს მოთხრობას, როდესაც ნალით დაღავს ფეფენას და ამით თავისი შვილის სიკვდილის მიზეზიც ხდება:

„შენმა კუდიანობამ უყო მაგას ეგ!.. შენმა კუდიანობამ! - დაიყვირა, რაც ხმა ჰქონდა, მარკოზამ: - ვითომ და არ იცოდე?! იმისთვის მოდი, რომ მაგის წვალების ყურებით დამტკბარიყავი?! მარა სად წამიხვალ ახლა, სად წამიხვალ!.. - უყვიროდა მარკოზა გაფითრებულ მოხუცებულ ქალს, რომელიც გრძნობადაკარგულივით მისჩერებოდა ამ გამხეცებულ კაცს. - ვერსად ვერ წამიხვალ, ვერსად!.. გესმის თუ არა? - ყვიროდა ისევ მარკოზა. [...] რატომ ტანჯავ, რაზე აწვალებ, შე შეჩვენებულო?.. აღარ გეყო მაგის წამება, ვერ გაძეხი? შე წყეულო, სული რომ არ წაგაწყმედინე, ხორცს რას ერჩი, მითხარი? - და მარკოზა რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოხუცებულს ხან იქიდან წაჰკრავდა მუჯლუგუნს, ხან აქედან. ფეფენა კი ამ სიტყვებით გაკვირვებული იძახდა: - „რეებს ამბობ, შე უგონო, რას სულელობ?“ - და თან საზარლად ყვიროდა, მაგრამ მარკოზამ ყურიც არ ათხოვა ამას, მოჰხვია ხელები ფეფენას, მიათრია ბაგასთან, მოხსნა ბაგაზე ჩამოკიდებული ხარის დასაბმელი ბაწარი, ესმას დახმარებით შეჰკრა მოხუცებული დედაკაცი და გადაბაწრული მიწაზე დააგდო“.

დაახლოებით იგივე ვითარება და ლექსიკა გამოარჩევს ლევან ქამუშაძის ცოლის, ეფროსინეს „განწმენდის რიტუალსაც“. იქაც მამაკაცები უპირისპირდებიან „კუდიანს“. ჯერ ვინმე ფარსადან ტაბიძე, „წმინდა კაცი“, შემდეგ კი ომან ქამუშაძე, ვინც თავის რძალს (ეფროსინეს) შვილის ავადმყოფობასა და მოკვლას აბრალებს:

„სად დამემალები, სად? - შორიდან მიაყვირა ომანმა. - სად გამექცევი, შე წყეულო, შე არაწმინდავ... შე კუდიანო, ულვთო, ურჯულო, შეჩვენებულო! მოგკალი ეს-ეს არის, ოუშვი... თავი გაანებე ბავშვს, თუ არა, ეს არის გაგათავე, იცოდე! არ გესმის, შენ ეი!.. ეი! - საზარელი ხმით შეჰყვირა გამხეცებულმა კაცმა სახლთან რომ მივიდა და, რაც ღონე ჰქონდა, კარებს დაუშინა კეტი. - ურჯულო!.. ურჯულო!.. ოუშვი მეთქი, ნუ მიკლავ შვილს, ნუ მიკლავ შვილს, მითქვამს შენთვის! თავი გაანებე, თვარა ეს არის გაგაცხებინე სული!.. ეი, ეი! მალე, მალე, მალე! - და ამ თავზარდამცემ ღრიალთან იგი უმოწყალოდ სცემდა კეტს, რომ ჩაემტვრია კარები და ხელში ეგდო მისი გამამწარებელი დედაკაცი. [...] გარეთ გამოეთრეს მაგ კუდიანი! თვალით დამენახოს მაგ ურჯულო, თვალით დამენახოს! [...] სად მემალება? სად მემალება მაგ დაწყევლილი, სად?.. სად?.. სა-ა-ად?!“.

თანაც, ეფროსინეს სახე იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მისი მოჯადოებული ბავშვი ვაჟია, მომავალი მუშახელი, მამაკაცთა საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. გარდა ამისა, სოფელი ეფროსინეს თავისი ქმრის, ლევანის მოჯადოებას, „გულის ამოჭამასა“ და „გონების დაბნევას“ აბრალებს:

„ასე მოგახსენებენ, თურმე გული რომ მოუვა ქმარზედო, ფრთებს გამოასხამსო და სახლის სახურავზე შეაფრენსო. ჰყავს იქ დაყუყული, სანამ გულს არ მოიჯერებსო და ატირებული კაცი თავს არ შეაბრალებს და ისევ არ დოუთქვამს ყველაფერში მორჩილად ყოფნას... იღლიებში ამოუსვამს თურმე, რაღაც წამალი აქვსო... საწყალს თურმე ამისი ეშინია და ხმის ამოღებას ვეღარ ბედავსო, რამე არ ეწყინოსო“.

ასეთი „კუდიანთმჩაგვრელებისა“ თუ „ინტერპრეტატორების“ უმეტესობა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სასულიერო წრეებიდან არიან ან გარკვეულ სახალხო სიწმინდეების

[27] დავით კლდიაშვილის „მიქელაში“ ასეთია ჟამგამოვლილი კაცი (არსებითად, საიქიოში ნამყოფი) ალექსი ბოჭორიძე, ვისი ქმედებაც, მართალია, ქალის განწმენდას არ უკავშირდება, მაგრამ ტიპოლოგიურად ძალზე ახლოს დგას ვასილ კარიკაძესთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსახიერებას წარმოადგენენ. მაგალითად, ვასილ ბარნოვის „თებერას დანიშნულში“ ხატის მიერ „დაკვეთებულ“ ეონას მღვდელი მკურნალობს, ლოცვებს უკითხავს, აიაზმას აპკურებს, სახარებას აბერტყავს თავზე და გოგონას მიერ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამონათქვამის თუ ამონაკივლის განმარტებას ცდილობს, ანუ ჰერმენევტიკითაა დაკავებული. ვაჟა-ფშაველას „მოჩვენებაში“ კი კუდიანების მრისხველი მამაკაცი, არსებითად, ღმერთის განსახიერებას წარმოადგენს. ეს სტატიაც სწორედ ამ დარბაისელ თეთრ კაცზე საუბრით მინდა დავასრულო და სანამ „გოთური რომანის“ ყაიდაზე, საზარელი სიცილით დავამთავრებდე წერილს, ერთ რამეს შევახსენებ მომავალ „კუდიანოლოგებს“: XIX-XX საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში მოძიებული, აქ წარმოდგენილი მასალა, რა თქმა უნდა არაა ამომწურავი და არც იმის საშუალებას იძლევა, რომ სრულად მოხდეს ჩვენთვის საინტერესო მითოლოგიური კომპლექსის ისტორიული რეკონსტრუქცია, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეული მორფოლოგიური კვლევა შესაძლებლია, რაც მომავლის საქმეა.

ახლა კი დაპირებული ფრაგმენტი:

„ქაჯი თავის ქსელს თანდათან ვრცლად აბამდა და უნდა გავეხვიე ვითომ, მაგრამ ამ დროს გაჩნდა თვით მისი შემმუსრავი საწამლავი, მისი მჩაგვრელი, მისი მბრძანებელი: თეთრწვერა, მშვენიერის, დინჯის, ტკბილის სახის მოხუცი - წამოგვადგა თავზე; ხელში ყავარჯენი ეპყრა და გამწყრალის, ნაწყენობის ელფერი სცემდა ბადრს სახეზედ. ჩემი დაუპატიჟებელი სტუმარი, აქამდის ასეთი თამამი, ასეთი შეუპოვარი, სასტიკი, ამ მოხუცის დანახვაზედ ტალახივით მიწას გაეკრა, გადნა, მოიბუზა, ენა გაუხმა, გვერდზედ ცქერა დაუწყო ცბიერის თვალებით, როგორც ქურდი ეძებს ხოლმე გადასახტომს, გასაქცევს გზას.

- შენ, ეი, წყეულო! აქ რა გინდა? არ იშლი შენს ვერაგობას, შენს სიბილწეს, ჰპოვე მორწმუნე და მოაშორე, ესროლე ბადე, უნდა გაბა? ვერა! გასწიო, - შეუძახა სულკურთხეულმა მოხუცმა იმ ბოროტს სულს და მოუქნია ყავარჯენი. იგი, როგორც წინწელი, ისე გაჰქრა, თავგადაგლეჯილი. შორს, ჰაერში, ერთხელ კიდევ, მაგრამ უკანასკნელადღა გაისმა მისი გესლიანი ხითხითი, ის იყო და ის...“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი – 80

ლამარა კიკილაშვილი

არავის უნდა მეგალე?..

„არავის უნდა მეგალე? ო, რა სიამოვნებით მოვუვლიდი ყვავილებსა და ხეებს. რა სიამოვნებით მოვრწყავდი კვლებს, რა სიამოვნებით ჩავჯდებოდი ჩრდილში“...

რევაზ ინანიშვილი
„სამაგიდო რვეულები“. 1971

წმინდა ავტობიოგრაფიული ჩანაწერი, რომელსაც შეიძლება მოთხრობაც დაერქვას, რევაზ ინანიშვილს ერთადერთი აქვს – „თოჯინის თვალით“ და აქაც მხოლოდ ბავშვობაზე წერს – ხაშმზე, საკუთარ წარმომავლობაზე, წინაპრებზე, ბებიაზე, მშობლებზე, ბავშვობის უბანზე, სკოლაზე და იმ „მი-და-მო“-ზე, სადაც ბავშვობა გაატარა.

„თოჯინის თვალით“ – 1989 წელს არის დაწერილი და, როგორც რეზოს მეუღლე, როზა ინანიშვილი ამბობს, რეზოს უკანასკნელი მოთხრობაა. მე ხელთ მაქვს ამ მოთხრობის მანქანაზე გადაბეჭდილი ეგზემპლარის მეორე პირი, რეზოს მიერვე ჩასმული რბილ თეთრ ყდაში, და კიდევ – ლაშა თაბუკაშვილის ჟურნალ „XX საუკუნის“ პირველი და მეორე ნომერი (1994 წელი), სადაც ზაალ სამადაშვილმა გამოაქვეყნა ეს მოთხრობა და „სამაგიდო რვეულების“ ერთი ნაწილი – მანამდე გამოუქვეყნებელი.

„სამაგიდო რვეულების“ ფრაგმენტებს რეზო სიცოცხლეშივე აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებშიც და წიგნებშიც. მაგრამ, როგორც ზაალ სამადაშვილიც წერს, „სამაგიდო რვეულების“ დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია და მკითხველისთვის უცნობი.

რეზომ თორმეტი ასეთი რვეული დატოვა. მე პირადად, თორმეტივე რვეული მინახავს (დედნები – რეზოს ხელნაწერებით, მისივე ხელით შეკრულები) და ჩემი სატელევიზიო პროგრამის – „სახსოვარისთვის“ გადამიღია კიდეც. თუმც, წაკითხვით, მხოლოდ ბოლო, მეთორმეტე რვეული მაქვს წაკითხული – ისიც იმ დღეს, პირველ დღეს, როცა რეზო უკვე აღარ იყო (გამოქვეყნებული ფრაგმენტები, ცხადია, ყველა წამიკითხავს).

რვეული სამზარეულოს პატარა ოთახში, ფანჯარასთან მიდგმულ ასევე პატარა მაგიდაზე იდო, გადაშლილი (ბოლო დროს რეზო იქ იჯდა ხოლმე, იქ წერდა და იქ კითხულობდა). ვიჯექი გაოგნებული და მთელი დღე იმ მეთორმეტე რვეულს ჩავყურებდი. ასე გავატარე დილიდან გვიან ღამემდე რეზოსთან ის უკანასკნელი და ძალიან მძიმე დღე. ფრაგმეტებიც კი ამოვიწერე, რაც მერე ტელე და რადიოგადაცემებისათვის დამჭირდა. მოგვიანებით კი, ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ წერილშიც შევიტანე.

ის დღე ამ მეთორმეტე რვეულმა გადამატანინა (უკანასკნელი ჩანაწერი ამ რვეულისა 1991 წლის 2 ოქტომბრით თარიღდება და, როგორც მახსოვს, რეზო წუხს კბილის დაკარგვას. მანამდე მას არცერთი კბილი არ აკლდა).

წმინდა ავტობიოგრაფიული მოთხრობა ერთადერთი აქვს-მეთქი, ვთქვი. სამაგიეროდ, „სამაგიდო რვეულები“, როგორც თითონვე წერს, „დოკუმენტაციაა“ მისი სულისა, ბიოგრაფია სულისა. აქ ის უკვე იხსნება და მკითხველს გულახდილადაც გაენდობა ხოლმე. ამიტომ არის „სამაგიდო რვეულები“ უმნიშვნელოვანესი და მართლაც, საინტერესოდ საკითხავი წიგნი:

„... მეჩვენება თუ მართლა ასეა? ჩემს ნაწერებში ყველაზე საინტერესო ეს (მეექვსე) „სამაგიდო რვეული“ უნდა იყოს, რა თქმა უნდა, ვგრძნობ, რა ნაკლიც აქვს მაქსიმებისებურ მოკლე ჩანაწერებს, – ისინი ძნელად გამახსოვრდება, მაგრამ აქვს მიმზიდველი მხარეც – როცა გინდა, მაშინ გადაშლი და

ისე წაიკითხავ, როგორც სრულიად უცნობ ტექსტს, მთლიანობაშიც, მთელი წიგნი, რომანივით ნათლად წარმოგიდგენს კონკრეტულ ადამიანს კონკრეტულ დროში.

დოკუმენტაცია სულისა! არა მაინცდამაინც დიადი სულისა! თუნდაც, რიგითისა, მაგრამ ნამდვილისა".

„სამაგიდო რვეულებშივე" წერს:

„მე ბევრი ტანჯვა და დამცირება გადამატანინა ცხოვრებამ, მაინც სიხარულით ვხვდები ყოველი დილის შუქს ფანჯარაში"...

და შემდეგ:

„მე იმისთვის კი არ ვლაპარაკობ, ვინმე გავაოცო, ვითარცა ჯამბაზმა, მინდა, ჩემი სიხარულის ან ტკივილის მონაწილე გაგხადო შენც. უუჰ, — წამოხტები ამ ბოლო სიტყვაზე, — რა ზრდილობაა, შენი ტკივილი გადასდო სხვასაც! ადამიანები ვართ, სწორედ ამით განვსხვავდებით ცხოველებისგან. ჭირის თქმა და გარკვეული თანაგრძნობა ამაზე, უკვე საწყისია განკურნებისა. მე ტკივილისგან ვიკურნები, შენი სული კი აღივსება ღვთიური სიმსუბუქითა და მადლით. ესაა ჩვენი ერთად არსებობის საფუძველი".

...მაგრამ ყოველდღიურობაში საკუთარ საწუხარს — „ტანჯვა-წამებას" რეზო მაინცდამაინც არავის აჩვენებდა.

გურამ ასათიანმა ის ასე დაინახა:

„შენ არ გიყვარს წონასწორობის დაკარგვა, ამღვრევა, შენი მოწოდება სხვაა: მოულოდნელად რომ გადაიკარებს და პირდაბანილი ბუნება ყველა თავის ნაკვთით გამოკრთება, ყველა საგანი რელიეფურად მოჩანს, ყველა კენჭი ციმციმებს, მადლი ეფინება გარემოს.

დადიხარ ჩვენს ქალაქში ოდნავ აწურული მხრებით, სახეგარუჯული — „ფერად შინდი", მუდამ წინ იყურები, ვიღაცას ულიმი ჩუმად, აღერილ წამწამზე ჭინკა გიზის"...

რეზო, მართლაც, ასეთი იყო. იშვიათად თუ უნახავს ვინმეს სხვაგვარი, თავის „ტანჯვა-წამებას" ხანდახან თავის პერსონაჟებს მიაწერდა და იყო ასე საკუთარ „ტანჯვა-წამებიანად" საკუთარსავე პოეტურ პროზაში შეყუჟული. მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს „შეყუჟვა" „სამაგიდოებს" არ ეხება.

ერთხელ ნაჩუქარ წიგნზე წამიწერა — „ჩემი ტანჯვა-წამების თვალცრემლიან მოწმესო". ამ აღიარებამ შემაწუხა და მაფიქრებინა, რომ „მოწმეს", ალბათ, მეტი ევალებოდა. მაგრამ რაღაც ნაბიჯები რომ გადამედგა (ან შემეძლო კი ასეთი ნაბიჯების გადადგმა?), მაშინ ხომ ყველაფერი ჩვეულებრივი გახდებოდა და ეს ფრაზაც აღარ დაიწერებოდა.

მადლობელი ვარ მისი, ჩემი ეს „თვალცრემლიანი მოწმეობა" რომ იგრძნო.

ახლახან რევაზ ინანიშვილის ყველა წიგნის ერთბაშად წაკითხვა მომიწია, ესე იგი, ერთბაშად წავიკითხე მისი „ერთი, ერთადერთი დიდი წიგნი, ერთი, ერთადერთი რომანი" (ტარიელ ჭანტურია) „სამაგიდოებიანად" (ცხადია, გამოქვეყნებულები იგულისხმება). ამ ერთბაშად წაკითხვამ კიდევ და კიდევ ბევრი რამ დამანახვა და მაგრძნობინა, კერძოდ, საკუთარ მოთხრობებში შეყუჟული რეზო, „სამაგიდოებში" კი თითქმის გახსნილი — შეწუხებული, შეძრწუნებული, ზოგჯერ გამწარებულიც კი. როცა რეზო ჩვენს გვერდით იყო, ამაზე, ალბათ, იშვიათად თუ დაფიქრებულა ვინმე. თემო მაღლაფერიძემაც ხომ დაწერა 1992 წელს: „ახლა, რეზოს გარდაცვალების შემდეგ, ბევრი რამ მისი შემოქმედებიდან ხელახლა გადავიკითხე და, უნდა მოგახსენოთ, შემძრა, სულის სიღრმემდე ამაფორიაქა მოთხრობებში უცნაური სიუხვით განვითარებულმა ტრაგიკულმა ინტონაციებმაო".

ჩიტბატონებისა და შროშნების, აბღუკებისა და კოწოწაშვილების მეგობარი, ქართული პეიზაჟებისა და ქართული ყოფის შეუდარებელი მხატვარი, „მუსიკის შესაძლებლობებს შეჭიდებული პროზის" ავტორი რევაზ ინანიშვილი დღევანდელობის წამალია, თუკი ამას ვინმე მიხვდება. მაგრამ, როგორც ბევრმა უკვე თქვა, ის არის მომავლის მწერალი, მომავლის პოეტი. დიდი სინათლითა და დიდი სევდით გაბრწყინებულ მის წიგნს სრულყოფილად, ალბათ, მართლაც, მომავალი დაინახავს და იგრძნობს... და მისი პიროვნებისა და შემოქმედების ამ მეორე მხარესაც გაითვალისწინებს — იმ „ტანჯვა-წამების" ნისლისფერ ლოდს, ურომლისოდაც არცერთი ფერადოვანი და ჰარმონიული სამყარო არ იქმნება.

❀❀❀

„თოჯინის თვალით"...

რატომ დაასათაურა რეზომ ეს მოთხრობა ასე? ბიჭი, ვისი ბავშვობაც აქ არის აღწერილი, თოჯინას არაფრით ჰგავს. პირიქით... ის ბავშვობაწართმეული ბავშვია. ამას კი დიდი მიზეზი აქვს — მამა! უაზროდ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუგებრად დასჯილი მამა (როგორც ბევრი სხვა იმ სისხლიან წლებში)... და ამ სასჯელით სასტიკად არის დასჯილი 10-11 წლის ბიჭიც, 10-11 წლის რეზო ინანიშვილი. სხვა ყველაფერი — სოფელი, იქაური ხალხი, ძვირფასი ადამიანები, „მი-და-მო" ისევ სინათლეში ჩანს, სიკეთისა და სიყვარულის მადლის შუქში (მას ხომ არ უყვარს „ამღვრევა", „წონასწორობის დაკარგვა"). იმ ბავშვს უყვარს სირბილი, ფეხშიშველი დაეშვება ხოლმე ჭალის ვენახის გრილ ბილიკზე და „საზეიმო ჟრიამულით მიაცილებენ ხეები, ეალერსება ჰაერი".

...და მოულოდნელად მოთხრობას ასეთი „მინაწერი" ამთავრებს:

„1937 წლის ზაფხულში მამა დააპატიმრეს, დააპატიმრეს დედის მამა და ძმაც. ჩვენ, ინანიშვილებს, ვიღაცეებმა ღამით გაგვიკაფეს მსხმოიარე ვენახიც.

ჯერ კიდევ წინა წელს პარტიიდან გარიცხულმა და სამსახურიდან მოხსნილმა მამამ თბილისში ერთ ქოხს შეაფარა თავი. არდადეგების ბოლოს, აგვისტოში, მარიამობა დღეს, იმ ქოხის იმედით მთელი ჩვენი ოჯახი — დედა, და, პატარა ძმა, ბებიას გარდა წავედით თბილისში (რეზოს და — კლარა თავისი ოჯახით — ქალიშვილით და მისი ოჯახით ახლაც იქ ცხოვრობს).

რა დაიწყო თბილისში, რას შევუდექით ახალს, ეს ცალკე თემაა. თუ შესაძლებლობა მომეცა, ოდესმე ამაზედაც დავწერ, ოღონდ კვლავაც მოკლედ. თუ ვერ დავწერე, არც ეს შემაწუხებს ძალიან, რადგან უჩემოდაც ათასობით ადამიანს აქვს ნაამბობი, რა საშინელება იყო ის 1937 წელი" (აღარ დაუწერია).

მოკლედ დაწერა ამ მოთხრობაში 1937-ზე, მოკლედ დაწერა მამაზეც:

„ერთი ძმისა და ორი დის პატრონს არაფერი გააჩნდა მკვირცხლი გონებისა და ძალიან ლამაზი ღიმილის მეტი"...

„ახალი ცხოვრება მოვიდა. მამა პირველი კომკავშირელთაგანი გახდა, მალე პარტიულიც. ბოლოს იმას მიაღწია, რომ მთელი სოფლის თავკაცი გახდა..."

„გულღია იყო, პირდაპირი, შეუპოვარი, მუდამ სახენათელი..."

მოკლედ დაწერა „სამაგიდო რვეულებშიც":

„მე არ მინახავს მისი ჭიანი კბილიც კი. წავიდა მთლად ახალგაზრდა, ჯანმრთელი, საყვარელი და ასეთად დარჩა ჩემში: ერთადერთი სცენა მისი უქეიფოდ ყოფნისა: ყელი სტკივა, ყლაპვას უშლის, დგას ჩვენთან, სოფელში, წინა ფანჯარასთან, სვამს ცხელ რძეს და იყურება გარეთ. გარეთ კი წვიმს. ცა ჩამოდის დედამიწაზე.

...

ჰო, დაპატიმრებიდან ორი წლის თავზე ვნახე ნაწამებიც — დაპატარავებული, დამდნარი, დაკოჭლებული, წვერგაუპარსავი და ღიმილდალეწილი, მაგრამ ეს გაგრძელდა მხოლოდ რამდენიმე წამს. მან ვერ მოასწრო მამაჩემად გახდომა..."

მამაზე, საერთოდ, იშვიათად წამოიწყებდა საუბარსაც, ცოტას იტყოდა, მაგრამ იტყოდა ერთგვარი ღირსებითა და სიამაყით (რაც სხვა შემთხვევაში არასოდეს სჩვეოდა), რის მიღმაც იგრძნობოდა მამის განსაკუთრებული სიყვარული.

მამის დასჯით სასტიკად დასჯილი და შემაძრწუნებელი ტკივილით შეპყრობილი 10-11 წლის რევაზ ინანიშვილი მაინც მხატვრულ ტექსტში მოჩანს — „პატარა ბიჭი გოლგოთაზე" ასე ჰქვია მოთხრობას და ეს 10-11 წლის რეზოს გოლგოთაა, სულ სამიოდ პატარა გვერდი. ეს გოლგოთა, ეს შემაძრწუნებელი წუთები მთელი სიცოცხლე რომ ატარა, სამიოდ გვერდზე დატია:

წელიწადზე მეტი იყო გასული მამის დაპატიმრებიდან. მამა ჯერ ისევ თბილისში ჰყავდათ. ესენიც თბილისს იყვნენ შეხიზნულები. „აწამებენო, აწამებენო, — ხორცებს იჩქლერთდა და იმდუღრებოდა ბებია".

ერთხელ, შეღამებულზე მათს ოჯახში შეიპარა მამის ბავშვობის მეგობარი ვანო — „ხვალო, დილითო, გათენებისასო სასამართლოში მიიყვანენო. თუ ყველანი წამოხვალთ, კარგი იქნება, დაგინახავთ და დარწმუნდება, ყველანი რომ ცოცხლები ხართო".

დილით, ხუთ საათზე, ვანო ძია ბნელ ხიდთან დახვდათ, ახლოს არ მისულა, შორიდან წაუძღვათ წინ. ჯერ ისევ სიბნელეში მიადგნენ ათარბეგოვის ქუჩას. იქ „იდგა დიდი მრისხანე სახლი". როდის-როდის მოიყვანეს ტუსაღები მანქანით"...

„— გაიქეცი შენ და შედი შიგნით, — მიბრძანა ვანო ძიამ, — კართან თუ გკითხოს ვინმემ, დამლაგებლის შვილი ვარ, თათარაშვილისა-თქო. შედი და დადექი დიდ კიბეზე.

გავიქეცი. არავის უკითხავს, ვინა ხარო. ავედი დიდ სინათლეში დიდ კიბეზე. კიბე

ორად გაიყო. საით ავსულიყავი? ვყოყმანობდი. მომესმა მკაცრი ხმა. კედელს ავეკარი. გაკანკული იყო ირგვლივ ყველაფერი. მარტო ჯარისკაცები მოდიოდნენ ძგრიალით — ერთი ჯარისკაცი — ერთი პატიმარი, ერთი ჯარისკაცი — ერთი პატიმარი. მოვიდნენ სულ ახლოს. იმ საცოდავ პატიმრებში აღარც კი ვეძებდი მამას, ისინი ძლივს მოათრევდნენ ფეხებს. ერთი ხომ სულ სახიჩარი იყო, ორივე ფეხით კოჭლი, პატარა, საქამრემდე სწვდებოდა წინა ჯარისკაცს... და აი, იმ პატარა პატიმარმა დაიწყო ჩემკენ ყურება. გამიცინა და ხელი ასწია ოდნავ ზემოთ, რხევით. მიყურებდა უკან შემობრუნებულიც, მე შევკრთი, მე ვიცანი, მე რაღაც ცუდი დამემართა(!). ის ძლივს ადიოდა საფეხურიდან საფეხურზე, ერთხელაც მომხედა სიცილით მაღლიდან...

მე ჩავჯექი(!).

ისინი ავიდნენ სულ მაღლა და გაუხვიეს ძგრიალით. ვიღაც კაცი წამომადგა თავზე, რაღაცას მეკითხებოდა, წამოვდექი, ნახევრად წამომდგარი გავიქეცი, გავვარდი გარეთ.

დედაც ტიროდა და დაც. ცრემლები მოეწმინდა დიდ ხესთან მდგარ ვანო ძიასაც. მოვიდა დედა ჩემთან.

— დაგინახა?

მე არ ვთქვი არაფერი.(!)

— გითხრა რამე?

მე ისევ არ ვთქვი არაფერი(!)

— ამოიღე ხმა!

— რაა?(!)

— ამოიღე ხმა. გითხრა რამე?

— რაა?(!)

მე სულ ვდუმდი. კბილების კბილებზე დაჭერით ვიკავებდი თავს.

.....

ბოლოს და ბოლოს? ბოლოს და ბოლოს — კი, შემეძლო იმის თქმა მაინც, რომ გამიღიმა. ორჯერ თუ სამჯერ გამიღიმა, უკან შემობრუნებულმაც გამიღიმა. მაგრამ მე იმ ღიმილს ღიმილს ვერ ვარქმევდი. ის იყო... ის იყო რაღაც უცნაური თქმა: — აი, რად გადავიქეცი მეო. მხედავო? მხედავო? ჩემს ნახევრად, ჩემს ნასამედად გადავიქეცი მეო... და წავიდა, ავიდა მაღლა და იქ გაქრა, შეერია ცას"...

არადა, როგორ ახსოვდა ამ ბიჭს მამა:

„მე მაშინ მეგონა, რომ მამა უკვე ხნიერი იყო, ოცდათექვსმეტი წლისა. ებარა სოფელი — მხრებგაშლილს, მკერდგანიერს, ბრტყელქამარშემოჭერილს, სამეფო ჩექმებამოჭიმულს. ეპყრა მათრახი, წმინდა ნახელოვნები, თახთახა. მსუბუქად გადაევლებოდა ხოლმე ღონიერ ლურჯა ცხენს. ლურჯა გიჟდებოდა მისი სიმძიმის ქვეშ, გავარდებოდა ხან აქეთ, ხან იქით, მაგრამ მამა არ აძლევდა საშველს, მკაცრად უმოკლებდა სადავეს. ლურჯას ისლა რჩებოდა, ლაგამი ეღრღნა ხმაურით, არადა, ყველასთან მამა უნდა გაჩერებულიყო — ზოგს უცინოდა, ზოგს უწყრებოდა. გადაიწევდა, ყურში ჩასჩურჩულებდა მავანს რაღაცას და ჩაჩურჩულებულიც და ჩამჩურჩულებელიც აფეთქდებოდნენ ხარხარით. გული გვისივდებოდა, თუ სადმე მივდიოდით მასთან ერთად. ყველა მას უნდა გამონთებოდა, ყველას მისთვის უნდა გადაეღობა გზა. უარს ვერ ეუბნებოდა ხოლმე თონიდან „გამოქცუნებულ" ლავაშებზე და წასულთა შესანდობარზე ხნიერ ქალებსაც. ტკბობით უყურებდნენ ის ხნიერი ქალები სადღეგრძელოს თქმისას"...

ახლა კი... „აი, რად გადავიქეცი, მხედავო?".

1937 წლის კიდევ ერთი შემაძრწუნებელი სურათი „სამაგიდო რვეულებიდან":

შეხვედრა დავით გაჩეჩილაძესთან:

„მაჩაბლის ქუჩაზე დავით გაჩეჩილაძეს წამოვეწიე. ყელის სიმსივნე უკვე მკვეთრად გამოსახოდა და ძლივს გასაგონი ხმით ლაპარაკობდა. ლერმონტოვის ქუჩასთან რომ მივედით, ერთი წელში მოხრილი კაცი დაინახა და დაუძახა, ზუსტად აღარ მახსოვს, ვგონებ, — ვალერიან! ის კაცი დაფეთებული გაჩერდა. მიმიყვანა ახლოს დავითმა და გამაცნო, — აი, გაიცანი, ეს არის კაცი, რომელსაც ბერიას ჯალათებმა თვალწინ, დაკითხვის დროს, მოუკლეს თორმეტი წლის ბიჭი, ამას და ამის მეუღლეს. რა ვაჟკაცი იყო მაშინ, იცი? — ცოლიც ულამაზესი ქალი და, რა ბიჭი ეყოლებოდათ, მიხვდები! უთხარი, ვალერიან, — მიუბრუნდა დავითი იმ კაცს, — უთხარი ორიოდ სიტყვა, ეს მწერალია და უნდა იცოდეს, ვისთანა აქვს საქმე! — ვალერიანმა უგუნურებამდე უმეტყველო თვალებით ამომხედა და ერთი ეს თქვა: — შუბლში ესროლეს, ბატონო! — მიბრუნდა და გაიქცა, თუკი გაქცევა ეთქმის განადგურებული კაცის აჩქარებას".

სულ ეს არის, ვგონებ, მეტი არაფერი დაუწერია იმ მწარე 1937-ზე... უნდა ამას თუნდ ერთი სიტყვის მიმატება, ან გამოკ-

ლება?... რა ზუსტი სმენა ჰქონდა და რა თვალი! (არა, როგორ არ დაუწერია, არის თითოოროლა სხვა სურათიც.)

❁❁❁

თითქოს მშვიდი ნერვების პატრონს, მშვიდობიან პიროვნებას, ძლიერი წარმოსახვის უნარი ჰქონდა. აი, რას წერს „სამაგიდო რვეულებში“:

„დიდ სიკეთესთან ერთად დიდი საშინელებაა ძლიერი წარმოსახვის უნარი. მე, ჩემდა სამწუხაროდ, შემიძლია აბსოლუტურად ზუსტად წარმოვიდგინო მატარებლების ერთმანეთს შესკდომაც კი — მოძრაობები, ხმები, ფერები, სახეები, სუნი. უთუოდ იკითხავთ, მაშ, რატომ არ ავსახავ ასევე. გიპასუხებთ: არ შეიძლება, არ შეიძლება არც დადებითი, არც უარყოფითი ემოციების აღმძვრელი მოვლენების გარკვეულ ზღვარს იქით ჩვენება. რატომ? ეს მხოლოდ ჩვენმა სხეულმა იცის“.

მის ერთ მოთხრობაში — „ქარი რომ უბერავდა და თან თოვლის ფიფქები მოჰქონდა“, პაპამის გიორგის (დედის მამის) ბავშვობის მძიმე ეპიზოდებია მოთხრობილი. ეს ის გიორგია — „ძველი ყაიდის კაცი“, ხალხური სიმღერა რომ უყვარდა და განსაკუთრებით „ზამთარი“ (რეზომ მას თავისი შედევრთაგანი უძღვნა — მოთხრობა „ზამთარი“, თენგიზ არჩვაძემ რადიოში რომ წაიკითხა და რეზო ცრემლებამდე იყო აღტაცებული მისი წაკითხულით). „დედმამით ობოლს ბავშვობაში იმდენნაირი გაჭირვება ჰქონდა გადატანილი, ათ კაცს ეყოფოდა ხასიათის გაძაღლებისათვისო“... — წერს რეზო ზემონახსენებ მოთხრობაში („ქარი რომ უბერავდა და თან თოვლის ფიფქები მოჰქონდა“).

დედ-მამა რომ დაეხოცათ, გიორგი რვა წლის ყოფილა, მისი პატარა და ნინო ოთხისა. „შეშინებული დიდი თვალები ჰქონდა, პატარა პირი კიდევ — სულ ღია, შოშიას ბარტყივით, გაფარჩხული ხელები სულ ჩემკენ ჰქონდა გამოწვდილიო“ — ხის კოვზს სთლიდა და თან უამბობდა შვილიშვილებს გიორგი.

მერე მარტოდ დარჩენილი შეშინებული ბავშვების გაჭირვების სურათები ნებისმიერი ქვეყნის დიდი მწერლების დონეზე აქვს აღწერილი რეზოს. ბოლოს ეს გაჭირვება კეთილად მთავრდება. სინამდვილეში კი ცხრა წლის გიორგის პატარა და დაეღუპა: „ერთხელ გაცხელებული იყო, გავარვარებული. ცხრა წლისამ, სულ ცოტა ხნით დავტოვე მარტო, ბიჭებში გავედი ხმის ამოსაღებად და რომ დავბრუნდი, გაციებული დამხვდა — ცრემლები კი ისევ ედგა ღია თვალებშიო“... — ასე ამთავრებს თხრობას გიორგი პაპა „სამაგიდე რვეულებში“. „მოიჭერდა პაპა ხელს შუბლზე, დახუჭავდა თვალებსო“ — ამატებს რეზო და იმასაც გვეუბნება, რომ მოთხრობა მთლად „დოკუმენტური არ არის. არ მინდოდა, ასე დამთავრებულიყო მოთხრობა ბავშვებისთვისო“...

ბავშვებს კი არა, რეზო მძიმე განცდებისთვის არ იმეტებდა, საერთოდ, მკითხველს. პაპის ბავშვობის ტრაგიკული სურათიც ამიტომ დაამთავრა კეთილად. არადა, „სამაგიდოებში“ მაინც დაწერა სინამდვილე, დაწერა მოკლედ, სადად და ზუსტად, მაგრამ მთელი სიმძაფრით. აქ სულ სხვა მკითხველს გულისხმობდა ალბათ, მკითხველს, ვისაც მეტი უნდა სცოდნოდა.

❁❁❁

რეზოს სამშობლო სოფელი ხაშმია. არცთუ ლამაზი სახელი აქვს, მაგრამ თვითონ არის ლამაზიც და ძველისძველიც. ამ სოფლის ქვემო უბანში, ყველაზე განაპირებულ სახლში დაბადებულა 1926 წლის დეკემბრის ოცს.

სახლი ივრის ხეობას გადასცქერის. მე კარგად ვიცნობ რეზოს ამ სამფლობელოს. თითონვე დამატარა იქაურობა და გამაცნო ყველა და ყველაფერი — ივრისპირის ბებერი ხეები, ჩხიკვები და კაჭკაჭები, ასკილის ბუჩქებზე შეკუნწლული ბეღურები (რაც მერე ძალიან ლამაზად დახატა კიდეც). აქ არის მისი ფესვები.

მოგვიანებით რეზოს მეორე სახლიც ჰქონდა — მისი მეუღლის როზას მშობლების სახლი — უჯარმის პატარა სახლი, მისი მარტოობის სახლი. ძირითადად აქ იქცა მისი მარტოობა პოეზიად, პოეტურ მოთხრობებად და ნოველებად. აქ ის უკვე მხოლოდ შედევრებს წერდა.

ორი-სამი კვირით გადმოიკარგებოდა, შეიყუჟებოდა პატარა ოთახში და იწყებდა შრომას — კითხულობდა, ისმენდა მუსიკას და, რა თქმა უნდა, წერდა.

მეგობრები როგორ არ ჰყავდა, უახლოესნიც, ისეთები, ვისთანაც ძალას იკრებდა ხოლმე, საკუთარ თავს რომ არ და-

შორებოდა — რეზო ძალიან ბევრს უყვარდა. ისინი აქაც მოდიოდნენ. მხატვრებმა კედლების მოხატვაც გადაწყვიტეს, მაგრამ ვერ მოასწრეს. უჯარმის პატარა სახლის კედელს შერჩა მხოლოდ გიგლა ფირცხალავას იუმორი, ქცეული მის ავტოპორტრეტად.

მისი ფესვები ხაშმია-მეთქი, ვთქვი. ხაშმი რეზოს შემოქმედების საძირკველია, უჯარმა — სულისმოსათქმელი (ბოლო წლებში, რეზოს წასვლის შემდეგ, მიწისძვრისგან კედლებდაბზარული ხაშმის სახლი მოანგრიეს. თითქოს სახლმუზეუმის აშენებას აპირებდნენ, ველარ შეძლეს და ასე დარჩა), ორივე ერთად კი მის წიგნებში აღწერილი სამყარო, ესე იგი, მისი სამყაროც, სამყარო, სადაც რეზო ყველაზე უკეთ გრძნობდა თავს, სადაც მისი პიროვნება მთლიანი იყო, თავისუფალი და არაფერი უშლიდა ხელს, ისეთი ყოფილიყო, როგორიც იყო სინამდვილეში. აქ ყველაზე უკეთ შეიძლებოდა მისი დანახვა. აქ ცხოვრობდნენ მისი ბღუკები, კოწოწაშვილები, ბიბო. აქაურები არიან მისი წივწივები, სკვინჩები, ჩიტბატონები.

აქაურობას ხატავდა კიდეც, ხშირად ხატავდა — ფანქრით, პასტელით... მის ნახატებში იგივე სინათლეა, რაც მის ყველა მოთხრობაში.

ერთი სიტყვით, უამყველაფროდ მას არსებობა არ შეეძლო. გაიჭრებოდა და მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, მარტოდმარტო „დაებღოტებოდა", დადიოდა, ტყესა და ღრეში დაყიალობდა. ზოგჯერ კიდეც ჩაუყუჩდებოდა ამ სილამაზეს და უსიტყვოდ ჭვრეტდა. ერთხანს ასე „იმარტოვებდა" (მისი სიტყვაა), სულს მოითქვამდა და ქალაქს ისე უბრუნდებოდა. უბრუნდებოდა ახალ-ახალი მოთხრობებით, ბოლო დროს კი თითქმის მხოლოდ შედევრებით.

მაგრამ ხაშმი მაინც სხვა იყო...

„ათეული წლებია, უჯარმაში ვატარებ ზაფხულის ორ თვეს მაინც. უჯარმას არასოდეს ვნახულობ სიზმრად, ხაშმში კი, კვირა არ გავა, იქ არ ვიყო, თან სულ მძიმე სიზმრებში! ხან ჩვენი ეზოს დიდი კაკალია გამხმარი და ტოტებჩამოლეწილი, ხან მღვრიე წყალია ბაღჩაში შევარდნილი, ხანაც სახურავი ენგრევა, ან უკვე ჩანგრევია ჩვენს სახლს. შიგაც არავინ არის, არც ჩვენთან, არც ბიძაჩემთან (ბიძამისის — გიორგის სახლი მათი სახლის გვერდით იდგა. ახლა ეს სახლიც აღარ არის). ვდგავარ ხოლმე ძირს და ვეძახი ჩემს ძმას, მერე ბიძაჩემ გიორგის. ხმას არავინ მცემს. ცივად და ბავად იყურებიან ფანჯრები. ამომიჯდება გული და ავტირდები"... — აი, რეზოს ტანჯვა-წამების კიდევ ერთი სურათი.

ახლა ის ამოღამებული ფანჯრებიც აღარსად არის.

უჯარმის ტყეში, რევაზ ინანიშვილის პატარა სახლიდან არც ისე შორს, ბებერი მუხის ქვეშ, სადაც რეზოს ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი გამოეცხადა, იყო მისი ხელით ნაკეთი ხის მაგიდა და პატარა სკამი სამუშაოდ. ახლა იქაც აღარაფერია, გაქრა... არავინ იცის, ვისი ხელით. ვერ გავუფრთხილდით, ისევე, როგორც „მშვიდობიან კვამლს მისი სოფლური სახლის სახურავზე" („ერთხელ, მთავრობის სახლის სხდომათა დარბაზში ვიღაცამ ქაღალდის ნაგლეჯი ჩადო ჩემს ბლოკნოტში. ეწერა: გაუფრთხილდით მშვიდობიან კვამლს რევაზ ინანიშვილის სოფლური სახლის სახურავზე. ქაღალდის ნაგლეჯი დაიკარგა. კიდევ კარგი, სიტყვები დამახსოვრებული მქონდა..." — „სამაგიდო რვეულები")...

❁❁❁

რეზოს მოთხრობებსა და ჩანაწერებში კარგად მოჩანან მისი ახლობლები: გიორგი პაპაზე უკვე ითქვა. ნინო ბებიას (მამის დედა — 1937 წელს შვილი რომ დაუპატიმრეს და თბილისში გახიზნულ ოჯახს არ გაჰყვა, ხაშმის სახლი არ მიატოვა, მტრის პირისპირ მარტო დარჩა) და რეზოს განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდათ („ბებია — ჩემი მზე")... დედა? დედას ერთგვერდიანი შედევრიც უძღვნა: წკვარამ ღამეში ხაშმის დაღმართამდე რომ გამოაცილა უკვე მოხუცმა და ძალაგამოლეულმა დედამ და მოლინჭყულ გზას ფარანის შუქით უნათებდა. მერეც, რეზო სადგურისკენ რომ დაეშვა, აღმართის თავზე უძრავად იდგა და ფარანიც ისევ ისე უძრავად ეჭირა. ვიდრე ხმას მიაწვდენდა, წადიო, ეხვეწებოდა რეზო, მაგრამ სადგურზე ჩასული, მატარებლის გასვლამდე, ხედავდა აღმართის თავზე დედის ფარანის უძრავ შუქს („ის იყო და ის, ცოცხალი აღარ მინახავს დედაჩემი... ნუთუ ფიქრობდა, რომ ცოტათი მაინც მინათებდა გზას. სამუდამოდ ხომ არ მეთხოვებოდა იმ ფარნით. დავუნთებ ხოლმე სანთელს, დავიჩოქებ, მაგრამ ვერაფრით ვშველი ჩემს დარდს...").

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წიგნებში მოჩანან რეზოს მეზობლები — კარგი მოქართულენი, შრომის და ჯაფის ადამიანები, მაინც სიკეთით სავსენი, მაინც მომლიმარნი, ვენახისა და მიწის ერთგულნი... მოჩანს ბავშვობის უბანი, თანატოლები... ძველი სახლები, ბებერი კაკლის ხეები, ივრის პირები... რაც მთავარია, აქ კარგად ჩანს რეზოს ცხოვრების წესი, ცხოვრების სტილი და მწერლური სტილი:

„რატომ ვწერ ფანქრით და ისიც ამსისქე რვეულში?...“

„თუ სხეულიც არ მთხოვს წერას, მაშინ ამაოა ყოველგვარი ცდა, არაფერი გამომდის...“

„სისადავე! სისადავე! სისადავე! ოი, რა ძნელია მიღწევა...“

„ყალბი მოკრძალების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ მე უკეთ და უკეთ ვწერ, მაგრამ უფრო და უფრო მიძნელდება დროის გამოგლეჯა წერისათვის. დილიდან საღამომდე ვარ სამსახურში, აქ რომ არ ვიარო, შიმშილით ამომხდება სული. ჩემს მოთხრობებში 15-20 მანეთს მიხდიან. ამ 15-20 მანეთის მიღებაზეც ზედ უნდა დაგანთხევინონ სისხლი“.

„მე ვეღარ ვახერხებ, ფიქრისა და წერისათვის მსახვრალ ცხოვრებას გამოვგლიჯო დრო და ეს დამღუპავს. არადა, რა საინტერესო რაღაცეებს ვხედავ ჩემს შიგნით, მხოლოდ ღრმად, როგორც მდინარის ფსკერზე“.

„ჩემგან მოითხოვენ, მიყვარდეს ის, რაც მთავარი იქნება მომავალში. ეს ძნელი საქმეა, მე მიყვარს, რაც ჩემს მამა-პაპას უყვარდა“ (პირდაპირი მნიშვნელობით — მამას და პაპას).

„მიტევს, საცაა, საბოლოდ დამიპყრობს ლექსი. მეჩვენება, რომ თანამედროვე კაცური საუბრის ყველაზე ღირსეული ფორმა ურითმო ლექსია“.

„ვიყავი ტაგანროგში, ვნახე სახლი, სადაც დაიბადა ჩეხოვი. შიგ რომ უნდა შევსულიყავი... აი, რა ჩავწერე შთაბეჭდილებათა წიგნში: „საშინლად შევარტყი თავი სახლის შუბლის ხეს. ნუთუ მაინცდამაინც მე დამჭირდა ასეთი გაფრთხილება, რომ ქედი მომეხარა შენს წინაშე“.

„მე მოწოდების მწერალი არა ვარ. მაშუშავეთ, თუკი საზოგადოებას სჭირდება, გნებავთ — ქვის მთლელად, თავისუფალ დროს კი მაწერინეთ, რას განიცდის ჩემი სული...“

„ვაი, ჩემო დაღუნულო მხრებო, რა ადამ გვიზიდნია სიმძიმეები უდრტვინველად! მივდივარ ჩამოცვენილ ყვითელ ფოთლებში და დუდუნით ვთხზავ რეკვიემს...“ (მითხარით, ნუთუ ეს პროზაა!).

აი, კიდევ რა აქცევს რევაზ ინანიშვილის დიდ წიგნს, „ერთადერთ რომანს“ მისი სულიერი ცხოვრების რომანად... და ამ რომანის კითხვა მეორედ, მესამედ და მეასედ შეგვაგრძნობინებს რევაზ ინანიშვილის სინათლით სავსე პიროვნებას.

❁❁❁

ზემოთ რევაზ ინანიშვილის ფაქიზი სმენა ვახსენე...

ერთი მინიატურა აქვს („სამაგიდოებში“) — „ლექსივით მკვრივი და მუსიკის შესაძლებლობებს შეჭიდებული“ (რადიოინტერვიუში თქვა ასე 1981 წელს — „ალბათ ადვილი შესამჩნევია, რომ მე მოკლედ თხრობის, მუსიკისა და ფერწერის შესაძლებლობებს შეჭიდებული მწერლობის თაყვანისმცემელი ვარ, მთელი ძალით მეწევა თავისკენ ლექსივით მკვრივი და მუსიკასავით მეტყველი ნოველაო“), თითქმის სიმაღლისკენ მიმქროლი — „გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით“:

„ჩემი მესერის ძირში სამი მშვენიერი ქამა სოკო ამოვიდა. ფრთხილად მოვჭერი, გავასუფთავე, გავფცქვენი, ტაფაზე შევწვი და ამ სოკოებით ვისადილე. ცოტ-ცოტა სოკო, ბევრ-ბევრი პური!

აპრილში, ხეხილის აყვავებამდე, ნარგიზები აყვავდნენ. მაისის დასაწყისში — ტიტები. ნარგიზებიც და ტიტებიც ძალიან ლამაზად ტოკავენ ქარში. აგვისტოს ბოლოს აყვავდება უამრავი ასტრა. მე მათი ღელვაც მიყვარს.

ნაწვიმარზე გამოდიან ხოლმე ლოკოკინები. აწეული აქვთ ანტენიანი თავები მაღლა და თითქოს რაღაც მუსიკას ისმენენ. მხვდება ბაღის მშვენიერი ანკარაც, კრიალა, ტყის სატაცურის ფერი. მიწაზე წევს ხოლმე, მიწაზე თავდადებული, მიწის ხმას თუ ისმენს. მოდის ყვითელნისკარტა შაშვიც, სკუპ-სკუპით დაივლის კვლებს, წამოჰკრავს, ჩაჰკრავს ნისკარტს ხან აქ, ხან იქ, ისევ წავა, წასკუპსკუპდება თავაწეული, ისიც სმენად არის ქცეული. საღამოს ზის სინათლის ბოძის წვერზე და გალობს. ნაშუალამევს მაღლა, გორაზე ტოროლები გადასძახიან ერთმანეთს.

გათენების ბინდბუნდში იღვიძებს მერცხალი. დაიწყებს ჟიკჟიკს. საამურ სიმშვიდეს ჰფენს ქვეყანას"...

აქ ყველაფერი გაფაციცებულია და სმენად ქცეული... უსმენს ზოგი რას და ზოგი რას, ეხმიანებიან კიდეც ერთმანეთს – ლოკოკინები, ტყის სატაცურის ფერი ანკარა, შაშვი... ნაშუადამევს – ტოროლები, გათენების ბინდბუნდში კი ჟიკჟიკებს მერცხალი...

მაგრამ ეს სულ რეზოა, მისი სმენაა გაფაციცებული ყოველი ჩქამის გასაგონად. ნარგიზები და ტიტები რომ ტოკავენ ქარში, ისიც კი ესმის, ესმის ასტრების მღელვარებაც... და ყოველივე მის არსებაში გარდაიქმნება მუსიკად.

აი, მე უკვე ჩემს მთავარ სათქმელს მივუახლოვდი (და ამით დავამთავრებ კიდეც):

„ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი..." გეჩვენება, რომ თავისი პირველი მოთხრობის („უცნობი") პირველი სტრიქონიდან („მე რომ უჯარმაში ჩამოვედი...") აქეთ ისწრაფოდა, ამ უცნაური შედევრისკენ.

ერთი შეხედვით, ეს ფერწერაა – ფერწერული სურათია. მაგრამ ფერწერა შეჩერებული წამია, აქ კი ასეთი წამი მრავალია, მრავალი ასეთი სურათია. ეს ფერებისა (და ხმების!) თავბრუდამხვევი, თვალწარმტაცი მოძრაობაა – სულ მაღლა და მაღლა მიმსწრაფი. ეს უკვე მუსიკაა, „მუსიკის შესაძლებლობებია". თვალით, სმენით, მთელი არსებით შეგრძნობილი რეზომ აქ უკვე მუსიკად აქცია!

„ბებერი მუხა აღერღილი იყო..." მაგრამ არა... ის, რასაც ამ წუთში ვგრძნობ, მკითხველსაც რომ ვაგრძნობინო, მთლიანად უნდა გადმოვიწერო ეს უცნაური ნაწარმოები, ესე იგი, მკითხველს მთლიანად უნდა მოვასმენინო ეს წარმტაცი მუსიკა! ამას კი ის თითონ უკეთ მოახერხებს.

აი, რა იპოვა რეზომ პროზაში, აი, რა შეაძლებინა პროზას (უთუოდ იცოდა, რომ იპოვიდა... როცა მუსიკის შესაძლებლობებს შეჭიდებული პროზაზე ლაპარაკობდა, უკვე იცოდა, რომ ნაპოვნი ჰქონდა)!

(„ჩემი წერითი კულტურის შემუშავებაში, გაღრმავებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის შოპენს. აბსოლუტური სიზუსტე და მეტყველების სიცხადე, თავგანწირვამდე მისვლა ყოველივე ამის განხორციელებისათვის... ასეთია შოპენი ჩემთვის" – ზემონახსენები რადიოინტერვიუ. 1981 წელი).

(„ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი" კვლავ საოცარი სიცხადით, ისე, რომ სილამაზის არცერთი ნიუანსი არ დაუკარგავს, არცერთი ბგერა, არცერთი ხმა, არცერთი ფერი, წაიკითხა რადიოში თენგიზ არჩვაძემ და ეს ჩანაწერიც რადიოს „ოქროს ფონდში" ინახება.)

რეზო ამის შემდეგ სულ სხვა გზაზე უნდა გასულიყო. გავიდა კიდეც, რა თქმა უნდა... თუმც, ყველაფერი კიდევ სხვაგვარად იქნებოდა, რომ არა – ყოფა! მერე კი უცნაური სენი, რამაც ყველაფერი ძალიან ადრე დაამთავრა.

ყოფა! ვერა და ვერ დააღწია თავი ყოველდღიური ყოფის ტვირთს! („რაც უნდა წიგნი მქონოდა წასაკითხი, ანდა დასაწერი, ვტოვებდი, რათა დროზე მიმეხედა ჩემი სამსახურისა და ვენახისათვის. ვფიქრობ, აქედან მოდის ურღვევი ჩვევა, სწრაფად წავიკითხო ჩემი წასაკითხი, სწრაფად ჩავიწერო ჩემი ჩასაწერი. დღესაც მუდმივად მდევს რაღაც გაფრთხილება, რომ მე უფლება არა მაქვს, მთლიანად მივეცე კითხვასა თუ წერას..." – „სამაგიდო რვეულები").

„არავის უნდა მებაღე?" – სწორედ მაშინ აღმოხდა სასოწარკვეთილს, აღმოხდა ერთგვარი შვებითაც, რადგან თითქოს ხსნის გზა იპოვა...

მაგრამ მებაღე არავის უნდოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგელ დე უნამუნო

დროისა და სივრცის მიღმა

„მე რომ არ გეუბნებოდეთ იმას, რაც უკვე თქვენი სულის სიღრმეშია ჩაბეჭდილი, თუმცა კი შეიძლება ეს თქვენ თვითონაც არ იცოდეთ, განა მე წამიკითხავდით? ერთი სიტყვით, ვცდილობ თქვენი სულის ბნელი თუ ბუნდოვანი ნააზრევი რაღაც ფორმაში მოვაქციო და თუ ჩემი ნათქვამი ზოგჯერ კიდეც გაგაბრაზებთ და აღგაშფოთებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მართლაც შევხებივარ თქვენი ცნობიერების ნაოჭებსა და ხვეულებში ღრმად მიმალული წამების მიზეზს!.. მე მინდა ფილოსოფიაზე ვწერო იმ ენით, როგორც ჩვეულებრივ გვთხოვენ ხოლმე, ერთი ფინჯანი ყავა დამალევინეთო, ანდა როგორც საუბრობენ მოსავალზე, თუ სხვა ოჯახურ წვრილმან საკითხებზე...“.

„მართალი გითხრა, დიდად არა ვარ აღფრთოვანებული ამ დემოკრატიებით, მაგრამ ახლა ეს უკვე გარდუვალია. როგორც ვხედავ, დემოკრატია რაღაცნაირად თითქოს ომსაცა ჰგავს, ცივილიზაციასაც, ანდა თვით არსებობასაც კი!... რაღაც გარდუვალი ბოროტებაა და ეგ არის; ან უნდა აღიარო, ან არადა, დაილუპო. დემოკრატია გაცილებით მეტ ვალდებულებებსა და მოთხოვნილებებს გვიყენებს, ვიდრე პრივილეგიებსა და უფლებებს გვიწყალობებს. პირველი, რასაც იგი გვაკისრებს, არის ჩვენივე დაინტერესება და ჩვენივე მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეში, რასაც res-publica-ს ვუწოდებთ.“

„დროა ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას ერთი კარგი გამოცდა მოვუწყოთ და როგორც ნამდვილ ესპანელებს შეგვფერის, საკუთარ თავს ვკითხოთ, მაინც რა ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გარდაქმნის იმ იდეებს საერთოდ, და, კერძოდ, ჩვენთვის, სულ რომ ენაზე გვაკერია დიდსა თუ პატარას.

ორად ორი სიტყვით კი შეიძლება იმის გადმოცემა, რასაც ჩვენი ხალხისაგან მოითხოვენ, რასაც ჩვენი ხალხი მოითხოვს და გააზრება იმისი, რაც მოვითხოვეთ; ეს ორი სიტყვა გახლავთ „ევროპულობა“ და „თანამედროვეობა“. „უნდა გავხდეთ ევროპელები!“ „უნდა გავხდეთ თანამედროვეები!“ „აუცილებელია ვიყოთ თანამედროვეები!“ „აუცილებელია ფეხდაფეხ მივსდიოთ საუკუნეს!“ „საჭიროა გაევროპელება!“ ასეთია ზოგადად ეს მოთხოვნები“.

„განა მართლა ასე არ არის, განა ჩვენ, ესპანელები სულიერად ვეპუებით ამ ეგრეთწოდებულ თანამედროვე კულტურას? და თუ ნამდვილად ასეა, ამიტომ უნდა დაგვჯაბნონ? ამიტომ არ შეგვიძლია ვიცხოვროთ და მოვკვდეთ, — მითუმეტეს, მოვკვდეთ, — ღირსეულად ამ ყბადაღებული კულტურის გარეშე?

ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ მაინცდამაინც გულხელდაკრებილები, უქმად ვისხდეთ-მეთქი, უბირები და რეგვენები დავრჩეთ-მეთქი, არა, იმისათვის რომ სულიერად ავმაღლდეთ, გავიზარდოთ, სიამაყე შევინარჩუნოთ, გავკეთილშობილდეთ და ზენაარის მადლს ვეზიაროთ, სხვა გზაც არსებობს და სულაც არ გვჭირდება მათი კულტურის დახმარება. დარწმუნებული ვარ, ჩვენი სიბრძნის დამკვიდრებას მათი მეცნიერების გარეშეც კარგად მოვახერხებთ, ეგ არის მარტო ერთ რაიმე საშუალებად თუ გამოვიყენებთ, ოღონდ თვალი ფხიზლად უნდა გვეჭიროს, ჩვენ სულს არაფერი ვავნოთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მართლაც ძლიერი პოლიტიკური ციებცხელების დროს ისე ჩანს ხოლმე, თითქოს ხელოვნება, მეცნიერება, კულტურა, ყველაფერი ჩრდილში მოექცევა, ანდა განვითარებას შეანელებს. თითქოს გახურებულ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაფლული სულები კარგავენ ყოველგვარ ინტერესს ცხოვრებისა და კულტურის სხვა პრობლემებისადმი, მაგრამ ეს პრობლემები ღვივდება პოლიტიკური გამოცოცხლების პროცესში და შემდგომ“.

„... პოლიტიკა ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო თვალთახედვის წერტილია, როცა გინდათ რაიმე პრობლემას პირდაპირ შეხედოთ.

მეორეს მხრივ, ცხადია, რომ შეიძლება დაინტერესდე და აქტიურადაც ჩაება პოლიტიკაში და ამავე დროს შენი ქვეყნის არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდე“.

„იდეალის გრძნობასთან ერთად გაქრა რელიგიური გრძნობაც და ალბათ მარტო ხალხის წიაღშიღა თვლემს. ნეტავი ეროვნული სულის რომელ კუნჭულში გაიტრუნა ის რელიგიური იდეალი, ასე რომ ჩქეფდა მისტიკაში და თავისუფლების სანუკვარ ლტოლვას აღვივებდა მაშინ, როცა ერს სიცოცხლე სწყუროდა! და დღემდე შემოგვრჩა ნაკლები შინაგანი თავისუფლება, ვიდრე ჩვენი განთქმული ფანატიზმის ეპოქაში გვქონდა...“.

„იყვენით თქვენ სრული, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს,“ — გვიბრძანა ქრისტემ და თუმცა ეს მიუწვდომელი იდეალია, სწორედ ამ მიულწეველით დაუდო ზღვარი ჩვენს შესაძლებლობას. და ასეცაა, იტყვიან თეოლოგები ჩვეული შემწყნარებლობით, მე კი მაინც ჩემსას ვეცდები და ვიბრძოლებ, სანამ სული მიდგას და ძალა შემწევს, გამარჯვებაზე არც ვიფიქრებ, მაგრამ განა არსებულა კი ოდესმე ჯარი, თუნდა ხალხი, დამარცხებამდე რომ დაეყარა ფარხმალი? ან თუ საქებარ-სადიდებლად გაგვიხდია ვინმე, სიცოცხლის ფასად რომ დანებებია მტერს. მაშინ ეს ყოფილა ჩემი რელიგიაც!“.

„საკმარისია ვინმემ რომელიმე დარგში თავი გამოიჩინოს, რომ მაშინვე შმაგი სიძულვილით ხომ შეიძულებენ, მაგრამ არც თავს შეიწუხებენ, შური მაინც დამალონ. უთუოდ ამის გამოა, ყველას ერთი საზომით რომ ზომავენ და იმას, ვინც თუნდაც ერთი გოჯით ასცდება ამ ერთნაირად გადაკრეჭილ ფარას, მას აღარც კეთილ სალამს აღირსებენ და აღარც გაბოროტებულ მზერას მოაკლებენ“.

„აი, შურის კიდევ ერთი მუხანათური ხრიკი; საქებარსა და საძრახისს თანაბრად გაუნაწილებენ ხოტბა-დიდებას და სწორედ ამით გაუტოლებენ ერთმანეთს. იმ ხალხს, ვისაც შური ღრღნის, ქებაც არ დაეჯერება! აკი სულ იმას გავიძახი, თუ ჩვენში გაიგონებთ, მავანი და მავანი ქებით ცაში აჰყავთო, მაშინვე თქვენს თავს ჰკითხეთ, ვის წინააღმდეგაა ეს ქება მიმართული. ისეც ხდება, რომ თვითონ საქებარს უმიზნებენ, მაგრამ შეიძლება ვინმე სხვასაც!“.

„ნეტავი საიდანა გვაქვს შურის ეს ამაზრზენი განგრენა? ჩემის აზრით, გონებრივი უქნარობისგან, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგჯერ ეს უქნარობა — თუნდ გონებრივი და თუნდაც სულიერი — იმ ადამიანებსაც სჭირთ, ვინც პრაქტიკულ ცხოვრებაში საკმაოდ გამჭრიახია და კიდევ იმათაც და უფრო იმათაც, განათლებულ ადამიანებად რომ ნათლავენ; ისიც უნდა ითქვას, რომ უმეტესწილად შურიანებად განსწავლული ხალხია მიჩნეული, მაგრამ ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ მათი გონებრივი მოღვაწეობა მხოლოდ ცუდად შენიღბული უქნარობაა“.

„ხოლო რაც შეეხება დემოკრატიას, განა ამქვეყნად ათენელებზე უფრო შურიანი ყოფილა ვინმე? განა მათ არ გამოიგონეს ოსტრაკიზმი! ძველი ელადის ღმერთებს ბედნიერი მოკვდავებისაც კი შურდათ. ესეც არ იყოს, ძველბერძნული სიტყვის phthonos-ის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ შურის შესატყვისს ძნელად მონახავთ სხვა ენებში სრულად და ზუსტად რომ გამოხატავდეს მის სიღრმისეულ აზრს“.

❖❖❖

„შურს ზერელე გონება და ღრმა შინაგანი ცხოვრების სიმწირე ბადებს“.

❖❖❖

„დემოკრატია თავადვეა შურიანი. სწორედ შურმა წააქეზა დემოკრატიული რესპუბლიკები, ტიტულები, საპატიო წოდებები და ორდენები რომ გააუქმეს და ამით კიდეც ამაყობდნენ; თუმცა გრაფებისა და მარკიზების ადგილი გენერლებმა და მეცნიერებათა დოქტორებმა დაიკავეს...“.

❖❖❖

„...მხოლოდ მაშინ, თუ გავუღებთ სარკმელს ევროპიდან მონაბერ ქარს, აღვივსებით კონტინენტური სულით, შევინარჩუნებთ რწმენას, რომ ამასთან ერთად არ დავკარგავთ ჩვენეულ პიროვნულობას და თუკი ვეზიარებით ევროპეიზაციას, ამით შევძლებთ ავაღორძინოთ ესპანეთი და თუ კიდევ ჩავყვინთავთ და გავითქვიფებით ხალხშიც, ერთიანად გადავახალისებთ ამ მორალურ უდაბნოს...“.

❖❖❖

„ხმამაღლა, ყველას გასაგონად უნდა ითქვას, რომ მდაბიო მაინც მდაბიოდ დარჩება, რაც უნდა ეცადოს და გარეგნულ სინატიფესა და ბრწყინვალებას მიაღწიოს, გინდაც პარიზული უკანასკნელი მოდის მიხედვით მოირთოს და მოიკაზმოს, მდაბიო მაინც მდაბიოდ დარჩება, სანამ მისთვის ცხოვრების უმაღლესი მიზანი პარიზული მოდა იქნება“.

❖❖❖

„საბედისწეროდაა გათიშული ჩვენში მეცნიერება და ხელოვნება და მათ წარმომადგენელთა შორისაც ღრმა უფსკრული ძევს. ამ გაბღენძილსა და გაფხორილ მეცნიერებს, მოლაყბეებს, ყველაფერს რომ სერიოზულად უყურებენ, მხატვრული გემოვნება და სილამაზის გრძნობა ღალატობთ, ხოლო ლიტერატორებს ჭეშმარიტად მეცნიერული კულტურა აკლიათ...“.

❖❖❖

„კულტურის მხრივ ისეთ დღეში ვართ, როგორშიც არის ხოლმე ვაჭრობა მიყრუებულ სოფელში, სადაც ერთადერთი მაღაზიაა და ყოველგვარი საქონელი იქ იყიდება“.

❖❖❖

„მაგრამ დასაგმობი კი არის ყველა, ვინც თავისთავს სხვისი მიბაძვით ძერწავს, ვინც უარს ამბობს საკუთარ თავზე, რათა გახდეს სხვა, ანუ ის, ვინც სანიმუშოდ და მისაბაძად მიაჩნია. მაგრამ ვაი რომ ასეთი კაცი აღარც თავისთავადი რჩება და ვეღარც ის გახდება ვისაც ბაძავს...

...დიახ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ესპანეთის ჭეშმარიტი და ძირფესვიანი ევროპეიზაცია — ასე ვთქვათ, სანამ ევროპის მარგ ნაწილს არ შევირგებთ და ჩვენად არ გარდავქმნით, — მანამდე არ დაიწყება, სანამ ჩვენ თვითონ არ ვეცდებით და მათ არ გავაგებინებთ, ჩვენს გემოს, სანამ არ ვეცდებით და არ გავაესპანურებთ ევროპას.“

❖❖❖

„ახლა ჩვენი ხალხისაც ვთქვათ, რატომ ვართ ასე მონდომებულები, რომ გავიმრუდოთ ეს ჩვენი შინაგანი ბუნება და უარი ვთქვათ იმაზე, რაც ბუნებითვე გვაქვს მომადლებული, ჩვენ კი სხვა რაღაცას ვეპოტინებით?

ჩვენი ხინჯი, — ანუ ის, რაც სხვებს მიაჩნიათ ჩვენს ხინჯად, — სწორედ რომ ჩვენი უპირატესობაა, ის, რაშიც სხვები ჩვენს წუნს ხედავენ და კიდეც დაგვცინიან ამისთვის, სწორედ რომ ჩვენი ღირსების ფუძეა. როცა კაცმა თავისი სიძუნწის ამბავი იცის, ისიც კარგად ესმის, რას ნიშნავს სიძუნწის ეთიკა და კეთილშობილური ხელგაშლილობის ფასსაც ხვდება, მაგრამ თუ თავის ამ ნაკლს ვერ სძლია, ისევ საკუთარ თავს ავნებს, და ასეთი კაცისგან სიკეთეს არ უნდა ელოდე, იგივე ითქმის ხელგაშლილზეც; როცა მან იცის თავისი ხელგაშლილობის ამბავი, კეთილშობილური გულუხვობის ეთიკაც არ არის მისთვის უცხო, მაგრამ თუ ამ ეთიკას გადაუხვევს, კვლავ თავის საკუთარ თავს მოუტანს ზიანს და არც მისგან უნდა ელოდეს კაცი დიდ სიკეთეს. ხოლო რაც ხდება ეთიკის სფეროში, იგივე ხდება ესთეტიკის სფეროში, რაც ხდება ინდივიდში, იგივე ხდება ხალხშიც“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რატომღაც ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, — ბევრს მაინც, — საკუთარი სული გავიმრუდოთ გარეშეთა მიბაძვით, ქომაგი და მისაბაძი რომ გვგონია და ვცდილობთ, როგორმე მივემსგავსოთ, მაგრამ არაფერი გამოგვდის, ვერც იმათ ვემსგავსებით, ვისაც ვბაძავთ და ვერც თავისთავადნი ვრჩებით. აქედან კი იბადება შემზარავი სულის ნაჯვარი, თითქმის უნაყოფო ჰიბრიდი“.

„სადაც ახალგაზრდობა არ არის, იქ არც ერთიანობის ჭეშმარიტი სული ტრიალებს, ცხოვრების უკიდეგანობა, ენერგიის უსაზღვროება რომ ბადებს ხოლმე, კალაპოტში რომ ვეღარ ეტევა და ნაპირებზე გადმოდის. ჩვენშიც წარმოიქმნება საზოგადოებები, მაგრამ მაშინვე ქვავდება, რადგან ურთიერთობის დამყარების უუნარობა ჩვენი ერთი მთავარი თვისებაა.“

„ღმერთმა ინებოს, ნამდვილმა ახალგაზრდობამ, თამამმა და თავისუფალმა გაგლიჯოს ყულფი, ყელში რომ გვაქვს წაჭერილი და გვაბრჩობს, ბოლო მოუღოს ამ ერთფეროვნებას, ამ გამაუსახურებელ ერთფეროვნებას, გულით მოეკიდოს ხალხის შესწავლის საქმეს, ხალხისა, რომელიც არის ჩვენი ყველას საყრდენი“.

„ჩვენი ინტელექტუალური თუ მორალური ცხოვრების წიაღში არ არის ცოცხალი ნაკადი, ეს უფრო ხავსმოდებულ გუბესა ჰგავს, ვიდრე მჩქეფარე წყაროს, შიგ რომ ქვა ჩააგდო, ოდნავ თუ შეარხევს მის ზედაპირზე ლემნას, ანდა ფსკერიდან თუ წამოშლის ლამს და წყალს აამღვრევს, ასე რომ, ძალისმომგვრელი ატმოსფეროს მიღმა გადაჭიმულია სულიერი უდაბნო, შემზარავი უნაყოფობა, არსად არ იგრძნობა სიგრილე და სიცოცხლის სხვა ნიშანწყალი, არ არის ახალგაზრდობა“.

„აი, რა არის საშინელი სათქმელი — არა გვყავს ახალგაზრდობა. ახალგაზრდები კი გვყავს, როგორ არა, მაგრამ ახალგაზრდობა არა გვყავს, არა გვყავს იმიტომ, რომ ფარულმა ინკვიზიციამ და ბებრულმა ფორმალიზმმა გასრისა იგი. ევროპის სხვა ქვეყნებში ფრიდადრო მაინც გაიელვებენ ხოლმე ახალ-ახალი, თუნდაც უმეტესწილად ცთომილი ვარსკვლავები, გაელვებისთანავე რომ ქრებიან, თითო ღღის კერპებიც გამოჩნდებიან და სეზონის გენიოსებიც, ჩვენში კი ვერც ამას ნახავ, სულ ერთი და იმავე ფრაკებში გამოწყობილი ერთი და იგივე ფრანტები ირევიან“.

„ჩვენი ეროვნული უბედურება, სხვათა შორის, იმდენად სიღარიბე არ არის, რამდენადაც ყოყლოჩინობა, არავინ შეგვატყოს, ღარიბები ვართო...“.

„დაე, ნურასოდეს გახდება შენი წარსული შენივ მომავლის ტირანი...“.

„მუდამ თვალი გეპყრას მომავლისკენ. არ დაივიწყო, მარტოოდენ მომავალია თავისუფლების სამეუფეო; რადგან თუკი რამ გაგეპარება დროში, უკვე მის სარტყელს მიეკვრება, არც წარსული შეიძლება იყოს სხვანაირი და არც აწმყო, რაც არის, ის არის, მხოლოდ მომავალი შეიძლება იყოს სხვანაირი. დაე, შენი წუხილი შენივ ნამოქმედარის გამო იყოს იმის საწინდარი, რომ მომავალში უკეთესს მოიმოქმედებ; ყოველგვარი სხვა სინანული სიკვდილია და მხოლოდ სიკვდილი. შეიძლება მიენდო წარსულს, ოღონდ რწმენა კი მხოლოდ მომავლისა გქონდეს, მხოლოდ თავისუფლებისა.“

„საკუთარ თავს ნურც სხვაზე მეტად მიიჩნევ და ნურც ნაკლებად, ნურც თუნდაც სხვის ტოლად, რადგან ჩვენ ადამიანები ვართ და არა ციფრები, თითოეული ჩვენგანი ერთადერთია და შეუცვლელი...“.

„ჩაიძირე საკუთარ თავში, რათა უფრო უკეთ უძღვნა შენი თავი სხვებს მთლიანად და განუყოფლად. „აჰა, გწირავთ ყველაფერს, რაც გამაჩნია!“ — იტყვის გულუხვი. „აჰა, გწირავთ ყველაფერს, რადაც ვღირვარ!“ — იტყვის თავდადებული. „აჰა, გწირავთ ყველაფერს, რაც ვარ!“ — იტყვის გმირი. „აჰა, გწირავთ ჩემს საკუთარ თავს!“ — იტყვის წმინდანი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

⌘⌘⌘

„დიახ, სწორედ რომ ესპანელი ვარ, ესპანელი ვარ წარმოშობით, აღზრდით, ესპანელი ვარ სულითა და ხორცით, ენით, საქმიანობით, პროფესიით, ესპანელი ვარ უწინარეს ყოვლისა და ყველაფრის მიუხედავად, ესპანიზმი არის ჩემი რელიგია, თვით ეს ცა, ასერიგად რომ მწამს, მარადიული და ვარსკვლავინი, ესპანეთია, ჩემი ღმერთი ესპანელი ღმერთია, ჩემიცა და სენიორ დონ კიხოტესიც, ღმერთი, რომელიც ესპანურად ფიქრობს და ესპანურადვე თქვა: „იქმნენ ნათელი“ და მისი სიტყვა იყო ესპანური სიტყვა...“.

⌘⌘⌘

„ეგებ მე არცთუ დიდად მიუკერძოებელი შემფასებელი გახლდეთ და ისიც კარგად მესმოდეს, რომ ეს შედარებაც სრულიად უადგილოა, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, მირჩევნია, ჩემს კიხოტესთან დავრჩე, ჩემს ველასკესთან, ჩემს ელ გრეკოსთან და ჩემს გოიასთან, ვერც ბურდოს ღვინო მომხიბლავს და ვერც არკაშინოს ხამანწკები, ვერც რასინი გადამიბირებს და ვერც დელაკრუა...“.

⌘⌘⌘

„ერთია იცხოვრო ისტორიაში, მეორე — იცხოვრო მარადისობაში“.

⌘⌘⌘

„ჩვენი გადარჩენა ან დაღუპვა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რანიც ვართ, ან ვიყავით, არამედ იმაზე, რანი გვინდოდა ვყოფილიყავით“.

⌘⌘⌘

„დიდი ქალაქის ქუჩებში უფრო მალე დაკარგავ შენს „მე“-ს, ვიდრე უკაცურსა და უდაბურ ადგილზე“.

⌘⌘⌘

„ავტორის ინდივიდუალობა არ ჩანს მხოლოდ საშუალო მწერლის ნაწარმოებებში და მარტო იმიტომ, რომ არც გააჩნია. ხოლო ის, ვისაც გააჩნია, ეს ყველაფერში ვლინდება, რასაც კი შეეხება და რაც უფრო მალავს, მით უფრო აშკარად ჩანს“.

⌘⌘⌘

„ყეყეჩთა შორის უფრო დიდი ყეყეჩი იხაა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არც იტყვის და არც ჩაიდენს სისულელეს“.

⌘⌘⌘

„ერთი რამ სულ უნდა გახსოვდეთ, ეს ძველი, ფილოსოფიური ანდაზაა: „ამქვეყნად მიიღებ იმდენს, რასაც შენ თვითონ შესძენ მას და მეტს ვერაფერს“.

⌘⌘⌘

„დიახ, მე უნივერსალიზმს ვემხრობი, მაგრამ მდიდარსა და ყოვლისმომცველ უნივერსალიზმს, სხვაობათა მეტოქეობისა და შეჯახებების შედეგად რომ იბადება. აქ, ქვემოთ, საორკესტრო ორმოში მხოლოდ საკრავთა შეუწყობელი ხმები გვესმის, მაგრამ იქ, ზემოთ, ხელოვნების ზეცაზე ჰარმონიულ სიმფონიად აღწევს და მასში სწორედ ერებს, ენებსა და ქვეყნებს შეაქვთ თავიანთი ნოტები, თითოეული თავის საკუთარ სიმს აჟღერებს და ყოველ სიმს თავისი საკუთარი და განსხვავებული ჟღერადობა აქვს...“.

⌘⌘⌘

„მე რომ წიგნის ჭია ვყოფილიყავი, — როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, — მე რომ ამდენი არ მეხეტიალა, ყოველ შემხვედრთან გზადაგზა ბაასი არ გამება, ათასჯერ მაინც არ გამრუჯოდა მზეზე სახე, ნუთუ გგონიათ, ასე ხელუხლებლად შევინარჩუნებდი იმ დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი, რომელსაც როგორც ამბობენ, სიშმაგემდე მივყავარ?.. არა, წიგნებმა კი არა, მთხზველებმა კი არ მასწავლეს სამშობლოს სიყვარული, მე თავად ფეხით შემოვიარე მთელი ქვეყანა, მოკრძალებით შევიჭვრიტე მის ყოველ კუთხე-კუნჭულში... სწორედ ეს გასეირნება-ლაშქრობა საკუთარ ქვეყანაში გვასწავლის სამშობლოს სიყვარულს!..“.

⌘⌘⌘

„ჩემში, ვითარცა მშობლიური ცის ქვეშ ბინადრობს ჩემი ესპანეთი“.

ესპანურიდან თარგმნა
მერი ტიტვინიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთარგმნელისაგან

მიგელ დე უნამუნო ი ხუგო დაიბადა 1864 წლის 29 სექტემბერს, ბილბაოში, ბასკეთში, ბასკი კომერსანტის ოჯახში. ყმაწვილობაში ბერად შედგომას აპირებდა, მაგრამ შემდეგ სწავლა განაგრძო მადრიდის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, სადაც მის ყრმობისდროინდელ რწმენას მეცნიერულმა რაციონალიზმმა შეურყია საფუძველი. 1884 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ბასკების წარმოშობისა და წინაისტორიის პრობლემისათვის", დაბრუნდა მშობლიურ ბასკეთში და ბილბაოს საშუალო სკოლაში ლათინური ენის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა; აქვე, ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა პირველ სტატიებსა და ნარკვევებს. 1891 წელს ცოლად შეირთო ბასკი ქალი, ბავშვობის შეყვარებული, კონსეპსიონ (კონჩა) ლისარაგა, ეყოლათ რვა შვილი. დონ მიგელი სიცოცხლის ბოლომდე იყო ერთგული მეუღლე და მზრუნველი მამა. სალამანკის უნივერსიტეტში წლების მანძილზე იყო ბერძნული ენისა და ლიტერატურის პროფესორი, ხოლო 1901 წლიდან ამავე უნივერსიტეტის რექტორი. მონარქიის წინააღმდეგ გამოსვლებისთვის არაერთხელ აუკრძალეს ლექციების კითხვა და რექტორის თანამდებობიდანაც გადააყენეს, განსაკუთრებით გართულდა მისი მდგომარეობა, როცა ხელისუფლების სათავეში მოექცა სამხედრო დიქტატორი პრიმო დე რივერა. უნამუნომ გამოაქვეყნა სტატიები, რომელშიც ამხელდა მილიტარიზმს და საერთოდ, ქვეყანაში გამეფებულ რეჟიმს. მკაცრი აკრძალვებისა და ცენზურის პერიოდში ეს მართლაც სენსაციური ამბავი იყო. საზოგადოებას იმედი ჰქონდა, რომ ესპანეთის ხელისუფლება მოერიდებოდა სახელგანთქმულ მოღვაწეს და თავს არ შეირცხვენდა ცივილიზებული სამყაროს წინაშე, მაგრამ დონ მიგელი გადაასახლეს კანარის კუნძულებზე, ფუენტევენტურაში, სადაც დაჰყო 1924 წლამდე და საიდანაც გადავიდა საფრანგეთში. პარიზში ერთხანს ცხოვრობდა, შემდეგ ესპანეთის საზღვრის ახლოს ანდაიში (1926). ესპანელი ხალხის მოთხოვნით და ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა მხარდაჭერით (პროტესტს ხელს აწერდნენ რ. როლანი, ა. აინშტაინი, თ. მანი და სხვა.) პრიმო დე რივერამ შეიწყალა, მაგრამ უნამუნომ ნებაყოფლობითი გადასახლება არჩია და სამშობლოში მხოლოდ დიქტატურის დამხობის შემდეგ დაბრუნდა. 1930 წლის 9 თებერვალს ანდაის მერის წინამძღოლობით ფრანგების დიდმა ჯგუფმა იგი სასაზღვრო ხიდამდე მიაცილა შეძახილებით „გაუმარჯოს ესპანეთს!". ასეთივე შეძახილებით შეეგებნენ მას თანამემამულენიც და სალამანკამდე მიაცილეს, ყოველ სადგურზე აღფრთოვანებული ხალხი ხვდებოდა. 1931 წელს თვალცრემლიანი მწერალი მიესალმა რესპუბლიკას, რესპუბლიკამაც დიდი პატივი მიაგო სახელგანთქმულ მწერალსა და ფილოსოფოსს, აირჩიეს სალამანკის უნივერსიტეტის მუდმივ რექტორად, სალამანკის საპატიო ალკალდად, კორტესების დეპუტატად, აკადემიკოსად, მაგრამ არ გასულა ორი წელი, რომ უნამუნო ეჭვებმა შეიპყრო, რესპუბლიკის პირობებში კლასობრივი ბრძოლის შიშმა დაფრთხო. მას კარგად ესმოდა, რომ საჭირო იყო ბრძოლა და კიდეც იბრძოდა დიქტატურის, ტირანიის, კლასობრივი დაყოფის წინააღმდეგ, მაგრამ სისხლისღვრა თავზარს სცემდა, შიშობდა, რომ რესპუბლიკა, სახალხო ფრონტი ქვეყანას სიმშვიდესა და თავისუფლებას ვერ მოუტანდა. სწორედ ამ ხანებში მისი ყურადღება მიიპყრო ყოფილი დიქტატორის შვილის, ესპანური ფაშიზმის ბელადის ხოსე ანტონიო პრიმო დე რივერას გამოსვლებმა. უნამუნო ერთხანს დაიბნა, თუმცა კი იტალიური და გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ მძაფრი პროტესტით გამოდიოდა, რესპუბლიკას მაინც განუდგა და რესპუბლიკამაც სამაგიერო მიუზღო და ახლა მან გადააყენა რექტორის პოსტიდან. მაგრამ როდესაც პროპაგანდისტული ტურნეს დროს პრიმო დე რივერა თავისი ამალით მას სალამანკაში ესტუმრა, როგორც ამ შეხვედრის ჩანაწერებიდან ჩანს, უნამუნო საშინლად დამცირებული და დათრგუნული დარჩენილა; „არ მინდა დავიჯერო, რომ უცხოელი თანამოაზრეების მსგავსად თქვენც უკიდურესობამდე მიხვალთ კულტურის უარყოფის საკითხში"-ო – უთქვამს უნამუნოს, რაზეც პრიმო დე რივერას უპასუხია – „აქ, უნამუნოს სალამანკაში, მე მინდა ყველამ გაიგოს, რომ ესპანელობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული რამაა ამქვეყანაზე!". უნამუნო კი თურმე ისევ თავისას იმეორებდა – „კარგი, ოღონდ რასიზმის გარეშე! ადამიანი!... ადამიანი!".

ამის შემდეგ უნამუნომ კვლავ დაიმსახურა ახალი მთავრობის ნდობა, მაგრამ როგორც კი რესპუბლიკელების რეპრესიები დაიწყო, 11 დეკემბერს უნივერსიტეტში „ესპანური რასის დღესასწაულისადმი" მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ფრანკოს მეუღლე, გენერალი მილიან ასტრაი და ეპისკოპოსი, უნამუნო გამოვიდა და განაცხადა – „თქვენ შეიძლება გაიმარჯვოთ, რამეთუ თქვენს ხელთაა ძალა, მაგრამ ვერ დაგვარწმუნებთ. იმისათვის, რომ დაგვარწმუნოთ, საჭიროა აზრი და უფლება ბრძოლისა, ის, რაც თქვენ არ გაგაჩნიათ! მე მგონია, უსარგებლოა გთხოვოთ, იფიქროთ ესპანეთზე! მე ყველაფერი ვთქვი!". ამაზე გენერალმა უპასუხა – „სიკვდილი ინტელიგენციას! გაუმარჯოს სიკვდილს!".

ახლა უკვე ფრანკოს ბრძანებით უნამუნო კვლავ გადააყენეს რექტორის თანამდებობიდან. პროტესტის ნიშნად იგი განცალკევდა, ჩაიკეტა საკუთარ სახლში და სიკვდილამდე აღარც გამოსულა. ერთ თავის უკანასკნელ ლექსში წერდა: „ჩემი სახლი, ჩემი საბედისწერო ციხე!". ერთ დღეს, ეს იყო 1936 წლის 31 დეკემბერი, უნამუნოს ძველი კოლეგა, პროფესორი ბარტოლომე არაგონი, უკვე ფალანგისტი, ესტუმრა; უნამუნოს უთქვამს, მადლობელი ვარ ლურჯი ხალათით მაინც რომ არ მობრძანდიო; ეტყობა, მათ შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხარე კამათი გაიმართა, ცოტა ხნის მერე მისი კაბინეტიდან შეშინებული გამოვარდნილა არაგონი, — არ მომიკლავსო! — ყვიროდა თურმე.

ერთ ფრიად საინტერესო დაკვირვებას გამოთქვამს ცნობილი ესპანელი ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, რამონ მენენდეს პიდალი: ესპანეთში ხელოვნება აღიქმება როგორც ცხოვრებისეული იმპულსი და არა როგორც პროფესია; აქ იშვიათია მწერალი, რომელიც მარტო ლიტერატურულ მოღვაწეობას სჯერდებოდეს; ლიტერატორი უწინარესად მოქმედების ადამიანია, თვით დიდი მისტიკოსი მწერლებიც კი მჭვრეტელობითს ცხოვრებასთან ერთად აქტიური მოღვაწეებიც იყვნენ, მაგალითად წმინდა ტერესა და ხუან დე ლა კრუსიც კმარა; ხოლო ესპანეთში ხმალი და კალამი ანტითეზა რომ არ არის, ამის მაგალითია მიგელ დე სერვანტესი, ლოპე დე ვეგა, კალდერონი, დონ ხუან მანუელი, მარკიზ დე სანტილიანა, ხორხე მანრიკე, ერსილია, ანტონიო მაჩადო და თვით მიგელ დე უნამუნო. სწორედ ამ გზით წარიმართა კიდეც დონ მიგელის, როგორც მას სიყვარულითა და პატივისცემით ახსენებენ, — ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედებაც.

ფილოსოფოსი, ბრწყინვალე ესეისტი, პოეტი, კრიტიკოსი, სიცოცხლეშივე ლამის ლეგენდად და, თუ შეიძლება ითქვას, ამოუცნობ და გადაუჭრელ პრობლემად იქცა, მას უწოდებდნენ რევოლუციონერსაც და ანარქისტსაც, განყენებულ მჭვრეტელსაც და აქტიურ პოლიტიკოსსაც, ირრაციონალიზმის ქომაგსაც და ინტელექტუალიზმის ქადაგსაც, ინდივიდუალისტს, პერსონალისტს, პიროვნების ფილოსოფიის მამამთავარს, საუკუნის პირველ ეგზისტენციალისტს, დემოკრატსაც და ნაციონალისტსაც. მრავალი კრიტიკოსი იმასაც ამბობდა, თითქოს იგი არ იყო თანმიმდევრული, რომ მისი პიროვნება და შემოქმედება წინააღმდეგობებით, პარადოქსულობით, კრიზისებით, აღმაფრენითა და იმედგაცრუებებითაა აღბეჭდილი; ამას თვითონაც აღნიშნავდა — „მე არ მინდა შერიგდნენ ჩემი გული და გონება, არა, დაე ებრძოლონ ერთმანეთს, მე ვარსებობ და მინდა ვიყო ანტინომიური, დუალისტური სული!“.

პიროვნების მეხოტბე, პიროვნების ფილოსოფიის შემქმნელი, უნამუნო, უწინარეს ყოვლისა, თავადვე გახლდათ სრული პიროვნება, გამორჩეული და განსაკუთრებული, ძლიერი ინდივიდუუმი. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს იგი, მითუმეტეს იცნობდა მას, ყველა ერთნაირად იყო აღფრთოვანებული და გაოცებული ესოდენ უნიკალური პიროვნებით, ამას აღიარებდნენ ისინიც, ვინც სავსებით იზიარებდა და იღებდა მის პიროვნებას და შემოქმედებას და ისინიც, ვინც ეკამათებოდა, ან ეწინააღმდეგებოდა მას. ცნობილი ესპანელი ფილოსოფოსი ხოსე ორტეგა ი გასეტი წერდა:

„უნამუნოზე უფრო სრული და კომპაქტური პიროვნება არ მეგულება, როგორც კი იგი შემოვიდოდა ოთახში, უმალვე ისე აღმართავდა ხოლმე თავის „მე“-ს, ვითარცა სენიორი ფეოდალი საგვარეულო დროშას ბრძოლის ველზე და ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა, გარს შემოვხვეოდით და გვესმინა მისთვის.“

მაგრამ საკუთარი პიროვნების ასეთი წარმოჩენა არ ყოფილა თვითმიზანი და არც ნარცისიზმი, რამეთუ მისი რწმენით „საკუთარი პიროვნების ესოდენ დაბეჯითებით დაცვითა და განდიდებით მე ვიცავ და განვადიდებ ყოველ, ცალკეულ პიროვნებას“. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მისთვის ამ სამყაროს უმაღლესი ფასეულობა თითოეული ადამიანი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ გურაბანიძე

სამყარო თეატრალის თვალით

„... ერთი ნახეთ..., ერთი უყურეთ“

(„მეფე ლირი“)

გამაოცა ორი მხატვრის უჩვეულო ვიზიონმა...

დიდხანს უბიწოდ შთენილი სალვადორ დალი, ბოლოს, პოლ ელუარის ცოლმა გალინა (გალია) დიაკონოვამ გაახვია ტრფობის მარადიულ ალში.

დალის ბრწყინვალედ დაწერილი „ერთი გენიოსის დღიური“ და ფერწერული შედევრები მოწმობენ თუ რა ღრმად უყვარდა მას ეს ქალი. გალია მრავალი მისი სურათის შთაგონებად იქცა. სხვა ქალისადმი სიყვარულზე თავის მემუარებში იგი თითქმის არაფერს ლაპარაკობს, თუმც, ცნობილია თუ როგორ ეტრფოდა თავის „მეორე მუზას“ _ ამანდა ლირს (როგორც ამბობენ, იგი ენდი უორხოლის მუზაც იყო*) მსოფლიოში სახელგანთქმულ მსახიობს, მომღერალსა და მშვენიერ მხატვარს.

დალი თავის მოგონებებში, მისთვის ჩვეული უსაზღვრო ამბიციით, ლაპარაკობს იდუმალი ხილვების თავის განსაკუთრებულ ნიჭზე. როგორც ამბობს, მას თანაბრად შეეძლო ხატოვანი სურათებით ეხილა როგორც მომავალი, ასევე წარსული. კარგად მახსოვსო თუ როგორ ვიწექი დედის საშოში და ახლაც ვხედავ და ვგრძნობ იმ თხევად, ლორწოვან გარემოს. მართლაც, თითქოს ამ ფრაზის გამოძახილია დამდნარი, ლორწოვანი საგნები, ლამბაქიდან თუ ტაფიდან გადმოსული კვერცხის ცილა და გული. სითხესავით „გადმოღვრილი“ ენა, საათები და სხვა (მისი მემუარების გამაერთიანებელი სათაურია: „სალვადორ დალის იდუმალი ცხოვრება, მის მიერვე მოთხრობილი“)...

...მრავალი სასიყვარულო თავგადასავლის შემდეგ, მის მუზას, ამანდა ლირს, ერთი ნახვით თავდავიწყებით შეუყვარდა (და მისთხოვდა კიდეც) ცნობილი ფრანგი მწერლის როჟე პეირეფტის შვილობილი ალენ ფილიპი, მაღალი საზოგადოების ლომი, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე.

როცა სალვადორ დალის ეს ამბავი შეუტყვია, ძალზე უკმაყოფილოდ ჩაულაპარაკებია: „საცოდავი ამანდა. ეს ამბავი დიდხანს არ გაგრძელდება, თუ არა და, ნახავთო“.

დალის ბიოგრაფები მიუთითებენ ამ პერიოდში შექმნილ მის ერთ კომპოზიციაზე, სადაც გამოსახულია საშინელ ქაოსში თუ ცეცხლის ალში გახვეული ადამიანის სხეული.

---

* ენდი უორხოლი „პოპ-არტის“ მამა და დამაარსებელი. 2001 წელს მოსკოვში გამართული მისი მრავალთვიანი რეტროსპექტიული გამოფენა შეფასდა როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა თანამედროვე ხელოვნების სფეროში. „ენდი უორხოლის მუზეუმი პიტსბურგში“ მოთავე იყო ამ გამოფენისა, რომელმაც მთელი აღმოსავლეთ ევროპა ტრიუმფით მოიარა.

მოსკოვის საერთაშორისო თეატრალურ ოლიმპიადაზე ყოფნისას შესაძლებლობა მომეცა, მენახა ეს რეტროსპექტივა „სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში“ (ГМИИ. 2001).

რუსთაველის თეატრის ნიუ-იორკში გასტროლების დროს (1990 წ.) „სოხოზე“ ერთ-ერთ გალერეაში მისი სახელგანთქმული ყუთები-ინსტალაციები, მერლინ მონროსა და ჟაკლინ კენედის ვარდისფერი რეპლიკანტები დავათვალიერე.

ამ მხატვრის ნამუშევრებმა მილიონერთა ოფისებიდან და კაბინეტებიდან კლასიკოსთა და იმპრესიონისტთა ტილოები განდევნა. ჩვენი სუპერმარკეტების კლიენტებს შეუძლიათ იხილონ მის მიერ გაფორმებული „ჰაინცის კეტჩუბი“ და „კემპბელის წვნიანები“. ნ.გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახდა სალვადორ დალის წინასწარხედვა: ალენ ფილიპი თავისი სააგარაკო სახლის ხანძარში ჩაიწვა...

რაოდენ განსაცვიფრებელიც არ უნდა გვეჩვენოს,ახდა ამანდა ლირის წინასწარხედვაც. ალენ ფილიპის დაწვამდე მხატვარმა ქალმა საშინელი წინათგრძნობით აღსავსე ტრიპტიქი შექმნა. ტრიპტიქის ერთ ფრთაზე გამოსახული იყო შიშველი მამაკაცის სხეული, ცენტრალურ ნაწილში _ ადამიანის ჩონჩხი. მესამე ფრთაზე თვით ამანდას „ჯოჯოხეთური“ ავტოპორტრეტი, უცნაურად დამახინჯებული სახით, ღრმად ჩაცვენილი თვალებით. ალენ ფილიპმა შეშფოთებით უთხრა თურმე _ „შენს სულში რაღაც საშინელება დაბუდებულა. რატომ ხატავ ასეთი პირქუში ფერებითო?“...

18 დეკემბერს ალენ ფილიპი ხანძარში ჩაიფერფლა...

კიდევ ერთი აპოკალიფსური დამთხვევა: ამ ამბამდე 20 წლით ადრე, სწორედ 18 დეკემბერს, ამანდა ლირის პირველი საქმრო, ლუდის იმპერიის „გინენსის“ მემკვიდრე, საკუთარ ავტომობილში გამოიწვა...

ამანდა ლირს კი,სანუგეშოდ შეეძლო გაეგმეორებია თავისი დიდი მოგვარის,მეფე ლირის, სიტყვები:

„აღარ ჰფეთქს იგი სიცოცხლითა!
აღარ... აღარა...

ეს ვინ დავკარგე!... ერთი ნახეთ...
ერთი უყურეთ“.

„აწ კი მშვიდობით საუკუნოდ სულის სიმშვიდევ“

(„ოტელო“)

თერთმეტ სექტემბერს ნიუ-იორკში მომხდარი საშინელი ტერაქტის შემდეგ ამერიკელი მკითხველი კვლავ მიუბრუნდა 1949 წელს გამოცემულ ე.ბ. ვაითის წიგნს „აქ, ნიუ-იორკში“.

„ნიუს ვიიკ“-ის ცნობით ეს წიგნი სულ მოკლე ხანში ბესტსელერად იქცა. ვაითი წერს: „ქალაქი დასანგრევად იოლ სამიზნედ იქცა, რამდენიმე თვითმფრინავს შეუძლია ეს ფანტასტიკური ნახევარკუნძული ნაცარტუტად აქციოს ვინმე ავისმოსურნე, შეშლილმა ადამიანმა რომ მოინდომოს“. ავტორი ხატავს აპოკალიფსურ საშინელებას, რომელიც ყველაზე კოშმარულ სიზმრებში შეიძლება გამოეცხადოს კაცს. „ეს თვითმფრინავები სახლებს, ცათამბჯენებს და გვირაბებს რომ დააჯახონ, ქალაქს დამბლა დაეცემა და მილიონობით ადამიანი თვალის დახამხამებაში დაიღუპება. მიწისპირისგან აღიგვებიან არა მხოლოდ ნიუ-იორკის მშვენებანი _ ცათამბჯენები, არამედ ის ადამიანებიც, რომლებიც ამაყად ატარებენ ნიუ იორკელის სახელს“.

სულ ახლახან გადავაწყდი ვენიალური არქიტექტორის ლე კორბუზიეს ჩანაწერებს. შემძრა მისმა ფრაზამ: „ნიუ იორკში ყოფნისას ასჯერ მაინც გაუვლია ჩემს თავში ფიქრს _ „მანჰეტენი! აი, ადგილი, სადაც შეიძლება საშინელი კატასტროფა მოხდეს“. ამდენჯერვე მაინც მითქვამს ჩემთვის: _ „მაგრამ სამაგიეროდ, ოჰ, რა თვალისმომჭრელი სილამაზის კატასტროფა იქნება ეს?!“.

ამას ამბობს „მზიური ქალაქის“ პროექტის ავტორი, XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ჰუმანისტი და შემოქმედი.

თუ სულს წავიწყმედთ და წამიერად დავივიწყებთ ადამიანთა მსხვერპლს და ნგრევას, მაშინ უნდა დავეთანხმოთ კორბუზიეს _ ორი სრულქმნილი ფორმის _ ფოლადისა და მინისაგან შექმნილი თვალწარმტაცი ვერტიკალისა და ჰორიზონტალურად მოძრავი „ბოინგის“ სრულქმნილი დიზაინის დაჯახება, მართლაც „ულამაზესი სანახაობა“ იყო... „მოდერნი“ მოდერნისავე იარაღით დაამხეს.

ცხოვრებამ უსასტიკესად იძია შური ჩვენს ყალბ ილუზიურ სამყაროზე. საკმარისი იყო ტელევიზიის დიქტორის ხმა გამოგვეთიშა და უეჭველად, „მხატვრულ-ეკრანული“ ფანტაზიის ნაყოფი და ვირტუალური თამაშები გვეგონებოდა ყოველივე.

ჟურნალ „არილში“ (№17. 2001 წ.) გამოქვეყნებულ ფრიად ორიგინალურ წერილში „დიდი თამაშის დასასრული ანუ გოდო აკაკუნებს“ ზურაბ ქარუმიძე, ამ კატასტროფას სულაც კულტუროლოგიის პოზიციიდან განიხილავს: „2001 წლის 11 სექტემბერს მანჰეტენზე, საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენთან ტერორისტების მიერ გატაცებული „ბოინგის“ შეჯახებით დასრულდა პოსტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდერნიზმი: კულტურის მდგომარეობა, რომელიც ორმოც წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, დასრულდა. დასრულდა ეს თამაში, რომელიც ქმნიდა გამოგონილი ორიგინალობის აბსოლუტურად იდენტურ ასლებს; დასრულდა ონტოლოგიური მუშაობა ნამდვილსა და შეთხზულს შორის გაბმულ ბაწარზე; დასრულდა ორაზროვან და განუსაზღვრელ ნიშანთა სისტემებში, როგორც ლაბირინთებში, ხეტიალი...".

ვილჰემ შმიდი თავის ლექციაში _ „ომი სივრცესა და დროს შორის" (იხ. „ჩვენი მწერლობა" №49, 2001) ამ თავზარდამცემ ტერორისტულ აქტს განიხილავს როგორც დასავლურ და ისლამურ კულტურათა შორის გამართულ ბრძოლას, დროითი კულტურისა და სივრცითი კულტურის შეურიგებლობას და ამდენად, ეს აქტი, მისი აზრით, შორს სცილდება ერთი რომელიმე ქვეყნის თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ აქციას. ეს იყო _ შმიდის აზრით _ „მოდერნის გულისგულისკენ მიმართული დარტყმა".

როგორც ვთქვი, პოსტმოდერნმა საშინელებანი და კატასტროფები ვირტუალური სამყაროს „თამაშად" წარმოგვიდგინა. ამ „თამაშმა", ვირტუალურმა სანახაობამ უკიდურესად გააუბრალოვა, გაამარტივა რეალური სამყაროს რეალური საშინელებანი და შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ასეთ სიტუაციას ამერიკელი ფსიქოლოგი ჰანა არენდტი „ბოროტების ბანალურობას" უწოდებს.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ „პოსტმოდერნის" თავსართმა „პოსტ"-მა უსიამოვნო ელფერი შეიძინა, რადგან ტერორისტებსაც ხომ მოდერნის ფარგლებიდან გასვლა სურდათ, და მათ სინამდვილეში განახორციელეს „სუბიექტის სიკვდილი" (შმიდი).

გლენ მილერის რიტმები

ომის ყველაზე ქარცეცხლიან და მძიმე წლებში ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრა გლენ მილერის _ ამ გენიალური ჯაზმენის, წარმტაცი და დამათრობელი რიტმული მელოდიები. ეს იყო 1943 წელი, როცა თბილისის კონოთეატრების ეკრანზე კაშკაშა მეტეორივით გაიელვა „მზიური ველის სერენადას" თავბრუდამხვევმა კადრებმა. მართალია, ამ სურათშიც იგრძნობოდა დიდი ომის ხანგრძლივი ბანი (ამერიკაში, ოკუპირებული ნორვეგიიდან, გემით ჩამოჰყავთ უამრავი ლტოლვილი), მაგრამ ეს გახლდათ მხოლოდ ფრაგმენტი, მთელი სურათი კი ამერიკული ცხოვრების თავისუფალი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული: სიყვარული, სპორტი, მუსიკა, თვალწარმტაცი თოვლიანი პეიზაჟები, ეგზოტიკური მარხილები, თავბრუდამხვევი ქროლვა თხილამურებით. ყოველივე ეს ჩვენთვის უცხო და თავზარდამცემი იყო 1943 წლის დეკემბრის სიცივით გათანგულ თბილისში (ამ წელს გაუგონარი ყინვები დაიჭირა). ჩვენ თითქოს სულ სხვა პლანეტაზე აღმოვჩნდით. მართალია, ამ დროისათვის თბილისში კანტი-კუნტად უშვებდნენ უცხოურ, ნადავლ ფილმებს (რომლებმაც, ომის დამთავრებისთანავე, სრული მონოპოლია მოიპოვეს ჩვენს ეკრანებზე), მაგრამ ამ „მზიურმა ველმა" მართლაც კაშკაშა მზის მცხუნვარება შემოიტანა ჩვენს პირქუშ ცხოვრებაში, რომელიც აბსოლუტური კონტრასტი იყო იმისა, რასაც ეკრანზე ვუყურებდით... იმ წლებში თბილისზე გადიოდა სატრანზიტო გზა ირანიდან რუსეთისაკენ. ე.წ. „ლენდლიზით" გზაგახსნილი, ამერიკული საქონელი, მძიმე და იმპოზანტური „სუდბებეკერების" კოლონებით იგზავნებოდა მშიერი, შიშველ-ტიტველი, უსახლკარო საბჭოთა მოსახლეობისათვის. ამ უზარმაზარ სატვირთო მანქანებს ირანიდან საქართველომდე ხშირად ქართველი ინტენდანტები და ოფიცრები მოაცილებდნენ. ერთ-ერთი ასეთი ინტენდანტი იყო ჩემი მეზობელი კოლია ნიკურაძე, ულამაზესი ვაჟკაცი, მაღალი, თხელი ქართული სახით, ძალზე მომხიბლავი, შანსიანი და კომბინატორის უდიდესი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. მასთან შედარებით კვაჭი კვაჭანტირაძე უმანკო ბავშვი იყო. რასაკვირველია, ირანიდან წამოსული მანქანების ეშელონებს გაძლიერებული დაცვა ახლდა და იქიდან რაიმეს მოპარვას თვით ყველაზე გამოცდილი ქურდებიც კი ვერ შესძლებდნენ, მაგრამ მხლებელი ინტენდანტები და საბჭოთა ოფიცრები ხელს გულუხვად გამოაყოლებდნენ ხოლმე მედიკამენტებს, შოკოლადებს, „ქიშმიშს", ფინიკის ხურმას, კუს კვერცხებს და შედედებულ რძეს (რასაც ხანდახან ხელისუფალნი სკოლაშიც გვირიგებდნენ). ხალხი განსაკუთრებით დახარბებული იყო ამერიკის არმიის მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღალყელიან და სქელლანჩიან „ბათინკებს“, რომელიც ვაჟკაცობის, „მაგარი ბიჭობის“, და თანამედროვე კულტურიების ენით რომ ვთქვა, „მაღალი სტილის“ სიმბოლოდ იყო ქცეული. ჩვენი თაობის, ანუ ომის თაობის, ბიჭებისათვის ოცნების უკიდურესი ზღვარი იყო ბეწვით დათბილული ტყავის მოკლე ქურთუკი „ზმეიკით“ ანუ „ელვა“ შესაკრავით. ეს ჩასაცმელი მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო. თუმც „დეზერტირკაზე“ და სპონტანურად აღმოცენებულ საბურთალოს ბაზარზე ე.წ. „ტოლკუჩკაზე“ უამრავი „ტრაფეინი“ საქონელი იყიდებოდა, ამ ტყავის ქურთუკებს არავინ ჰყიდდა, იმდენად ელიტარული რამ იყო და სახიფათო სასპეკულაციოდ (ბარემ აქვე ვიტყვი, რომ საბურთალოს „ტოლკუჩკაზე“ ხელოვნებისა და კულტურის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე მინახავს _ სახლიდან გამოტანილი ნივთებით მოვაჭრე).

სწორედ იმ დეკემბრის სუსხიან დღეებში ჩამომიტანა ეს ამერიკული „ბათინკები“ კოლია ნიკურაძემ და მე, ცამეტი წლის ბიჭი, ძლივს დავათრევდი ფეხებს, მაგრამ რას დავეძებდი _ არ მციოდა და ბევრიც შურით შემომცქეროდა.

ეს ამერიკული „ლენდლიზი“ და „მზიური ველის სერენადა“ ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ დაუკავშირდა ერთმანეთს სხვადასხვა გარემოებების გამო. ამ ფილმის მთავარ გმირს _ ტედის ეცვა ულამაზესი ნაქსოვი ჯემპრი _ წინ და ზურგზე ამოქარგული დიდრქიანი ირმებით, ეს იმ დროის ახალგაზრდობაში ყველაზე პოპულარული სამოსი იყო და ისე სწრაფად იქცა საყოველთაო მოდად, როგორც გლენ მილერის მელოდიები. სწორედ ამგვარი ამერიკული ჯემპრის ირანიდან ჩამოტანა ვთხოვე კოლია ნიკურაძეს, მაგრამ თბილისში ჩამოსვლისთანავე დააპატიმრეს ეს ჩემი ცოდვით სავსე და მთელ მის ბარგს, სადაც ჩემი ჯემპრიც იდო, კონფისკაცია უყვეს...

„მზიური ველის სერენადა“ იმდენჯერ ვნახე, რომ დღემდე მახსოვს თითქმის ყველა კადრი, ყველა მუსიკალური ფრაზა და მელოდია, ტედი უმღეროდა მშვენიერ კარენს, ამ „თოვლის დედოფალს“, რომლის როლსაც თამაშობდა სონია ჰენი, მსოფლიოს ჩემპიონი ფიგურულ სრიალში. სწორედ ამ სიმღერაში ნახსენები დეკემბრის გამო, დამამახსოვრდა თბილისური დეკემბერი, რომელიც გლენ მილერის მუსიკით, მართლაც მაისის ყვავილებით გაბრწყინდა. ამ ფილმში ხომ თავმოყრილი იყო ის შედეგრები, რომლებმაც ჯაზური მუსიკის ანთოლოგიაში სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი. მეორე დღესვე მთელი თბილისი უკრავდა, მღეროდა და უსტვენდა გლენ მილერის მელოდიებს (1944 წლის 14 თუ 15 დეკემბერს ლონდონის აეროდრომიდან აფრინდა ერთადგილიანი თვითმფრინავი, რომელსაც გლენ მილერი მართავდა. კომპოზიტორი მიიჩქაროდა პარიზში, სადაც ქალაქის განთავისუფლებისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტში უნდა მიეღო მონაწილეობა. თვითმფრინავმა ჰაერში განიცადა კატასტროფა და მისი ნამსხვრევები ლა-მანშის ცივმა ტალღებმა შთანთქეს). გლენ მილერის მუსიკა უმალვე დამკვიდრდა რესტორნებისა და კინოთეატრების ორკესტრებში. ამ მხრივ გამოირჩეოდა რუსთაველის სახ. კინოთეატრის ორკესტრი, რომელიც სეანსების წინ, დიდ და გრძელ ფოიეში, მართავდა კონცერტებს. ისედაც ძალზე პოპულარული, ორკესტრის მომღერალი“ სოლისტი ლუი მარკოვიჩი, რომელმაც სახელი გაითქვა ტიროლური სიმღერების „ჩახვეული“ შესრულებით თბილისში, ედი რობნერის ჯაზ-ორკესტრის დიდი წარმატების შემდეგ, ლუი მარკოვიჩი ჩვენს ქალაქში დარჩა და ესტრადის „ვარსკვლავად“ იქცა). გლენ მილერმა იგი ჩვენი თაობის კერპად აქცია. ხშირად, რუსთაველის კინო-თეატრში მარტო ამ ორკესტრის მოსასმენად მივდიოდით. ეს იყო ჯაზური მუსიკის პირველი ლეგალიზაცია საბჭოთა კავშირში, მანამდე ჯაზის თაყვანისმცემლები არალეგალურად ვუსმენდით რენტგენის ფირზე (სინათლეზე რომ გახედავდი, მოჩანდა ადამიანის ნეკნები, ფილტვები, გული და სხვა შინაგანი ორგანოები) „სამზდატის“ მიერ ჩაწერილ მელოდიებს. ჩემი მეგობრის გურამ ტატიშვილის ოჯახს შემორჩენილი ჰქონდა, ჩამორთმევას გადარჩენილი, რადიომიმღები; მახსოვს, რა გულისფანცქალით ველოდით შუაღამის დადგომას, რათა, „ამერიკის ხმა“ დაგვეჭირა და მოგვესმინა ვილის კანოვერის გადაცემები, რომელსაც წინ უძღოდა დიუკ ელინგტონის თავბრუდამხვევი კომპოზიცია „მატარებელი ჩიკაგოდან“.

დღეს ეს მუსიკა ყველგან სრულდება, ხოლო გლენ მილერის „მთვარის სერენადა“ თითქმის ყველა სახელგანთქმული ორკესტრის რეპერ-

ტუარში. კინოფილმის გმირის – ტედის ირმებიანმა სვიტერმა კი მალე მოჭამა თავისი დრო, იმდენად ადვილად ხელმისაწვდომი გახდა იგი (ბაკურიანელი ქალებიც კი ქსოვდნენ ასეთ ჯემპრებს, ხელთათმანებს და ქუდებს). რაც შეეხება ჩემს მეზობელს კოლია ნიკურაძეს, იგი კარგა ხანს იჯდა ციხეში, შემდეგ გადაიყვანეს რომელიღაც კოლონიაში, სადაც გაჯის თუ კირის გამოსაწვავი საამქრო შექმნა, დიდი ფული გააკეთა და ის იყო უნდა გამოსულიყო, რომ კვლავ გაასამართლეს და ციხეში შეაბრუნეს. ამ ნიჭიერმა, ალღოიანმა და მარიფათიანმა კაცმა თითქმის მთელი ცხოვრება პატიმრობაში გაატარა, იქიდან ინახავდა ოჯახს. როცა გამოვიდა, კვლავ მხნედ და ჯანმრთელად გამოიყურებოდა, ყველაფრით უზრუნველყოფილი, დაუზარებლად ჰყვებოდა თავგადახდილ ფათერაკებს, მაგრამ ვერ გაუძლო ნაძალადევ თავისუფლებას (სამსახურში ვერსად მოეწყო), დაკარგა ძველებური ჰეწი, უცებ მოტყდა, მოხუცდა, დაჩაჩანაკდა და სამუდამოდ მიატოვა ყელამდე სავსე ოჯახი.

P.S.

... ამასწინათ გაზ. „კულტურაში" ამოვიკითხე, თითქოს „მზიური ველის სერენადა"-ს ჩვენების განკარგულება, კინოს დიდ მოყვარულს სტალინს გაეცეს (ასახელებენ ავრეთვე კინოფილმს „მისი მსახურის დას", სადაც დინა დურბინი ბრწყინავდა), რათა ერთგვარად შეელამაზებინა და შეემსუბუქებინა საბჭოთა ადამიანების დუხჭირი ყოველდღიურობა. არსებობს სხვა აზრიც, თითქოს, სტალინს სურდა გაებოროტებინა, სიძულვილი გაეღვიძებინა იმ ხალხის მიმართ, რომელიც ასე ბედნიერად და მხიარულად ცხოვრობს, მაშინ, როდესაც საბჭოთა მშრომელების ზურგზე გადადიოდა ამ საზარელი ომის მთელი საშინელებანი...

დიქტატორის ნაზი ხელები

1975 წლის ზაფხულში ანსამბლ „რუსთავს" ვახლდი ესპანეთში გამართულ დიდ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე, რომელსაც მრავალი ქალაქი მასპინძლობდა. ქალაქ ვიგოდან მივემგზავრებოდით ლა კორუნიაში, რომელიც აუწერელი სილამაზის პატარა ქალაქი აღმოჩნდა ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე.

ესპანეთში გვალვა მძვინვარებდა. მოცეკვავე ბიჭები წელს ზემოთ შიშველნი ისხდნენ ავტობუსის ბოლო სავარძლებში, კონდიციონერები სათანადოდ ვერ ავრილებდა ჰაერს.

ავტოსტრადაზე ჩვენმა ავტობუსმა, რომელიც აქამდე დიდი სისწრაფით მოძრაობდა, სიჩქარეს უკლო. ასევე მოიქცნენ ჩვენ წინ და ჩვენ საპირისპიროდ მოძრავი მანქანები. ბოლოს, სულაც, მოძრაობა შეწყდა. ტრასის შუა ნაწილზე, ე.წ. „თეთრ ხაზზე", ნელა წამოვიდა მანქანების კოლონა და გაჩერდა. სწორედ ჩემი და ანზორ ერქომაიშვილის ფანჯრის გვერდით დადგა გრძელი, შავი ლიმუზინი. ჩვენი თანმხლები ესპანელები ფანჯრებს მიაწყდნენ: „ფრანკო, ფრანკოს" ძახილით. მართლაც, მანქანაში, მძღოლის უკან, იჯდა გენერლის შავ მუნდირში გამოწყობილი კაუდილიო, ესპანეთის დიქტატორი, ფრანსისკო ფრანკო. მისი ფანჯრის მინა ძირს იყო დაშვებული. საშინლად ფერმკრთალი, ავადმყოფური სახე ჰქონდა. სუსტი, ქალური ხელის მტევნები მძღოლის სავარძლის ზურგისთვის მიებჯინა. ბეტონისაგან ჩამოსხმულ ქანდაკებასავით იყო. ერთხელაც არ მოუბრუნებია სახე ჩვენკენ.

ორმა გარემოებამ გამაკვირვა, ჯერ ერთი იმან, რომ ამ გაუსაძლის სიცხეში ყელამდე შეკრული მუნდირი ეცვა და, მეორე _ მისმა სუსტმა, ქალურმა ხელის მტევნებმა, რომელიც ოდნავ უკანკალებდა.

ესპანეთში აღმართული ქანდაკებების, ფერწერული ტილოებისა და პლაკატების მიხედვით, მე იგი წარმომედგინა ძლიერ, ჩამოსხმულ მამაკაცად (ხორცსავსესა და ღიპიანს ხატავდნენ საბჭოთა კარიკატურისტებიც).

როგორც შემდეგ შევიტყე, მშობლიური გალისია მოუნახულებია უკანასკნელად ავადმყოფ დიქტატორს და ახლა მადრიდში ბრუნდებოდა.

ფრანსისკო ფრანკო, ეს „პატრიარქი", იმავე 1975 წელს გარდაიცვალა. 1975 წელსავე გამოვიდა გარსია მარკესის „პატრიარქის შემოდგომა".

ესპანეთში ჩემი, ამ მართლაც დაუვიწყარი მოგზაურობიდან გავიდა ორი წელი და 1977 წელს, რუსულ ენაზე გამოიცა ეს რომანი, რომლის ორი ეპიზოდი განსაცვიფრებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაემთხვა ფრანკოსთან ამ წუთიერი შეხვედრით გამოწვეულ ჩემს შთაბეჭდილებას.

როგორც ვთქვი, გამაოცა ამ სიცხეში ყელამდე შეკრულმა „ესპანეთის პატრიარქის“ _ ფრანკოს მუნდირმა...

გარსია მარკესის შემოდგომის პატრიარქისათვის ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ულამაზესი ქალები ჩამოჰყავდა პირდაპირ ამსტერდამის ვიტრინებიდან, კინოფესტივალებიდან და იტალიის ხმელთაშუაზღვის ლაჟვარდოვანი სანაპიროებიდან, მაგრამ მოხუცი გენერალი-დიქტატორი უცნაურად იქცეოდა. ეს გონისწამღები შიშველი ქალები პლიუშის დივანზე მოუწვებოდნენ, ეალერსებოდნენ, „მაგრამ მას არაფრით არ სურდა გენერლის მუნდირის გახდა, არაფრისდიდებით არ შიშვლდებოდა და იწვა როგორც ბეტონის ლოდი“ (თუმცა, მერე, მრეცხავ ქალს გადაეყარა, სამრეცხაოს ფიცრებზე გადააყუდა და უკნიდან მიდგომილმა, ხერხემლის მალები კინაღამ ჩაუმსხვრია, „მზეცი ხართ, გენერალო! _ წამოიკვნესა ქალმა _ „თქვენ უთუოდ სახედრისგან იღებდით გაკვეთილებსო“).

... ახლა მეორე, ნაზი ხელის მტევნების გამო... „პატრიარქის შემოდგომის“ დასაწყისშივე აღწერილია პრეზიდენტის იავარქმნილი სასახლე, სკორეთი და ნეხვით მოსვრილი ნოხები. ყოფილი დიდების ამ ნანგრევებში იპოვეს სწორედ „პატრიარქის“ მკვდარი სხეული, რომელსაც სვავების მიერ დაკორტნილ-ამოჭმული სახე და „სათუთადმოვლილი ხელები ჰქონდა“.

სხვათაშორის, ახალგაზრდა მარკესმა (მსოფლიო სტუდენტი-ახალგაზრდების პირველ საერთაშორისო ფესტივალზე მოსკოვში მივლინებულმა კოლუმბიელმა ჟურნალისტმა) თავის ნარკვევებში „სსრკ: 22.400.000 კვადრატული კილომეტრი კოკა-კოლის რეკლამის გარეშე“, სტალინისადმი მიძღვნილ თავში აღნიშნა: „არაფერს არ უმოქმედია ჩემზე ისე ძლიერ, როგორც იმოქმედა სინატიფემ მისი ხელებისა, გრძელი, ვარდისფერი ფრჩხილებით“. ეს იყო „ქალის ხელებიო“ _ დასძენდა მწერალი. ამ ნარკვევებში სტალინზე დაწერილი მრავალი სტრიქონი უცვლელად გადავიდა რომანში „პატრიარქის შემოდგომა“.

ერთ-ერთ ინტერვიუში მარკესი ამბობდა „პატრიარქის შემოდგომა“ უკვე მთლიანად დაწერილი მქონდა, მხოლოდ ფინალი ჯერ-ჯერობით ველოდი ფრანკოს გარდაცვალებას, რათა მენახა თუ როგორ იქნებოდა დეკორირებული მისი სიკვდილი. მაგრამ იგი არა და არ კვდებოდა. საქმე ისე გაიწელა, რომ ყველაფერი ხელუხლებლად დავტოვე და დავბეჭდე რომანი. წელიც არ იყო გასული და დაიწყო ფრანკოს აგონია. მისი ფინალი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩემი წიგნის ფინალია. მან ყოველგვარ ლიტერატურულ გამონაგონს გადააჭარბა“.

„ესპანეთის პატრიარქი“ ფრანსისკო ფრანკო, თვენახევრის მანძილზე კვდებოდა ნელი, მტანჯველი სიკვდილით. მრავალრიცხოვანი ოპერაციები მხოლოდ ახანგრძლივებდნენ მის აგონიას. ერთ-ერთი მორიგი ოპერაციის შემდეგ, დიქტატორმა, რომლის სინდისზე იყო ათასობით ადამიანის სიკვდილი ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, წარმოთქვა ცნობილი ფრაზა: „ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ასე ძნელი იყო სიკვდილი“.

სტიქიური ელენე ობრაზცოვა

ჩემი მეგობარი მუსიკისმცოდნე ანტონ წულუკიძე გენიალურ რუს მომღერალ ელენე ობრაზცოვაზე ამბობდა: „ეს არის კაბიანი შალიაპინი“. კინორეჟისორი ფრანკო ძეფირელი (ავტორი ფილმებისა: ვერდის „ტრავიატა“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, ნინო როტას მუსიკით) მას „სწორუპოვარ შლეგს“ უწოდებდა. დირიჟორ ჰერბერტ ფონ კარაიანს მიაჩნდა, რომ მომღერალს „მშვენიერი და ველური“ ხმა ჰქონდა, ხოლო სახელგანქმული რიკარდო გუნტი (მისი დირიჟორობით ფლორენციის საოპერო თეატრში „ტეატრო მუნიჩიპალე“, მომისმენია გლუკის „იფიგენია ტავრიდაში“, ცნობილი სკულპტორის ჯიუკომანცუს გაფორმებით) მასში ხედავდა „სცენის მზეცს“, ლაპარაკობდა არა მისი სიმღერის ტექნიკაზე, არამედ იმ ღვარცოფზე, რომელიც ამ ქალის სულში ბობოქრობდა.

ერთხელ ე. ობრაზცოვას ჰკითხეს _ წაგვიკითხავს და გაგვიგონია, რომ თითქოს მარია კალასის ხმის ტემბრი არ იყო განსაკუთრებით ღირშესანიშნავი, თქვენ ამაზე რას იტყვითო. აი, პასუხიც: „მარია კალასი გენიალური

მომღერალი იყო, არავინ არ გრძნობდა ფორმას ისე, როგორც იგი. მის თანდაყოლილ იდუმალ თვისებებს ემატებოდა გენიალური „შეცდომები“, რომელნიც მას განუმეორებელ მომღერლად აქცევდა“ (ფრანკო ძეფირელის ფილმში „კლასი-სამუდამოდ“ კარგად ჩანს ეს „შეცდომები“).

თვით ე. ობრაზცოვასაც საყვედურობდნენ მკერდისმიერი ნოტების გამო, მაგრამ არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ ეს მისი არსი, მისი თანდაყოლილი თვისება იყო, მასში ბუნება თავისი სტიქიონებით ცოცხლობდა _ „ჩემში ვგრძნობ ნატურას _ განუყოფელს მიწისაგან, ოკეანისაგან, მზისაგან, ქარისაგანო“... ამბობდა იგი.

როცა ე. ობრაზცოვას ვუსმენთ, ვგრძნობთ, როგორც ბობოქრობენ მისი არსების ეს დაუოკებელი ძალები სპექტაკლებისა თუ კონცერტების დროს, და თითქოს „ვხედავთ“ კიდეც, როგორ გადმოსჩქეფენ ისინი გარეთ. ...„მეტროპოლიტენ ოპერაში“ ამნერისის პარტიის (ვერდის „აიდა“) შესრულების მეორე დღეს „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერდა: „წუხელ ობრაზცოვამ მეტროპოლიტენი გადასწვაო“.

დაგვიანებული კოცნა

რუსული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი ნიკოლოზ სიმონოვი დიდი ერუდიციით, ინტელიგენტურობით, დახვეწილი მანერებით და უაღრესი დელიკატურობით გამოირჩეოდა. ამ თვალსაზრისით, იგი უნიკალური იყო გამოჩენილ რუს მსახიობთა ფონზეც კი. უდიდესი წარმატება მოუტანა პეტრე პირველის როლის შესრულებამ ვლადიმირ პეტროვის ამავე სახელწოდების ფილმში. მან შექმნა რუსეთის დიდი ხელმწიფის დიდი ძალისა და ბობოქარი ტემპერამენტის, მძლავრი გონების და ნებისყოფიანი მმართველის სახე. ასეთი დელიკატური, რაფინირებული ადამიანისაგან ტემპერამენტისა და სტიქიურობის ამგვარი ამოფრქვევა მოულოდნელი იყო. მე პირადად, მსგავსი ტრაგიკული ტემპერამენტისა და დიდი შინაგანი კონცენტრაციის რუსი მსახიობი არც ეკრანზე და არც სცენაზე საერთოდ არ მინახავს (ამბობდნენ, ძველად, ასეთები იყვნენ სცენაზე კ. კარატიგინი და ლ. ლეონიდოვი).

მიუხედავად საარაკო პოპულარობისა, ნ. სიმონოვმა ბოლომდე შეინარჩუნა სულიერი წონასწორობა და იშვიათი ტაქტი ადამიანებთან ურთიერთობაში. ...ერთხელ, სპექტაკლის შემდეგ მსახიობის საპირფარეშოში, როცა იქ მრავალი თაყვანისმცემელი იყო, შეიჭრა გაზინთულ ბუშლატაში და უხეშ ჩექმებში გამოწყობილი, არყის სუნით აქოთებული ჭაბუკი, გაარღვია მსახიობის ირგვლივ შემოკრებილ თაყვანისმცემელთა წრე და მსახიობისაკენ გაიწია საკოცნელად. შეცბუნებულმა ნ. სიმონოვმა, რომელსაც სახიდან ჯერ გრიმი არ ჩამოეწმინდა, ჭაბუკის მოსაგერიებლად წინ გაიშვირა ხელები და უკან დაიხია, რამაც ეს მომხდური, როგორც ჩანს, ძალზე გაანაწყენა და ხაფი ხმით იყვირა:

_ ამხანაგო სიმონოვ, რას სჩადით? განა თქვენ არ იყავით ტრაკზე რომ მკოცნიდითო?-...

უკვე მოხუცი, ყველასაგან პატივცემული ნ. სიმონოვი საშინლად დაიბნა და მხოლოდ ამის თქმა შესძლო:

_ გონს მოდით, ყმაწვილო!

_ დიახ, მკოცნიდით,... მკოცნიდით... ტრაკზე...

მართლაც, კინოსურათ „პეტრე პირველში“, როცა პეტრე დიდს თავის ახალშობილ მემკვიდრეს მიუყვანდნენ, გახარებული მამა ჩვილს ეთამაშებოდა და ვარდისფერ ტაკუნებზე კოცნიდა. თურმე ამ ჩვილი ბავშვის „როლს თამაშობდა“ სწორედ ეს შფოთიანი, გალოთებული ყმაწვილი, რომელსაც სურდა, თავისი „მამიკოსათვის“ გრიმიან ლოყაზე ეკოცნა...

სპექტაკლის განხილვა

ყოფილ საბჭოთა კავშირში თითქმის წესად იყო მიღებული კულტურის მინისტრად არაპროფესიონალების _ პარტიული მუშაკების, ქიმიკოსების, წარმოების მოწინავეების, სამხედროების, ერთი სიტყვით, იმ ადამიანების დანიშვნა, რომლებიც შორს იყვნენ კულტურისა და ხელოვნებისაგან. ამასთან დაკავშირებით მრავალ კურიოზულ ამბავს მოგვითხრობენ მემატიანეები (ცხადია, არც საქართველო იყო ამ მხრივ გამონაკლისი... მაგრამ ამაზე სხვა დროს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვის სამხატვრო თეატრში იდგმებოდა ოქტომბრის რევოლუციის პანეგერიკული პიესა „ავრორას ზალპი“.

საერთო წესი ასეთი იყო: უკვე მზა სპექტაკლს ჯერ ნახავდა და განიხილავდა თეატრის სამხატვრო საბჭო, რომელშიც შედიოდნენ მოწვეული ხელოვანნი და საზოგადო მოღვაწენი, ბოლოს კი კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსანნი. „იდეურ“ სპექტაკლებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. „ავრორას ზალპი“ სწორედ ასეთი იყო. თეატრის სამხატვრო საბჭომ შეაჩერა ეს სპექტაკლი _ იდეური სიღრმე და გამოსახვის მხატვრული დამაჯერებლობა აკლიაო. მაშინ კულტურის მინისტრი იყო პანტელეიმონ კონდრატევიჩ პონომარენკო, ძველი პარტიზანი, მებრძოლი კაცი, საბჭოთა კავშირის გმირი. ყურადღებით მოუსმინა სამინისტროს თანამშრომლების მოსაზრებებს, რომლებიც იზიარებდნენ სამხატვრო საბჭოს აზრს.

პონომარენკომ მკაცრად იკითხა:

_ ვინ არის თეატრის დირექტორი?

_ ალა კონსტანტინოვნა ტარასოვაო, _ უპასუხეს.

_ ეგ ვინღაა?

_ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტია.

_ პარტიის წევრია?

_ რასაკვირველია!

_ ვინ დადგა სპექტაკლი?

_ მიხეილ ნიკოლაევიჩ კედროვმა.

_ ეგ ვინღაა?

_ ეგეც საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტია, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

_ პარტიის წევრია?

_ რასაკვირველია!

მცირე ხანს დაფიქრდა გმირი-პარტიზანი-მინისტრი, მერე მკაცრად შენიშნა: თქვენ აქ რაებს ლაპარაკობთ,იქნებ ფიქრობთ კიდეც, რომ პარტიის წევრებს არ ესმით შეიძლება თუ არ შეიძლება სპექტაკლის გაშვება?...

რასაკვირველია, სპექტაკლი გაუშვეს და თუ არ ვცდები, სტალინური პრემიაც კი მიანიჭეს...

ასევე ხდებოდა სატელევიზიო გადაცემებისა თუ რადიო პროგრამების „ჩაბარებაც“. ერთხელ სსრკ-ს რადიოკომიტეტის თავმჯდომარე ა. ლუზინი „ღებულობდა“ გასართობ პროგრამას, რომელშიც დიდი ადგილი იყო შერეული სატირის ელემენტებიც. გადაცემის დროს თავმჯდომარე სიცილით კვდებოდა, მხიარული რეპლიკებით ეხმაურებოდა მძაფრ ეპიზოდებს. გადაცემის ავტორი და რეჟისორი იოსიპ აბდულოვი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო. დამთავრდა პროგრამა. ალ. ლუზინმა თავისთან მოუხმო რეჟისორს და ძალიან მეგობრული, გულთბილი ტონით ჰკითხა: „გეთაყვათ, ერთი ის მითხარით, თუ დაიმახსოვრეთ ის ადგილები, სადაც მე ასე გულითადად ვიცინოდი?

_ რასაკვირველია _ მიუგო გახარებულმა აბდულოვმა.

_ ჰოდა, ძალიან გთხოვთ, ეგ ადგილები ამოიღოთ გადაცემიდან-ო.

კურიოზი ადელაიდაში

ადელაიდაში (რომელსაც ავსტრალიელები საფესტივალო ქალაქსაც უწოდებენ განსაცვიფრებელი თეატრალური შენობების, გრანდიოზული საკონცერტო თუ საგამოფენო დარბაზების და სანახაობითი დღესასწაულებისათვის განკუთვნილი სასახლეების გამო), „ფესტივალ ცენტრი“ ყველაზე მიმზიდველი ადგილია. იგი გაშენებულია დიდი ბექობის ვაკე ადგილზე (აქვეა მსოფლიოში სიდიდით მესამე, მალაზიელების კუთვნილი კაზინო) და აქედან დიდი მწვანე ფერდობები მდინარისაკენ ეშვებიან. მდინარეში უამრავი „კატემარანი“, „ბაიადერა“, „ტორნადა“, თუ იალქნიანი ნავი დასრიალებს. საღამოობით, როცა ხალხისა და სპორტსმენების ჟრიამული წყდებოდა, მხატვარი მირიან შველიძე კარგა მოზრდილ თევზებს იჭერდა და მსახიობებს უმასპინძლდებოდა.

რეპეტიციებისაგან თავისუფალ დროს, დღისით ამ მდელოებზე ვიკრიბებოდით, ნაშუადღევს კი ოკეანისაკენ მივემგზავრებოდით ტრამვაით. ასეთ ტრამვაის ძველი თბილისელები „კონკას“ ეძახდნენ. ტრამვაის ბილეთზე მისი შეძენის დრო იყო აღნიშნული. საათნახევრის შემდეგ, ოკეანიდან ქალაქის ცენტრისაკენ მგზავრობა შეგეძლო იმავე ბილეთით, უფასოდ.

ერთ მზიან დილას მე და ნესტორ ჭილაძე, რუსთაველის თეატრის დირექტორ-განმკარ-

გულებელი განმარტოებით ვისხედით მდელოზე, დიდი მუხის ჩრდილში. შორიახლოს, პირდაპირ მზის გულზე კი წელს ზემოთ გაშიშვლებული ქალ-ვაჟი გაშმაგებით კოცნიდნენ ერთმანეთს, ჩახვეულები კოტრიალობდნენ მწვანე ხასხასა ბალახზე. ერთი სიტყვით, თითქმის ყველაფერს აკეთებდნენ „გაიმასქნების“ გარდა, და თან ცალი თვალი, რატომღაც ჩვენსკენ ეჭირათ. კარგა ხნის შემდეგ წამოდგა ეს ყმაწვილი და ჩვენსკენ გამოემართა. უწვერული ყმაწვილი აღმოჩნდა, სახეზე წამოწითლებულიყო და ტუჩები ამდენი კოცნისგან შესიებული ჰქონდა.

ეს ბიჭი გვეუბნება:

_ სექსი გინდათ?

???

როგორც ჩანს, ჩვენი გაოცება და პაუზა თავისებურად გაიგო...

_ ბიჭი გინდათ თუ გოგო?

ცნობისმოყვარეობამ დამძლია _ გოგო სად არის მეთქი?

_ აგერო _ ხელი გაიშვირა თავის გოგონასაკენ, რომელსაც წელან თავდავიწყებით კოცნიდა.

_ ბიჭი?

_ ბიჭი მე ვარ!

_ გოგო რა ღირს?

_ გოგო ოთხმოცი დოლარი, მე _ მკერდზე მიიდო ხელი _ მე, ორმოცი დოლარი!

???

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ჯანმრთელი ერის ამ ორი ცოდვილი შვილის ასეთი დისონანსი ბუნების ჰარმონიულ მშვენიერებაში თავზარდამცემი იყო.

კონსერვები ლონდონის საელჩოსათვის

ედინბურგში მსახიობ დათო ჩხიკვაძეს (მწერალ პანტელეიმონ ჩხიკვაძის შვილს) თეატრში დაეკარგა ჩანთა, რომელშიც მისი საზღვარგარეთის პასპორტი იდო. უპასპორტოდ არც ლონდონის „ჰიტროუდან“ გამოუშვებდნენ ინგლისელი მესაზღვრეები და არც „შერემეტიევო-2“-დან შემოუშვებდნენ სსრკ-ში. იძულებული გავხდი,ჩამოვსულიყავი ლონდონში დათოსთან ერთად, რათა დროებითი მოწმობა გაგვეფორმებინა სსრკ-ს საელჩოში. ეს საქმე ერთ დღეში მოვაგვარე. ძალიან დაგვეხმარა კომუნისტური პარტიის სულთამხუთავი იდეოლოგის _ „ნაცრისფერ კარდინალად“ წოდებული, ყოვლისშემძლე სუსლოვის შვილიშვილი. ამ პატარა სუსლოვს მოსკოვში ჰქონდა დამთავრებული საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტი, ინგლისურენოვანი ქვეყნების განხრით და დიპლომის დაცვისთანავე ბაბუამისს ლონდონში გაუგზავნია,საელჩოში.

გულღია და ენაწყლიანი ყმაწვილი აღმოჩნდა და საოცარი რამ მითხრა. ისედაც პატარა ხელფასი გვქონდა და ახლა ერთ მესამედს გვიკავებენ, ფულის ნაცვლად სასურსათო ტალონებს გვირიგებენ. საელჩოს თანამშრომლები ფულს ზოგავენ და სანახევროდ მშიერები არიან. იყო შემთხვევა, როცა შიმშილისაგან დასუსტებულს გულიც კი წაუვიდაო. ამის შემდეგ შემოიღო ელჩმა ეს სასურსათო ბარათები. საკვებს საელჩოს ბუფეტში ვყიდულობთ, ძირითადად საბჭოთა კონსერვებსო. ჩვენ კი ამ დროს, ედინბურგში, თითქმის ყოველდღე გვპატიჟებდნენ და მსახიობებს ბევრი კონსერვი შემორჩათ. ლონდონში რომ დაბრუნდა დასი, შევაგროვეთ ეს კონსერვები და სწორედ სუსლოვის შვილიშვილს გადავეცით სსრკს საელჩოში დასარიგებლად... ესეც საბჭოეთის ერთ-ერთი პარადოქსი იყო: სუსლოვის შვილიშვილს შეეძლო საუდის არაბეთის პრინცივით ეცხოვრა, მაგრამ კომუნისტური ფანატიზმით შეპყრობილი ბაბუა ამას როგორ დაუშვებდა... და გაძვალტყავებულმა, ჯიბეგაფხეკილმა ქართველებმა იქით გავუწიეთ ჰუმანიტარული დახმარება „მძლე რუსეთის“ დიპლომატებს, რომლებიც ყველას იქით ასწავლიან, თუ როგორ უნდა იცხოვრონ.

ოლგა სპესივცევა კრემატორიუმში

ბალერინა ოლგა სპესივცევას ცეკვის კანტილენას აღტაცებაში მოჰყავდა ჯერ პეტერბურგის მარინის თეატრის, მერე ევროპის დიდი სცენების მაყურებლები. მის ფანტასტიკურ ტექნიკაზე და მომაჯადოებელ სილამაზეზე ლეგენდები დადიოდა. ამბობდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ცეკვის ქალღმერთ თერპსიქორას თუ ძალუძდა მსგავსი სრულქმნილების შექმნაა. ბალეტის სპეციალისტები მას მსოფლიოში საუკეთესო ჟიზელად მიიჩნევდნენ, ხოლო ამ პარტიას ცეკვავდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ კერსავინა, გ. ულანოვა, ფონტეინი, ივეტ შოვირე, მაკაროვა, ალისა მარკოვა, მაია პლისეცკაია, ნინო ანანიაშვილი... „პოეტური ენით რომ ვთქვათ _ წერს საბალეტო ხელოვნების შესანიშნავი მცოდნე ვადიმ გაევსკი _ სპესივცევა ვილისად დაიბადაო“. თავის წიგნში „პეტიპას სახლი“ იგი ასე ახასიათებს ბალერინას: «фантастическая, колдавская и небезопасная красота, фантастический, колдавской и небезопасний танец». ამ წიგნში ავტორი ჭეშმარიტად გენიალური მოცეკვავის მშვენიერ პორტრეტს ხატავს. იმასაც კი აღნიშნავს, რომ ო. სპესივცევას ფსიქიკაზე ორმა ფაქტორმა იმოქმედა ძალიან ძლიერად. პირველი, მან არ იცოდა, თუ ვინ იყო მამამისი და ეს საიდუმლო მთელი სიცოცხლის მანძილზე სტანჯავდა, ხოლო ჟიზელ-ვილისის ცეკვამ (მეორე მოქმედებაში) დაამსხვრია მისი უსასრულოდ ნატიფი ფსიქიკაო.

სულ ახლახან, ფარდა აეხადა ერიკ ბიდუმლოს _ ეს სიფრიფანა, ნაზი, ჰაეროვანი არსება სულაც არ ყოფილა „უსასრულოდ ნატიფი ფსიქიკის“ ადამიანი, თავის ჩეკისტ, სადისტ მეუღლეს კაპლენს, თურმე, ხშირად დაჰყავდა კრემატორიუმში და ეს საოცნებო ვილისი (რომელმაც „ჟიზელში“ მრავალგზის მოიხილა იმქვეყნიური სამყარო) სიამოვნებით უყურებდა და ტკბებოდა ელექტრო-ღუმელში მიცვალებულთა კოშმარული „ცეკვებით“, ამ, მართლაც „ფანტასტიკური, ჯადოქრული და სახიფათო ცეკვებით“.

დაბეჯითებით ვერავინ ამბობს, ეს განსაცვიფრებელი ბალერინა, სადისტ ქმარს გაექცა თუ ბოლშევიკურ რეჟიმს, ყოველ შემთხვევაში, 1924 წელს, ჯორჯ ბალანჩინთან ერთდროულად საფრანგეთში გაქცეული ო. სპესივცევა მეორედ აღარ გათხოვილა და ღრმად მოხუცებულს მარტოობაში ამოხდა სული. როგორც ჩანს, ამ ქალში, რომელიც თავისი დახვეწილი პოეტურობით ყველას აჯადოებდა, ღრმად იყო დაფარული სატანურ-დემონური საწყისი, რამაც იგი ბოლოს შეშლილობამდე მიიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ქიკნაძე

ღვთის ქმნილება და ადამიანის კულტურა

I

თუ ამოვალთ კულტურის ფუნდამენტური განსაზღვრებიდან, რომ იგი ბუნების, ბუნებრივ მოცემულობათა — ნივთიერი სამყაროთი დაწყებული და ადამიანით დამთავრებული, — საფეხურებრივი გარდაქმნის შედეგია, კულტუროლოგია წარმოგვიდგება უნივერსალურ ჰუმანიტარულ ზედისციპლინად, რომელსაც ექნება თავისი ობიექტის უსაზღვროდ გაფართოების ტენდენცია ყველა სფეროში, სადაც კი ადამიანს უხდება მოქმედება: გეოსფეროში — მკვდარ ბუნებაში, ბიოსფეროში — ცოცხალი ბუნების ორი განშტოებით, როგორიც არის მცენარეული და ცხოველური სამყარო, და ანთროპოსფეროში მისი სოციალური და მენტალური (ნოოსფერო) განშტოებებით. ამრიგად, კულტურის პრობლემა უპირატესად, თავისი არსით, ადამიანური პრობლემა ხდება, რადგან ყველაფერს ამ სფეროში მას შემდეგ, რაც ადამიანი შეიქმნა დედამიწაზე, ქვით დაწყებული და მისი საკუთარი თავით დამთავრებული, ადამიანური დაღი აძევს. ასეთი იყო, როგორც ჩანს, მისი შემოქმედი ღვთის ჩანაფიქრი, რასაც ვერ სწვდება მეცნიერული ცოდნა, მაგრამ მასზე ყველა რელიგიური ტრადიცია ლაპარაკობს.

ადამიანის, როგორც ღვთის ხატის, უპირველესი განზომილება, რომლითაც, ის, ცხადია, სიმბოლურად, ღვთის მსგავსებას აღწევს, შემოქმედებაა, სიახლის შემოტანაა არსებულ ყოფიერებაში, ხოლო თუ კულტურა შემოქმედების ნაყოფია, ადამიანი საკაცობრიო ისტორიულ პროცესში თავს ავლენს უპირატესად, როგორც კულტუროგენური არსება. იგი მუდმივ კულტურშემოქმედებით პროცესში იმყოფება, რათა თავისავე შექმნილ სამყაროში იცხოვროს. ადამიანი განუწყვეტლივ აფართოებს თავის ადამიანურ ფარგლებს, ბუნებაში იმკვიდრებს თავს, რათა ამ დამკვიდრებით დაძლიოს ის სიუცხოვე, რომელიც ბუნების სახით დგას მის წინაშე. მას შემდეგ, რაც ადამიანი ბუნებაში იმყოფება, ბუნება მისი ხელით განიცდის განუწყვეტელ ცვლილებას. არა მხოლოდ ადამიანის ხელს, არამედ მის თვალს ერთი შევლებითაც კი ბუნება კულტურის სფეროში შეჰყავს. ეს არის თვალი, რომელიც გარდაქმნის ყველაფერს, რაც მის არეში მოხვდება („სადაც ყოველ მხრით პრაქსიტელის თვალი გიყურებს"). „თვალშევლებული" ბუნება უკვე ადამიანურია, მისი შემოქმედებით არის ნიშანდებული. ბუნება იმთავითვე იყო და რჩება ადამიანის შემოქმედების ასპარეზად და მასალად იმავდროულად, და თუმცა ჯერ კიდევ თვალშეუვლები და ხელშეუხებელი ბუნების ზემოხსენებული გადასვლა კულტურაში მხოლოდდამხოლოდ ვირტუალურია, შეიძლება სწორედ ეს იყოს ყველაზე სრულყოფილი კულტუროგონიური ღვაწლი, რაც კი ოდესმე ადამიანის არსებობის მიღწევად ჩათვლილა ამ სამყაროში. თუ ნივთიერი არტეფაქტები ბუნების ცალკეული ფრაგმენტების გარდაქმნის შედეგია, მოყვანილ შემთხვევაში საქმე გვაქვს იდეალურ ფორმათა წარმოქმნასთან, რაც ყოველგვარ მომავალ არტეფაქტს უდევს თაურსახედ (არქეტიპად). თვალსაჩინო მაგალითისთვის, მოქანდაკის თვალი რომელიმე უსახურ ლოდში, რომელიც გარეშე (პროფანული) თვალისთვის „უსახური და უდაბურია და, ამ აზრით *არარაა* ანუ ბიბლიური *თოჰუ-ბოჰუა*" (დაბ.1:2), აღმოაჩენს დაფარულ ხატს, რომლის განთავისუფლებაში მდგომარეობს ხელოვანის მიზანი და, ზოგადად, ხელოვნების საზრისი. მხოლოდ მას, იმ ყმაწვილს, რომელიც თავის შემოქმედებით ნახტომში, ზეაღსვლაში, მთელი ტანით აფარებია ლოდს, შეუძლია განჭვრიტოს მასში დაფარული ხატი. ლოდი და შემოქმედი ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთისთვის არიან გაჩენილი, თუმცა ერთმანეთის უცხონი, პრინციპულად სხვანი. მისმა თვალმა, ვიდრე ხელი შეუდგებოდა ქმნას, უკვე გაათავისუფლა ლოდში დატყვევებული სახე, იხსნა ის, რაც მისი გამოსახსნელი იყო, რაც ელოდა მას, როგორც ზღაპრებში მოჯადოებული უფლისწული თავის გამომხსნელ სატრფოს.

ადამიანი აგრძელებს ღვთის შემოქმედებას არა მხოლოდ „მკვდარი", არამედ ცოცხალი ბუნების სფეროში. მივმართოთ წყაროს:

„და გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი და მიჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა. რომელ სულდგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა" (დაბ. 2:19). რას გვამცნობს ეს მონაკვეთი? აქ გვაქვს საქმე ორი სახის შემოქმედებასთან: ერთია აბსოლუტური შექმნა ანუ შექმნა არარაობისგან (ex nihilo), რადგან ღმერთი ქმნის მასალასაც და სახესაც ამ მასალისგან. მეორეა შექმნილისთვის ფუნქციის მინიჭება, ადგილის განსაზღვრა მათთვის იმ სამყაროში, რომელიც ადამიანის საპატრონებლად ჩაბარდა. ადამი თავისუფალი აქტით ეგებება ღვთის გამოწვევას. ღმერთი აკვირდება ადამს, შეძლებს თუ არა იგი ცხოველთა სამყაროს შექმნას საკუთარი ძალით — იმ ენის მეშვეობით, რომელიც მას მიემადლა? შეძლებს თუ არა იგი ჯერ ამ არსებათა საზრისების ამოცნობას და მერე მათთვის მათივე ბუნების შესატყვისი სახელების დარქმევას? სხვა რა შეუძლია ადამს — ის ხომ არარაობიდან არ ქმნის საგნებს, ის მხოლოდ დემიურგია: არსებულის ანუ ღვთის ქმნილების გარდამქმნელი. პირველშემოქმედი ადამიანს უტოვებს ადგილს შემოქმედებისთვის, ღვთიურ მოცემულობაში, რაც არის ნედლი ბუნება, ადამიანური საზრისის შესატანად. სახელების შერქმევა, სახელდების აქტი შემოქმედითი აქტია. ამიერიდან, რაც ადამიანმა სახელები შეარქვა ცხოველებს, ისინი აღარ არიან მხოლოდ ბუნების ნაწილნი, განუყოფლად აღარ ეკუთვნიან ბუნებას, არამედ ადამიანური სამყაროს — კულტურის ზიარნი ხდებიან. ადამიანი ცხოველთა „ნათლია" ხდება, შემოჰყავს რა ისინი თავისი ადამიანობის საზღვრებში. ამიერიდან ყოველი ქმნილება ადამიანის მიერ შერქმეულ სახელს და სახელთან ერთად მის მიერ დაკისრებულ ტვირთს ატარებს. ეს არის, თავად, მისი ქმნილება ღვთის ქმნილების გვერდით. „ადამიანი ქმნის სამყაროს საკუთარი ენის მეშვეობით" (უორფი). ის, რაც ღვთის ქმნილებას სახელდებით ემატება, ადამიანური კულტურის ნიშანია.

ბიბლია არ იძლევა თეორიებს, მაგრამ თუ სადმე კულტუროლოგიური ჭეშმარიტება გაცხადებულა, ეს ბიბლიაში გაცხადდა პირველად, ადამის ფუნქცია ედემის ბაღში მკვეთრად კულტუროგონურია. ის კოსმოგონიის განგრძობაა ახალ, ადამიანურ სინამდვილეში. როცა ვკითხულობთ, რომ ღმერთმა ადამი „დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად" (დაბ. 2:15), შეიძლება გვეფიქრა, რომ ედემის მიწა მას უტილიტარული მიზნით მიეცა, როგორც მოხმარების საგანი. მაგრამ ეს არ იქნებოდა ამ ადგილის მართებული გაგება. სიტყვებმა, რომლებიც ედემის გარეთ არსებულ რეალობაში ჩამოყალიბდნენ, არ უნდა შეგვაცდინონ (არსებობს კი ისეთი სიტყვები, რომლებსაც შეეძლებოდათ ადექვატურად გამოეხატათ ედემური სინამდვილე და იქ ადამის მოღვაწეობის ხასიათი?). მარტინ ბუბერისეულ გერმანულ თარგმანში, რომელიც აღადგენს ამ ადგილზე ებრაულ სიტყვებში ნაგულისხმევ სემანტიკას, მიწის დამუშავება და დაცვა რელიგიურ შინაარს იძენს. Ihn zubedienen und ihn zu hüten — „მის სამსახურად და დასაცავად" — ვკითხულობთ მის თარგმანში, სადაც ზმნები *აბად* და *შამარ* მათი სწორედ რელიგიური მნიშვნელობით არის აღდგენილი, როგორც ძველი აღთქმის მთელი ტექსტი მოწმობს. ბაღი, ბაღის მიწა რელიგიური მსახურების და დაცვის (ამჟამად არ ვსაუბრობთ იმაზე, თუ რისგან დაცვის) ობიექტია. ამრიგად, ის საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინი, რომელიც ლათინური სამყაროდან მოდის — cultus, cultura, ქრისტიანული რელიგიის ფუძემდებლურ წიგნში ტიპოლოგიურ შესატყვისს პოულობს, რაც უდაოდ კულტურის რელიგიური წარმოშობის იდეას ადასტურებს. არ არის შემთხვევითი, რომ ციდან დაგვირგვინებისა და სამეფო ინსინიების მიღების შემდეგ შუამდინარელი პირველმეფის (resp. პირველკაცის) უშუალო ქმედება ტაძრის ბაღში საკულტო ხის დარგვაა. ამრიგად, პირველმეფეც, როგორც ადამი, არის უპირატესად cultor agri და cultor dei იმავდროულად. ამრიგად,

ადამი შემოდის მიწიერ რეალობაში როგორც მწყემსი — ჯოგების ნათლია და, გარკვეულად მისი პატრონიც და მსახურიც, და როგორც „მკვდარი" მიწის თავისი *სამსახურით* განმაცოცხლებელი.

II

„ადამიანი არ არის ბუნება, როგორც ღმერთი არ არის ბუნება" (ნ. ბერდიაევი) — დებულება, რომელიც თითქოს თავისთავად ცხადია, საჭიროებს განვრცობა-გაღრმავებას. ადამიანი, როგორც ღვთის ხატად გაჩენილი, ღვთის წილია; მაგრამ ის ბუნების წილიც არის, როგორც ბიოლოგიური არსება, რომელიც მეექვსე დღეს, ცხოველთა გაჩენის დღეს არის შექმნილი. იქმნება საცდური, რომ ადამიანი და ცხოველი, რაკი ერთ დღეს არიან გაჩენილნი და ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურადაც ახლო არიან ერთმანეთთან (როგორც ხერხემლიანები, ძუძუმწოვარნი და სხვა), გენეტურადაც უკავშირდებიან ერთმანეთს. ამ ჰიპოთეზას, რომელმაც გაიდგა ფეხი მეცნიერებაში, ადამიანი, ღვთის ხატი არ ეგუება. ის სირცხვილი, რომელიც დაეუფლა ადამს თავისი სიშიშვლის გაცნობიერებისას, მისი ცხოველად ყოფნის, მასთან ამ შესაძლებელი ნათესაობის აღმოჩენის შედეგად დაბადებული სირცხვილი იყო. ამ წამიდან, რაც ადამმა იგრძნო ეს მსგავსება, იგი იფარავს თავის სხეულს. ამ სირცხვილის დასაფარავად ღმერთმა გაუკეთა მას ტყავის სამოსელი და ეს იყო კულტურშემოქმედებითი პროცესის დასაწყისი. პირველი არტეფაქტი სამოსელის სახით, რომელიც უშუალოდ ეკვრის მის სხეულს, ღვთისგან მოდის, ჩანს, კულტურას ღვთაებრივი დასაბამი აქვს — მისი იდეა ღმერთშია. კულტურის რა დონეზეც არ უნდა იმყოფებოდეს ადამის მოდგმა, ის სხეულს ან სხეულის რაღაც ნაწილს იფარავს. ტყიური ეთერი, რომელიც ადამიანთა საზოგადოებაში არ გაზრდილა, თმით იფარავს სხეულს, ვიდრე აბესალომი სადედოფლო შესამოსელით არ შემოსავს.

ადამიანი ჭამს, სვამს, მრავლდება, როგორც ცხოველი; ბიოლოგიური იძულებითი სტიქიური პროცესი მასზე არ არის დამოკიდებული, არსებითად მას არ შეუძლია მისი მართვა. მაგრამ ის უპირისპირდება ამ იძულებას, ამ სტიქიას: მას სურს, ჭამოს და სვას, ეუღლებოდეს არა ცხოველურად, არამედ ადამიანურად, ღვთისხატურად, რისთვისაც ბუნებრივ-ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ აქტებს ის კულტურულ აქტებად გარდაქმნის. სხვაგვარად მას არ შეუძლია. ეს შინაგანი იძულებაა, რაც უკვე აღარ არის იძულება, ეს მისი ბუნების გამოხატულებაა. უმაღლეს ეტაპზე ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი აქტები სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. პეშვით ადამიანი წყურვილს იკლავს, მაგრამ თასის შექმნით ის სიმბოლიზმს უხსნის გზას. სასმელით სავსე თასს ის სიტყვასთან, მეტყველებასთან აკავშირებს. თასის ხელთპყრობა ადამიანური (განკაცების) აქტია („გილგამეშიანის" ენქიდუ), მისი გადაგდება — კულტურაზე უარის თქმის (დიოგენეს). ერთი მხრივ, დგას უდაბნოში მწყურვალე ალექსანდრე, მისთვის მუზარადით მორთმეული წყლის დამღვრელი, მეორე მხრივ, ჩვენს დღეებში აღმართული სარეკლამო ფარი წარწერით „დაემორჩილე წყურვილის გრძნობას", რომელიც ბიოლოგიური ბუნებისკენ გვაბრუნებს.

III

გარკვეული ანალოგიით, ისევე როგორც ღვთის ქმნილება არ გამოხატავს ღვთის ბუნებას და მხოლოდ სიმბოლურ წარმოდგენას გვიქმნის თავის შემოქმედზე, ასევე არტეფაქტებით ავსებული ადამიანური სამყარო მისი შემოქმედი ადამიანის მხოლოდ სიმბოლური ნიშანია. კულტურა არ გამოხატავს ადამიანის ბუნებას, როგორც ღვთის ქმნილება არ გამოხატავს ღვთის ბუნებას, მხოლოდ მიგვანიშნებს მის კვალზე. და, ასევე, კულტურის რეალობაშიც ჩანს ადამიანის კვალი. კულტურა მხოლოდ კვალია, მხოლოდ სიმბოლოა მისი შემოქმედებითი ძალისხმევისა. ადამიანის ბუნება, თვით ადამიანისთვისაც ბოლომდე შეუცნობელი, გაცილებით ღრმაა, ვიდრე მისი შემოქმედების, თუნდაც უმწვერვალესი ნიმუში, თუ შესაძლებელია კულტურის საზრისის ამოცნობა, ადამიანის ბუნების, როგორც ღვთის ქმნილების, საზრისი პრინციპულად ამოუცნობია. მისი ამოცნობა ღვთიური გამოცხადების სფეროს ეკუთვნის.

რაკი კულტურას სიმბოლური ხასიათი აქვს, იგი *სხვაა* ადამიანის მიმართ. ის ახალი, განსხვავებული რეალობაა არა მხოლოდ ბუნებაში და ბუნების მიმართ, არამედ ადამიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართაც. ადამიანის შინაგანი არსი მისგან განსხვავებული სახით, მისი *სხვა* სახით, ანუ კულტურის სახით არის გადმოფენილი. კულტურის სახით ის ხედავს თავის *სხვას*, კულტურას, მას შეუძლია უთხრას: „სხვაი ჩემი". ამ *სხვის* ფენომენზეა დაფუძნებული პიგმალიონის მითოსი. მართალია, კულტურა განსაზღვრავს ადამიანის ადამიანობას, მაგრამ მას თავად ისევე, როგორც ღვთის ქმნილებას, არა აქვს თავისთავადი არსებობა, არა აქვს საფუძველი თავის თავში. იგი ისევე არარაობიდან არის „ამოზრდილი", როგორც ღვთის ქმნილება. კულტურის არსობრივი არარაობა თავს იჩენს იმ მომენტიდანვე, როგორც კი ადამიანი შეწყვეტს მასზე ზრუნვას, განუდგება მას, მიაგდებს მას. არტეფაქტები, რაგინდ კოლოსალურნი არ უნდა იყვნენ, ადამიანის ხელის მიშვებით ირღვევიან და მერე, საბოლოოდ, ბუნებასთან კვლავ გამთლიანდებიან. „მიწა ხარ და მიწად მიიქცევი" — ეს განაჩენი არა მხოლოდ ადამიანის ფიზიკას ეკუთვნის, არამედ მისი სულის კვალსაც კულტურის სახით, ეს არარსებობა საკუთარი საფუძვლისა *არარად* ხდის კულტურას, რის გამოც მისი ფორმების შენარჩუნება მხოლოდ ადამიანის ძალისხმევაზეა დამოკიდებული. კულტურა ადამიანის სიტყვაა, მისი მეტყველებაა, რაშიც ცხადდება მხოლოდ მისი „იზომორფული" სამყარო. სიტყვა როცა წარმოითქმის, მაშინ არსებობს, ის აბელივით, რომელიც სუნთქვასა და ქროლვას გამოხატავს, განქარდება; ის მხოლოდ განუწყვეტელ წარმოთქმაში ინარჩუნებს არსებობას. როგორც განქარდება მოუსმენელი სიტყვა, ასევე განქარდება განუწყვეტელ ქმნადობას და მზრუნველობას მოკლებული კულტურაც. კულტურა თავისით ვერ შეინახავს თავს, მას არ აქვს, მსგავსად სამყაროსი, თავისთავადი არსებობა. ბუნებრივად ამოსული ბალახი ანუ ბუნება საბოლოოდ ძლევს მას და ეუფლება მას, რათა გულში ჩაიხუტოს.

ორტეგა-ი-გასეტი ერთგან წერს: „უკაცრიელი პეიზაჟი ნაგებობის გარეშე ლიტონი გეოლოგიაა. სოფელი მეტისმეტად ადამიანურია, ეკლესია და კოშკი კი — ბუნება და ისტორია ერთად". მაგრამ, დავსძენ, ეკლესიას და კოშკს, როგორც ისტორიას და კულტურას, კვლავ ბუნებად ქცევა ემუქრება. თუმცა ბოლომდე, თავდაპირველი სახით ის ვეღარ დაუბრუნდება ბუნებას, ვერ გახდება ლიტონი გეოლოგიური (გეოსფერული) წარმონაქმნი. საფლავის ლოდს ჟამთასვლა მიწის გულში ჩაძირავს, ჯერ ხავსს მოჰკიდებს, მერე ბალახი დაფარავს, მაგრამ ის მაინც შეინარჩუნებს თავის ანაბეჭდს.

თავს იჩენს და ცნობიერდება ნანგრევის თემა. არსებობს უკაცრიელი ანუ კულტურამდელი ლანდშაფტი და არსებობს გაუკაცრიელებული ანუ კულტურის შემდგომი ლანდშაფტი. ეს არის გზა ბუნებიდან ბუნებამდე, მათ შორის კი ნანგრევია. სხვაგვარად: ის კულტურასა და ბუნებას შორს მყოფობს, ის ორსავე რეალობას ეკუთვნის; ის კულტურის ნაშთია, რომელიც კვლავ უბრუნდება ბუნებას. ნანგრევი ამ შუაგზაზე, კვლავ ბუნებად გარდაქმნის პროცესში მყოფობის გამო იძენს ისეთ თვისებებს, რომელიც მას არ ჰქონდა თავისი კულტურული არსებობის ხანაში, მას ჯერ მთლიანად არ დაუტოვებია თავისი კულტურის ხანა, ჯერ კიდევ არ გადასულა, არ გაზავებულა ბუნებაში, მაგრამ მასში უკვე ბუნებრივი პროცესები მიმდინარეობს, რათა ბუნებამ საბოლოოდ გულში ჩაიკრას იგი. სოფლის ბოლოს აღმართულ იმ ბორცვში, რომელიც ლოდების გროვას იმარხავს, ერთმანეთს ხვდება ადამიანის ხელი და ბუნების ხელი, ნანგრევი იძენს ახალ, დამოუკიდებელ საზრისს, რომელიც არ გააჩნდა ნაგებობას, სანამ ის ნანგრევად იქცეოდა. სოფელი სხვაგვარი თვალით უყურებს ამ შუალედურ წარმონაქმნს, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი პირველადი, უტილიტარული დანიშნულება და სხვა რეალობაშია გადასული. ნანგრევი კულტურისა და ბუნების სიმბიოზის შედეგია. რაღაც მესამეა მათ შორის.

ტრადიციულ კულტურქმნადობის ეპოქაში კულტურა იმეორებს ბუნების კონფიგურაციას, არ არღვევს, არ შლის, არ ანგრევს მას. სახლი ბუნებრივად არის ჩაწერილი ლანდშაფტში, ბილიკი იკლაკნება, გზა იკეცება მთაზე, არ ხვრეტს მას; მდინარე თავისით მიედინება, თავისით ეძებს და პოულობს გზას მასზე გადებული ხიდი მისი ბუნებრივი განსრულებაა... თასი ბაძავს პეშვს, ახალ საფეხურზე აჰყავს იგი. საცხოვრებელი სახლი მისადაგებულია რელიეფს, მისი შემადგენელი ნაწილია, ბუნება ნებაყოფლობით უთმობს მას ადგილს თავის წიაღში;

ის არ არის აღმართული ამპარტავნულად მიდამოზე, არ მაღლობს არემარეზე. მცენეთის ჯვარი არ ბატონობს ბორცვზე, სადაც დაეშენა, ის ბორცვის გვირგვინია, მისი ბუნებრივი ფორმის დასრულებაა, შენობამ მიანიჭა მას საზრისი, გამოაჩინა მისი *დაფარული*.

ამაზე ითქმის, რომ „კულტურა იგივე ბუნებაა, უმაღლეს ხარისხში აყვანილი" (შელინგი). ეს შეგნება და ხედვა, რომელიც არ ავლებს მკვეთრ ზღვარს ბუნებასა და კულტურას შორის, მხოლოდ სხვადასხვა საფეხურებად მიიჩნევს მათ, არსებობდა ტრადიციულ საზოგადოებაში. ადამიანის შემოქმედება წარმოდგენილი იყო კოსმოგონიური შემოქმედების ბადალ პროცესად, ორივე პროცესი ერთი და იმავე ენით აღიწერებოდა. შუმერულ ჰიმნებში ტაძარი ისევე აღმოცენდება მიწის გულიდან, როგორც შესაქმის პირველი ბორცვი. ის ამობრწყინდება როგორც პირველამობრწყინებული მზე წყვდიადიდან; ამოიზრდება, როგორც პირველაღმოცენებული კედარი... ადამიანის შემოქმედება ხელს უწვდის კოსმოგონიურ აქტებს.

IV

სიცოცხლე და ცხოვრება. ერთი ძირიდან (*ცხ–*) წარმოქმნილი ეს ორი სიტყვა განარჩევს ადამიანის არსებობის ორ დონეს, ორ კატეგორიას. ადამიანი ცოცხლობს, ადამიანი ცხოვრობს. პირველი ბიოლოგიურ არსებობას გულისხმობს, მეორე – შეგნებულს, კულტურულს, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. სიცოცხლით ადამიანი ჩართულია ცოცხალ სამყაროში, სამყაროს მრავალფეროვან სიცოცხლეში, სიცოცხლის ერთიან უწყვეტობაში, როგორც ინდივიდუალური სიცოცხლით მიმადლებული ბიოლოგიური არსება. სიცოცხლე აქტივობს მასში, თავად კი ვერ აქტივობს სიცოცხლეზე. სიცოცხლის პროცესი მისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს მის ორგანიზმში, ადამიანი ვერ აფუძნებს, ვერ მართავს მას. რისი დაფუძნება და მართვაც მას შეუძლია, ეს ცხოვრებაა, რომლის აუცილებელ პირობას სიცოცხლე შეადგენს, რაშიც არაფერი საკუთრივ ადამიანური არ არის. მეექვსე დღეს ცხოველს და ადამიანს თანაბრად მიეცათ ეს მადლი. ცხოველიც ცოცხლობს და, შესაძლოა, უფრო ინტენსიურად და ენერგიულადაც, უფრო არსებითად; იგი მთლიანად, მთელი თავისი არსებით არის ჩაბმული სასიცოცხლო პროცესში, სიცოცხლის გარდა მას არაფერი გააჩნია: მისი არსებობა სიცოცხლით არის შემოზღუდული, მისი მთელი „ინტერესი" სიცოცხლის შენარჩუნებისკენ არის მიმართული. მისთვის **esse est vivere**. მაგრამ ადამიანი იწყება მაშინ, როცა სიცოცხლე კარგავს თავის აბსოლუტურ ღირებულებას და არსებას შეუძლია მისი განკარგვა თავისი ინტერესის მიხედვით. ადამიანს შეუძლია გაიაზროს ისეთი ღირებულება, რისთვისაც მას სიცოცხლის დათმობა შეეძლება. ერთადერთი ადამიანია ამგვარი არსება. პარადოქსული, შეიძლება ითქვას, მოულოდნელად არაბურჟუაზიული, დევიზი ჰანზელთა სოვდაგრული კავშირისა *Navigare necesse est, vivere non est necesse*, „ნაოსნობა აუცილებელია, სიცოცხლე არ არის აუცილებელი" – ამის ცხადი დადასტურებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლე, ეს ძვირფასი სუბსტანცია, რომელიც ადამიანს ეძლევა, როგორც უსასყიდლო ჯილდო, არ არის საკმარისი მისი ადამიანობისთვის, ადამიანად ყოფნისთვის. სიცოცხლე, ცხოველური სამყაროსგან განსხვავებით, არ არის ადამიანის თვითმიზანი. ადამიანი იმდენად არის ადამიანი, რამდენადაც ის იყენებს სიცოცხლეს საშუალებად უფრო მაღალი საფეხურისთვის, რაც ცხოვრებაში, როგორც არსებობის საზრისში, იგულისხმება. ადამიანს სიცოცხლე გამზადებული მიეცა, ცხოვრებას კი თავად განამზადებს. ის არის ***cultor*** **vitae**, საკუთარი სიცოცხლის ცხოვრებად გარდამქმნელი, ცხოვრებად, რისთვისაც მას უღირს სიცოცხლე. არსებობს ცხოვრების კულტურა, მაგრამ არ შეიძლება არსებობდეს სიცოცხლის კულტურა.

ადამიანს ღვთისხატობა აძლევს უნარს, რომ ცოცხალი არსებიდან *მცხოვრები*, საზრისის დამამკვიდრებელი არსება შექმნას ანუ სიცოცხლე ცხოვრებად გარდაქმნას, აღზარდოს თავი, აღიზარდოს.

გაზრდა და აღზრდა. ერთი ძირის (*ზრდ*) ორი მოდიფიკაცია განარჩევს ორ ერთმანეთისგან თვისობრივად განსხვავებულ პროცესს. მცენარე იზრდება, ცხოველი იზრდება, ადამიანიც იზრდება. თუ ცხოვე-

ლის ბიოლოგიურ ზრდასთან ერთად პარალელურად მისი ინსტინქტების მანიფესტაციაც ხდება და ცხოველი დაბადებიდან მცირე ხნის შემდეგ მზად არის არსებობისთვის ბრძოლაში ჩასაბმელად ანუ, სხვაგვარად, მისი ჩამოყალიბება იმ ტიპად (გვარად), როგორადაც შეიქმნა, როგორც მის თესლშია ჩადებული, დასრულებულია, ადამიანის ადამიანად ჩამოსაყალიბებლად ბიოლოგიური ზრდა საკმარისი არ არის, ადამიანი ერთადერთია, ვისაც აღზრდა ესაჭიროება, ერთადერთი ადამიანია დანარჩენ ქმნილებათა შორის, რომელიც არათუ ექვემდებარება, არამედ აუცილებლობით მოითხოვს აღზრდას. ეს ამ უმაღლესი არსების ნაკლიც არის და უპირატესობაც, ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ცხოვრების ასპარეზზე მისი გამოსვლის გაწელილი პროცესი ხანგრძლივად დამოკიდებულს და უმწეოს ხდის მას. მეორე მხრივ, მისი სიცოცხლის, გადარჩენის, მის ბუნებაში ჩადებულ შესაძლებლობათა მანიფესტაციის ალბათურობის ნაკლები ხარისხი მეტ ღირებულებას ანიჭებს მას. ადამიანი, უხეშად რომ ვთქვათ, არ არის იაფი პროდუქტი („ოდეს ტურფა გაიაფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად"). საბოლოოდ, მისი თავდაპირველი უმწეობა და დაუცველობა მისი მაღალი, შეიძლება ითქვას, აბსოლუტური ღირსების უკუპროპორციული პირობაა. თუ ადამიანში, როგორც ღვთის ხატად გაჩენილ არსებაში, ძირითადი ნიშანი შემოქმედებაა, რომელსაც ის მეტ-ნაკლებად ავლენს თავისი ცხოვრების მანძილზე ისე, რომ თავად ცხოვრება შემოქმედებითი პროცესიც არის და შემოქმედების შედეგიც, მისი აღზრდაც ამგვარ არსებად ასევე შემოქმედებაა. აბსოლუტური ღირებულება, რომელიც ადამიანს აქვს მინიჭებული ღვთიური განგებით, მის აღზრდას ძვირად ღირებულ პროცესად აქცევს, გაცილებით უფრო ძვირად, ვიდრე მისი გამოკვებაა.

აღზრდა თავის საფუძველში გულისხმობს იმის აღზრდას ადამიანში, რაც მის ბუნებაზე, ბუნებრივ მოცემულობაზე, ბიოლოგიურ საწყისზე აღმატებულია. აღზრდა მოწოდებულია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ადამიანში საკუთრივ ადამიანურის (ადამურის) *ჩვეკვას*, მის განშლას და მანიფესტაციას, დაფარულის გამომზეურებას. ადამიანად აღზრდა იმ პროცესის ანალოგიურია, რომელიც მოქანდაკეს უსახური, მაგრამ შინაგანად (ფარულად) სახიერი ლოდისგან — მასში განჭვრეტილი სახის, *ემბრიონის* გასრულებას შეაძლებინებს.

მართალია, აღზრდა, როგორც კულტურშემოქმედება, მკაცრი აზრით მხოლოდ ადამიანურ სფეროშია შესაძლებელი, მან შეიძლება ისეთივე განზოგადება შეიძინოს, როგორიც ლათინურმა სიტყვამ *cultura*, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა მიწათმოქმედებას უკავშირდება. ჩანს, მიწასთან ადამიანის ურთიერთობა თითქოს ყველაზე თვალსაჩინოდ გამოხატავს კულტურშემოქმედებით პროცესს — ყამირის ყანად ქცევა კულტურის აქტის სიმბოლური გამოხატულებაა. ადამიანი უპირატესად არის *cultor agri (ager* „ყანა"). ადამიანი, კაცთა მოდგმის წინაპარი, პირველკაცი, სწორედ *cultor* agri იყო. გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ყანა წარმოადგენს უკაცრიელი, ყამირი მიწის, ველური ბუნების *აღზრდის* შედეგს. და ეს არ იქნება მხოლოდ ფიგურალური გამოთქმა, ასევე მისი *აღზრდილია* ყოველი მცენარე, რომელიც ამ ყანაში ხარობს. ასეა მეურნის შეგნებაში, რაც პოეზიამაც ასახა. სიტყვები ხალხური ლექსიდან „ვაზო, შვილივით ნაზარდო" ამ შეგნების ცხადი დადასტურებაა. ამ სიტყვების წარმომთქმელი ნამდვილად არის *cultor vitis* „ვენახის (ვაზის) აღმზრდელი". ადამი, რომელმაც ცხოველებს სახელები შეარქვა, ამ სახელდების მომენტიდან იწყებს ცხოველთა სამყაროს *კულტორის* საქმიანობას, რამაც მწვერვალს შინაურ ცხოველთა მიმართ მიაღწია. შინაური ცხოველები ნამდვილად ადამიანის აღსაზრდელნი და აღზრდილნი არიან, მისი, როგორც კულტორის, შემოქმედების ნაყოფია.

cultor deorum

ამრიგად, ადამიანი — კულტუროგენური არსება, კულტურის შემოქმედი, თავად კულტუროგონიური პროცესის შედეგია.

კულტურული აღმშენებლობის პროცესში ჩათრეულია მთელი სინამდვილე, სადაც ადამიანი არა მხოლოდ შემქმნელია კულტურისა *(cultor)*, არამედ მისი შედეგიც არის. ბენედიქტ სპინოზას თეზისის *(ნატურა ნატურანს, ნატურა ნატურატა)* პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, ადამიანი ერთსა და იმავე დროს არის *cultor* და *cultus*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

მედროვეები და დრო*

ესაუბრა ლელა ოჩიაური

– თქვენ იშვიათად (უფრო მეტიც, ძალიან იშვიათად) ჩნდებით საზოგადოების წინაშე. რა არის ამის მიზეზი და რამდენად დასაშვებად მიგაჩნიათ თანამედროვე (ახალგაზრდა თუ ხანდაზმული) შემოქმედის აქტიურობა მასმედიისა თუ პოლიტიკის და ა.შ. სფეროებში?

– „საზოგადოების წინაშე გამოჩენა", თანაც ხშირად, ნამდვილად არ მეხერხება. ამასაც განსაკუთრებული ნიჭი უნდა ალბათ. თუმცა, ბოლომდე გულწრფელი თუ ვიქნები, მაინცდამაინც, არ მხიბლავს და, მით უმეტეს, არ მხიბლავს შემოქმედთა აქტიურობა, განსაკუთრებით მასმედიისა და პოლიტიკის სფეროში, გინდა ახალგაზრდები იყვნენ ისინი, გინდა ხანდაზმულნი. ამგვარი აქტიურობა, ძირითადად, პირადი ინტერესებითაა განპირობებული და შემოქმედებასთან არაფერი აქვს საერთო. უმალ მორალურ-ზნეობრივი კატეგორიაა და საფუძვლად უაღრესად ადამიანური თვისებები უდევს: პატივმოყვარეობა, სიხარბე, შური... ჩემი აზრით, ესეც ერთგვარი სახეობაა არსებობისთვის ბრძოლისა და, ძალიან ხშირად, ამგვარი აქტიურობის შედეგად ხდებიან პოპულარულები, შოულობენ თანამდებობებს, იღებენ წოდებებს... მაგრამ განა ეს არის ჭეშმარიტი შემოქმედის მოწოდება?! ამიტომ, თქვენი ნებართვით, მეც შევიკავებ თავს ამ თემაზე საუბრისგან. მსაჯულად ნამდვილად ვერ გამოვდგები და, კაცმა რომ თქვას, არც არაფერია განსასჯელი. უაღრესად ცხოვრებისეული მოვლენაა და, თანაც, ადამის ხნისა. გააჩნია, ვის როგორ ესმის ცხოვრება და ვინ რას ელოდება მისგან. ჩვენ რომ მედროვეს ვეძახით, შეიძლება, გარემოების მსხვერპლი აღმოჩნდეს ბოლოს – ცხოვრებაში ფეხის მოკიდების ჟინს ღვთისგან ნაჩუქარი ტალანტიც გადააყოლოს, ანუ, საერთოდ ვეღარ მოიცალოს შემოქმედებისთვის, რისთვისაც მოევლინა ამ ქვეყანას. ადამიანი ყოველთვის ცდილობს, არ გაეთელვინოს ცხოვრებას და ამისთვის, ზოგჯერ, არანაირ გზას არ თაკილობს, ისევ ცხოვრების კარნახით. ასეთია ჩემი, ალბათ ცოტა მკაცრი, მაგრამ გულწრფელი აზრი შემოქმედთა აქტიურობასთან დაკავშირებით შემოქმედებასთან არაფრით დაკავშირებულ სფეროებში. ვიდრე არსებობს დრო, აუცილებლად მედროვეც იქნება, ისევე, როგორც მეცნიერი, ანდა მეთევზე... მე კი მხოლოდ წარმატება შემიძლია ვუსურვო ყველას, ვისი მოწოდებაც ცხოვრებაზე გამარჯვებაა. მთავარია, საზოგადოება იყოს მტკიცე და იოლად არ იცვლიდეს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ აზრს მარადიულ ცნებებზე. საზოგადოება, რომელიც პატივს არ მიაგებს, ვთქვათ, ღირსეულ შემოქმედს და, თუნდაც, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ფარზე შესვამს მედროვეს, რასაკვირველია, ჯანსაღ საზოგადოებად ვერ ჩაითვლება...

– ამბობენ, ინტერესი წიგნის მიმართ დღეს საგრძნობლად შემცირებულია. რა როლს ანიჭებთ ლიტერატურას საზოგა-

---

* ამ ინტერვიუს გადმობეჭდვა, გაზეთ „ქართულ უნივერსიტეტში" გამოქვეყნებისთანავე, ანუ ორი წლის წინ, გვინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ჟურნალი მას მერე აღარ გამოსულა, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, და მაინც, მიუხედავად ხანგრძლივი პაუზისა, საჭიროდ მიგვაჩნია ამ ინტერვიუს განმეორებით პუბლიკაცია, ვფიქრობთ, აქ წამოჭრილი ბევრი საკითხი დღესაც ინარჩუნებს სიმძაფრესა და მნიშვნელობას.

რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღების (განსაკუთრებით, ახალგაზრდობის) სამყაროს ჩამოყალიბებაში? საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს წიგნს?

– წიგნს დიდი, მე ვიტყოდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩამოყალიბებაში. რაც უფრო ნაკითხია ადამიანი, მით უფრო მდიდარია სულიერდ, ხოლო სულიერად მდიდარი ადამიანი გაცილებით იოლად უძლებს ნებისმიერ ცხოვრებისეულ გამოცდას, მათ შორის, რასაკვირველია, „საერთო ეკონომიკურ სიდუხჭირესაც", რითაც დღეს წიგნისადმი ინტერესის შემცირებას ვამართლებთ.

ეს, რა თქმა უნდა, მტკნარი სიცრუეა. წიგნიერი ადამიანი უმალ წიგნს იყიდის, ვიდრე პურს. წიგნისამდი ინტერესის შემცირება ეპოქალური, მსოფლიო მოვლენაა და ბუნებრივია, თავისი მიზეზები გააჩნია, ალბათ გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე ეკონომიკური კრიზისია, თანაც უაღრესად კონკრეტული ხასიათისა. მე პირადად, ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ცივილიზაციის სწრაფ განვითარებას ვთვლი. შემოქმედს, თანდათანობით, მწარმოებელი ჩაენაცვლა. შემოქმედების იდუმალი პროცესი წარმოების ტექნიკურმა პროცესმა შეცვალა. ანუ, თუკი, თავის დროზე, სერვანტესი ან სვიფტი თითო რომანს წერდა მთელი ცხოვრების მანძილზე, თანამედროვე სერვანტესები იძულებულნი შეიქნენ, ყოველწლიურად გამოაცხონ თითო რომანი, რის გამოც მხატვრული ნაწარმოები მასობრივი მოხმარების ჩვეულებრივ პროდუქტად იქცა. მაგრამ ეს ჩვენი საუბრის ფარგლებს სცილდება. თანაც, როგორც ვხედავ, თქვენ ქართველი მკითხველისა და ქართული წიგნის ურთიერთობა გაინტერესებთ ამჟამად და არა ზოგადად მკითხველისა და წიგნისა. მართალი ბრძანდებით, სჯობს, თავს მივხედოთ, ჩვენვე გავარკვიოთ ჩვენი პრობლემები, თორემ მსოფლიო უჩვენოდაც გაართმევს თავს ამ არასასიამოვნო, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, მაინც დროებით მოვლენას. მსოფლიო უწიგნოდ არ დარჩება. უწიგნოდ გაზრდილი ახალგაზრდა მარადიული წყვდიადისთვისაა განწირული. რა თქმა უნდა, საამისოდ ყველა ახალგაზრდა ერთნაირად ცოდა, მაგრამ მე განსაკუთრებულად ჩემი, ქართველი ახალგაზრდა მეცოდება – უნიჭიერესი და უვიცი, არასწორი წარმოდგენებისა და ფუჭი ილუზიების ტყვე. შენ რომ არ გისმენს, არაფრად რომ აღარ გაგდებს, ეს კიდევ არაფერი, ამას შენც მოინელებ და, რა თქმა უნდა, აპატიებ, მაგრამ შეიძლება მართლა გაგისკდეს გული, როცა საკუთარი თვალით ხედავ, როგორ ბრმად ენდობა ნებისმიერ სულგაყიდულ, სინდისგარეცხილ მედროვეს, რომელიც აშკარად პირადი გამორჩენის მიზნით, ანდა კიდევ უარესი, სხვა, უფრო დიდი მედროვის ფარული მითითებების შესაბამისად, დაუნანებლად სვრის, ბილწავს, ასახიჩრებს ირგვლივ ყველაფერს; აკნინებს, აბითურებს წმინდა ცნებებს; ეჭვის ქვეშ აყენებს საუკუნეობით დადგენილსა და დაკანონებულს... პირუტყვულ თავისუფლებას ქადაგებს ზნეწამხდარ ოჯახებსა თუ ფუნქციადაკარგულ სკოლებში... თუმცა, ისიც უნდა ითქვას, ბედნიერი ქვეყნებისგან განსხვავებით, მთლად ჩვენზე არ იყო დამოკიდებული, როგორები ვიქნებოდით დღეს, ასე ვთქვათ, მკვდრეთით აღდგომის, მეორედ დაბადების ჟამს. ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ჩვენი ისტორიული მტრები მკლავებდაკაპიწებულნი მუშაობდნენ ჩვენი ფსიქიკის შესაცვლელად, რასაც გარკვეული თვალსაზრისით მიაღწიეს კიდეც და რამაც, ჩვენდა ჭირად, მაინცდამაინც ჩვენი ფიქტიური დამოუკიდებლობის ჟამს იჩინა თავი, რათა დანარჩენ მსოფლიოს თვალნათლივ დაენახა ჩვენი უმწეობა და უსუსურობა, ჩვენი მოუმზადებლობა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, რაც ჩვენს დამპყრობელს არათუ გაამართლებდა, სუსტისა და უმეცრის კეთილშობილ მფარველადაც გამოიყვანდა იმავე მსოფლიოს თვალში. არც ჩვენ გავუწბილეთ მოლოდინი. იმის მაგივრად, ფიქტიური როგორმე ფაქტიურად გვექცია, ანუ, გვერდში ამოვდგომოდით ერთმანეთს, ჩამოგვებანა წარსულის შლამი და ტალახი, მიახლოებით მაინც აღგვედგინა ჭეშმარიტი სახე, ერთმანეთის ჯიბრით და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ერთმანეთის დამცირების მიზნით, კიდევ უფრო ღრმად ჩავეფალით ტალახში: ავტომატის ტყვიებით დავცხრილეთ მწერალთა კავშირის შენობა; ღღისით, მზისით, ქუჩაში დავწვით წიგნები; დაუფიქრებლად დავნაწილდით სახელდახელოდ გამოჩეკილ პოლიტიკოსთა „სადროშეებად" – არც გვიკითხავს, რითი მოიპოვეს ან ვისგან მოიპოვეს მათ ჩვენზე ბატონობის უფლება – და პირველსავე დაძახებაზე, გამოვენთებოდით ხოლმე ქუჩებში, სულერთია, ვის დასაცავად: სპეკულიანტის, ქურდის, გამომძალველის, მექრთამის თუ ჩვეულებრივი მკვლელისა... სამაგიეროდ, ყურსაც არ ვიბერტყავდით, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სამშობლო ხელებგადაგრიალებული შეჰყავდათ მისთვის დამღუპველ „კავშირებში“; როცა ცილს სწამებდნენ, აბუჩად იგდებდნენ საერთაშორისო სამიტებსა თუ კონფერენციებზე; როცა ცოცხლად წვავდნენ, როცა ტერიტორიებს ართმევდნენ, ძარცვავდნენ, ყვლეფდნენ, აგყავებდნენ და კიდევ აქეთ დებდნენ ბრალს. იმიტომ, რომ თვითონ არ ვიცით, რა გვინდა, რისკენ ვისწრაფვით, რისი იმედით. ამას ნიშნავს სწორედ უწიგნურობა. წიგნი არა მარტო წარსულს გვახსენებს, მომავლისთვისაც გვამზადებს. და მაინც საოცარია, ჩვენი ბედისა და თავგადასავლის ხალხს მტერ-მოყვარის გარჩევა უჭირდეს. მართალია, განათლების საბჭოურმა სისტემამ, ისედაც ბნელ ქვეყანაში, კიდევ უფრო დიდი სიბნელე დაამკვიდრა თავის დროზე, მაგრამ ღღეს ნამდვილად გაუმართლებელია ახალგაზრდობის უმეცრება. სხვათა შორის, თხუთმეტიოდე წლის წინ, ეროვნული მოძრაობის დასაწყისში, ამ მხრივ, გაცილებით უკეთესად იყო საქმე. ახალგაზრდობა თითქოს უფრო მომზადებული ჩანდა თავისუფლებისთვის. ყოველ შემთხვევაში, „სალი კლდეების“ გულისთვის სიკვდილი ჯერ კიდევ ერჩია „სხვა ქვეყნის“ სამოთხეში განცხრომას, ესე იგი, წიგნსაც კითხულობდა, იცოდა, როგორც საკუთარი, ისე სხვათა (მით უფრო, დამპყრობთა) თავგადასავალი. ავია თუ კარგი, ჩვენი მწერლობა, ყაზბეგიდან მოყოლებული, ნაბიჯნაბიჯ, მისხალ-მისხალ, ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც, მაგრამ ყოველთვის დაუნდობელი სიზუსტით გვიხატავდა ჩვენს თავზე დატრიალებულ უბედურებას... მაგრამ წიგნს თუ არ წავიკითხავთ, კაცმა რომ თქვას, როგორ გავიგებთ, რა ამბავია ჩვენს თავს?! აი, ეს დრო გვიდგას ახლა: წიგნს არ ვკითხულობთ და შედეგიც არ აყოვნებს. სულო ცოდვილო და, რაგომღაც ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, ახალგაზრდობა, თუ გამოვიდოდა, მხოლოდ სამშობლოს ღირსების დასაცავად გამოვიდოდა ქუჩაში და არა, ვთქვათ, უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების გასაუქმებლად. მაგრამ მარტო ახალგაზრდები არ არიან დამნაშავენი. ყველანი ერთნაირად ვცოდავთ. უფრო სწორად, ჩვენ, უფროსები უფრო ცოდვილები ვართ. განა მიუტევებელ ცოდვას არ ჩადის მშობელი, როცა შვილს თავიდანვე უცხოეთში აგზავნის გასანათლებლად?! ამით ხომ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ენასა და კულტურას უცხადებს უნდობლობას და სისხლსა და ხორცს, „ჭკუაში ჩავარდნამდე“, ართმევს ეროვნებას. უცხო ენაზე გაზრდილი და განათლებული ბავშვი ქართველი აღარ არის. ვეღარც გახდება. ყოველთვის იმ კულტურის ტყვეობაში დარჩება, რომელსაც თავიდანვე ეზიარება. უცხოეთში გაზრდილი ბავშვი (გინდათ, შინ გაზრდილი უცხოურად), გაცილებით მეტს კარგავს, ვიდრე იძენს. იძენს, დავუშვათ, იერს, კარგავს ბუნებას. იძენს ცოდნას, კარგავს სიბრძნეს. დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდებს მაინცდამაინც არ ესიამოვნებათ ჩემი მოსმენა, მაგრამ სხვანაირად აზრი არა აქვს ჩვენს ლაპარაკს. სხვათა შორის, ამის გამოც ვარიდებ თავს „საზოგადოების წინაშე გამოჩენას“. სიმართლის ერთგულებით მხოლოდ მტრები მოვიმატე და, რაც კიდევ უფრო უარესია, მტრების გინებით მოყვარეს შევაჯავრე თავი. მაგრამ მაინც სიმართლის თქმა სჯობს, თუკი საერთოდ ვაპირებთ რამის თქმას, მით უფრო, ახალგაზრდობისთვის. ახალგაზრდობას არც ვაკადრებ, ენა მოვუჩლიქო და ყალბი ქათინაურებით მოვუქონო თავი. მართალია, ისინი კრიტიკას მტკივნეულად აღიქვამენ, მაგრამ ყოველთვის გონივრულად იყენებენ. დასანახად და ღირსების შესანარჩუნებლად, კი ბრაზდებიან, კი გაჯიუტდებიან ხოლმე, მაგრამ თავთან მარტო დარჩენილი, უსასრულოდ წონიან და ზომავენ ყველა შენიშვნას, რათა, რაც შეიძლება სწორი დასკვნები გამოიტანონ და მომავლისთვისაც გაითვალისწინონ. მე თუ მკითხავთ, ესაა ახალგაზრდობის უპირატესობაც: დროც ბევრი აქვს და ძალაც შესწევს, ნებისმიერი ნაკლის გამოსასწორებლად... ხოლო, რაც უფრო განათლებული იქნება, მით უფრო იოლად დაძლევს ნებისმიერ დაბრკოლებას. ასე რომ, ისევ წიგნს უნდა მივუბრუნდეთ. სხვა გზა არ არსებობს. ჩვენი „სიცოცხლის გზა“ წიგნზე გადის. რაც უფრო ადრე მივუბრუნდებით წიგნს, მით უფრო ადრე აღმოვაჩენთ საკუთარ თავს. ხოლო, როგორც კი აღმოვაჩენთ საკუთარ თავს, მაშინვე გაგვიჩნდება უკეთესობისკენ სწრაფვის სურვილი. წიგნი გვეუბნება, როგორები ვართ და როგორები შეიძლება ვიყოთ, თუკი ისევ მას დავუჯერებთ და მივენდობით...

— ითვლება, რომ საქართველოში კრიტიკა ვერ განვითარდა, რამაც თავის მხრივ, ლიტერატურული ორიენტირების არსებობა განაპირობა, რაც განსაკუთრებულად საგრძნობია ღღეს, როდესაც ყველა, ვისაც არ ეზარება, წერს და თან პოეტად თუ მწერლად მიიჩნევს

თავს. საჭიროა თუ არა კრიტიკა იმის განსასაზღვრად, რომ ესა თუ ის ავტორი, ან მისი ესა თუ ის ნაწარმოები მხატვრულად ღირებულია ან პირიქით?

– როცა ახალგაზრდა კაცს თავხედობა ყოფნის, ყოველგვარი იუმორისა და ირონიის გარეშე, წარბის შეუხრელად აქოს და ადიდოს „საზოგადოების წინაშე“ საკუთარი ნაწარმოები, ანდა უდიერად მოიხსენიოს რომელიმე ღირსშესანიშნავი მწერალი, ვის სახელსაც „ჩუმის ლოცვით“ უნდა იმეორებდეს განუწვეტლივ, მით უფრო, თუკი თავადაც მწერლობას აპირებს, რასაკვირველია, იმ ქვეყანაში კრიტიკაზე საუბარი ჯერ ადრეა, თუ საერთოდ დაგვიანებული არ არის. ჩემი თვალსაზრისით, უფრო ადრეა, ვიდრე დაგვიანებული. კრიტიკა ყველაზე სათუთი, ასე ვთქვათ, არისტოკრატული ჟანრია ლიტერატურისა და სხვა ჟანრებთან შედარებით, იოლად თმობს პოზიციებს, უფრო სწორად, პირველი გარბის ბრძოლის ველიდან, როცა მწერლობისთვის ყოვლად შეუფერებელი ამინდი დგება ქვეყანაში. ამიტომაც სუფევს ასეთი განუკითხაობა დღეს, არა მარტო მწერლობაში, ხელოვნების ნებისმიერ დარგში და საერთოდ კულტურულ ცხოვრებაში. დღევანდელი, „გათანამედროვებული“ ქართულით რომ ვთქვათ, ნებისმიერი სტატუსის (პოეტის, მუსიკოსის, მხატვრის) მინიჭება, რა თქმა უნდა, კრიტიკის პრეროგატივაა და არა თავად შემოქმედისა. კრიტიკა, არა მარტო გემოვნებას ხვეწს, განათლების დონესაც მაღლა სწევს და, რაც მთავარია, ყველა ჭკუათმყოფელისთვის ერთნაირად მისაღებ პოზიციას ამკვიდრებს. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, თავადაა ცუდ დღეში. თითქოს კი არსებობს, მაგრამ არსებობს დროის შესაფერისად გარდაქმნილი. ანუ არსებობს, მაგრამ თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. ანდა სრულიად სხვა, ახალ ფუნქციას ასრულებინებენ „მუსიკის შემკვეთები“ და ისიც (კრიტიკა), ძირითადად, პირადი ანგარიშსწორებითაა დღეს დაკავებული – კერპთა დამხობითა და მღილთა აღზევებით – რის გამოც, ნამდვილი, ბუნებრივი ლიტერატურული პროცესები საერთოდ შეუმჩნეველი რჩება. მაგრამ, ჩვენში რომ ვთქვათ, ასეთი, „კრიტიკა“ გინდაც გაფაციცებული ადევნებდეს თვალს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, ობიექტურ შემფასებლად და დამფასებლად მაინც ვერ გამოდგება. ჯერ კიდევ როდის წერდა გრიგოლ ორბელიანი, „დაბნელდა საქართველოშიო“, მას მერე კი, თუ არ მომატებია, არც არაფერი მოჰკლებია ბნელეს, მაგრამ ეს მაინც დროებითი, წარმავალი სიბნელეა და თავისთავად „იკურნება“, როგორც კი ცხოვრება კალაპოტში დგება და ქვეყანა ქვეყანას ემსგავსება. ასე რომ, ჯერ კიდევ უნდა დავიცადოთ. ჯერ განუკითხაობა სუფევს ჩვენში და მედროვეთა დროა. ხომ ხედავთ, რას დავემსგავსეთ?! ვის ნოვატორი ჰგონია თავი, ვის გალაკტიონი ეპატარავება თვალში... საზოგადოება კი ბაიბურში არ არის. იმიტომ, რომ სიბნელის ნაშიერია, უწიგნურია და უჭირს საკუთარი აზრის ჩამოყალიბება. ხოლო, გაზეთი და ტელევიზია ყოველთვის როდი ეუბნება სიმართლეს. გინდაც ეუბნებოდეს, უკრიტიკოდ დარჩენილი პრესის სიმართლე მაინც ნაკიანია, ჩრდილოვანი, გნებავთ, არასრულყოფილი, გნებავთ, დამახინჯებული. პრესა ბუნებით ლამაზ ქალსა ჰგავს, შეიძლება უპატიოსნესი იყოს, მაგრამ გულის სიღრმეში მასაც აღელვებდეს აკრძალული, მიწიერი სიამენი... სიტყვის თავისუფლება, დამოუკიდებელი გაზეთები, ტელეარხები, რადიოსადგურები, რასაკვირველია, კარგია, აუცილებელიცაა ჩვენ თუ მართლა დემოკრატიულ საზოგადოებას ვაშენებთ, მაგრამ მიზანი ყველას საერთო უნდა ჰქონდეს, ყველა ერთნაირად უნდა ითვალისწინებდეს და ემსახურებოდეს კიდეც სამშობლოს ინტერესებს, რამდენადაც ბევრადაა მათზე დამოკიდებული, როგორები ვიქნებით ხვალ და საერთოდ დავრჩებით თუ არა ქართველებად. რაც შეეხება წერის ჟინით შეპყრობილთა მომრავლებას მწერლობაში, ეს ნაკლებად სახიფათოა. წერონ, მოიკლან წერის ჟინი, დაიკმაყოფილონ „სულიერი მოთხოვნილება“, ამით ბევრი არაფერი დაშავდება. პირიქით, როგორც ჩვენმა დიდმა აკაკიმ იხუმრა ერთხელ: პოეტები თუ არ გამოვლენ, წერას მაინც ისწავლიან. გამართულად წერა უკვე კულტურაა. ყოველ შემთხვევაში, შავს თეთრისგან და მტერს მოყვრისგან ნამდვილად განასხვავებ, რასაც ვერ ვიტყვით ზოგიერთ ჩვენს შემოქმედზე, რომლებსაც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მტკიცედ სჯერათ, ვთქვათ, რუსეთ-საქართველოს „საუკუნოვანი ძმობისა“. რასაკვირველია, ადამიანური თვალსაზრისით იმათი გამართლებაც შეიძლება. ადამიანები, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ, ათასნაირად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ზოგნი ბიზნესით, ზოგნი კარიერით, ზოგნი ოჯახურადაც, მაგრამ რაც მეყვავილეს, გადამყიდველს,

სანტექნიკოსს ანდა სულაც შავ მუშას მიეტევება, ის მიუტევებელი ცოდვაა შემოქმედისთვის, მით უფრო ნიჭიერისთვის, რომელსაც ერთი მოუზომავი სიტყვით ანდა დაუფიქრებლად გადადგმული ნაბიჯით, შეუძლია გამოუსწორებელი ბოროტება მოუტანოს სამშობლოს, ისევ და ისევ, თავისი ნიჭიერების გამო. ადვილი შესაძლებელია, მისმა თაყვანისმცემელმა, რომელიც ფიქრშიაც არ დაუშვებს, მისი კერპი კერპისთვის შეუფერებელ ნაბიჯს თუ გადადგამს ან სცენაზე, ან ცხოვრებაში, მართლა იწამოს დამპყრობლისა და დაპყობილის „საუკუნოვანი ძმობისა“ და მონობაში შობილი, მონობით გამოთაყვანებული, ვეღარასოდეს გამოვიდეს მონობიდან, ამჯერად, რომელიმე საიდუმლო სამსახურების მიერ ოსტატურად ჩატარებულ ოპერაციათა გამო კი არა, არამედ მონობაში ჩამოყალიბებული და უკვე ეროვნულ უბედურებად ქცეული ორპირობისა და ორგულობის გამო. არ არსებობს საკითხი, რომელზედაც განსხვავებული (თანაც რამდენიმე) აზრი არ გვქონდეს, მაგრამ ასევე არ არსებობს საკითხი, რომელზედაც ერთი აზრისანი ვიყოთ ყველანი. ეს არის თავი და თავი ჩვენი მარადიული მარცხისა და მთავარი და დამაქცევარი იარაღიც ყველა ჩვენი მტრის ხელში. აი, ასეთ მწარე დღეშია ჩავარდნილი დღევანდელი შემოქმედიც და მისი თაყვანისმცემელიც, და ამის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი სწორედ კრიტიკის სისუსტეა. ამიტომ, დავიცადოთ, ვიდრე კრიტიკა მოღონიერდებოდეს, ვიდრე თავის ფუნქციას დაიბრუნებდეს. დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და ძალამოკრებილი კრიტიკა მკაცრად ამხელს, ბოძზე გააკრავს, გაამათრახებს, მასხარად აიგდებს ნებისმიერ უმსგავსობას, უხამსობას, უნიჭობას, რასაც დღეს ასე უხვად, თანაც უშუალო სითავხედითა თუ თავხედური უშუალობით გვაწვდის ჩვენი სინამდვილე... სხვათა შორის, კრიტიკა მომავალში ალბათ იმასაც იკითხავს, თუ რატომ უნდა ერქვას „ქართული უნივერსიტეტი“ თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში მთავარი უნივერსიტეტის გაზეთს. თუ არ მიწყენთ, ესეც ხომ საუკუნეობით ჩამოყალიბებული ჩვენი მონური აზროვნების გამოძახილია?! საქართველოში (ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა კულტურულ ქვეყანაში), მსაზღვრელი მხოლოდ იმ სასწავლებელს, ან სხვა რაიმე დაწესებულებას სჭირდება, რომელიც შეიძლება, რატომღაც, არ იყოს ქართული... ასე რომ, აღვიჭურვოთ მოთმინებით და დავიცადოთ...

– ბევრი მიიჩნევს, რომ წიგნის მაღაზიების არსებობა საზოგადოების წიგნიერების ნიშანია – რადგანაც არსებობს მაღაზია, არსებობს მკითხველიც. ასეა თუ არა?

– მე მგონი, მთლად ასე არ არის. ალბათ აჯობებს, თუ ვიტყვით: არსებობს მაღაზია, არსებობს მყიდველი. გეთანხმებით, არსებობს მკითხველიც, მაგრამ, რასაკვირველია, მისი გულისმოსაგებად, მის მისაზიდად არ იხსნება დღეს წიგნის მაღაზიები. სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრებისეული პირობების გამო, წიგნის მყიდველისა და მკითხველის ცნებები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. ზოგჯერ საერთოდ გამორიცხავს კიდეც ერთმანეთს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, დიდი ისტორიული ფაქტია. მკითხველი, როგორც უკვე ვთქვით, იქით ეძებს წიგნს, ყველა ხვრელი იცის სასურველ წიგნისკენ მიმავალი, საკმაოდ გათვითცნობიერებულია ამ საქმეში და იოლად ვერ შეაპარებ ცრუ ლიტერატურას, რაც არ უნდა მდიდრულად გამოცე და რაც არ უნდა ლამაზად გააფორმო. ამავე დროს, მყიდველთან შედარებით, მკითხველი გაცილებით მცირერიცხოვანია. ასე რომ, ვინც დღეს წიგნის მაღაზიას ხსნის, ნაკლებად ითვალისწინებს მის რაოდენობას და, აქედან გამომდინარე, მის გემოვნებასაც. წიგნის მაღაზიების არსებობას ჩვენში, ჯერჯერობით, მაინც ბიზნესი განაპირობებს და არა, ვთქვათ, წერა-კითხვის გავრცელების სურვილი. მაგრამ, რაც არ უნდა განაპირობებდეს, მხოლოდ მისასალმებელი ფაქტია და ყველამ ხელი უნდა შევუწყოთ, მივეხმაროთ, რითაც შეგვიძლია. ვერც იმას ვიტყვი, წიგნის მაღაზიის გახსნა საზოგადოების წიგნიერების ნიშანია-მეთქი, მაგრამ საზოგადოებისთვის უაღრესად სასარგებლო მოვლენაა. წიგნის მაღაზიაში, თუნდაც ისე, იქაურობის დასათვალიერებლად შესვლა, შეიძლება უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც მაღლა სწევს ჩვენი ადამიანურობის კოეფიციენტს. ცივილიზაციით დამფრთხალი და დაბნეული ადამიანი წიგნის მაღაზიაში მხოლოდ შვებას იგრძნობს და ცოტა ხნით მაინც მოითქვამს სულს. საქართველოში ყოველთვის მაღალ დონეზე იდგა წიგნთან ურთიერთობის კულტურა. წიგნის ფასი ყოველთვის ვიცოდი-მეთქი, მინდოდა მეთქვა. წიგნის მზითვად გატანების წესიც, მხოლოდ და მხოლოდ, ამის დამადასტურებელია და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითგანათლების, თვითგაკეთილშობილების დაუშრეტელი წყარო იყო წიგნი მაშინდელი ქართველი ობივატელის თვალში, თუ განსაკუთრებულად ძვირფასი, ძვირადღირებული ნივთი. წიგნის მაღაზიების გახსნა ამითაც არის მნიშვნელოვანი – თუ წიგნს ვერ წააკითხებენ დღევანდელ ქართველ ობივატელს, შეახსენებენ მაინც, წიგნი მისგან მხოლოდ მოკრძალებასა და პატივისცემას რომ იმსახურებს, თუნდაც სიძვირის გამო. მართალია, დღეს წიგნის მაღაზიაში უმალ „ჰარი პოტერს“ გადაეყრები, ვიდრე „ტომ სოიერს“, მაგრამ ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენზე ბევრად წიგნიერი ქვეყნებისთვისაც და, ამდენად, „ჰარი პოტერიდანაც“ შეიძლება სასარგებლო დასკვნების გამოტანა. რაც უფრო წიგნიერია საზოგადოება, მით უფრო იოლად ართმევს თავს ნებისმიერ ზნეობრივ თუ სულიერ პრობლემას. უფრო სწორად, სხვათა დაუხმარებლადაც იცის, რა ურჩევნია, რა უფრო მოეხმარება ამქვეყნიურ ცხოვრებაში: ტომ სოიერის წრეგადასული, მაგრამ მაინც უაღრესად ადამიანური ცელქობანი, თუ ჰარი პოტერის, ცოგა არ იყოს, შიშისმომგვრელი ჯადოქრობები. ყველა წიგნი, თუკი ელემენტარულ ლიტერატურულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს (უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ „გამართულად წერას“), ერთნაირად ღირსია არსებობისა. წიგნს ადამიანი ქმნის და, რაც მთავარია, თავისთვის. ადამიანი კი ბუნების განუყოფელი ნაწილია და საკუთარ არსებაში მოიცავს ყველაფერს, რაც ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. ასე რომ, წიგნი ცუდიც შეიძლება იყოს და კარგიც, საზიანოც და სასარგებლოც, ოღონდ, მთავარი კრიტერიუმი მაინც მხატვრული ღირსებაა. რაც უფრო მეტი მხატვრული ღირსება აქვს წიგნს, მით უფრო დიდია მისი ზემოქმედების ძალაც და არეალიც. ასე რომ, იმედი ვიქონიოთ, კიდევ ბევრი, ბევრნაირი წიგნი დაიწერება და, თავისთავად ცხადია, გაიყიდება კიდეც, თუკი მომავლის ადამიანმა საერთოდ არ ჩაიქნია ხელი ცხოვრებაზე, რაც დიახაც რომ გამოუსწორებელი შეცდომა, სამარცხვინო სისუსტე და ყოვლად მიუტევებელი ღალატი იქნება მისგან. ამგვარ ცოდვას მხოლოდ უწიგნური ადამიანი თუ ჩაიდენს...

– 60-იანი წლების საქართველო, ბუნებრივია, დღევანდელისგან განსხვავდება. რა იყო მაშინ განსაკუთრებით ძვირფასი – სპეციფიკური დროისთვის, ქვეყნისთვის და თუ არსებობს დღეს ისეთი ცნება, როგორიც „ეროქის სულია“, რა ნიშნებს ატარებს 21-ე საუკუნის საქართველო?

– დღევანდელი საქართველო, რასაკვირველია, განსხვავდება გასული საუკუნის 60-იანი წლების საქართველოსგან, მაგრამ, ჩემი აზრით, განსხვავება მაინც ვიზუალურია, გარეგნული, უფრო ზუსტად, ზედაპირული... თავისთავად ცხადია, არ ვგულისხმობ რუსული წარწერების შეცვლას ინგლისური წარწერებით. პირიქით, ჩვენი ბილინგვური აზროვნების სიმყარე მაფიქრებინებს, რომ შინაგანად ბევრი არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, ახლა თამამად ვამბობთ იმას, რაზეც მაშინ ვჩურჩულებდით და თავისუფლად ვაკეთებთ, რისი გაკეთება მაშინაც გვინდოდა, მაგრამ არ შეგვეძლო, არ შეგვეძლო არსებული რეჟიმისა და არა ჩვენი განსაკუთრებული წესიერებისა თუ გადამეტებული გაუბედაობის გამო. უფრო მეტიც, ჩვენი სულიერი და ზნეობრივი გახრწნა საბჭოთა რეჟიმში დაიწყო და დამთავრდა კიდეც. დღეს, როგორც იტყვიან, მოსავალს ვიმკით. „ვარდების რევოლუცია“, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა ზნეობრივი მოვლენაა. პირველი სერიოზული ცდაა სიყალბიდან სიმართლისკენ, სიბნელიდან სინათლისკენ შემობრუნებისა. ყოველ შემთხვევაში, ასე მინდა ვიფიქრო, ასე მინდა იყოს. არა მარტო რეჟიმი, არა მარტო სისტემა, თავად ადამიანი უნდა შეიცვალოს, გადარჩენა თუ უნდა. იცვლება კიდეც. ოღონდ, ნელა და ამიტომაც შეუმჩნევლად. ეს რთული, მტკივნეული პროცესია და ყველა ჩვენგანს განსაკუთრებული სიფხიზლე გვმართებს. თუ ჭირდება, ახლა ჭირდება ქვეყანას ჩვენი სიყვარული და ერთგულება. დღეს თუ საქართველში ვინმე იტყვის, პატრიოტიზმმა თავისი დრო მოჭამაო, ან ბრიყვია, ან ფლიდი. პატრიოტიზმი არც ერთჯერადი გრძნობაა, არც პერიოდული. ან ხარ და ყოველთვის იქნები, ან არ ხარ და არც არასოდეს გახდები შენი ქვეყნის პატრიოტი. ჯერ ვერ ვიტყვი, რა ნიშნებს ატარებს 21-ე საუკუნის საქართველო. 21-ე საუკუნე ჯერ წინ არის, მაგრამ ძალიან მინდა, სწორედ პატრიოტიზმი იყოს მისი ერთ-ერთი მთავარი გამოსარჩევი ნიშანი. ჯერ ჩვენ არ გვაქვს სხვანაირად ცხოვრების უფლება. მიმზიდველი, მაცდური მაგალითი ბევრია, მაგრამ იმათ სწორედ სამშობლოსთვის თავგანწირვით, სამშობლოს სამსახურით მოიპოვეს ამის უფლება. ნუ მოვი-

ტყუებთ თავს, ანუ, შეგნებულად ნუ დავიმართებთ პოლიტიკურ სიბეცეს, თორემ ძვირი დაგვიჯდება. თბილისის თავზე ნამდვილად ქართული დროშა ფრიალებს, მაგრამ იმ დროშას ბევრი მტერი ჰყავს და არა მარტო დღეს და ხვალ, ყოველთვის, უკუნითი უკუნისამდე დასჭირდება დაცვა. დიდ სიხარულს თვალის ახელაც შეუძლია და თვალის ახვევაც. რძით დამწვარი დოს უბერავდაო, მაგრამ ჩვენი თავგადასავლის ხალხს ნამდვილად არ გაემტყუნება ამგვარი გადამეტებული სიფრთხილე. ალბათ თქვენც წაიკითხეთ აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებული, „24 საათში“ გამოქვეყნებული პროექტი და, დამეთანხმებით, დაეჭვებისა და შეშფოთების საბაბს ნამდვილად იძლევა. მე მგონი, პოლიტიკურ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, პროექტის ავტორები ბოლომდე ვერ არიან გარკვეულნი, თუ რა მოხდა აფხაზეთში სულ რაღაც ათიოდე წლის წინ და, ამავე დროს, მზად არიან, ორმოცი საუკუნის წინანდელი „დამსახურებისთვის“ (რაც ჯერ კიდევ დასადგენია და გასარკვევი), საქართველოს განუყოფელი კუთხე აღიარონ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რაც არძინბას მოდგმას სიზმრადაც არ მოლანდებია. სხვათა შორის, თავად ოკუპანტიც ვერ იფიქრებდა ალბათ, შესაძლებელი თუ გახდებოდა როდესმე ამგვარი რამ და ახლა სულგანაბული ელოდება ჩვენს გადაწყვეტილებას. ამიტომ, ვიდრე ასე გულუხვად და დაუფიქრებლად დავარიგებდეთ სტატუსებს, იქნება ჯერ გაგვებედა და, მსოფლიოსთვის თუ არა, საკუთარი ხალხისთვის მაინც გვეთქვა, რა მოხდა სინამდვილეში აფხაზეთში. ვიდრე ყველა ფრჩხილი არ გაიხსნება, ვიდრე მართალი არ გამართლდება და მტყუანი არ გამტყუნდება, ანუ, ვიდრე ჯალათს ჯალათის, მხსვერპლს კი მსხვერპლის სტატუსი არ მიეცემა, სხვა ყველანაირ სტატუსზე ლაპარაკი, მეტი რომ არ ვთქვათ, პოლიტიკური ლაფსუსია. მე თუ მკითხავთ, დღევანდელი აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლების ნებისმიერი მოთხოვნის შესრულება ტერორისტთა მოთხოვნათა შესრულების ტოლფასია და ღრმადა ვარ დარწმუნებული, მსგავსს არაფერს დაუშვებს ჩვენი პარლამენტი, საერთოდ, ჩვენი ხელისუფლება. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმ პოზიციისთვის მხარის დაჭერა იქნება, რასაც კატეგორიულად უპირისპირდება დღევანდელი პროგრესული მსოფლიო. მეც, რასაც ვამბობ, გარკვეული სიფრთხილით ვამბობ, მაგრამ არც დაუნახაობა ვარგა: ნამდვილად იცქლება ფეოლაფერი, თანაც საფუძვლიანად და, იმედი ვიქონიოთ, უკეთესობისკენაც. უარესი უბრალოდ არ შეიძლება. ისე, კაცმა რომ თქვას, ცოტა ძნელი წარმოსადგენია, ერთი ჩვეულებრივი ადამიანური სიცოცხლის მანძილზე ამდენჯერ გაწბილდეს კაცი, და, რაც მთავარია, ამდენჯერ გაწბილებულს, მაინც შერჩეს უკეთესობის იმედი. არადა, შემრჩა. მჯერა ჩვენი საბოლოო გადარჩენისა. მჯერა, ერთხელაც იქნება, მართლა მივაფურთხებთ ეშმაკს, მართლა დავძლევთ სიხარბეს, პატივმოყვარეობას, შურს... და მართლა მოვიყრით თავს დაკარგული მიწების დასაბრუნებლად; გაქცეულთა, სულმოკლეთა, გადაგვარებულთა მოსაქცევად; თავგასული, გათავხედებული ბიუროკრატიის ასალაგმავად; ყველა „გადამდგარი“ ხელისუფლების მაგინებელ და ყველა გამარჯვებულ ხელისუფლებასთან ერთნაირად შეხმატკბილებულ ხელოვანთა, მეცნიერთა თუ საზოგადო მოღვაწეთა სამხელად, რასაც თავისთავად მოჰყვება, დავუშვათ, არა მარტო შემოქმედებითი კავშირების, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს საზიანოდ შეგნებულად შექმნილი ნებისმიერი საბჭოური სტრუქტურის რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის საკითხიც. სხვაინაირად, ამაოდ დავშვრებით. მეტი რომ არ ვთქვათ, უბრალოდ არაეთიკური საქციელი იქნება ჩვენგან, რუსები მავზოლეუმშიც აღარ აჩერებდნენ ლენინს, ჩვენ კი აქ, საქართველოში, თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდეთ მის დანატოვარს. ჩვენ ყველამ ერთად უნდა დავიცვათ სახელმწიფო დროშის ინტერესები. ბოლო ორი საუკუნე იმიტომაც წარიმართა ჩვენი ცხოვრება ასე უკუღმართად, საკუთარ დროშას რომ არ ვემსახურებოდით. განა ჰამლეტის კითხვაზე ნაკლებად ტრაგიკულია ერეკლე მეორის უერთგულესი და უჭკვიანესი კანცლერის კითხვა?! მას შემდეგ, რაც საქართველოს მზე რუსეთის უკიდეგანო ტრამალებში ჩაესვენა, ვერ იქნა და ვერ გავარკვიეთ, ვისი დროშისთვის გვემსახურა, ვის დროშას შევწირვოდით, უაზრო, სიშლეგეში გადაზრდილი სიმამაცისა თუ უაღრესად პრაქტიკულ მოსაზრებათა გამო... მხოლოდ იმას შეუძლია ბედნიერ ადამიანად ჩათვალოს თავი, ვინც ამგვარი არჩევანის წინაშე არ დაუყენებია ბედს. მხატვრულად რომ ვთქვათ, ბედნიერი ადამიანი თავის დროშიანად იბადება ამ ქვეყანაზე. ასე რომ, დიადი, დიდებული ისტორიული ფაქტის მოწმენი და, გარკვეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისით, მონაწილენიც ვართ ყველანი. მსგავსიც არაფერი მომხდარა ჩვენს სინამდვილეში ერეკლე მეორის შემდეგ. პირადად მე, მთელი სიცოცხლე ამგვარ დროშაზე ვოცნებობდი, უფრო სწორად, მინდოდა მეც მქონოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარტივი და უკეთილშობილესი სიმბოლო უანგარო სამსახურისა და შეგნებული თავგანწირვისა. ოცნება, მგონი, ამიხდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გაცილებით მეტი დრო გავიდა ოცნებაში, ვიდრე სამსახურისთვის დამრჩა. თუმცა, დაუფარავი სიამაყით შემიძლია განვაცხადო, მწერლობაც ამ დროშის სამსახურია. ყოველ შემთხვევაში, ქართველი მწერალი ნამდვილად ვერ იქნები, თუკი ამ დროშის სამსახური არ დაგისახავს მიზნად, ცხადშიც და ოცნებაშიც, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. უფრო მეტიც, მწერლობა რომ არ ჰქონოდა საქართველოს, ძნელი სათქმელია, გაუთენდებოდა თუ არა დღევანდელი დღე, საერთოდ თუ შეინარჩუნებდა ეროვნულ თვითშეგნებას. მშობლიური ლიტერატურა, პირველ რიგში, პიროვნებასა და მოქალაქეს ბრდის ჩვენში. გენეტიკური წარმომავლობა სრულებითაც არ არის საკმარისი ჩვენი ეროვნულობის გასარკვევად, მით უფრო – გამოსავლენად. შეიძლება, დედ-მამით ქართველი იყო და არაფერი გაგეგებოდეს ქართველობისა, არ იცოდე, რას ნიშნავს, რა ხილია, იჭმევა თუ ისმევა... მთავარია, რომელი კულტურის ქურაში ხარ გამომწვარი თავიდანვე და რომელი ლიტერატურის მეშვეობით დაგიდგენია შენი ადგილსამყოფელი ამ ქვეყანაზე. მოკლედ, თუკი ბავშვობაში „შვლის ნუკრის ნაამბობის“ კითხვისას ცრემლის გორგალი არ გაგჩხერია სასულეში, ანდა, თეატრის ხავერდოვან წყვდიადში ჩაკარგულს, გული სიამაყით არ გაგბერვია ხიმშიაშვილის გამოჩენაზე, ვერ ყოფილხარ მთლად სრულყოფილი ქართველი. ესე იგი, ვერც სხვა ეროვნების კაცს გაუგებ ბოლომდე, ანუ, ვერც თავს არგებ და ვერც სხვას. ამიტომ, ყოველთვის მეტი სიფრთხილითა და მეტი პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ იმ კულტურას, რომლის მსახურადაც გაგვაჩინა განგებამ, გარემომ, აღზრდა-განათლებამ, ნათესავთა და მეგობართა წრემ, ყველაფერმა, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, როგორც სამყაროზე, ისევე საკუთარ თავზე. კულტურა უაღრესად „კერძო საკუთრებაა“. იაპონიასა და გერმანიას, მიუხედავად მათი გეოგრაფიული თუ ეთნიკური სხვაობისა, შეუძლიათ სავსებით იდენტური სამრეწველო საქონელი შექმნან, მაგრამ ვიდრე განსხვავებული კულტურები ექნებათ, ერთი ყოველთვის იაპონიად დარჩება, მეორე გერმანიად. აქედან უნდა ამოვდიოდეთ ჩვენც, როცა მეობის, თვითმყოფადობის გადარჩენას ვისახავთ მიზნად. ანუ, ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, გვინდა თუ არა ვიყოთ ქართველები და მერე ყველამ ერთნაირად უნდა ვირწმუნოთ, რომ ქართველობას მხოლოდ ქართული კულტურა შეგვინარჩუნებს. დღეს, 21-ე საუკუნის დასაწყისში, როცა ეთნიკური სიჭრელე ლამის მთელი მსოფლიოსთვის ბუნებრივ მოვლენადაა ქცეული, ეროვნული კულტურის სულ უმნიშვნელო, წამიერი იგნორირებაც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ნებისმიერი ქვეყნისთვის და მათ შორის, რასაკვირველია, ჩვენთვისაც. ბაბილონის გოდოლი მოგონილი იქნება. პირველ რიგში, ამ მიმართულებით უნდა ჩაგარდეს ჩვენთან რეფორმები და, როგორც ყველაფერში ვბაძავთ ხოლმე, ამაშიც უნდა მივბაძოთ ევროპის ქვეყნებს, ამერიკას, თუნდაც იმავე რუსეთს, და აუცილებლად უნდა შევქმნათ აქაც საერთო საგანმანათლებლო სივრცე, სადაც თანაბარი უფლება და ერთნაირი პირობები ექნება ყველას სახელმწიფო ენაზე სწავლისა, სულერთია, წარმოშობით ქართველია ის, თუ არაქართველი. თუ საქართველოში მცხოვრებ არაქართული წარმომავლობის მოსახლეობას მართლა ვთვლით საქართველოს მოქალაქეებად (რაც სავსებით ბუნებრივია), და თუ ისინიც მზად არიან, იყვნენ საქართველოს მოქალაქეები (რასაც დღეს ნამდვილად ვერ ვიტყვით!), იმით კი არ უნდა ვკოპწიაობდეთ, თუ რამდენ არაქართულ სკოლას ინახავს ჩვენი ისედაც მწირი ბიუჯეტი, არამედ კიდევ რამდენი არაქართული წარმომავლობის მოქალაქე დაეუფლა სრულყოფილად ქართულ ენას და ცხოვრობს საქართველოს ცხოვრებით. არაქართული ეთნოსი უცხო სხეულად კი არ უნდა დარჩეს ქართულ ყოფაში, არამედ ყველანაირად უნდა მოერგოს ქართულ ყოფას, თუკი მისთვის და, აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვისაც სიკეთე გვსურს. ჩვენი არასწორი საშინაო პოლიტიკის გამო, არაქართული წრმოშობის მოქალაქეები, ძირითადად, ისევ ისტორიულ სამშობლოებზე არიან ორიენტირებულნი, უფრო სწორად, მაინც იმის განუყოფელ ნაწილად თვლიან თავს და ამას არც მალავენ. ჩვენს მიწაზე კი ცხოვრობენ, მრავლდებიან კიდეც, მაგრამ არც ქართულ წიგნს ემატება მკითხველი და არც ქართულ თე-

ატრს მაყურებელი. ალბათ თქვენც იტყვით, მწერლობა სად არის, რას აკეთებს ამ მართლაც სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლადო, მაგრამ მწერლობას არაფრის გამოსწორება არ შეუძლია, მით უფრო – შეცვლა. უფრო სწორად, მწერლობის ამოცანა სხვა და ალბათ გაცილებით მნიშვნელოვანიც, ვიდრე რამის შეცვლაა. მწერლობა არსებულს კი არ ცვლის, ახალს ქმნის, ქმნის მეორე სინამდვილეს, იგივე თავშესაფარს, ოღონდ, მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც თავიანთი მიდრეკილებებისა თუ მონაცემების გამო, გარკვეული ურთიერთობა აქვთ მწერლობასთან და ამდენად კაცობრიობის უმცირეს ნაწილს წარმოადგენენ. ცხოვრებისეულ პრობლემებში ჩარევა, კონკრეტული ცვილებებისთვის ბრძოლა მასმედიის პირდაპირი მოვალეობაა. ჩვენში რომ ვთქვათ, ამისთვის არსებობს საერთოდ, როგორც რევოლუციების მარადი თანამგზავრი, სიმართლის დაუქანცველი მაძიებელი და, რაც მთავარია, ერთნაირად ხელმისაწვდომი, ერთნაირად გასაგები საზოგადოების ნებისმიერი ფენისთვის, ნებისმიერი წარმომადგენლისთვის. მწერლობა საზოგადოების სარკე კია, მაგრამ სარკეც წიგნივით შეგიძლია გადადო გვერდზე. ამაზე უკვე ვილაპარაკეთ ზემოთ. მასმედია კი, დაუპატიჟებელი და, ცოტა არ იყოს, თავხედი სტუმარივითაა, მაშინ შემოგეჭრება შინ, როცა მოეპრიანება და ამისთვის მრავალნაირი საშუალება გააჩნია. საღი, გონიერი, ენერგიული მასმედიის გარეშე სერიოზული სახელმწიფო არ არსებობს. მასმედიის სიავკარგე განსაზღვრავს არა მარტო ქვეყნის კეთილდღეობას, არამედ ხელისუფლების ხარისხსაც, უფრო მეტიც, მასმედია ამკვიდრებს ახალ ფორმაციას, ახალ წყობილებას, ახალ სისტემას, ბოლოს და ბოლოს, ახალ რეჟიმს და ახალ საზოგადოებასაც, ახალ ტიკებში ისევ ძველი ღვინო რომ არ ჩაისხას, თორემ, ნებისმიერი რევოლუცია საჩვენებელი სპორტული ღონისძიების დონეზე ჩაივლის და უარაფროდ დამთავრდება. ჩვენს საზოგადოებას, სულ ცოტა, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ჯერჯერობით, ნირიც არ შეუცვლია, ანუ, ნებისმიერ ხელისუფლებასთან შეხმატკბილებული, ყველაფრისთვის მზად მყოფი და ყველაფრის მკისრებელი ხალხითაა დღესაც „დაკომპლექტებული“. ხოლო მასმედია, რომელსაც არ შეუძლია, ანდა, კიდევ უარესი, შეუძლია, არ განასხვაოს ტყუილი სიმართლისგან, ყალბი ნამდვილისგან, რასაკვირველია, ვერასოდეს დადგება მოწოდების სიმაღლეზე, ვერ იქნება სიმართლის მკვლევარი და, მით უმეტეს, სიმართლის მსახური. მაგრამ ყველაფერში მასმედიის დადანაშაულება დიდი უსამართლობა იქნება ჩვენგან. ეს უფრო ჩვენი ისტორიული უიღბლობის ბრალია. ერეკლეს მეზარბაზნეებისა არ იყოს, მაინცდამაინც, გადამწყვეტ მომენტში შეგვეყრება ხოლმე ავადმყოფობა. ასე დაემართა ჩვენს მასმედიასაც. აშკარად ვერ მოასწრო გარდაქმნა და საბჭოური რეჟიმისთვის გამიზნული, არა მარტო კონკრეტული სიტუაციისთვის აღმოჩნდა მოუმზადებელი, არამედ საერთოდ თავისუფლებისთვის. გალიიდან კი გამოუშვეს, მაგრამ უკვე ფრენას გადაჩვეული და, რაკი თავიდანვე არასწორად განუმარტეს თავისუფლების არსი და ბუნება, წერისა და მეტყველების ელემენტარული ნორმების დაცვაზეც აიღო ხელი. სხვათა შორის, 60-იანი წლების საქართველო, რომელიც თქვენ, რასაკვირველია, ლიტერატურულ ასპექტში ახსენეთ, არც ამ თვალსაზრისით განსხვავდება დიდად დღევანდელი საქართველოსგან. უფრო სწორად, ჯერ კიდევ მაშინ ჩამოყალიბდა დღევანდელობისთვის დამახასიათებელი ბევრი ნიშან-თვისება. მაგალითად, მდაბიური ენამოსწრებულობა თუ პროვინციული სითამამე; საკუთარი კულტურის იგნორირება თუ, „კურიოზებისკენ“ დაუოკებელი სწრაფვა, რაც არათუ კიდევ უფრო აუფერულებს და აღარიბებს ჩვენს ისედაც „მოწყენილ ცხოვრებას“ (ილიას სიტყვებია), არამედ გარდუვალი კატასტროფის, ყოველ შემთხვევაში, აშკარად რაღაც ცუდისა და საშიშის წინათგრძნობას ბადებს ყველა ჩვენგანის გულში. რაც შეეხება მწერლობას, სამოციანელებისთვისაც ის იყო განსაკუთრებულად ძვირფასი, რაც დღევანდელობისთვისაა. საერთოდ, მწერლობა ერთი უწყვეტი პროცესია (უნდა იყოს, არაფერმა არ უნდა შეაფერხოს ხელოვნურად) და მისი დაყოფა დროის გარკვეულ ეტაპებად, პირადად მე, სწორად არ მიმაჩნია. კარგი და ცუდი ყოველთვისაა. აუცილებელიცაა მათი ერთად ყოფნა. ცუდი განაპირობებს კარგს, კარგი წარმოაჩენს ცუდს. მთავარია, ყოველთვის უშეცდომოდ ვიცოდეთ, რომელია ნამდვილად კარგი და რომელია ნამდვილად ცუდი. ამის არცოდნა ისევ მედროვის წისქვილზე ასხამს წყალს, რომელსაც, თავისთავად ცხადია, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ხმის აუკანკალებლად შეუძლია დრომოჭმულად გამოაცხადოს, ვთქვათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ეპოქაში შექმნილი ყველა კარგი ნაწარმოები და, კიდევ უარესი, პროგრესულ, გნებავთ, დისიდენტურ ლიტერატურად გაასაღოს დღეს, რაც საბჭოეთშიც ნაგავად ითვლებოდა და დღის სინათლეს ვერ ნახულობდა, არა „უიდეობის", არამედ, მხოლოდ და მხოლოდ უნიჭობისა და მდარე ხარისხის გამო. მწერლობა პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ერევა (არ უნდა ერეოდეს), თორემ, პოლიტიკასთან პირდაპირაა დაკავშირებული. მწერლობა მარადიული ოპოზიციაა და ეს ყველა ხელისუფალმა იცის. ამიტომ, ზოგი მის მოსყიდვას ცდილობს, ზოგი მოსპობას, ძირითადად დამცირებით, იგნორირებით, უგულებელყოფით. მაგრამ ორივე შემთხვევაში ცდება. არც მოსყიდვა შეიძლება მისი, არც მოსპობა. ხელისუფალს მწერლობა უნდა უყვარდეს, პატივს უნდა სცემდეს, თუ უნდა, რომ თავადაც გახდეს სიყვარულისა და პატივისცემის ღირსი. ეს, რასაკვირველია, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მწერლები ანგელოზები არიან და ჯერ არაფერი შეუცოდავთ. მწერლებში დღესაც ბევრია – და 60-იან წლებშიც ბლომად იყო – მედროვე, კარიერისტი, პატივმოყვარე და მიწიერ სიამეთა ყურმოჭრილი მონა. მედუზასა და ვეშაპს თითქოს არაფერი აქვს საერთო, მაგრამ ორივე ერთნაირად ოკეანის შვილია. ჩვენც ჩვენი დიდი მწერლობის, ჩვენი მხატვრული სტიქიის შვილები ვართ და მიუხედავად პირადული ნაკლისა თუ ღირსებისა, ერთნაირად ვიმსახურებთ მის წიაღში არსებობის უფლებას, ანუ, მომავალშიც მხოლოდ მისი წყალობით შევძლებთ ხალხში გამოსაჩენი პირის შენარჩუნებას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქანდაკის მხატვრული რეალობა

ცნობილი ესთეტიკოსის მოისეი კაგანის გამოკვლევა სათაურიდანავე იპყრობს მკითხველის ყურადღებას — „მერაბ ბერძენიშვილის მაღალი ხელოვნება და XX-XXI საუკუნეების მხატვრული კულტურის პრობლემები“.[1] ეს სათაური იმაზე მეტყველებს, რომ ავტორმა უბრალოდ კი არ მიმოიხილა ან გააანალიზა ქართველი მოქანდაკის შემოქმედება, არამედ თანამედროვე კულტურის ყველაზე აქტუალური პრობლემების კონტექსტში განიხილა და განჭვრიტა. საქმე ისაა, რომ მოისეი კაგანს შესწევდა საამისო ძალა. მისი ერუდიცია მეცნიერულ-ანალიტიკურ სიღრმესთან და გამოცდილებასთან, მრავალისმომცველ, თუ შეიძლება ითქვას, ნაცად გემოვნებასთან ერთად, უმძაფრესი შემოქმედებითი ცნობისწადილითაც იყო განსაზღვრული. მან ხომ თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა და გაეცნო სახვითი ხელოვნების და, კერძოდ, მონუმენტური ქანდაკების ნიმუშებს. თვითონვე ამბობს: „ჩემს სამეცნიერო ბიოგრაფიაში ცვლილებები უცხოეთში მრავალგზის გამგზავრებას უკავშირდებოდა — აშშ-ში, კუბაში, ჩინეთში, კორეაში, იტალიაში, ესპანეთში, სკანდინავიის ქვეყნებში“. ყოველივე ამას კიდევ ერთხელ ეზიარა უკვე ასაკოვანი მკვლევარი, რათა მის გამჭრიახ თვალს არ გამოპარვოდა ის ცვლილებები, რაც გლობალური მასშტაბით ხდებოდა ხელოვნებაში. მოისეი კაგანმა ამ განახლებული გამოცდილების კარნახით შექმნა ფუნდამენტური გამოკვლევები „შესავალი მსოფლიო კულტურის ისტორიაში“ და „ეს არის ადამიანი“. როგორც თვითონ თქვა, „ამ წიგნებში საკუთარი აღქმის საფუძველზე ის პროცესები იყო გააზრებული, რომლებიც XX საუკუნის მიწურულს მთელ მსოფლიოში მიმდინარეობდა და ამ კონტექსტში მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედების მნიშვნელობა ცხადი გახდა“.

და მართლაც, ყოველივე ამის შემდეგ კაგანმა ხელი მოკიდა განსახილველი წიგნის წერას. ეს არ არის შემთხვევითი ამბავი. კაგანს ადრევე სურდა, დაეწერა გამოკვლევა მერაბ ბერძენიშვილზე, საამისოდ კი საქართველოში ჩამოსვლა იყო აუცილებელი, რათა უშუალოდ ეხილა მკვლევარს ქვეყნის ტერიტორიაზე გაფანტული მონუმენტური ქანდაკებები. ეს კი ვერ მოხერხდა პოსტსაბჭოთა არეულობის გამო.

რა არის მთავარი ამ წიგნში?

მთავარი არის მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედების განხილვა-გაანალიზება და შეფასება. ყოველივე ეს კი, როგორც უკვე ვთქვით, თანამედროვე მსოფლიოში ხელოვნების კონტექსტში ხდება.

მოისეი კაგანისთვის, უპირველეს ყოვლისა, მერაბ ბერძენიშვილის ხედვის ფილოსოფიურ-ესთეტიკური მრავალმხრიობაა გასათვალისწინებელი. მონუმეტური ხელოვნება წინასწარვე განსაზღვრავს ადამიანის, როგორც გმირული პიროვნების გაგებას. გმირული ყველაზე ხშირად უკავშირდება ტრაგედიულს. ეს ხდება ცხოვრებაშიც და აქედან გამომდინარე, ქართველი მოქანდაკის „მხატვრულ რეალობაშიც“. გავიხსენოთ დიდგორის მემორიალი, გიორგი საკაძის და დავით აღმაშენებლის ფიგურები. ამას გარდა ვთქვათ, მედეას სახე დრამატულია, შოთა რუსთაველის და დავით გურამიშვილის, მუზის და დედის სახეები — ლირიკული. ამავე დროს ბერძენიშვილის ცნობიერებაში არსებობს „ტრაგიკულისა და გმირულის საპირისპირო რამ“, რაც კომიკურის კატეგორიად არის ცნობილი. მოისეი კაგანი წერს: „ამგვარი ესთეტიკური სპექტრი შთამბეჭდავია, რადგან თანამედროვე უცხოურ ხელოვნებაში გაბატონებულია ან ამაღლებულ-გმირული სახეების და სიტუაციების ცალმხრივი გამოხატულება (ვთქვათ, ლენინგრადელები — ა. მატვეევი და მ. ანიკუშინი), ან კიდევ ადამიანში მხოლოდ კომიკური ასპექტის დანახვა. ასეთია, ვთქვათ, ნიჭიერი, მაგრამ ერთფეროვანი ბრაზილიელი მოქანდაკე ფ. ბოტერო“. უფრო ქვემოთ კაგანი დასძენს: „მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნებისათვის დამახასიათებელია სწრაფვა მრავალმხრივი ადამიანური ყოფიერების სრულად გამოხატვისაკენ“.

---

1. მოისეი კაგანი. მერაბ ბერძენიშვილის მაღალი ხელოვნება და XX-XXI საუკუნეების მხატვრული კულტურის საკითხები. გამომცემლობა „კალამუსი“. 2006 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ბერძენიშვილს თავის საკუთარი გამოცდილება, მსოფლმხედველობა და ესთეტიკა აქვს. ამავე დროს, როგორც მოისეი კაგანი ამბობს, მისი ხელოვნება უაღრესად თანამედროვეა. ქართველი მოქანდაკე ერთი მხრივ ითვისებს კლასიკური მონუმენტური ქანდაკების კანონებს და მეორე მხრივ, ითვალისწინებს XX საუკუნის ხელოვნების გამოცდილებასაც. ისევ ციტატა: „ბერძენიშვილისთვის პრინციპულად უცხო იყო უარის თქმა თავისი იდეის სახვითი საშუალებებით გადმოცემაზე, უცხო იყო, რადგან უსაგნო ენით ხელოვნებისთვის შეუძლებელია ადამიანის სახეობრივი წვდომა, ანუ ის, რასაც მხატვარი მთელი თავისი მოღვაწეობის საზრისად, დანიშნულებად და გამართლებად მიიჩნევდა".

მერაბ ბერძენიშვილს არ შეუძლია გულგრილი იყოს ადამიანის სხეულის მშვენიერების მიმართ. ის მომხრეა ინერტული მასალის გაცოცხლებისა, ვინაიდან სამყაროს სისავსე მხოლოდ ამ გზით შეიძლება გადმოიცეს. ამავე დროს, მოქანდაკემ ისიც კარგად იცის, რომ XX საუკუნის პლასტიკური ხელოვნების ენა გართულდა და პირობითობის ნიშნებით აღიბეჭდა. ბერძენიშვილი ამ გამოცდილებასაც იყენებს, მხოლოდ იყენებს ისე, რომ თავის „ხელწერას" მოარგოს და შეუსატყვისოს.

მერაბ ბერძენიშვილის მსოფლმხედველობა იმას ითვალისწინებს, რომ მიუხედავად კრიზისული ეპოქისა ადამიანმა მაინც უნდა გაამართლოს თავისი მაღალი მოწოდება, ამავე დროს ეს ადამიანი ასე ვთქვათ, ზოგადადამიანი კი არ არის ან უსახო კოსმოპოლიტი, არამედ ქართველი კაცია, თავისი ტკივილებით, ფიქრებით და იდეალებით. როგორც მოისეი კაგანი ამბობს, მერაბ ბერძენიშვილის ადამიანს ეროვნული ნიშნებიც აქვს და ზოგადსაკაცობრიოც.

მოისეი კაგანის წიგნი მერაბ ბერძენიშვილზე სრულიად ახლებურად წარმოაჩენს ქართველი ხელოვანის შემოქმედებას.

ანდრო ბუაჩიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრია

ფრანც კაფკას სახელობის საერთაშორისო საზოგადოების პრემია 2001 წელს დაარსდა. იუნესკოს აზრით ფრანც კაფკას საერთაშორისო საზოგადოება დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავტორიტეტული ორგანიზაციაა და მას მსოფლიო კულტურული საზოგადოება უგდებს ყურს. ამ პრემიის ორი უკანასკნელი მფლობელი ჰაროლდ პინტერი (2005 წ.) და ელფრიდა ელინეკი (2004 წ.) ასევე ნობელის პრემიის ლაურეატები იყვნენ. წელს ეს პრემია, მსოფლიო კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლის გამო, იაპონელ მწერალს, ხარუკი მურაკამის მიანიჭეს.

აშშ

ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი ქალი გახდა. 48 წლის მერინ ესლოპი ბალტიმორის ცნობილი სიმფონიური ორკესტრის მუსიკალურ დირექტორად გამგეობის წევრთა ხმების უმრავლესობით დაამტკიცეს. სადირიჟორო პულტთან მან იური ტემირკანოვი შეცვალა. თუმცა თავად ორკესტრის მუსიკოსები, ვინც სწორედ ამ დროს რეპეტიციაზე იყვნენ, ახალ ამბავს სამარისებური დუმილით შეხვდნენ. ორკესტრის დირიჟორად ქალის დანიშვნა ალბათ თავისებური გარღვევაა სფეროში, სადაც ტრადიციულად მამაკაცები მეფობენ და ამ გარღვევას მშვიდობიანად არ ჩაუვლია. მუსიკოსთა უმრავლესობამ კატეგორიულად მოითხოვა პრეტენდენტთა ძიების განახლება, მაგრამ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება მაინც არ შეუცვლია.

ესპანეთი

მთელი სამი დღე ესპანეთისა და სხვა ქვეყნების ორი ათასამდე ადამიანი ხმამაღლა, შეუსვენებლად კითხულობდა სერვანტესის „დონ კიხოტს", რომელიც მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებად აღიარეს. წიგნის ასეთი კოლექტიური და სახალხო კითხვა დაკავშირებულია იმ დღესასწაულთან, რომელსაც ესპანეთში ათიოდე წლის წინ ჩაუყარეს საფუძველი და „წიგნის დღე" უწოდეს. დღესდღეობით ეს ზეიმი ესპანეთის კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ესპანურენოვან ქვეყნებში სერვანტესის პრემია ყველაზე პრესტიჟულად ითვლება, ამიტომ „დონ კიხოტის" სახალხო კითხვა ამ პრემიის უკანასკნელმა ლაურეატმა, მექსიკელმა სერხიო პიტოლმა დაიწყო, ხოლო დასრულების პატივი წილად თანამედროვე ესპანური ლიტერატურის კლასიკოსს, ფრანცისკო აიალას ხვდა, რომელსაც ამა წლის მარტში ასი წელი შეუსრულდა.

კითხვის ამ ცერემონიაში, რომელიც ერთმა მწერალმა დაიწყო, მეორემ კი დაასრულა, უამრავმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. კულტურის ცნობილი წარმომადგენლებისა და სახელმწიფო მოღვაწეების გარდა, კითხვის ესტაფეტა აიტაცეს რიგითმა ადამიანებმა, მოსწავლეებმა და უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმაც კი, რომლებიც ცერემონიას ვიდეო ტელეფონებით ერთვებოდნენ და „დონ კიხოტის" კითხვას უცხო ენებზე აგრძელებდნენ.

„წიგნის დღის" ეგიდით ამ პერიოდში მთელს ესპანეთში და ესპანურენოვან ქვეყნებში ერთდროულად გაიმართა წიგნის გამოფენები, ახალ ნაწარმოებთა პრეზენტაციები, მკითხველებთან მწერალთა შეხვედრები, მუსიკალური კონცერტები და ფილმების დემონსტრაციები.

მადრიდის მწერლების ინიციატივით ესპანეთის დედაქალაქში „წიგნის ღამე" მოეწყო. ქალაქის ყველა წიგნის მაღაზია მთელი ღამის მანძილზე ღია იყო და ყველა მსურველს იწვევდა.

კიდევ ერთი მშვენიერი ტრადიცია კატალონიაში აღმოცენდა, სადაც „წიგნის დღის" დღესასწაული, მისი მფარველი წმინდანის, სან-ხორდის (წმინდა გიორგი) დღესასწაულს ემთხვევა. კატალონიური ტრადიციით ამ დღეს, 23. აპრილს, ერთმანეთს წიგნებსა და ვარდებს ჩუქნიან. ეს რიტუალი კარგა ხანია იუნესკომ აიტაცა და მან ფეხი იაპონიაში და სხვა ქვეყნებშიც მოიკიდა.

წელს ამ დღესასწაულს კიდევ ერთი სიახლე შეემატა. ინტერნეტში გამოცხადდა კონკურსი ყველაზე მშვენიერი ესპანური სიტყვის გამოსავლენად და ამ კონკურსში ესპანეთის, ლათინური ამერიკისა და სხვა ქვეყნების ორმოც ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. პირველი ადგილი კონკურსზე დაიმსახურა სიტყვამ amor (სიყვარული), რომელიც შინაარსითაც და ჟღერადობითაც საუკეთესო სიტყვად აღიარეს.

ინგლისი

სტრადფორდში, შექსპირის მშობლიურ ქალაქში, მსოფლიოში ყველაზე დიდი თეატრალური ფესტივალი შედგა. იგი 23 აპრილს, შექსპირის დაბადებისა და გარდაცვალების დღეს გაიხსნა და მის შემოქმედებას მიეძღვნა. პროექტი, რომელსაც „ნაწარმოებთა სრული კრებული" უწოდეს, შექსპირის სამეფო თეატრის თაოსნობით განხორციელდა. მისი მიზანია, მთელი წლის მანძილზე ამ ქალაქიდან შექსპირის ოცდაჩვიდმეტივე პიესა, ყველა პოემა და სონეტი წარმოადგინოს. ოცდასამ სპექტაკლს თავად შექსპირის სამეფო თეატრი ითამაშებს, დანარჩენებს კი უცხოელი არტისტები, მათ შორის ბრაზილიის, ინდოეთის, გერმანიის, ჩინეთის, იტალიის, ამერიკის, სამხრეთ აფრიკისა და რუსეთის თეატრალური დასები წარმოადგენენ. უცხო ენაზე, მთელი წლის მანძილზე, ათი სპექტაკლი გათამაშდება.

ამ პროექტის განსახორციელებლად სტრადფორდში, მდინარე ეივონის ნაპირას, სპეციალურად აშენდა თეატრი ღია ცის ქვეშ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც გვერდით ას ადგილიანი ამფითეატრიც აქვს. მოგვიანებით წარმოდგენები გაგრძელდება თეატრ „კორტიარდში", რომელიც ივნისში გაიხსნა და წმინდა სამების ტაძარში, სადაც თავად უილიამ შექსპირია დაკრძალული.

❖ ❖ ❖

კარგა ხანია ინგლისში მოარული ხმები ტრიალებს, თითქოს არტურ კონან-დოილმა თავისი მეგობარი, ჟურნალისტი და ადვოკატი, „ბასკერვილების ძაღლის" ნამდვილი ავტორი, ფლეტჩერ რობინსონი მოკლა, რათა პლაგიატის ფაქტი დაეფარა. ამჯერად სკანდალმა პიკს მიაღწია. მწერალმა როჯერ ჰარიკ-სტილმა და მეცნიერმა პოლ სპაირინგმა პათოლოგანატომებისა და ტოქსიკოლოგების ჯგუფი შექმნეს, რათა გამოიკვლიონ ხომ არ მიუღია რობინსონს სიკვდილის წინ ლაუდანუმის სასიკვდილო დოზა, თუმცა მისი გარდაცვალების ოფიციალური მიზეზად ტიფია დასახელებული. ფლეტჩერ რობინსონი დევონში, სენტ-ენდრიუს ეკლესიაშია დაკრძალული, ამიტომ მკვლევართა ჯგუფმა ექსჰუმაციის ჩატარების უფლება საეკლესიო კრებას გამოსთხოვა.

„უდაო დამამტკიცებელი საბუთები გვაქვს, - განაცხადა სპაირინგმა, - რომ ფლეტჩერ რობინსონს მოტყუებით არ შეხვდა კუთვნილი ჰონორარი და რომ ის უფრო მეტად მონაწილეობდა „ბასკერვილების ძაღლის" შექმნაში, ვიდრე კონან-დოილმა აღიარა."

ქიმიისა და ბიოლოგიის სპეციალისტი პოლ სპაირინგი ყოფილი პოლიციელია. მისი განცხადებით არსებობს საბუთები, რომ კონან-დოილმა, ბრალდების თავიდან ასაცილებლად, რობინსონის ცოლს, ვისთანაც რომანი ჰქონდა, ქმარი მოაწამვლინა. თანაც ქალმა შეიძლება არც იცოდა, რას აკეთებდა.

შერლოკ ჰოლმსის თაყვანისმცემლები და ლიტერათმცოდნეები ამ თეორიას უარყოფენ, თუმცა აღიარებენ, რომ „ბასკერვილების ძაღლის" შექმნაში რობინსონს ნამდვილად დიდი მონაწილეობა აქვს მიღებული. სწორედ მან გააცნო კონან-დოილს დორტმურის შემოგარენი, ბასკერვილი კი რობინსონის მეეტლის გვარია. წიგნის პირველ გამოცემას ჰქონდა წარწერა; „ეს ისტორია გაჩნდა ჩემი მეგობრის, ფლეტჩერ რობინსონის წყალობით, რომელიც ძალიან მეხმარებოდა." ლიტერატურათმცოდნეების აზრით, კონან- დოილს სურდა წიგნი რობინსონის თანაავტორობით გამოსულიყო, მაგრამ ამას წინ გამომცემლები აღუდგნენ. კონან- დოილის სახელი კარგად იყიდებოდა.

ირანი

ირანში, ბრაზილიელი მწერლის, პაულო კოელიოს რომანი „ზაჰირი" აკრძალეს.

როგორც გაირკვა, ირანში, წიგნის ბაზრობაზე, სპეცსამსახურის თანამშრომლები გამოცხადდნენ, უკვე გამოცემული წიგნის ეგზემპლარები ამოიღეს და „ზაჰირი"' აკრძალული წიგნების სიაში შეიტანეს. თავად გამომცემელს სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა, თუმცა გამოცემისათვის ყველა საჭირო უფლება აღებული ქონდა. უკვე საუბრობენ, რომ პაოლო კოელიო ალბათ სალმან რუშდის ბედს გაიზიარებს.

იტალია

იტალიელმა მწერალმა უმბერტო ეკომ პუბლიკაციით „როგორ გავმდიდრდეთ სხვისი უბედურებით" მომრავლებული მკითხავებისა და წინასწარმეტყველების წინააღმდეგ გაილაშქრა.

„ნებისმიერ ადამიანს შეგიძლიათ უთხრათ: „ეს კაცი არ გაფასებს და შენზე ცუდს ამბობს, ოღონდ ამას შურით ლაპარაკობს." არავინ გიპასუხებთ, ჩემზე ყველა გიჟდება და არ მესმის, ვინ შეიძლება იყოსო. უფრო სავარაუდოა, რომ მაშინვე მიხვდება ვინაა და თქვენი ექსტრასენსორული ხილვები გააოცებს.

ანდა თქვენს პაციენტებს მოახსენე, თქვენს ირგვლივ ძვირფასი, გარდაცვლილი ნათესავების აჩრდილების ხილვა შემიძლიაო. საშუალო ასაკის კაცს მიუახლოვდით და მოახსენეთ, შენს გვერდით გულის დაავადებით გარდაცვლილი მოხუცის ჩრდილს ვხედავო. ნებისმიერ ცოცხალ ადამიანს ორი მშობელი და ოთხი ბებიაბაბუა ყავს. თუ გაგიმართლათ, შეიძლება ბიძები და დეიდებიც ან სულაც ნათლული აღმოაჩნდეს. თუ ეს კაცი ასაკშია შესული, სავარაუდოა, რომ მისი ნათესავები უკვე გარდაიცვალნენ და ექვსი მინიმალური მიცვალებულისგან, გულის უკმარისობით ერთი მაინც იქნება მკვდარი.

თუ არ გაგიმართლათ და თქვენი სამსახურით დაინტერესებულ კლიენტებს შორის ყველაზე შეუფერებელი აარჩიეთ, შეგიძლიათ, უთხრათ, შემეშალა და ჩემი ხილვა თქვენი კი არა, მეზობლის ნათესავიაო. და რომელიმე აუცილებლად აღნიშნავს ეს დედაჩემი ან მამაჩემიაო. მაშინ შეუძლიათ უამბოთ რა სითბოს ასხივებს ეს აჩრდილი და რა სიყვარულით შესცქერის ქალიშვილს (ვაჟიშვილს). ის კი, ამ დროს, მთლიანად თქვენი გავლენის ქვეშ მოექცევა."

უმბერტო ეკოს აზრით ავანტურისტები ბოროტად იყენებენ ადამიანთა გულუბრყვილობასა და ტკივილს და ამას მეტი ყურადღება ჭირდება.

❖ ❖ ❖

იტალიის ქალაქ ტურინაში, ძველი ეგვიპტის ერთ-ერთ უძველეს მუზეუმში, დამთვალიერებელთა გარდა ექიმების, მეხანძრეებისა და მისტიკოსების რიცხვმაც კი იმატა. ამის მიზეზი ფარაონ კხას სარკოფაგი გახდა (1400 წ.ჩ.წ.). იმ დარბაზში შესვლისას, სადაც კხას სარკოფაგია დაცული, მნახველებს მოულოდნელი უძლურება, გულყრა ან ისტერიკაც კი ეწყებოდათ. მას შემდეგ, რაც ექიმებმა ექსკურსიაზე მოსულ სამ გოგონას ერთად აღმოუჩინეს დახმარება, გაზეთები „ფარაონის წყევლაზე"

ტურის მრავალფეროვნების კონვენციას და იგი ერთხმად მიიღეს. კონვენციის მიზანია ამ ქვეყნების კინო და მუსიკალური ხელოვნების გლობალიზაციისგან ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების კონკურენციისგან დაცვა. კონვენციის ინიციატორი საფრანგეთი იყო. როგორც ცნობილია, ამ ქვეყანაში კინემატოგრაფს, პოპ-მუსიკასა და ოპერას ძალიან დიდი სუბსიდიები აქვს. თავად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კონვენცია აშკარა გაღიზიანებით მიიღო და იგი "სრულფასოვანებისაგან ძალიან შორს დგასო", განაცხადა. მისი აზრით ეს კონვენცია აღნიშნულმა ქვეყნებმა ჰოლივუდისა და სხვა კულტურული პროდუქციის ექსპორტის ბლოკირებისათვის შეიძლება გამოიყენონ.

შვედეთი

შვედეთის ქალაქ ვიმერბიუში ასტრიდ ლინდგრენის სახელობის პრემიის კიდევ ერთი ლაურეატი დაასახელეს. ეს პრემია რამდენიმე წლის წინ დაარსდა და მას საბავშვო მწერლებს და საბავშვო წიგნების მხატვარ-ილუსტრატორებს ანიჭებენ. ქალაქი ვიბერმიუ, სადაც ჟიური იკრიბება, სწორედ ასტრიდ ლინდგრენის სამშობლოა. დღესდღეობით, ასტრიდ ლინდგრენის სახელობის პრემია, საბავშვო მწერლობის ჟანრში, ყველაზე მსხვილ საერთაშორისო პრემიად ითვლება. წელს ჟიურის ორგკომიტეტმა ახალ ლაურეატად ამერიკელი მწერალი ქალი კეტრინ პატერსონი დაასახელა. ჟიურიმ მწერალი დააჯილდოვა, როგორც „ბრწყინვალე ფსიქოლოგი, რომელიც ძალიან მოხერხებულად არიდებს თავს მარტივ გადაწყვეტილებებს".

კეტრინ პატერსონი ჩინეთში, მისიონერის ოჯახში დაიბადა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თავადაც მისიონერი გახდა და იაპონიაში გაემგზავრა. მოგვიანებით, პრესვიტერიანულ მღვდელს გაჰყვა ცოლად და საკუთარი თუ აყვანილი შვილების აღზრდას შეუდგა. პირველი წიგნი – „ზანთემის ნიშანი", 1973 წელს გამოვიდა. ნამდვილი პოპულარობა კი მოთხრობამ „შესანიშნავი ვილი ჰოპკინსი" მოუტანა. მთლიანობაში პატერსონს თოთხმეტი დიდი მოთხრობა, ნოველების სამი კრებული და ხუთი მცირეწლოვანებისთვის შექმნილი ნაწარმოები აქვს გამოცემული.

სხვადასხვა წლებში, პატერსონს, როგორც შესანიშნავ საბავშვო მწერალს, ბევრი, და მათ შორის ჰანს ქრისტიან ანდერსენის, პრემიაც აქვს მოპოვებული.

ასტრიდ ლინდგრენის პრემიის საპრიზო ფონდი ხუთი მილიონი შვედური კრონია (ნახევარი მილიონი დოლარი). მისი ჟიური ოცი კაცისაგან შედგება და ისინი კულტურის ეროვნულმა საბჭომ აირჩია. ლინდგრენების ოჯახს მისი შვილიშვილი ანიკა წარმოადგენს, რომელიც იმავდროულად რედაქციის თანამშრომელიცაა.

თარგმნა
მანანა მიქელაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეიქმნა მწერალთა ასოციაცია

29 ივნისს გაიმართა მწერალთა ასოციაცია „მნათობის“ წევრთა პირველი, დამფუძნებელი კრება. კრებას ესწრებოდნენ: ანა კალანდაძე, ზაირა არსენიშვილი, ლია სტურუა, ქეთევან შენგელია, ჟანა ოთხვანი, გურამ გეგეშიძე, ნუგზარ შატაიძე, ბესიკ ხარანაული, გურამ ბენაშვილი, ირაკლი სამსონაძე, შადიმან შამანაძე, ემზარ კვიტაიშვილი, გურამ ბარნოვი, კოტე ჯანდიერი, მამუკა დოლიძე, ანდრო ბუაჩიძე, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ზაზა ჭილაძე. ასოციაციაში მწერლებს აერთიანებთ დღევანდელი ქართული კულტურის, კერძოდ, მწერლობის პრობლემებისადმი ერთნაირი დამოკიდებულება. მიაჩნიათ, რომ გლობალიზაციის რეალური საფრთხის ვითარებაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ეროვნული კულტურის გადარჩენასა და განვითარებაზე ზრუნვაა. მწერლებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ქართულ ეკლესიას, პირადად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს, ლიტერატურული ჟურნალების „მნათობისა“ და „ცისკრის“ აღდგენისათვის. კრებამ აირჩია ასოციაციის გამგეობა: ანდრო ბუაჩიძე, გურამ გეგეშიძე, მამუკა დოლიძე, ქეთევან შენგელია, თამაზ ჭილაძე (თავმჯდომარე).

n26/14

ფასი ორი ლარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა